ISSN—0132—6058

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

1. 1983

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

# ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

# СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი
ТБИЛИСИ

1, 1983

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

**სარედაქციო კოლეგია:** ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*), Г. А. Меликишвили (*редактор*), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

# ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

## ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ


დ. ᲒᲝᲒᲝᲮᲘᲐ, საბჭოთა აფხაზეთის მრეწველობა მერვე ხუთწლედში (1966-1970 წწ.) . . 5

ვ. ᲨᲔᲕᲩᲔᲜᲙᲝ, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ამიერკავკასიის ფრონტის ეროვნულ ნაწილებში კავკასიისათვის ბრძოლის თავდაცვით პერიოდში . . . . 18

რ. ᲙᲝᲤᲚᲐᲛᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს სოფელში სასაქონლო ურთიერთობის ისტორიიდან (1917—1932 წწ.) . . . . . . . 25

პ. ᲡᲣᲠᲒᲣᲚᲐᲫᲔ, შიიტური ისლამის როლი ირანის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახალხო ანტიმონარქიული რევოლუციის წინა პერიოდში (XX ს-ის 60—70-იან წწ.). . . . . . 45

მ. ᲘᲜᲐᲫᲔ, ჰერაკლიდეს „ფასისელთა პოლიტიის" განმარტებისათვის . . . 61

გ. ᲛᲐᲙᲐᲠᲐᲫᲔ, ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური ურთიერთობანი აზერბაიჯანის სახანოებთან XVIII საუკუნის 60—80-იან წლებში . 72


## ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ


ჳ. ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, მაჰმუდ ნათანზის ცნობები საქართველოს შესახებ 91

ლ. ᲤᲐᲨᲐᲔᲕᲐ, ურუმთა ზოგიერთი კალენდარული დღესასწაული . . . . 106

გ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ, სასოფლო მოედნის აღმნიშვნელი თუშური ტერმინის განმარტებისათვის 113

ი. ᲢᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ხევების საეკლესიო-აღმშენებლობითი რიტუალი . . . . 123

ი. ᲯᲐᲜᲓᲘᲔᲠᲘ, მიქელ მთავარანგელოზის ხატი სოფ. სუფის წმ. გიორგის ეკლესიიდან . 134

ვ. ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ, სტრაბონის „გეოგრაფიის" XI, 3, 6-ის წყაროს საკითხისათვის . 145


## ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲐ


ჳ. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ, ოსმალური საფინანსო დოკუმენტები XVIII საუკუნის პირველი მესამედის ქუთაისის ციხის შესახებ . . . . 155


## ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ


ვ. ᲩᲐᲜᲢᲚᲐᲫᲔ, XVII—XVIII სს ქართული ფულის ერთეულის საკითხისათვის . . 170

გ. ᲛᲘᲜᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, მტკვარ-არაქსული საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესწავლისათვის . . . . 185


## ᲡᲐᲘᲡᲢᲝᲠᲘᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲜᲘ


შ. ᲑᲐᲓᲠᲘᲫᲔ, ქართული ისტორიოგრაფიის რაინდი (ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების, 120 წლისთავი). . . . . . 199

მ. ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔ, ლაშა-ნიკოლოზ ჯანაშიას ხსოვნას (ნეკროლოგი) 206

# СОДЕРЖАНИЕ

## СТАТЬИ


Д. ГОГОХИЯ, **Промышленность Советской Абхазии в восьмой пятилетке (1966—1970)** . . . . . . . . . . . 5

В. ШЕВЧЕНКО, **Партийно-политическая работа в национальных соединениях Закавказского фронта в оборонительный период битвы за Кавказ** . . 18

Р. КОЧЛАМАЗАШВИЛИ, **Из истории товароотношений в грузинской деревне (1917—1932 гг.)** . . . . . . . . . . . . . . 28

П. СУРГУЛАДЗЕ, **Роль шиитского ислама в государственной и общественной жизни Ирана в канун антимонархической революции (60—70 гг. XX века)** 45

М. ИНАДЗЕ, **К интерпретации «Политии фасисцев» Гераклида** . . . 61

Г. МАЧАРАДЗЕ, **Политические отношения Картли-Кахетинского царства с азербайджанскими ханствами в 60—80 годах XVIII века** 72


## СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ


Н. ГЕЛАШВИЛИ, **Сведения Махмуда Натанзи о Грузии** 91

Л. ПАШАЕВА, **Некоторые календарные праздники урумов** . . . . . 100

Г. ЧИКОВАНИ, **К разъяснению тушинского термина для обозначения сельской площади** . . . . . . . . 113

Н. ТАТИШВИЛИ, **Храмовый строительный ритуал у хеттов** . . . 123

И. ДЖАНДИЕРИ, **Икона архангела Михаила из церкви св. Георгия в селе Супи** . . . . . . . . . . . . . 134

В. ВАШАКИДЗЕ, **К вопросу об источнике XI, 3, 6 «Географии» Страбона** 145


## ПУБЛИКАЦИЯ


Н. ШЕНГЕЛИЯ, **Османские финансовые документы первой четверти XVIII века о Кутаисской крепости** . 155


## ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ


В. ЧАНТЛАДЗЕ, **К вопросу о грузинской денежной единице XVII—XVIII вв.** 170

Г. МИНДИАШВИЛИ, **К социальному изучению структуры общества куро-аракской культуры** . . . . . 185


## ДЕЯТЕЛИ ИСТОРИЧЕСКОЙ НАУКИ


Ш. БАДРИДЗЕ, **Рыцарь грузинской историографии** (120-летие со дня рождения Е. С. Такайшвили) . . . 199

М. ДУМБАДЗЕ, **Памяти Л.-Н. С. Джанашиа** (некролог) 206

# წ ე რ ი ლ ე ბ ი

დამიანე გოგოხია

## საბჭოთა აფხაზეთის მრეწველობა მერვე ხუთწლედში (1966 — 1970 წწ.)

განვითარებული სოციალიზმის პირობებში, რომელიც ახალ ისტორიულ ეტაპს წარმოადგენს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, როგორც მრეწველობის ასევე სოფლის მეურნეობის შემდგომ კონცენტრაციას, სპეციალიზაციას, ინტენსიფიკაციას, ეფექტიანობის ამაღლებას და მართვის სრულყოფას, ამ ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილება „მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერების შესახებ".

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ საფუძველი ჩაუყარა სახალხო-სამეურნეო პრობლემების ახლებურად შემუშავებას, რომელიც ემყარებოდა ღრმა მეცნიერულ ანალიზს და ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებებს.

პარტია, ავითარებდა რა ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964) პლენუმის მიერ გამომუშავებულ კურსს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მრეწველობის განვითარებისა და ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების აქტუალური საკითხების გადაჭრაში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მრეწველობის ხელმძღვანელობის მეთოდებისა და ფორმების სრულყოფას. პლენუმის გადაწყვეტილებებში ხაზგასმულია, „რომ მართვის არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა, დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების მეთოდები მრეწველობაში არ შეესაბამება თანამედროვე პირობებს და საწარმოო ძალთა განვითარების დონეს"[1].

ტერიტორიული პრინციპით მრეწველობის მართვა პრაქტიკულად აფერხებდა სხვადასხვა ეკონომიურ რაიონში მყოფ საწარმოთა დარგობრივი სპეციალიზაციისა და რაციონალური საწარმოო ურთიერთობის განვითარებას, აშორებდა მეცნიერების წარმოებისაგან, იწვევდა მრეწველობის დარგების ხელმძღვანელობის დანაწევრებასა და მრავალსაფეხურიანობას, ამცირებდა ოპერატიულობის როლს მუშაობაში. „არც ისე შორეულ წარსულში", — ამბობდა ა. ნ. კოსიგინი სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე, — დაშვებული იყო ბევრი შეცდომა დაგეგმვაში, მოუფიქრებლად, ვოლუნტარისტულად უდგებოდნენ რთული სამეურნეო საკითხების გადაჭრას"[2].

---

[1] სკკპ ცკ 1965 წ. 25 სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, თბ., 1905, გვ. 7.
[2] გაზ. „კომუნისტი", 1955 წლის 28 სექტემბერი.

გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია მრეწველობის დარგობრივი პრინციპით მართვის აუცილებლობა.

პლენუმმა დასახა ღონისძიებანი იმ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ეკონომიური სტიმულირების დახმარებით ყოველი მუშა. ოსტატი, ინჟინერი, მოსამსახურე. ყოველი კოლექტივი უშუალოდ დაინტერესდა ახალი ტექნიკის დანერგვით, შრომის ნაყოფიერების გადიდებით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით, წარმოების ეფექტურობის ამაღლებით. გაიშალა ფართო შესაძლებლობანი საბჭოთა მრეწველობის ყველა მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივისა და უნარის სრულიად გამოვლენისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის 18 ოქტომბრის პლენუმმა მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შედეგები და საჭიროდ სცნო რესპუბლიკის მრეწველობის მართვის რეორგანიზება. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ბაზაზე შეიქმნა კვების, მსუბუქი, ხორცისა და რძის, ადგილობრივი, საშენ მასალათა, ხე-ტყისა და ხის გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროები. გარდა ამისა, შეიქმნა რიგი სხვა სამრეწველო კომბინატები და სამმართველოები.

პლენუმზე აღინიშნა. რომ მრეწველობის დარგში საქართველოს რესპუბლიკის მიღწევები გაცილებით დიდი იქნებოდა, მრეწველობის მართვის, დაგეგმვისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიკური სტიმულირების სისტემა რომ შეესაბამებოდეს ცხოვრების მოთხოვნებს, უფრო სრულად რომ ვიყენებდეთ სოციალისტური საზოგადოების განვითარების ეკონომიკურ კანონებს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნის შედეგად სამეურნეო ორგანიზაციების სტრუქტურა ზედმეტად გაფართოვდა, ამან კი საგრძნობლად გაართულა მართვა, არა მარტო ადგილებზე, არამედ მთლიანად სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ირღვეოდა მრეწველობის დარგობრივი განვითარების პრინციპი. სახალხო მეურნეობის საბჭოს ზოგიერთ სამმართველოს მხოლოდ დარგობრივი სახელწოდება ჰქონდა, არსებითად კი ისინი გახდნენ თუ მრავალდარგოვანი არა, ყოველ შემთხვევაში, სხვადასხვაგვაროვანი სამმართველოები.

ამასთან დაკავშირებით, მრეწველობის ზოგიერთ დარგში რთული ვითარება შეიქმნა. ყოველივე ეს აფერხებდა ტექნიკურ პროგრესს, ამცირებდა ხელმძღვანელობის დონეს, ხელს უშლიდა მთავარს — საწარმოების გეგმების შესრულებას ყველა მაჩვენებლის მიხედვით. ქვეითდებოდა შრომისნაყოფიერება[3].

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და სოხუმის საქალაქო კომიტეტის 1965 წლის ნოემბრის გაერთიანებულმა პლენუმმა განიხილა და ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი რესპუბლიკის მრეწველობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის[4].

პლენუმზე აღინიშნა, რომ მრეწველობის ხელმძღვანელობის არსებული სისტემა არახელსაყრელ გავლენას ახდენდა სამრეწველო წარმოების სრულ

---

[3] გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1965 წლის 20 ოქტომბერი.

[4] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 1, აღწ. 68, ს. 187. ფურც. 74—77.

წარმატებით განვითარებაზე. ბევრი საწარმო, როგორიცაა, მაგალითად, ქ. სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი და სავეჯო ქარხანა, დიდხანს უშვებდა ისეთ პროდუქციას, რომელზედაც არავითარი მოთხოვნილება არ იყო: ეს გარემოება იმით იყო გამოწვეული, რომ წარმოების ხელმძღვანელობას უფლება არ ჰქონდა გამოეშვა საჭირო ასორტიმენტის საქონელი, სახალხო მეურნეობის საბჭოს ნებართვის გარეშე, სახალხო მეურნეობის საბჭოში კი ამ საკითხების გადაწყვეტა წლების მანძილზე ჭიანურდებოდა.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გაუქმების გამო შესუსტდა ხელმძღვანელობა ამ დარგის საწარმოებისადმი, რის შედეგად მკვეთრად შემცირდა საშენი მასალებისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოება. ასე მაგალითად, აგურის გამოშვება 1965 წელს შემცირდა 10 მილიონ ცალამდე, ნაცვლად 20 მილიონისა 1962 წელს. დიდი ნაკლოვანებანი იყო წარმოების დაგეგმვაში, ხოლო რესპუბლიკის საგეგმო ორგანოების საქმიანობა მხოლოდ აფხაზეთის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საწარმოთა დაგეგმვით განისაზღვრებოდა. ასეთი გაუპიროვნება კი იწვევდა: პროდუქციის გამოშვების გეგმაში ხშირი ცვლილებების შეტანას, წარმოების რიტმის დარღვევას და ა. შ. მარტო 1965 წლის 10 თვის განმავლობაში აფხაზეთის საწარმოებში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმებში 130-ჯერ იქნა ცვლილებები შეტანილი. ასეთი ცვლილებების შეტანა კი ხშირ შემთხვევაში იწვევდა საწარმოთა მოცდენას, სახსრების და დროის უნაყოფოდ ხარჯვას.

საოლქო კომიტეტის პლენუმმა დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს, ფართოდ განემარტათ მრეწველობის მუშაკებისა და რესპუბლიკის ყველა მშრომელისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რათა თითოეულ მათგანს უფრო ღრმად შეეგნო საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა წარმოების სრულყოფისათვის, ფართოდ გაეშალა სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის ღირსეულად დამთავრებისათვის[5].

სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შეიქმნა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, რომელიც 1963 წელს იყო გაუქმებული. ამ სამინისტროს გადაეცა სამშენებლო მასალების მწარმოებელი ყველა საწარმოო, ავეჯის ფაბრიკა, საგალანტერიო ფაბრიკა, მექანიკური ქარხანა, ლუდის და უალკოჰოლო სასმელების საწარმოები და სხვ. რესპუბლიკაში შეიქმნა რიგი სხვა გაერთიანებანიც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა მიიღო დადგენილება 1966 წლის 29 მარტს პარტიის მორიგი XXIII ყრილობის მოწვევის შესახებ. უფრო გვიან კი გამოქვეყნდა სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966—1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ".

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის და 1965 წლის მარტის და სექტემბრის პლენუმმა, რომლებმაც განსაზღვრეს სკკპ პროგრამით დასახული კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაჭრის კონკრეტული გზები: უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვიეს რესპუბლიკის მშრომელთა შორის. ამან განაპირობა შვიდწლედის დამამთავ-

---

[5] პარტიული არქივი (თბილისი). ფ. 14, აღწ. 69, საქ. 187, ფურც. 77.

რებელ წელს მოპოვებული წარმატებები რითაც აღინიშნა სკკპ XXIII ყრილობისათვის მზადება.

ყრილობისათვის მზადებამ, დიდი შემოქმედებითი აქტივობა გამოიწვია აფხაზეთის მშრომელებში. შეუნელებელი ინტერესით იხილავდნენ სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 — 1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ". ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ქალაქად და სოფლად. ჭიათურის „მარგანტრესტის" მაღაროელთა კოლექტივის მიბაძვით, ტყვარჩელელმა მეშახტეებმა აიღეს ვალდებულება — ქვანახშირის ამოღების შვიდწლიანი გეგმა შეესრულებინათ 12 დეკემბრისათვის, ხოლო 1965 წლის გეგმა 23 დეკემბრისათვის. შრომის ნაყოფიერება გაედიდებინათ გეგმასთან შედარებით 1,5%-ით და ყრილობის გახსნის დღისათვის 1966 წლის პირველი კვარტლის გეგმის ზევით ამოეღოთ სულ მცირე 5 ათასი ტონა ქვანახშირი[6]. ტყვარჩელელთა ინიციატივამ ფართო მხარდაჭერა პოვა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

1966 წლის 14 მარტს საოლქო კომიტეტის პლენუმზე, რომელმაც განიხილა სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტი „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966—1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ აღინიშნა, რომ ეს დოკუმენტი განხილული იქნა პარტიულ კრებებზე, ასევე მშრომელთა კრებებზე ფაბრიკებში და ქარხნებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, ყველგან ამ დოკუმენტების განხილვა ხდებოდა მშრომელთა აქტიური და დაინტერესებული მონაწილეობით[7].

1966 წლის 29 მარტიდან 8 აპრილამდე მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა 4 942 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ თითქმის 12,5 მილიონ კომუნისტს.

ყრილობამ სავსებით და მთლიანად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მოცემული დებულებები და დასკვნები და დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966—1970 წლების გეგმის დირექტივები.

ყრილობამ სავსებით მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი, რომლებმაც გამოავლინეს სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზები და შეიმუშავეს სახალხო მეურნეობის მართვისადმი მიდგომის ახალი მეთოდი.

1966 წლის აპრილში მოწვეულ იქნა აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც განიხილა სკკპ XXIII ყრილობის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები. კრებამ ერთსულოვნად მოიწონა ყრილობის გადაწყვეტილებანი და დასახა ღონისძიებანი ახალი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ამოცანების განსახორციელებლად[8].

---

[6] გაზ. „კომუნისტი", 14 ნოემბერი, 1965 წ.

[7] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 71, საქ. 206, ფურც. 12—14.

[8] იქვე, ფ. 14, აღწ. 71, საქ. 212, ფურც. 15—16.

ახალ ხუთწლედში ნათელი პერსპექტივები გადაიშალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წინაშე. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოეს მიღწევათა დანერგვის შედეგად სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის კიდევ უფრო ამაღლებას. ქვანახშირის, ქიმიური, მსუბუქი, კვების მრეწველობის შემდგომ განვითარებას. ხუთწლედში ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდა გათვალისწინებული იყო 10%-ით, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებული მრეწველობის საერთო პროდუქციის გამომუშავებისა — 44,6 %-ით[9].

ხუთწლიანი გეგმით 1965 წელთან შედარებით გათვალისწინებული იყო ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გადიდება 66,5 %-ით, თამბაქოს — 18,0 %-ით, ყურძნისა — 24,7 %-ით. მანდარინისა — 2,6—ჯერ, ხორცისა — 1,7-ჯერ, რძის — 50,5 %-ით და ა. შ.[10].

რესპუბლიკის მშრომელებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გაშალეს დიდი მუშაობა ამ ამოცანების შესასრულებლად.

მერვე ხუთწლედის ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლის პერიოდი აღინიშნა დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებით. 1967 წელს შესრულდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავი, 1970 წლის აპრილში — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი. ამ დიდი ისტორიული მნიშვნელობის ღირსშესანიშნავმა თარიღებმა განაპირობეს მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შემდგომი გაძლიერება და სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაშლა.

ჯერ კიდევ პარტიის XXIII ყრილობამ მოუწოდა საბჭოთა ხალხს სასახელო შრომითი წარმატებებით აღენიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავი, ამ მოწოდებას მაშინვე გამოეხმაურნენ მოსკოველი და ლენინგრადელი მანქანათმშენებლები, დონბასელი მეშახტეები, უკრაინელი და მაგნიტოგორსკელი მეტალურგები. ჩვენს რესპუბლიკაში წინასაოქტომბრო შეჯიბრების ინიციატორებად ჭიათურელი მაღაროელები და სიღნაღელი კოლმეურნეები გამოვიდნენ[11].

აფხაზეთის რესპუბლიკაში ამ დიდი საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების თაოსნობა იკისრა სოხუმის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც წარმატებით შეასრულა შვიდწლიანი გეგმა და გეგმის გარეშე ნაკისრი ვალდებულებანიც.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის მზადებამ საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო მთელ საქართველოში და მასთან ერთად აფხაზეთშიც. პარტიულმა ორგანიზაციებმა აქტიურად დაუჭირეს მხარი შრომით ენთუზიაზმს, რაც უზრუნველყოფდა წინასაოქტომბრო სოციალისტური ვალდებულებებისა და მათი შესრულებისათვის ბრძოლის ფართო საჯაროობას.

ყველგან ტარდებოდა თემატური ლექციები, საუბრები მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობაზე, ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო ისტორიულ მშენებ-

---

[9] აფხაზეთის ასსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები, სოხუმი, 1968, გვ. 162.
[10] იქვე, გვ. 160.
[11] ს. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, სოციალისტური შეჯიბრების ისტორია საქართველოს მრეწველობაში, თბ., 1974, გვ. 211.

ლობაზე, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლზე. ეწყობოდა ახალგაზრდობის, სტუდენტების, მოსწავლეების შეხვედრები ოქტომბრის რევოლუციის მონაწილეებთან, ძველ ბოლშევიკებთან, ომის ვეტერანებთან, წარმოების ნოვატორებთან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით საოლქო კომიტეტმა მიიღო როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტი და დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის დიდი მნიშვნელობის შესახებ ჩაეტარებინათ სათანადო სააგიტაციო-პროპაგანდისტული და ახსნა-განმარტებითი მუშაობა და ამ ისტორიული თარიღის ღირსეულად შესახვედრად მთელს რესპუბლიკაში ფართოდ გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება.

1967 წლის დასაწყისში ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ საკითხი განიხილა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ. აღინიშნა, რომ სკკპ XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა აფხაზეთის მშრომელებმა, წარმატებით დაამთავრეს ხუთწლედის პირველი წელი, 1966 წლის გეგმა აფხაზეთის რესპუბლიკის საწარმოების მიერ შესრულებული იქნა 106.8 %-ით. შვიდწლედის უკანასკნელ წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის საერთო ზრდამ 9% შეადგინა. შემცირდა თვითღირებულება და გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. ამავე საკითხს მიეძღვნა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი 1967 წლის მარტში, რომელმაც შეაჯამა ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისათვის ღირსეულად შესახვედრად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობა, ამხილა ნაკლოვანებანი და დასახა ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად[12]. სწორედ ასეთი თვალსაჩინო წარმატებების ფონზე მიმდინარეობდა მზადება დიდი საიუბილეო თარიღის ღირსეული შეხვედრისათვის. ტყვარჩელელმა მეშახტეებმა და ენერგეტიკოსებმა ვალდებულება აიღეს გეგმის ზევით ამოეღოთ 10 ათასი ტონა ქვანახშირი და გამოემუშავებინათ 20 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ასეთივე ვალდებულებანი ჰქონდათ აღებული აფხაზეთის სხვადასხვა ქალაქებისა და რაიონების მუშა-მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს.

ყველგან—ქალაქად და სოფლად, ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებსა და მშენებლობებზე, სასწავლო აუდიტორიებსა და სამეცნიერო ლაბორატორიებში, კულტურისა და ხელოვნების სასახლეებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში გაჩაღებული იყო შემოქმედებითი შრომა და მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდებოდა ახალი წარმატებების მისაღწევად, ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის. 65 ათასზე მეტი მუშა და მოსამსახურე იყო ჩაბმული ამ შეჯიბრებაში. აქედან 31 ათასზე მეტი იბრძოდა კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო წოდების მოსაპოვებლად. თავდადებულ შრომას შედეგებიც სასახელო მოსდევდა — ყოველ დღეს ახალ-ახალი წარმატებები და გამარჯვებები მოჰქონდა აფხაზეთის მშრომელებისათვის.

---

[12] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 72, ს. 238, ფურც. 4, 5, 7.

აფხაზეთის მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის თავდადებულმა შრომამ პარტიისა და მთავრობის მაღალი შეფასება დაიმსახურა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის აღსანიშნავად აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშით.

ასეთივე სამახსოვრო დროშა გადაეცა ოჩამჩირის რაიონის ბესლახუბის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას საკოლმეურნეო ცხოვრების ყველა უბანში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის.

1967 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების სამახსოვრო დროშებით დაჯილდოების შესახებ. საპატიო ჯილდოები ხვდათ ქალაქებს — სოხუმსა და ტყვარჩელს, აფხაზეთის ყველა რაიონსა და 7 მოწინავე კოლექტივს[13].

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ 20 კოლექტივს გადაეცა საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს და აფხაზეთის პროფკავშირის სამახსოვრო დროშები[14]. ამ წარმატებებში მნიშვნელოვანი იყო ტყვარჩელელ მეშახტეთა წვლილი, რომლებმაც ხუთწლიანი გეგმის ზევით 120 ათასი ტონა ქვანახშირი ამოიღეს. ცნობილ მეშახტეს—მნგრეველს ლეონტი ტყებუჩავას მერვე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილმა დღესასწაულმა კვლავ ცხადყო საბჭოთა ხალხის მონოლითური ერთიანობა, მისი მჭიდრო შეკავშირება კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ამ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სამრეწველო საწარმოების გაფართოებას და რეკონსტრუქციას და ამის მეშვეობით სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გაზრდას. ეს სამუშაოები პირველ რიგში კვების და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ჩატარდა. ხუთწლედის დასასრულს აფხაზეთის რესპუბლიკაში მუშაობდა 13 ჩაის ფაბრიკა, სადაც ყოველწლიურად 12—15 ათასი ტონა ჩაის მზა პროდუქციას უშვებდნენ. 1970 წელს საექსპლუატაციოდ გადაეცა გალის მეორე ჩაის ფაბრიკა და დაიწყო მშენებლობა ზემო ბარღების ფაბრიკისა. ამავე პერიოდში დამთავრდა სოხუმის თამბაქოს კომბინატისა და სოხუმის N11 სამკერვალო ფაბრიკის მშენებლობანი; მოხდა ძველი ჩაის ფაბრიკების, თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნების, სოხუმის თევზკომბინატისა და აფხაზეთის პურკომბინატის საწარ-

[13] გაზ. „კომუნისტი", 1967 წლის 27 ოქტომბერი.

[14] Газ. «Советская Абхазия», 1 ноября 1967 г.

მოთა რეკონსტრუქცია, რის შედეგად ზოგიერთი მათგანის საწარმოო სიმძლავრე 25—30 %-ით გაიზარდა. ამის პარალელურად მიმდინარეობდა მუშათა კადრების მომზადება და გადამზადება. მათ მიერ ახალი პროფესიების ათვისება. ამან შესაძლებელი გახადა ახალი ობიექტების მშენებლობაზე დიდი კაპიტალდაბანდების გარეშე საგრძნობლად გაზრდილიყო პროდუქციის გამოშვება. ასე მაგალითად, წინა ხუთწლედთან შედარებით, 1966—1970 წლებში აფხაზეთის რესპუბლიკაში ჩაის მზა პროდუქციის გამოშვება 15 834 ტონით გაიზარდა, ფერმენტირებული თამბაქოსი —5 720 ტონით, ფეხსაცმლისა — 668 ათასი წყვილით. გაიზარდა აგრეთვე ხორცის, საკონდიტრო ნაწარმის, კონსერვებისა და სხვა სახის პროდუქტების წარმოება[15].

ამ პერიოდში არა მარტო ფართოვდება ძველ საწარმოთა მუშაობა, არამედ იქმნებოდა მრეწველობის სრულიად ახალი დარგები, რითაც ერთხელ კიდევ გამოვლინდა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ცხოველმყოფელობა, ჩვენი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის განუხრელი ზრუნვა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. ქარხანა „სოხუმ-ხელსაწყომ“, რომელმაც პირველი პროდუქცია 1962 წელს მოგვცა, ხუთწლედში (1966—1970 წწ.) 3,9-ჯერ გაზარდა წარმადობა, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა მხოლოდ 1,6-ჯერ. 1968 წლიდან ქარხანა გადავიდა უდეფექტო პროდუქციის გამოშვებაზე, რამაც განაპირობა ის, რომ ქარხნის მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ეს წარმატებანი ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივმა მოიპოვა მაღალი შრომითი და საწარმოო დისციპლინის დამკვიდრების, მუშათა პროფესიულ-ტექნიკური განათლების დონის ამაღლების შედეგად.

ქარხანაში სათანადო დონეზე იდგა რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამოგონებების დანერგვა. 1971 წელს აქ ითვლებოდა 48 რაციონალიზატორი. შემოსული 56 რაციონალიზატორული წინადადებიდან მიღებული იქნა 49, რომელთაგან წარმოებაში დაინერგა 36. ამ წინადადებათა დანერგვით მიღებულმა ეკონომიურმა ეფექტიანობამ 371 ათასი მანეთი შეადგინა. ქარხანაში 480 კაცი კომუნისტური შრომის დამკვრელი მუშაობდა, ხოლო 5 ბრიგადა და 3 უბანი კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელს ატარებდა.

წარმატებები მოიპოვეს მშენებლებმაც. მშენებელთა დიდი გამარჯვება იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავისათვის ბიჭვინთის კონცხზე 3000-მდე კაცის დასვენებისა და მკურნალობისათვის გათვალისწინებული საკავშირო მნიშვნელობის კურორტის მშენებლობა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ კურორტის მომსახურე პერსონალი და მათი ოჯახის წევრები 5 000 კაცზე მეტს შეადგენს, შეიძლება ითქვას, ამ მშენებლობით საფუძველი ჩაეყარა პატარა საკურორტო კეთილმოწყობილ ქალაქს თავისი სკოლებითა და ჯანმრთელობის, კულტურულ-საგანმანათლებლო, საყოფაცხოვრებო მომსახურების მთელი კომპლექსით.

გარდა ამისა, ამავე პერიოდში 1963 კილომეტრზე გაყვანილ იქნა მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, აშენდა 219 კილომეტრი გზა ხე-ტყის გამოსატანად, მრავალი სასკოლო შენობა, საყოფაცხოვრებო

---

[15] აფხაზეთის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს 1971 წლის მონაცემები.

ობიექტები, საცხოვრებელი ბინები, ჯანმრთელობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. მარტო ცენტრალური კაპიტალური დაბანდების ხარჯზე სახალხო მეურნეობას საექსპლუატაციოდ გადაეცა დაახლოებით 162 მილიონი მანეთის ღირებულების ძირითადი საწარმოო ფონდები. ასევე ცენტრალიზებული კაპიტალდაბანდების ანგარიშზე აშენდა 147 352 კვ მ საცხოვრებელი ფართობი, რაც 25 %-ით მეტი იყო, ვიდრე წინა ხუთწლედში. აშენდა აგრეთვე დაახლოებით 50 ათასი კვადრატული მეტრის მოცულობის კოოპერატიული ბინები, ხოლო რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და მოსამსახურეებს ინდივიდუალური წესით საცხოვრებლად გადაეცათ 138 ათასი კვ მ[16].

მრეწველობის განვითარებასთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობოდა სატრანსპორტო მეურნეობის განვითარებას, აფხაზეთის ასსრ ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა კუთხესთან დაკავშირებულია სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო და საზღვაო-სატრანსპორტო ხაზებით. მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა რკინიგზის ტრანსპორტმა. ყოველწლიურად იზრდებოდა ტვირთბრუნვა. 1962—1963 წლებთან შედარებით 1965 წელს საშუალოდ სადღეღამისო გადაზიდვები 20 %-ით გადიდდა, ხოლო საშუალო სადღეღამისო გადატვირთვა 32 %-ით. თუ 1962 წელს მიღებულ და გაგზავნილ იქნა 3995 ტონა ტვირთი, 1965 წელს — 5591 ტონა, ხოლო 1970 წელს 5 927 ტონა[17].

ჯერ კიდევ 1964 წლის 30 ივლისს დამყარდა უშუალო საჰაერო კავშირი დიდი კომფორტაბელური საჰაერო ხომალდების მიმოსვლით ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვსა და სოხუმს შორის. ხუთწლედში წარმატებით იმუშავეს ავტოტრანსპორტის მუშაკებმაც. საავტომობილო ტვირთის გადაზიდვის ხუთწლიანი გეგმა 100,3 %-ით შესრულდა, ხოლო მსუბუქი ტაქსომოტორების მიერ მგზავრთა გადაყვანის გეგმა — 113.5 %-ით. სოხუმის სალოკომოტივო დეპომ ტვირთის გადაზიდვის გეგმა 106,2 %-ით შეასრულა[18].

აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობდნენ კავშირგაბმულობის საშუალებების, რადიოსა და ტელევიზიის განვითარებას.

აფხაზეთის კავშირგაბმულობის საწარმოთა მიერ მოსახლეობისა და წარმოება-დაწესებულებების მომსახურების მოცულობა 1959 წლიდან 1965 წლამდე 9,3 %-ით გაიზარდა. ამ ხნის მანძილზე აშენდა და საექსპლუატაციოდ გადაეცა სოხუმის ავტომატური და საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურები, აგრეთვე რადიოსადგური სოხუმში. 1964 წლის დასასრულს დამთავრდა სატელევიზიო სადგურის მშენებლობა, რომელიც ტელეგადაცემას ორი პროგრამით იღებდა: მოსკოვიდან და თბილისიდან[19]. კიდევ უფრო გაიზარდა ეს სამუშაოები მერვე ხუთწლედში, აიგო ახალი და უახლესი მოთხოვნების დონეზე გაფართოვდა არსებული ავტომატური სატელეფონო სადგურები გაგრაში, ოჩამჩირეში, გუდაუთაში, გულრიფშში, გალში, განთიადში. ტელეფონიზირებული იყო რესპუბლიკის ყველა სასოფლო და სადაბო საბჭო. საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა[20].

---

[16] Народное хозяйство Абхазской АССР, Сухуми, 1973, გვ. 240.

[17] იქვე, გვ. 253.

[18] აფხაზეთის XXXI პარტიული კონფერენცია, გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", 21 იანვარი, 1971 წ.

[19] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 1, საქ. 208, ფურც. 192.

[20] გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", 1971 წლის 21 იანვარი.

მერვე ხუთწლედში მიმდინარეობდა დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლა. ამიტომ მან უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში. ეს საკითხი მუდამ იდგა მათი მუშაობის ცენტრში. ბევრმა ხელმძღვანელმა მუშაკმა მოსკოვსა და თბილისში უმაღლეს ეკონომიკურ კურსებზე აიმაღლა ეკონომიკური ცოდნის დონე.

1967 წლის ივლისში საქართველოს კპ სოხუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად განიხილა საკითხი: „დაგეგმვისა და ეკონომიკურ სტიმულირებაზე ქალაქის საწარმოების გადასვლის შესახებ და განაზოგადა ამ მხრივ წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება. პლენუმმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი რეფორმის გატარების დასაჩქარებლად. იმავე საკითხზე 1969 წლის მაისში იმსჯელა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა. მან ყურადღება გაამახვილა დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ მეთოდებზე რესპუბლიკის საწარმოების გადასვლის საქმეში პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხზე[21]. ამ დროისათვის რესპუბლიკის 117 სამრეწველო საწარმოებიდან ეკონომიკური სტიმულირებისა და ახალი მეთოდით დაგეგმვის სისტემაზე გადასული იყო 68 საწარმო, რომელთა წილად მოდიოდა მთელი გამოშვებული პროდუქციის 70 %. სოხუმში 1968 წელს გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის სამი მეოთხედი და მოგების 81% მიღებული იყო დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ მეთოდზე გადასული საწარმოებისაგან. მუშაობის ახალ მეთოდზე გადასვლა საწარმოების საქმიანობა ნათლად უჩვენებდა, რომ იქ, სადაც საკითხი სწორად გაიგეს და შესაბამისად სწორი ღონისძიებებიც განახორციელეს, შედეგებიც კარგი მიიღეს.

საბჭოთა კავშირში 1970 წელს სამრეწველო საწარმოებმა, რომლებიც ახალ პირობებში მუშაობდნენ, აწარმოეს მთელი სამრეწველო პროდუქციის 93% და სახელმწიფოს მისცეს მთელი მოგების 90%-ზე მეტი[22]. ეს ციფრები მკაფიოდ მეტყველებდნენ სკკპ ეკონომიკური პოლიტიკის სისწორეს, მის ცხოველუნარიანობას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აფხაზეთი ჩამორჩებოდა ამ საერთო-საკავშირო მაჩვენებლებს. აქ ეკონომიკური რეფორმისა და სტიმულირების ახალ მეთოდზე გადასული საწარმოები უშვებდნენ მთელი სამრეწველო პროდუქციის 80 %-ს, იძლეოდნენ მიღებული მოგების 90 %-ს[23].

მერვე ხუთწლედის დამამთავრებელ 1970 წელს აღინიშნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი, ამ იუბილისათვის მზადება შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობდა რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში; ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში, ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ყველგან ჩატარდა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ლექცია-მოხსენებები, სემინარები, კონფერენციები, ლენინური კითხვები. პარტიული და კომკავშირული განათლების სისტემაში შეიქმნა ლენინური სკოლები, სადაც განსაკუთრებული ყურადღება

---

[21] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 74, საქ. 235. ფურც. 5. 6.

[22] М. И. Хесин, КПСС—вдохновитель и организатор строительства коммунизма, Минск, 1973, გვ. 150.

[23] Газ. «Советская Абхазия», 21 января 1971 г.

ეთმობოდა დიდი ბელადის ცხოვრებისა და უკვდავი მოძღვრების შესწავლას. პარტიის საოლქო კომიტეტი სისტემატურად სწავლობდა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას და ეხმარებოდა მათ დიდი თარიღის მაღალ დონეზე აღნიშვნის საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის ლენინის საიუბილეო საპატიო სიგელით დააჯილდოვეს 2500 საწარმოს, ორგანიზაციის, საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის კოლექტივები. მათ შორის აფხაზეთიდან გალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა და გულრიფშის სატყეო მრეწველობის მეურნეობა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს მიერ ლენინის საიუბილეო საპატიო სიგელებით დაჯილდოებულთა შორის იყო 8 კოლექტივი აფხაზეთის რესპუბლიკიდან[24].

თავისი გადაწყვეტილებით საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ და აფხაზეთის პროფკავშირების რესპუბლიკურმა საბჭომ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საპატიო სიგელებით დააჯილდოვა 88 მოწინავე კოლექტივი [25]. უკვე ამ დროისათვის აფხაზეთში 17 კოლექტივი და 619 ბრიგადა ატარებდა კომუნისტური შრომის საპატიო წოდებას, ხოლო 11 906 კაცს მინიჭებული ჰქონდა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება, ხოლო 33 883 კაცი იბრძოდა ამ საპატიო წოდების მოსაპოვებლად[26].

ამრიგად, ახორციელებდნენ რა სკკპ XXIII ყრილობის და პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შემდგომ გადაწყვეტილებებს, აფხაზეთის მუშათა კლასმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, თავისი წვლილი შეიტანა მერვე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში.

წარმოების საერთო მოცულობის დარგში რესპუბლიკის მრეწველობამ ხუთწლიანი გეგმა შეასრულა ვადაზე ადრე, ქვეყანას გეგმის ზევით მისცა 62 მილიონი მანეთის სხვადასხვა პროდუქცია, წინა ხუთწლედთან შედარებით მერვე ხუთწლედში აფხაზეთის სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 56 %-ით, შრომის ნაყოფიერება 40 %-ით. ასეთი ზრდა მიღწეული იქნა საწარმოო სიმძლავრეთა გადიდების გზით, ახალი საწარმოების მშენებლობისა და მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციის ხარჯზე; გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა. ვითარდებოდა კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელი[27].

მრეწველობის ტექნიკურად ახლად აღჭურვისათვის ზრუნვის შედეგად

---

[24] Газ. «Заря Востока», 9 апреля 1970 г.

[25] Газ. «Советская Абхазия», 11 апреля 1971 г.

[26] საქართველოს პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს მონაცემები.

[27] ჰ. გ. გილაშვილი, აფხაზეთის ასსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმისა და 1972 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ, აფხაზეთის ასსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომები (მეორე სესია) სტენოგრაფიული ანგარიში, სოხუმი, 1972, გვ. 7.

მერვე ხუთწლედში პროდუქციის მატების 80 % მიღებული იქნა შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით. ამავე პერიოდში აფხაზეთის საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში შემოვიდა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა 6 692 წინადადება. აქედან წარმოებაში დაინერგა 5 242, რომელმაც სახელმწიფოს მისცა 12 586 ათასი მანეთის ეკონომია[28].

ამრიგად, მრეწველობისა და ტრანსპორტის მთელი რიგი დარგების განვითარების საქმეში მერვე ხუთწლედის განმავლობაში მნიშვნელოვანი წარმატებები იყო მოპოვებული. მაგრამ ეს მიღწევები გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ ის შეცდომები და ნაკლოვანებები არ ყოფილიყო დაშვებული, რასაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ პერიოდში სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში.

ამის შედეგად მთელი რიგი საწარმოები ვერ ასრულებდნენ სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმებს, დაბალი იყო წარმოების ტემპები და გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

სისტემატურად არ სრულდებოდა კაპიტალურ დაბანდებათა, სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციო გადაცემის გეგმები, მარტო 1966—1967 წლებში აფხაზეთის რესპუბლიკაში აუთვისებელი დარჩა 2570 ათასი მანეთის ძირითადი ფონდები და კაპიტალური დაბანდების თანხები.

ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის ხუთწლიანი გეგმა მხოლოდ 59,9 %-ით შესრულდა. ასეთი მუშაობის გამო საქართველოს რესპუბლიკისა და მასთან ერთად აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების დონე ჩამორჩა საშუალო საკავშირო მაჩვენებელს.

სერიოზული ნაკლოვანებანი იყო სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და იდეოლოგიური დაწესებულებების საქმიანობაში, ამ ნაკლოვანებათა და შეცდომების აღმოფხვრის მკაფიო პროგრამა დასახული იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის (1972 წლის თებერვალი) ცნობილ დადგენილებაში პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ და „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ 1978 წლის ივნისში სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებაში.

Д. В. ГОГОХИЯ

## ПРОМЫШЛЕННОСТЬ СОВЕТСКОЙ АБХАЗИИ В ВОСЬМОЙ ПЯТИЛЕТКЕ (1966—1970 гг.)


Резюме

Деятельность партийных, советских, хозяйственных организаций Абхазии, проделанная работа по претворению в жизнь решений XXIII съезда КПСС обусловили досрочное выполнение восьмого пятилетнего плана по выпуску и реализации промышленной продукции. Объем промышленного производства за восьмую пятилетку увеличился на


[28] აფხაზეთის ასსრ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საზოგადოების მიმდინარე არქივი, 1971 წლის მონაცემები.

56%, а производительность труда на 40%. Сверх плана было добыто 124 тыс. тонн угля, выработано 255 млн. киловатт-часов электроэнергии, было выпущено несколько тысяч тонн черного байхового чая, консервов и др. Опережающими темпами развивались отрасли, определяющие технический прогресс: машиностроительная, электрическая, приборостроительная и др. В производство было внедрено 5212 изобретений и рационализаторских предложений с экономическим эффектом 12586 тыс. рублей. Значительно активизировалась работа по улучшению качества выпускаемой продукции.

Значительные успехи были достигнуты в капитальном строительстве. Был построен и сдан в эксплутацию завод «Сухумприбор» газовой аппаратуры, курортный городок в Пицунде, жилые дома и объекты культурного и бытового назначения.

Все это обусловило значительное улучшение материального и культурного благосостояния трудящихся Абхазской АССР.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს უახლესი ისტორიის განყოფილებამ

В. Я. ШЕВЧЕНКО

# ПАРТИЙНО-ПОЛИТИЧЕСКАЯ РАБОТА В НАЦИОНАЛЬНЫХ СОЕДИНЕНИЯХ ЗАКАВКАЗСКОГО ФРОНТА В ОБОРОНИТЕЛЬНЫЙ ПЕРИОД БИТВЫ ЗА КАВКАЗ

Битва за Кавказ явилась одним из самых продолжительных сражений Красной Армии в Великой Отечественной войне. В ходе ее были сорваны попытки фашистской Германии решить военные, экономические и политические задачи, связанные с захватом этого региона нашей страны и обеспечением тем самым выхода на Ближний и Средний Восток.

Гитлеровское руководство рассчитывало не только на свою военную машину, но и на слабость, непрочность советской власти на Кавказе, отсутствие внутреннего единства среди населения многонационального края.

Но эти надежды не оправдались. С первых дней войны и особенно с началом битвы за Кавказ народы Северного Кавказа и Закавказья, еще теснее сплотившись вокруг партии большевиков, вместе с русским и другими народами Советского Союза приняли самое активное участие в разгроме ненавистного врага.

Одной из действенных форм этой борьбы стало создание национальных формирований из народов Северного Кавказа, Грузии, Армении, Азербайджана.

Как известно, национальные соединения и части возникли уже в годы гражданской войны и иностранной военной интервенции. Большую заботу об их становлении и развитии проявлял В. И. Ленин. В письме от 2 марта 1921 года Ленин потребовал от грузинских коммунистов: «Немедленно вооружить рабочих и беднейших крестьян, создавая крепкую грузинскую Красную Армию»[1].

М. В. Фрунзе подчеркивал: «... Национальные формирования для нас — не пустая забава, не игра для удовлетворения национального самолюбия отдельных народов Союза. Это серьезная задача, вытекающая из всего характера нашего государства и определяемая основными принципами нашей внутренней и международной национальной политики»[2].

Данный наказ был претворен в жизнь. Национальные военные формирования закавказских народов за годы их существования стали отличной школой подготовки военных кадров, боевой закалки трудящихся.

Однако в связи с тем, что в предвоенные годы партия и правительство провели крупные мероприятия по реорганизации и дальнейшему укреплению вооруженных сил и оснащению их современной техникой

---

[1] Ленин В. И., Полное собр. соч., т. 44, с. 388.

[2] Фрунзе М. В. Избр. произв., М., 1977, с. 191.

и оружием, территориальная армия становилась кадровой — национальные военные формирования специальным постановлением ЦК ВКП(б) и Совнаркома СССР от 7 марта 1938 года были упразднены.

В ходе Великой Отечественной войны встал вновь вопрос о создании национальных частей и соединений.

Решением Государственного Комитета Обороны № 894 от 13 ноября 1941 года[3] было начато формирование национальных кавалерийских дивизий, полков, дивизионов и эскадронов в Башкирской, Кабардино-Балкарской, Калмыцкой, Чечено-Ингушской АССР и в республиках Средней Азии[4].

В феврале 1942 года принято решение о создании национальных соединений в республиках Закавказья.

До настоящего времени в нашей историографии еще не было однозначного указания на документ, согласно которому формировались эти дивизии. Сейчас представляется возможным восполнить этот пробел, благодаря материалам, найденным в Центральном архиве Министерства Обороны СССР.

Из доклада Военному Совету Закавказского Военного Округа от 13 марта 1942 г. об итогах формирования национальных стрелковых дивизий:

«1. По решению директивных органов 392, 406, 408, 409, 402 и 223 стрелковые дивизии укомплектовать личным составом по национальному признаку и иметь:

392 и 406 сд — грузинскими
408 и 409 сд — армянскими
402 и 223 сд — азербайджанскими»[5].

Далее в документе подчеркивается, что укомплектование названных дивизий произведено за счет соответствующей перестановки личного состава в зависимости от национальности, а также призыва из запаса.

По согласованию с ЦК КП(б) Грузии, Азербайджана, Армении был назначен и приступил к работе командный и политический состав этих дивизий. Для покрытия некомплекта командиров взводов при военных училищах были созданы курсы, где готовилось: грузин — 500, азербайджанцев — 400, армян — 400 человек. Кроме шести названных дивизий по приказу НКО формировались 89-я и 419-я армянские дивизии, 414-я и 418-я грузинские и 416-я азербайджанская. Время окончательной готовности определялось — 1 июня 1942 г.

Ставя задачу по организации боевой и политической подготовки, Военный Совет указывал: командирскую учебу, инструктажи, подготовку штабов, служебную переписку вести на русском языке. Партийно-политическую и воспитательную работу — на соответствующем национальном.

В заключение говорилось: «Вся жизнь, деятельность и учеба этих дивизий должна быть пронизана высокими и благородными чувствами интернационального воспитания личного состава, беззаветной преданности его нашей Родине, ненависти к врагу.

В каждом человеке ковать высокие качества смелости, решительности, отваги, доблести, геройства и презрения к смерти во имя победы над фашистскими извергами.

---

[3] ЦАМО, ф. 32, оп. 11302, д. 43, л. 4.

[4] Ибрагимбейли Х. М. Крах «Эдельвейса» и Ближний Восток. М., 1977, с. 96.

[5] ЦАМО, ф. 47, оп. 999, д. 107, л. 92.

Создание национальных дивизий по форме и высокоинтернациональных по содержанию имеет огромное политическое и боевое значение. Оно еще более сплачивает народы Закавказья. Оно еще более укрепляет нерушимую дружбу многонациональных народов нашей Родины. Оно открывает широкую дорогу к обогащению народов Закавказья боевой доблестью, боевой славой и геройством в боях за нашу социалистическую Отчизну, за полное изгнание фашистских агрессоров с нашей земли»[6].

Но до того, как этот вопрос встал на повестку дня во всей своей полноте, с его частичным проявлением мы сталкиваемся несколько ранее, уже в декабре 1941 года, в ходе керченско-феодосийской десантной операции, проводимой Закавказским фронтом.

«Первые же бои на Крымской земле выдвинули перед командованием фронта необходимость создания национальных формирований, так как сражавшиеся здесь несколько десятков тысяч воинов закавказских национальностей составляли большинство личного состава. Например, в 224-ой стрелковой дивизии преобладали грузины, в 404-ой — азербайджанцы, в 390-ой — армяне. В то же время национальными кадрами командного и политического состава эти соединения не располагали.

... Во второй половине января 1942 г. командование фронта начало пополнять эти соединения национальными кадрами: из других частей в них направлялись офицеры из числа грузин, армян и азербайджанцев.

... Центральные Комитеты компартий республик Закавказья послали в распоряжение Политуправления фронта несколько сот опытных партийных и советских работников на должности политработников соединений, частей и подразделений»[9].

Так, в соответствие с телеграммой Начальника Главного политического управления РККА от 22 января 1942 г., в которой говорилось: «В действующих в Крыму частях много бойцов-грузин, не владеющих русским языком. Политическое обслуживание их плохое из-за отсутствия квалифицированных партийных кадров, знающих грузинский язык. Прошу командировать 50 подготовленных партработников Грузии, владеющих также русским языком, для работы в полках. Кроме того, шлите типографии и редакцию на грузинском языке»[10], бюро ЦК КП(б) Грузии откомандировало в распоряжение Крымского фронта 53 политработника и четырех газетных работников с необходимым комплектом грузинского шрифта для организации и издания фронтовых газет на родном языке[11].

Таким образом, была получена возможность более плодотворно проводить партийно-политическую и воспитательную работу.

---

6 ЦАМО, ф. 32 от. 11302, д. 43, л. 98.

9 Гучмазов А., Траскунов М., Цкитишвили К. Закавказский фронт Великой Отечественной войны. Тбилиси, 1971, с. 73.

10 Партийный архив Грузинского филиала ИМЛ при ЦК КПСС, ф. 14, оп. 1, д. 12232, л. 63.

11 Там же, л. 64.

Ярким примером партийной заботы о сражающихся воинах является телеграмма, полученная ЦК КП(б) Грузии в июле 1942 года:

«В частях Южного фронта имеется много красноармейцев-грузин, не владеющих русским языком. Убедительно прошу вас в кратчайший срок издать массовым тиражом и прислать в наш адрес сборник на грузинском языке, в который включить все речи, выступления по радио и юбилейные приказы товарища Сталина за период Отечественной войны.

Заместитель Начальника Политуправления Южного фронта бригадный комиссар Брежнев»[12].

Двадцать пятого июля 1942 года началась битва за Кавказ. А 28 июля был издан приказ Народного Комиссара Обороны № 227, вошедший в историю под названием — «Ни шагу назад!», который с предельной четкостью и прямотой обрисовал сложность и опасность положения.

В нем говорилось: «Враг бросает на фронт все новые и новые силы и, не считаясь с большими для него потерями, лезет вперед, рвется вглубь Советского Союза, захватывает новые районы, опустошает, разоряет наши города и села, насилует, грабит и убивает советское население.

... Отступать дальше — значит загубить себя и загубить вместе с тем нашу Родину.

... Мы должны остановить, а затем отбросить и разгромить врага, чего бы это нам ни стоило.

Чего же у нас не хватает? Не хватает дисциплины и порядка в ротах, батальонах, полках, дивизиях, в танковых частях, в авиаэскадрильях. В этом теперь наш главный недостаток. Мы должны установить в нашей армии строжайший порядок и железную дисциплину, если мы хотим спасти положение и отстоять свою Родину».

В сложившейся обстановке этот приказ приобрел решающее значение и определил одну из неотложных задач командования, а также политорганов, партийных и комсомольских организаций частей — во что бы то ни стало добиться высокой организованности и порядка в войсках, упорства в обороне.

«Остановить врага — значит победить его» — этот призыв стал главным во всей работе, приводимой в войсках.

Коммунистическая партия в этот период потребовала обратить больше внимания на усиление интернационального воспитания советских воинов и, в частности, улучшить политическую работу среди бойцов и младших командиров нерусской национальности.

В соответствие с указаниями ЦК ВКП(б), Главное политическое управление Красной Армии 17 сентября 1942 года издало директиву: «О воспитательной работе с красноармейцами и младшими командирами нерусской национальности».

В ней предлагалось всемерно пропагандировать благородные, возвышенные цели борьбы народов СССР, военную присягу, национальную политику Коммунистической партии и Советской власти, ее достижения в подъеме экономики и культуры советских народов.

Рекомендовалось проводить доклады, лекции и беседы на тему: «Красная Армия — армия братства между народами нашей страны», «Что дала Советская власть народам СССР», «На фронтах Отечественной войны защищать независимость всех национальных республик» и другие.

---

[12] ПА ГФ ИМЛ, ф. 14, оп. 1, д. 12392, л. 17.

От командиров и политработников требовалось проявлять чуткость и заботу о бойцах нерусской национальности, не допускать малейшей несправедливости к ним, всемерно поощрять боевую дружбу между воинами разных национальностей, широко популяризировать их подвиги[13].

Кроме того, директива предписывала начальникам политуправлений внутренних округов «массово-политическую работу с красноармейцами, не знающими русского языка, проводить на родном языке, используя для этого имеющиеся в частях округа национальные кадры командиров, политработников и рядовых коммунистов и комсомольцев, знающих национальные языки»[14].

Вся партийно-политическая и воспитательная работа в национальных соединениях проводилась политорганами Закфронта совместно с партийными, советскими и общественными организациями Грузии, Армении, Азербайджана. В целях ее усиления решениями Центральных Комитетов компартий республик Закавказья для использования в качестве политбойцов и младших командиров было мобилизовано в Грузии 1000 коммунистов и 3200 комсомольцев, в Азербайджане — 1500 коммунистов и 3100 комсомольцев[15].

Свидетельства этому — многочисленные документы тех лет.

Протокол № 243 заседания бюро ЦК ВКП(б) Грузии от 10 сентября 1942 года. Вопрос: «О командировании коммунистов в распоряжение командования 392 дивизии для усиления партийно-политической работы с личным составом». Постановили: откомандировать 102 человека (следуют фамилии)[16].

Протокол № 239 заседания бюро ЦК КП(б) Армении от 1 октября 1942 года. «Для усиления партийно-политической работы откомандировать в расположение 89-й стрелковой дивизии 50 и 408-й 10 человек сроком на 1 месяц группу партийно-советского актива во главе с секретарем ЦК тов. Чарчоглян А. Е.»[17].

Из постановления ЦК КП(б) Азербайджана от 2 октября 1942 года. «Для выпуска газет на азербайджанском языке выделить 4-х газетных работников, 1 писателя, 3-х наборщиков.

... Выделить пропагандистские группы в составе 7—8 человек и предложить им 10—15 раз в месяц побывать в азербайджанских частях 44-й и 58-й армий»[18].

Из письма Политуправления Закфронта на имя Секретаря ЦК КП(б) Грузии К. Н. Чарквиани: «... Учитывая огромный интерес среди бойцов и командиров к кинофильму «Георгий Саакадзе», особенно в частях действующей армии и национальных дивизиях, убедительно просим Вашего личного распоряжения копировальной фабрике срочно отпечатать и передать нам 4 копии этого фильма. Из них 3 копии на русском языке и 1 на грузинском»[19].

---

13 В. Мурадян. Боевое братство. М., 1978, с. 79.

14 Во главе защиты Советской Родины. Очерк деятельности КПСС в годы Великой Отечественной войны. М., 1975, с. 127.

15 Народный подвиг в битве за Кавказ. Сборник статей. М., 1981, с. 172.

16 ПА ГФ ИМЛ, ф. 14, оп. 1, д. 12318, л. 110.

17 Партархив Армянского филиала ИМЛ при ЦК КПСС, ф. 1, оп. 31, д. 20, л. 111.

18 Партархив Азербайджанского филиала ИМЛ при ЦК КПСС, ф. 1, оп. 253, ед. хр. 6, л. 123.

19 ПА ГФ ИМЛ, ф. 14, оп. 1, д. 12392, л. 66.

Еще одна просьба. Секретарю ЦК КП(б) Грузии по пропаганде тов. Тавадзе: «В связи с приближающейся 25 годовщиной Красной Армии просим подготовить и издать для бойцов нашего фронта иллюстрированную агитлистовку, отражающую героический труд рабочих, колхозников и интеллигенции Советской Грузии, а также героические подвиги сынов грузинского народа в борьбе с гитлеровскими захватчиками. Эту агитлистовку хотелось бы иметь на грузинском языке тиражом 5 000 экземпляров и на русском — 10 000.

Просим выслать в кратчайший срок текст листовки для перевода и издания ее на армянском и азербайджанском языках»[20].

Помощь фронту была постоянной и разносторонней. Об этом свидетельствуют и материалы заседания Бюро от 7 октября 1942 г.

1. Откомандировать в распоряжение Политуправления Черноморской группы войск Закфронта ряд товарищей.

2. Предложить «Сахелгами» выделить для политуправления Черноморской группы войск партийно-политическую, военно-учебную и художественную литературу по прилагаемому списку. (Он включал 33 наименования, общим количеством 5 450 экземпляров, в том числе 1000 самоучителей русского языка для красноармейцев-грузин).

3. Грузинскому отделению «Союзпечать» принять от Политуправления Черноморской группы войск подписку на центральные и областные газеты и журналы.

4. Предложить директору Тбилисской киностудии т. Кобахидзе и директору кинокопировальной фабрики т. Дарчиняну в декадный срок отпечатать и сдать Политуправлению Черноморской группы войск Закфронта картины — «Георгий Саакадзе», «Мост», киноочерки «Клятва народов Закавказья», «Митинг молодежи Закавказья», кино-журнал «Советская Грузия» № 26.

5. Поручить отделу пропаганды и агитации ЦК КП(б) Грузии в 2-х дневный срок обеспечить выделение музыкальных инструментов и грампластинок для посылки в части Черноморской группы войск Закфронта»[21].

Из отчета бригады, выделенной решением бюро ЦК КП(б) Грузии для оказания помощи политорганам в деле улучшения постановки политической и воспитательной работы в частях грузинской 406 стрелковой дивизии:

«За 15 дней лекторы ЦК провели 38 лекций и бесед, в том числе:

1. Лектор истории Бердзенишвили — 14 лекций на следующие темы: «Давид Строитель», «Георгий Саакадзе», «Ираклий II».

2. Лектор Ларцулиани — 14 лекций: «Что такое гитлеровский «новый порядок» в Европе», «Международное положение СССР», «Благородные и возвышенные цели Красной Армии в Отечественной войне», «Почему победила Красная Армия в гражданской войне».

3. Лектор Пруидзе — 10 лекций на темы: «Героическая оборона Петрограда в период иностранной интервенции и гражданской войны», «Ослабление фашистской Германии и ее армии в ходе войны против СССР», «Рост силы и организованности Красной Армии в ходе Отечественной войны», «Партия большевиков в годы гражданской войны».

Кроме этого, в дивизии с 12 по 26 июля 1942 г. бригада артистов дала 27 концертов, в том числе группа под руководством тов. Васадзе — 14, а группа под руководством тов. Гамбашидзе — 13.

---

20 ПА ГФ ИМЛ, ф. 14, оп. 1, д. 13134, л. 8.

21 Там же, д. 12320, л. 38.

В бригаду Васадзе входили следующие артисты: Гамрекели, Кварелашвили, Гогичадзе, Талахадзе, Сагарадзе, Джапаридзе, Кикалейшвили, Ясинская, Чочиашвили, Вардиашвили, Бухбиндер, Шаверзашвили, Николайшвили.

В бригаду Гамбаидзе: Бадридзе, Гришко, Эпиташвили, Апхаидзе, Годзиашвили, Сибила, Гварамадзе, Орджоникидзе, Жоржолиани, Кереселидзе, Патарая.

... Работой лекторов и артистов личный состав 406 стрелковой дивизии остался очень доволен»[22].

Значительное место в агитационно-пропагандистской работе отводилось такому могучему оружию как фронтовая печать. Фронтовая газета «Боец РККА», Северной группы войск «Вперед за Родину» и Черноморской группы — «Вперед к победе» помимо русского выходили на грузинском, азербайджанском, армянском, узбекском и других языках.

В национальных соединениях на родном бойцам языках издавались следующие газеты: в 392 — «Вперед к победе», 414 — «Защитник Родины», 406 — «За Родину», 276 — «За победу», «Призыв Родины», 408 — «За Родину», 409 — «Боевое Знамя», 89 — «Красный воин», 416 — «Красноармеец» и так далее[23].

Способствуя идейно-политическому единству личного состава, они мобилизовывали воинов-закавказцев на решение боевых задач.

23 марта 1943 года газета Северной группы войск «Вперед за Родину», выходящая на грузинском языке, в передовой статье под названием — «Агитация на родном языке» писала: «... На нашем фронте много грузин-бойцов. Многие из них не знают русского языка, а многие знают его очень слабо.

... Перед грузинскими агитаторами стоит серьезная задача. Их долг систематически проводить беседы, читать газеты, проводить политинформации на родном языке.

Они должны выпускать стенгазеты на своем языке и подавать в нее заметки. Должны писать лозунги на грузинском языке и вывешивать вместе с другими.

... Одним словом, агитатор должен использовать все средства и возможности для того, чтобы грузинский боец смог на родном языке понять и глубоко осмыслить все боевые и политические задачи, которые стоят теперь перед Красной Армией».

В трудных условиях оборонительных боев политорганы соединений, командиры и партийные организации вели большую работу по созданию полнокровных партийных и комсомольских организаций.

Велико было стремление советских воинов связать свою жизнь с Коммунистической партией.

Из политдонесения начальника политотдела 392 стрелковой дивизии старшего политрука Балавадзе начальнику политотдела 37 армии за 26 августа 1942 года:

«... В боях за населенные пункты Советский, Красная Поляна, Владимирский, Правоурванский уничтожено до 150 немецких солдат и офицеров, а число раненых достигает 200, подбито 3 средних танка, сожжен бензосклад.

---

[22] ПА ГФ ИМЛ, ф. 14, оп. 1, д. 12382, л. 61.

[23] В. И. Абрамов. Деятельность политорганов по воспитанию у личного состава высокого наступательного духа в ходе освобождения Северного Кавказа (ноябрь 1942 — февраль 1943 г.). М., 1976, (кандид. диссерт.).

... Этот первый бой показал, что личный состав частей и подразделений дивизии успешно справился с поставленной задачей.

В ночь на 27 августа в бою под Правоурванским, получив ранение в левую руку, красноармеец Степанадзе В. Д., принятый в члены ВКП(б) в июле текущего года, категорически отверг предложение врача отправить его в санчасть и до утра оставался на боевом посту, не прекращая огня из своей винтовки по противнику.

... Хорошо руководил деятельностью всех батарей командир 1-го дивизиона 9-го артиллерийского полка старший лейтенант Пирмисашвили.

... Сейчас в частях и подразделениях дивизии насчитывается 21 первичная партийная организация и 137 низовых организаций ВКП(б), объединяющих 1300 членов ВКП(б) и 476 кандидатов.

В 18 первичных и 122 низовых комсомольских организациях числится 2150 комсомольцев.

В условиях боя изменились формы партийно-политической и агитационно-пропагандистской работы, неимоверно выросла тяга в ряды партии. Только в первом батальоне 790 сп за один день подали заявления 17 бойцов и командиров,16 красноармейцев обратились с заявлением о приеме их в комсомол.

... В основу всей пропаганды и агитации положен приказ НКО № 227. В коротких 10—20 минутных беседах агитаторы разъясняют личному составу смысл и значение этого исторического приказа, агитируют личным примером, горячим большевистским словом за выполнение каждым бойцом, командиром и политработником всех требований приказа № 227»[24].

А вот что сообщал в тот же день политотдел 414 стрелковой дивизии:

«... В части проходят собрания личного состава. Красноармейские делегатские собрания были проведены в 1053 артиллерийском полку, где с докладом на тему: «Стойкость и дисциплина в бою — залог победы над врагом» выступил военком полка батальонный комиссар тов. Куция.

По тому же вопросу делегатские собрания были проведены в 1367 стрелковом полку, с докладом военкома, батальонного комиссара тов. Лория, и в 1375 стрелковом полку по-батальонно с докладами военкомов батальонов.

... Выступившие бойцы Табатадзе, Ломадзе и др. заявляли «мы будем драться по-гвардейски, не отступим, если нужно будет — умрем, но врага вперед не пропустим.

Из числа руководящих партполитработников систематически выступают перед бойцами военком 1367 сп батальонный комиссар тов. Лория, военком 1053 ап батальонный комиссар тов. Куция, инструктор пропаганды 1367 сп старший политрук тов. Спор идзе, инструктор пропаганды 1053 ап политрук Прангишвили и другие.

Доклады и беседы проведены на следующие темы: «Революционная бдительность — условие победы», «Советский патриот» — «Правда» от 6.8.42 г., «Стойкость, упорство, боевое умение — залог победы».

... В дивизии насчитывается 705 агитаторов, из них 400 человек — коммунисты и комсомольцы»[25].

В это же время начальник политотдела 89 стрелковой дивизии доносил в политотдел Северной группы войск:

---

[24] ЦАМО, ф. 1717, оп. 1, д. 75, л. 4, 8.

[25] ЦАМО, ф. 1736, оп. 1, д. 45, л. 12—13.

«Бойцы и командиры горят желанием как можно скорее вступить в бой с врагом. Красноармеец 9 роты 526 стрелкового полка Бабаян В. Г. заявил: «Партия и правительство поручили нам ответственную задачу — защищать Грозный. Я буду до последней капли крови драться за Родину, за разгром и уничтожение германских фашистов.

Красноармеец Хачатрян Азат, член ВЛКСМ из 154 ОИПАД говорил: «Нашей батарее поручено оборонять дивизию от фашистских танков. От имени батареи заверяю, что ни один вражеский танк не пройдет на этм участке, пока будет биться наше сердце».

Велика тяга бойцов и командиров в ряды ВКП(б) и ВЛКСМ, что говорит о крепости политико-морального состояния частей дивизии»[26].

Прочным фундаментом, на котором зиждилась проводимая партийно-политическая работа, было единство фронта и тыла. Одной из наиболее действенных его сторон явилась носившая массовый характер переписка фронтовиков и трудящихся. На фронт шли не только письма. В каждом коллективе, доме для бойцов готовились подарки.

Секретарю ЦК КП(б) Грузии тов. К. Н. Чарквиани:
«Военный Совет Северной группы войск Закавказского фронта от имени всего личного состава группы просит Вас передать всем трудящимся и организациям вашей республики красноармейское спасибо за присланные нам октябрьские подарки[27].

... В блиндажах и окопах, в сырые осенние дни повеял теплый ветер Родины, неся привет и материнскую заботу верным сынам ее, защитникам Кавказа — пехотинцам, танкистам, летчикам, артиллеристам, минометчикам.

... Октябрьские подарки от трудящихся вашей республики были ярким свидетельством мощного единства фронта и тыла в нашей стране, свидетельством нерушимой дружбы народов.

Командующий войсками Северной группы Закфронта генерал-лейтенант И. Масленников.

Член Военного Совета Северной группы войск Закфронта корпусной комиссар А. Фоминых»[28].

К концу 1942 года завершился оборонительный период битвы за Кавказ. Начинался новый этап — изгнание немецко-фашистских захватчиков с родной земли. К этому времени был накоплен определенный опыт и ведения боя, и морально-психологической подготовки к нему. И все же многие вопросы, требуя дальнейшего совершенствования, продолжали оставаться на повестке дня.

Содержание: О мерах улучшения партийно-политической работы в войсках Северной группы.

«Указ Президиума Верховного Совета СССР и приказ НКО «Об установлении полного единоначалия и упразднения института военных комиссаров» с новой силой поставили перед политработниками задачи большевистского воспитания воинов Красной Армии в духе неуклонного выполнения приказа № 227.

... За последний период времени в частях и соединениях оживилась агитационно-пропагандистская работа, получила довольно широ-

---

[26] ЦАМО. ф. 1251, оп. 1, д. 65, л. 6.

[27] И. П. Бабалашвили. Вклад Грузии в общее дело победы над фашизмом. Тбилиси, 1975, с. 41.

[28] ПА ГФ ИМЛ, ф. 14, оп. 1, д. 12387, л. 276.

кое распространение вполне оправдавшая себя форма массово-политической агитации — красноармейские митинги.

... Вместе с тем имеются и определенные недостатки. В ряде подразделений политико-воспитательные мероприятия проводятся без достаточного учета особенностей частей и подразделений, без учета настроений и запросов бойцов и командиров, без тесной увязки с боевой деятельностью войск. До сих пор слабо поставлена работа с бойцами нерусской национальности и в национальных частях.

... Учитывая одну из главных особенностей войск Северной группы, ее многонациональный состав частей и подразделений и наличие национальных частей народов Кавказа, придать работе с бойцами нерусской национальности и в национальных частях первостепенное значение.

Каждый политработник должен твердо усвоить, что эта область не есть какое-то второстепенное, прикладное дело, а есть одна из важнейших областей политработы среди наших войск»[29].

Возрождение национальных соединений было вызвано сложными обстоятельствами, возникшими в ходе Великой Отечественной войны.

Для создания боеспособных национальных дивизий политуправлениями фронтов и ЦК Компартий республик была проведена огромная организационная и партийно-политическая работа.

Формирование и боевые действия национальных соединений явилось вкладом народов СССР в общее дело разгрома фашистской Германии.

Победа Советских Вооруженных Сил и всех народов нашей страны в битве с фашизмом — триумф ленинской теории о необходимости интернациональных вооруженных сил и военно-политического союза всех наций и народностей для защиты завоеваний Великой Октябрьской социалистической революции.

«В суровые годы Великой Отечественной войны народы-братья плечом к плечу встали на защиту Родины, проявили массовый героизм и непреклонную волю к победе, разгромили фашистских захватчиков, спасли народы мира от порабощения и уничтожения»[30].

Нерасторжимое единство проявили воины 40 наций и народностей, входящих в состав Закавказского фронта. Вот что писал один из тех гитлеровцев, что навсегда остался в предгорьях Кавказа:

«Этот проклятый русский фронт резко отличается от всего ранее мною увиденного... Я опытный солдат и видел всякое, но такого еще никогда не было. Эти русские как из брони. На каждого мы тратим столько металла, будто это целый батальон.

Впрочем, когда мы говорим русские, то подразумеваем русских, украинцев, белоруссов, грузин, армян, узбеков, азербайджанцев и других.

Эта геббельсовская болтовня о том, что русских никто не поддерживает, выходит нам боком. Они дружнее нас. ... Большинство из нас будет похоронено здесь, у Кавказских гор»[31].

**Представлена отделом истории Великой Отечественной войны Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР**

---

29 ЦАМО, ф. 32, оп. 11318, д. 63, л. 79—80.

30 Постановление ЦК КПСС «О 60-й годовщине образования Союза Советских Социалистических Республик». Газета «Правда», 21 февраля 1982 года.

31 Восемнадцатая в сражениях за Родину. Боевой путь 18-й армии. М., 1982, с. 156.

რობერტ კოჭლამაზაშვილი

# საქართველოს სოფელში სასაქონლო ურთიერთობის ისტორიიდან (1917—1932 წწ.)

სასაქონლო წარმოება და მისი შესაბამისი საქონელმიმოქცევა არსებობს სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირობებში. მისი შინაარსი განსაზღვრულია გაბატონებული წარმოების წესით და გამოხატავს არსებულ წარმოებით ურთიერთობათა ხასიათს. იგი იცვლება წარმოების წესის შეცვლასთან ერთად და იძენს ახალ მნიშვნელობას, ემსახურება ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განმტკიცებასა და განვითარებას.

მაგრამ წარმოებაზე საქონელმიმოქცევის ასეთი დამოკიდებულება იმას როდი ნიშნავს, რომ ვაჭრობას არ ჰქონდეს თავისი განვითარების გზები. პირიქით, მას აქვს განვითარების საკუთარი კანონები და გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს წარმოებაზე. ფ. ენგელსი მიუთითებს, რომ „საბოლოო ანგარიშით წარმოებაა გადამწყვეტი. მაგრამ, როგორც კი პროდუქტებით ვაჭრობა საკუთრივ წარმოებას გამოეყოფა და მისგან დამოკიდებული ხდება, იგი მისდევს თავის საკუთარ მოძრაობას, რომელზეც, მართალია, საერთოდ და მთლიანად წარმოების მოძრაობა ბატონობს, მაგრამ რომელიც, ცალკეულ კერძო შემთხვევებსა და ამ საყოველთაო დამოუკიდებლობის ფარგლებში მაინც იმ თავის საკუთარ კანონებს მისდევს, რომელნიც ამ. ახალი ფაქტორის ბუნების დამახასიათებელნი არიან: ამ მოძრაობას თავისი საკუთარი ფაზები აქვს და, თავის მხრივ, იგი წარმოების მოძრაობაზე უკუგავლენას ახდენს"[1].

მაშასადამე ვაჭრობა, რომელიც წარმოებით არის განსაზღვრული თავის მხრივ ზემოქმედებას ახდენს და ხელს უწყობს ამ უკანასკნელის განვითარებას.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, მწარმოებელთა გამოცალკევება, საკუთრების განსაზღვრული ფორმა არის საქონელწარმოების არსებობის აუცილებელი პირობები. ეს ფაქტორები განსაკუთრებით ფართო გასაქანს პოულობს კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში, რის გამოც საქონელმიმოქცევაც თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს აღწევს. საქონელმიმოქცევის ორბიტაში მოქცეულია თითქმის ყველაფერი, რაც კი ადამიანს სჭირდება. იგი ემსახურება გაბატონებული კლასების გამდიდრებასა და მათ ხელში კაპიტალის დაგროვებას.

საქონელწარმოების არსებობის პირობები შენარჩუნებულია სოციალისტურ საზოგადოებაშიც, მაგრამ იგი სრულიად ახალ შინაარსს იძენს და გეგმაზომიერად ხორციელდება. იგი ემყარება წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებას და გამორიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას. ამასთან საქონელმიმოქცევის სფერო შეზღუდულია უმთავრესად პირადი მოხმარების საგნებით. მის მიზანს შეადგენს ხალხის მოთხოვნათა სრული დაკმაყოფილება.

ჩვენში საქონელმიმოქცევა დაკავშირებულია სოციალისტური საკუთრების

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ., ტ. II, თბ., 1964, გვ. 602.

ორი ფორმის არსებობასთან, საწარმოთა სამეურნეო ანგარიშიანობასთან, შრომის შედეგებით მშრომელთა დაინტერესებასთან, შრომის ხასიათში არსებულ განსხვავებასთან (ფიზიკური, გონებრივი, კვალიფიციური, არაკვალიფიციური). იგი ხელს უწყობს სოციალისტური წარმოების წესის განმტკიცებასა და სრულყოფას.

ახლა ვნახოთ, თუ როგორი იყო ვაჭრობის, როგორც საქონელმიმოქცევის მთავარი ფორმის ხასიათი 1917-1932 წლების საქართველოს სოფელში.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მოშლილი სახალხო მეურნეობა საქართველოს მძიმე ეკონომიკურ პირობებში აყენებდა. ისედაც სუსტად განვითარებული მრეწველობა ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნას სამრეწველო პროდუქციაზე. სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფლის მეურნეობა. შემცირდა ნათესი ფართობი და საერთო მოსავალი, რამაც სურსათის დიდი კრიზისი გამოიწვია.

მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა საქართველოს რუსეთისაგან მოწყვეტის პერიოდში. ხშირი საომარი ვითარების გამო შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი მოსწყდა მატერიალური წარმოების სფეროს. ტერიტორიის გარკვეული ნაწილი თურქმა ოკუპანტებმა დაიკავეს. ამავე დროს, სოფლის მეურნეობას მოაკლდა გასაღების ბაზრები. თითქმის შეწყდა საზღვარგარეთიდან სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოზიდვა, დაეცა შრომის ნაყოფიერება. 1920 წლის შემოდგომაზე საქართველოში მყოფი ბელგიელი მწერალი კ. ჰიუსმანსი, ადარებდა რა თავის ქვეყანას საქართველოს, აღნიშნავდა: „ჩვენ გვაქვს განვითარებული ინდუსტრია, თქვენი ინდუსტრია მხოლოდ ჩანასახშია... თქვენ გაქვთ ნაყოფიერი მიწა, მუშაობთ ჩვენზე ათჯერ მეტს და მოგდით 3-ჯერ ნაკლები“[2].

გასაგებია, რომ ამის შემდეგ შემცირდა სასაქონლო პროდუქცია და დაეცა ვაჭრობა. თავი იჩინა ნატურალიზაციის პროცესმა. მუშა-მოსამსახურეთა ნაწილი ნატურით იღებდა ხელფასს. „ერთი თვალსაჩინო და ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობის დამახასიათებელი ნიშანია ჯამაგირების ნატურალიზაცია. სახელმწიფო მოსამსახურე ღებულობს ჯამაგირის ერთ ნაწილს ფულით, მეორე ნაწილს კი — სურსათ-სანოვაგის სახით... ჯამაგირი ნატურით ხუთჯერ-ექვსჯერ მეტია ფულით მისაღებ ჯამაგირზე“[3]. გაზ. „სახალხო საქმე“ წერდა, რომ გლეხი ფულზე კი არ ყიდის თავის პროდუქციას, არამედ ნავთზე, ჩითზე, მარილზე და სხვ.[4]

როგორც ვხედავთ, სოფელი ვერ აწვდიდა ქალაქს საჭირო რაოდენობის სურსათს. ამიტომ სახელმწიფო იძულებული იყო თვითონ ეზრუნა ქალაქის მოსახლეობის სურსათით მომარაგებისათვის. სურსათი ეძლეოდათ მუშა-მოსამსახურეებს მხოლოდ იმ ქალაქებში, სადაც არსებობდა „მუშათა მაგიდა“. ეს სურსათი გროვდებოდა რეკვიზიციის მეოხებით. იმ მაზრას, სადაც უხვი მოსავალი მოდიოდა, მთავრობა უკრძალავდა მარცვლეულის სხვა მაზრებში გატანას და ხელოვნურად ჰქმნიდა ისეთ პირობებს, რომლის დროსაც გლეხი იძულებული ხდებოდა იაფად გაეყიდა თავისი ჭირნახული. ასეთ შემთხვევაში მთავრობა თავისი აგენტების მეოხებით ჩალის ფასად ყიდულობდა გლეხობის

[2] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. 2 ოქტომბერი.
[3] გაზ. „საქართველო“, 1921 წ., 18 იანვარი.
[4] გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. 27 სექტემბერი.

მოსავალს, რომელსაც იყენებდა ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებისათვის.

ვაჭრობისა და მრეწველობის დაცემას ხელი შეუწყო აგრეთვე უცხოელ ოკუპანტთა თარეშმა. მათ დიდძალი ნედლეული გაჰქონდათ საქართველოდან თავიანთ ქვეყნებში. ამავე დროს, მათ ხელში იყო კომუნიკაციის საშუალებები (რკინიგზები), რაც აფერხებდა საქონელმიმოქცევას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. გაზეთი „საქართველო“ მიუთითებდა, რომ „უფულობას, ვაჭრობა-მრეწველობის დაცემას და განადგურებას ხელი შეუწყო მოკავშირეთა ჩუმი პოლიტიკის წარმოებამ, რამაც გამოიწვია დარდანელის ჩაკეტვა და საქართველოს ფაქტიური ოკუპაცია. შეიძლება საქართველოს ოკუპაციას მოკავშირეთათვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ჩვენთვის კი პირდაპირ გამანადგურებელი და დამღუპველი[5]“.

სასაქონლო ურთიერთობის გაფართოებას ხელს უშლიდა აგრეთვე სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მაზრების მიმართ. თითოეული სამაზრო ერთობა, თითოეული თემიც კი ერთგვარ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ხშირად აკრძალული იყო ერთი თემიდან მეორე თემში, ერთი მაზრიდან მეორე მაზრაში სურსათის გატანა და ყიდვა. ეს ხდებოდა სპეკულაციასთან ბრძოლის მიზნით. ნამდვილად კი, ამით ნიადაგი უმზადდებოდა სპეკულაციას, ვინაიდან მაზრების არათანაბარი მომარაგება სურსათით და საჭირო საქონლის ნაკლებობა აძლიერებდა მათზე მოთხოვნილებას.

პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასები დღითი-დღე იზრდებოდა, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ქალაქის მცხოვრებნი, რომელთა ძირითადი ნაწილისათვის მიუწვდომელი იყო სურსათის შეძენა. მთავრობა შეეცადა ერობები ჩაება ქალაქის მოსახლეობის სურსათით მომარაგების საქმეში, მაგრამ ამაოდ. ერობები ხშირად თვითონ განიცდიდნენ საჭირო საქონლის ნაკლებობას. ამავე დროს, არსებული საგადასახადო სისტემაც გლეხობას სასაქონლო პროდუქციის შექმნის ხალისს უკარგავდა.

საქართველოს სახელმწიფო შემოსავალი წლიდან წლამდე მცირდებოდა სახალხო მეურნეობის დაცემის გამო. მთავრობას არ გააჩნდა ოქროს მარაგი და შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს ბონების ბეჭდვაში ხედავდა. სახელმწიფო მმართველობის ხარჯები სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ძვირი ჯდებოდა არმიისა და გვარდიის შენახვა. 1919 წლისათვის, როცა გვარდია 14 ათასამდე კაცს ითვლიდა (1920 წელს კი 20 ათასს გადააჭარბა), ყოველთვიურად მის შენახვას მშვიდობიან პირობებში 4 მლნ მან. სჭირდებოდა. 1919-1920 წლებში მისი შენახვა სულ 154 მლნ მან დაჯდა, ხოლო რეგულარული ჯარისა კი — 379 მლნ მან[6]. სახელმწიფო ბიუჯეტი თითქმის ყოველწლიურად დიდი დეფიციტით მთავრდებოდა. ამიტომ საჭირო ხდებოდა ბონების გამოშვება, რომელიც, თავის მხრივ, საშინელ ინფლაციას იწვევდა.

ხშირი იყო ყალბი ფულის ბეჭდვაც, რაც კიდევ მეტ არევ-დარევას იწვევდა სასაქონლო ურთიერთობაში. ფულის რაოდენობა იზრდებოდა, მისი ღირებულება კი ეცემოდა „საქართველოს ფულის მიმოქცევისათვის დამახა-

---

[5] გაზ. „საქართველო“, 1919 წ. 28 მაისი.

[6] საქ. სსრ ცსია, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 348, ფურც. 3; ს. 1045, ფურც. 4; ს. 1331, ფურც. 9; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. 17 თებერვალი.

სიათებელია ერთი თავისებურება: მნიშვნელოვანი მერყეობა განსაზღვრული ფულადი მნიშვნელობისადმი სიყალბის შიშის გავლენით"[7], — წერდა ვ. ვოიტინსკი.

რევოლუციამდე ამიერკავკასიას საქონელმიმოქცევისათვის 10 მლნ მან. ჰყოფნიდა წლიურად, რუსეთისაგან გამოყოფის შემდეგ კი მარტო საქართველოსათვის მილიარდები იცემოდა. 1918 წელს საქართველოში გამოიცა ბონები მთელი ამიერკავკასიისათვის 200 მლნ მან. ოდენობით (აქედან 90 მლნ გადაეცა სომხეთს), ხოლო 1920 წელს მარტო საქართველოსათვის გამოიცა 7 მლრდ. მან.[8] 1919 წელს ჩვენი ბონების რაოდენობა ავიდა 3 მლრდ მანეთამდე 1920 წელს — 12 მლრდ მანეთამდე; ხოლო 1921 წლიდან უნდა გამოსულიყო 10 მლრდი მან[9]. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში გამოიცა 17 მლრდზე მეტი.

1918 წ. 26 მაისისათვის 1 მანეთი ღირდა ათი შაური ოქროთი, წლის დასასრულს ხუთი შაური, 1919 წლის დასასრულს 1,5 კაპიკი, 1920 წელს, მისი ღირებულება უფრო დაეცა და წლის დასასრულს 1/20 კაპიკამდე დავიდა[10].

საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის გამოანგარიშებით ინგლისური გირვანქა სტერლინგი ღირდა 1913 წელს 10 მან., 1918 წლის დეკემბერში 40 მან., 1919 წლის ივნისში 300 მან., 1919 წლის დეკემბერში — 662 მან., 1920 წლის აპრილში 1042 მან., 1920 წლის ივნისში 1524 მან., 1920 წლის ივლისში 1934 მან, 1920 წლის აგვისტოში კი 5000 მან[11].

ქართული ფულის ნიშნების საფუძველი არ იყო არც ოქრო და არც საქონელი, ე. ი. არ იყო იგი რეალურად არაფრით უზრუნველყოფილი. ამიტომ დაეცა მისი კურსი.

საქართველოს მთავრობა იძულებული იყო გაეზარდა ხელფასი, მაგრამ მას არავითარი რეალური სარგებლობა არ მოჰქონდა მუშა-მოსამსახურეთათვის, რადგან ფასების ზრდა წინ უსწრებდა ხელფასის მომატებას. ამის ძირითად მიზეზს შრომის ნაყოფიერების დაცემა წარმოადგენდა. ამას აღიარებდა თვით მთავრობაც[12]. მთავრობის სახელზე შესულ განცხადებებში საზოგადოება მოითხოვდა სპეკულიანტებისა და პურის გადამყიდველთა წინააღმდეგ ზომების მიღებას და სურსათზე ფასების დაწევას[13].

ზედმეტი ფულის ბეჭდვა განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებდა სოფლის მეურნეობაზე, სადაც კაპიტალის ბრუნვა საკმაოდ ძნელია. შემოდგომაზე ფულად ქცეული რეალიზებული პროდუქცია გაზაფხულზე აღარ იძლეოდა სასურველ შედეგს. მიწის დამუშავება შეუძლებელი ხდებოდა, რადგან ფასები სასოფლო-სამეურნეო მასალებზე და მუშის ხელფასი ამ პერიოდში მეტად იზრდებოდა. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი იყო მეურნეობის რენტაბელურად წარმართვა, რადგან არ შეიძლებოდა მეურნეობის ყველა ელემენტის გათვალისწინება. ასეთ პირობებში ვაჭრობა სპეკულაციად იქცეოდა. ქა-

[7] ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1918 წ. № 4, გვ. 19.

[8] იქვე, № 1, გვ. 8; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წ. 28 ივლისი.

[9] გაზ. „საქართველო", 1921 წ. 28 იანვარი. Закавказский финансово-статистический сборник, 1918—1923 гг., ч. I, Т., 1924, გვ. 7.

[10] გაზ. „საქართველო", 1921 წ. 28 იანვარი.

[11] გაზ. „ერთობა", 1920 წ. 17 ოქტომბერი.

[12] საქ. სსრ ცსია, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 22, ფურც. 8.

[13] იქვე, ს. 168, ფურც. 1—2.

ღალდის ფული, რომელიც არ გადახურდავდებოდა, არ შეიძლებოდა მისი გამოყენება საგარეო ვაჭრობაში ღირებულების ექვივალენტად. ამიტომ დარღვეული იყო ყოველგვარი სავაჭრო ბალანსი.

წვრილი გლეხური მეურნეობა ბაზარზე ყიდდა პურს. მაგრამ ბონებზე გაყიდვა მათთვის არახელსაყრელი გახდა, ამიტომ ბაზარზე აღარ უშვებდნენ პურს. თითქმის შეწყდა საკრედიტო ოპერაციები.

მანუფაქტურა გაქრა ბაზარზე, რკინა შეიცვალა ხით, ნავთი — ქონით, ჩაი - ცაცხვის ყვავილით, ბურღული — მარცვლით[14].

საზოგადოება სწირავდა ძვირფას ნივთებს ქართული ფულის ფონდის შესადგენად. მაგრამ ეს არ შველოდა საქმეს[15]. საჭირო იყო ოქროს დიდი მარაგი (თუმცა არც ეს უშველიდა საქმეს. რადგან იგი გაიზრდებოდა უცხოეთში შემოტანილი საქონლის ნაცვლად).

საქართველოს მთავრობის მესვეურები შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს უცხოეთისაგან სესხის აღებაში ხედავდნენ, თუმცა გრძნობდნენ, რომ მათ ფინანსური ნდობა დაკარგული ჰქონდათ. საქართველოს რესპუბლიკის ვალი (თუ მხედველობაში იმასაც მივიღებთ, რომ რუსეთის იმპერიის ვალის ნაწილს საქართველოსაც დააკისრებდნენ) შეადგენდა დაახლოებით 1,5 მლრდ მანეთს, ყოველწლიური სარგებელი რომ 4% ვიანგარიშოთ, იგი შეადგენდა არანაკლებ 60 მლნ მანეთს[16]. ამ თანხის გადახდა ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველო იყო, მეტად მძიმე ტვირთი იქნებოდა.

სპეკულაცია სულს უხუთავდა მოსახლეობას და აფერხებდა ვაჭრობის ნორმალურ პროცესს.

საქართველოს მთავრობა ცდილობდა მოეზიდა ევროპის ბაზარი. 1920 წლის აპრილში ევროპაში გაიგზავნა ეკონომიკური დელეგაცია ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კ. კანდელაკის მეთაურობით. მისიის მიზანი იყო არა მარტო სესხის მიღება, უცხოური კაპიტალის მოზიდვა, არამედ კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა დასამუშავებლად. ამიტომ მოლაპარაკება სწარმოებდა არა მარტო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მთავრობებთან, არამედ სავაჭრო-სამრეწველო წრეებთან და კოოპერაციული ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. ყველაზე დიდხანს დელეგაციამ დაჰყო ინგლისში, სადაც დადო ორი ხელშეკრულება, ერთ შეეხებოდა ეროვნულ დაზღვევას და მეორე სესხის აღებას ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის ბანკისაგან (დამზღვევ საზოგადოება „კომერ-შელ-იუნიონთან“). სესხის ოდენობა შეადგენდა 1,5 მლნ გირვ. სტერლინგს. პირობის თანახმად, სესხი უნდა მოხმარებოდა საწარმოო მიზნებს და ფულის ტრიალის გაუმჯობესებას. აღნიშნული ბანკი იქნებოდა საქართველოს ფინანსური აგენტი ლონდონში და თავის ფილიალებს გახსნიდა თბილისში[17].

საფრანგეთში ხელშეკრულება დადებულ იქნა ფრანგ მეაბრეშუმეთა სინდიკატთან. ხელშეკრულების თანახმად, უნდა დაარსებულიყო ფრანგულ-ქართული საზოგადოება მეაბრეშუმეობის საქმის გაუმჯობესების მიზნით. სინდიკატი ვალდებულებას კისრულობდა საქართველოში ლაბორატორიების, საცდელი მინ-

---

[14] ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1918 წ. № 1, გვ. 24.

[15] გაზ. „საქართველო“, 1918 წ. 23 ივლისი.

[16] გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ. 5 აპრილი.

[17] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. 28 დეკემბერი.

დვრებისა და სკოლების მოწყობას ადგილობრივ მცხოვრებთათვის მეაბრეშუმეობის საქმის შესასწავლად.

ხელშეკრულება დაიდო აგრეთვე სავაჭრო სახლ „შაბრიერ მორელთან“ მარსელში. იტალიაში სავაჭრო ხელშეკრულება დაიდო იტალიის უდიდეს სალითონო ფირმა „ელვასთან“ და იტალია-კავკასიის ბანკთან ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების ექსპლუატაციის შესახებ[18].

აღნიშნულ ხელშეკრულებათა პირობების თანახმად, ამ ოპერაციებში მონაწილეობა უნდა მიეღო საქართველოს მთავრობას და ქართულ კაპიტალს. მთავრობას უფლება ჰქონდა კონტროლი გაეწია ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო საქართველოს ფარგლებში საქონლის ყოველ შემომტანს გარანტიას აძლევდა, რომ შემოტანილი საქონელი თავისუფალი იქნებოდა რეკვიზიციისაგან, შეიქმნებოდა ხელსაყრელი პირობები უცხოეთის ვაჭრებისათვის, არ შეზღუდავდა მათ არავითარი ფასებითა და ნიხრით. შემოტანილ საქონელზე უნდა გადაეხადათ მხოლოდ ჩვეულებრივი საბანკო გადასახადი, რომელიც დაწესებული იყო მთავრობის მიერ.

მაგრამ საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლის რაოდენობა სჭარბობდა გატანილს, ამის გამო ირღვეოდა სავაჭრო ბალანსი, რაც ხელს უწყობდა ფულის კურსის დაცემას.

1918 წლის დასაწყისში 3 თვის განმავლობაში სავაჭრო ბალანსი თითქმის სწორი იყო. ამ პერიოდში შემოტანილ იქნა 139 მლნ მანეთის საქონელი, ხოლო გატანილ იქნა 154 მლნ მანეთის[19]. 1918 წლის მეორე ნახევარში უკვე დაირღვა სავაჭრო ბალანსის თანაფარდობა და შემოტანილი საქონლის ღირებულება 37434,3 ათასი მანეთით სჭარბობდა გატანილს, 1919 წელს — 53 1309 ათასით, ხოლო 1920 წელს — 2578137,5 ათასი მანეთით[20]. საქართველოს საგარეო ვაჭრობა ომის წინა პერიოდთან შედარებით შეადგენდა 1919წ. 77%. 1920 წელს კი — 80,5%[21].

მდგომარეობას ის გარემოებაც აუარესებდა, რომ შემოტანილ საქონელში ერია ფუფუნების საგნები, რომლებიც მეტად ძვირად ფასობდა და ურომლისოდაც ადვილად შეიძლებოდა ფონს გასვლა. ამიტომ ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნით მთავრობამ აკრძალა ასეთი საგნების შემოტანა.

საშინაო და საგარეო ვაჭრობის განვითარების მიზნით, 1918 წლის აგვისტოში დაარსდა „კავკასიის საიმპორტო და საექსპორტო სააქციო საზოგადოება; მან გააგრძელა „კავკასიის საიმპორტო და საექსპორტო ამხანაგობის“ საქმიანობა. მას შეეძლო საკუთრად შეეძინა ან იჯარით აეღო უძრავი და მოძრავი ქონება, გაეხსნა კანტორები, საწყობები და სააგენტოები საქართველოსა და უცხოეთში[22].

საქართველოს ტერიტორიაზე 1918 წლის 26 მაისიდან 1919 წლის 1 ივლისამდე მოქმედებდა 20 სავაჭრო საბაჟო. მაგრამ ისინი მეტად პასიურად მოქმედებდნენ. საქონელი შემოდიოდა უმთავრესად რუსეთიდან, თურქეთიდან,

[18] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. 28 დეკემბერი.
[19] გაზ. „საქართველო“, 1920 წ. 29 ოქტომბერი.
[20] სტატისტიკური კრებული 1909—1921, ტფ., 1923, გვ. 54—59.
[21] ჟურნ. „სახელმწიფო სტატისტიკის მოამბე“, 1925 წ. № 7—8, გვ. 51.
[22] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ. 8 ოქტომბერი.

აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, დაღესტნიდან, უკრაინიდან. იყო კონტრაბანდის შემთხვევებიც.

1919 წლის 29 ოქტომბერს დაიდო ხელშეკრულება საქართველოს მომარაგების სამმართველოსა და რუსულ სავაჭრო ფირმა „სიბუნიონს" შორის. ხელშეკრულების ძალით სამმართველოს აღნიშნული ფირმისათვის უნდა მიეწოდებინა საქონელი, რომელიც ჩვენში მზადდებოდა უცხოეთში გასატანად: თამბაქოს, სპილენძის, მატყლისა და სხვ. საქონლის საზღვარგარეთ გატანიდან მიღებული წმინდა მოგების 20% ეკუთვნოდა „სიბუნიონს", ხოლო 8% ჩაირიცხებოდა მის სალაროში საქართველოს მთავრობის მიმდინარე ანგარიშზე. „სიბუნიონი" ვალდებული იყო საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი საქონელი ფოთის ნავსადგურში ჩაებარებინა საქართველოს მთავრობისათვის. გარდა ამისა, იგი ვალდებულებას კისრულობდა საქართველოში შემოეტანა 5 მლნ. გირვანქა სტერლინგი საქონლის შესასყიდლად. აქედან 25% უნდა მიეღო მას ბონებით, რაც შეადგენდა 1 მლრდ მანეთს. „სიბუნიონს" უნდა შემოეტანა აგრეთვე 400000 ფ. ხორბალი[23].

საგარეო ვაჭრობას მარტო მომარაგების სამინისტრო კი არ ეწეოდა, არამედ ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, რაც დიდ არევ-დარევას იწვევდა. ჩრდ. კავკასიიდან საქართველოში შემოჰქონდათ 7 მლნ ფ.. ფქვილი და ხორბალი, ახლა კი შეწყდა: შესაძლებლობა რომ ყოფილიყო, მაინც ვერ შემოიტანდნენ, რადგან ფული არა ჰქონდათ.

უცხოეთთან სავაჭრო ურთიერთობის მოგვარებას ცდილობდა აგრეთვე საქართველოს კოოპერაციული კავშირიც, მაგრამ ამაოდ. ამ ორგანიზაციას არ გააჩნდა საჭირო სახსრები უცხოეთიდან საჭირო საქონლის შემოსატანად ამავე დროს, თვითონ ქვეყნის შიგნითაც ვერ აგვარებდა კოოპერაციულ ვაჭრობას, ამახინჯებდნენ ფასებსაც.

საქართველოში თითქმის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ძალაში შევიდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც რკპ(ბ) X ყრილობამ 1921 წლის მარტში შეიმუშავა. ნეპმა გამოაცოცხლა საქონელგაცვლა ქალაქსა და სოფელს შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის. იგი ითვალისწინებდა კაპიტალისტური ელემენტების დამარცხებას და სოციალისტური ეკონომიკის შექმნას.

ვ. ი. ლენინი გ. ორჯონიკიძისადმი გაგზავნილ წერილში 1921 წლის 2 მარტს ქართველი კომუნისტებისაგან მოითხოვდა წვრილი ვაჭრების მიმართ დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკის განხორციელებას, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას და თავისუფლებას[24]. ამავე დროს, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის ეკონომიკური კავშირის ერთადერთ შესაძლებელ ფორმას წარმოადგენს ვაჭრობა[25]. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებამ მრავალი ღონისძიება განახორციელა ვაჭრობის განვითარებისა და მისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. პირველ რიგში საჭირო იყო „მაკრატლის" წვერების დაახლოვება.

---

[23] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1919 წ. 23 ნოემბერი.

[24] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 189.

[25] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 117—119, 173.

„მაკრატლის“ წვერების დაშორების პირველი მიზეზი იყო შეუსაბამობა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას შორის. ამ უკანასკნელის აღდგენის პროცესი უფრო ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე მრეწველობისა, რადგან სოფლის მეურნეობის აღდგენა იმ პერიოდში არ მოითხოვდა დიდ კაპიტალურ დანახარჯებს. მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ მრეწველობაში მუშის შრომის ნაყოფიერება ჯერ კიდევ ომამდელ დონეზე დაბალი იყო. მესამე მიზეზი ის იყო, რომ მრეწველობასა და ვაჭრობაში საკმაოდ დიდი იყო ნაწარმის ზედნადები ხარჯები, ვიდრე სოფლის მეურნეობის პროდუქციისა. ეს გარემოება კი მაღლა სწევდა სამრეწველო პროდუქციის ფასს[26]. ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მრეწველობა უფრო სუსტად იყო განვითარებული, ვიდრე რუსეთში. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ საქართველოს არ გაუვლია სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკა და კერძო მეწარმე, რომელთა დიდ რაოდენობას წვრილი მიწათმოქმედნი შეადგენდნენ, ნაკლებად იყო შეზღუდული და ამრიგად, მას აქ გაფართოებული კვლავწარმოების უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა, ვიდრე რუსეთში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ რუსეთიდანაც (უმთავრესად ჩრდ. კავკასიიდან) შემოვიდა სურსათის საკმაო რაოდენობა. ამ გარემოებათა გამო საქართველოში უფრო მეტად იგრძნობოდა „მაკრატლის“ წვერების დაშორება, ვიდრე რუსეთში.

უნდა აღინიშნოს, რომ რევოლუციამდელ საქართველოში „მაკრატლის“ ერთი წვერი იყო დაშორებული (უფრო ძვირი იყო სასურსათო ვიდრე სამრეწველო პროდუქცია), ხოლო საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ უკვე მეორე პირიც გადაიხარა.

„მაკრატლის“ წვერების დაახლოების მიზნით მიღებული იქნა ზომები სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნამეტის გასაღებისა და სამრეწველო პროდუქციის იმპორტისათვის. ამავე მიზანს ემსახურებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური გაერთიანებაც, რამაც ხელი შეუწყო მათ შორის საქონელბრუნვის ზრდას. გაუქმდა რესპუბლიკებს შორის საბაჟოები და საკონტროლო პუნქტები, მოხდა ფულის სისტემის უნიფიკაცია[27] რესპუბლიკიდან უფრო მეტად გადიოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ხოლო შემოდიოდა მრეწველობის პროდუქცია. 1926 წლისათვის „მაკრატლის“ წვერები თითქმის მთლიანად დაუახლოვდა ერთმანეთს. საცალო საქონელბრუნვის მოცულობა 1924/25 წელს 1,5-ჯერ გაიზარდა 1923/24 წელთან შედარებით, ხოლო 1925/26 წელს ორჯერ გადააჭარბა 1924/25 წლის დონეს[29] 1922/23 წლიდან 1925/26 წლამდე რამდენჯერმე გაიზარდა მოკავშირე რესპუბლიკებში ხილის, ღვინის, თამბაქოს და სხვ. პროდუქტების გატანა.

ამავე დროს, საჭირო იყო სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაზრდა ვაჭრობაში, ქალაქისა და სოფლის ეკონომიკური კავშირის განმტკიცება და კერძო კაპიტალის თანდათან გამოდევნა ვაჭრობის სფეროდან, ამისათვის კი აუცილებელი იყო სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ხვედრითი წილის გაზრდა ამავე მიზანს ემსახურებოდა 1922-24 წლების ფულის რეფორ-

---

[26] Экономическая история СССР, М., 1967, გვ. 351.

[27] ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921—1925 წწ.), თბ., 1958, გვ. 241, 249.

[28] Народное хозяйство Закавказья в цифрах, Т., 1927, გვ. 407.

მა, რომელმაც განამტკიცა საბჭოთა მანეთი და მყარი საფუძველი შეუქმნა საქონელმიმოქცევის შემდგომ გაფართოებას.

ამის მიუხედავად, ამ პერიოდში კერძო ვაჭრობა ჯერ კიდევ დიდი ხვედრითი წილით იყო წარმოდგენილი. 1923 წლის აღწერით სახელმწიფო სავაჭრო ქსელი მოიცავდა 189 ობიექტს, კოოპერატიული -196 და კერძო სავაჭრო ქსელი 8970 ობიექტს [29]. 1925/26 წელს საცალო ვაჭრობაში კერძო ვაჭრობის ხვედრითი წილი შეადგენდა 55,8%-ს, ხოლო საცალო ქსელში — 88,2%-ს. საბითუმო ვაჭრობაში კი მხოლოდ 7%-ს[30]. 1921-22 წლებში კერძო ვაჭრობის ხელში იყო ისეთი საქონელი, როგორიცაა პური, ხორცი, შაქარი, ნავთი. 1923 წელს კერძო ვაჭრობიდან მიღებულ იქნა საქართველოს მთელი ვაჭრობის შემოსავლის 86,1%[31].

უნდა ითქვას, რომ კერძო ვაჭრობის ხვედრითი წილი საცალო ვაჭრობაში საქართველოში უფრო დიდი იყო, ვიდრე საბჭოთა რუსეთში. 1929 წლისათვის იგი 2,5-ჯერ აღემატებოდა საკავშირო მაჩვენებელს. ეს აიხსნება, ჯერ ერთი იმით, რომ რუსეთში კოოპერაციული ვაჭრობა უკვე ფართოდ იყო განვითარებული და საკმაოდ ავიწროებდა კერძო კაპიტალს მაშინ, როდესაც საქართველოში ვერ მოასწრო საკმაო განვითარება და ჯერ კიდევ ვერ უწევდა ძლიერ კონკურენციას კერძო ვაჭრობას. მეორე, ჩვენს რესპუბლიკას არ გაუვლია სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკა და მაშასადამე კერძო მესაკუთრეებს არ განუცდიათ ისეთი შევიწროება, როგორც რუსეთში. მესამე, ვ. ი. ლენინის ცნობილ მითითებათა თანახმად. საქართველოში პარტიის პოლიტიკა წვრილი ვაჭრების მიმართ უფრო დამთმობლური იყო. მეოთხე, საქართველოს სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანი იყო, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა საქონელმიმოქცევისათვის. გლეხი მთელ მოსავალს (თამბაქოს, ჩაის, ციტრუსებს, ღვინოს) თვითონ ვერ მოიხმარდა ამავე დროს, ამ კულტურების ფასები გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე რუსეთის სოფლის მეურნეობისა, და ამიტომ კერძო ვაჭრობაში იგი დიდ ხვედრით წილს ქმნიდა. ამ მიზეზებმა განაპირობეს კერძო ვაჭრობის მაღალი ხვედრითი წილი საქართველოში.

შემდგომ წლებში თანდათან უფრო ფართოვდებოდა საცალო საქონელბრუნვა, უმთავრესად კოოპერაციული ვაჭრობის ხარჯზე. ამას ხელი შეუწყო სავაჭრო სისტემის ერთგვარმა რეორგანიზაციამ და ვაჭრობის ოპერაციების გამარტივებამ. ამავე მიზნებს ემსახურებოდა აგრეთვე საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1927 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილება საცალო ფასების 10%-ით შემცირების შესახებ.

საქონელბრუნვის მოცულობა ყველაზე მეტად სახელმწიფო სექტორში იზრდებოდა. სახელმწიფო ვაჭრობის ბრუნვა ქალაქებში შეადგენდა 98,9%, სოფლად — 1.1%-ს, კოოპერაციული ვაჭრობის ბრუნვა შესაბამისად—90.2% და 9,8%-ს, კერძო კი —89% და 11[32]. ამასთანავე, სავაჭრო ბრუნვის საერთო მოცულობა გაცილებით დიდი იყო ქალაქად, ვიდრე სოფლად.

---

[29] А. А. Гвелесиани, Основные этапы развития советской торговли в Грузии, Тб., 1958, გვ. 30.

[30] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა, 1921—1967, თბ., 1967, გვ. 160.

[31] Все торгово-промышленное Закавказье за 1925/26 год., გვ. 132.

* საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხვედრითი წილი ასეთი პროდუქციის დამზადების საქმეში ჯერ კიდევ უმნიშვნელო იყო.

[32] В. Абуладзе, Внутренняя торговля Грузинской ССР, 1921—1932 гг., ч. I, Тб., 1962, გვ. 166.

1923 წლისთვის საქართველოს სოფლებში სახელმწიფო სავაჭროთა ხვედრითი წილი შეადგენდა 1,6%-ს, კოოპერაციულის—9,4% და კერძოსი—-8.9%[33]. სახელმწიფო და კერძო სავაჭროთა დიდი ნაწილი თავმოყრილი იყო ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სოფლის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურეობას ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

კერძო ვაჭრობის შეზღუდვის მიზნით, საქართველოს მთავრობამ დროებით აკრძალა ცალკეული რაიონებიდან ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გამოტანა სპეკულაციის მიზნით, აგრეთვე დაწესდა სახელმწიფო მონოპოლია აბრეშუმზე. ნართზე და სხვ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე, სახელმწიფოს ზემოქმედებას საქონელგაცვლაზე სავაჭრო ბირჟების საშუალებით. სავაჭრო ბრუნვის გადასახადის მოწესრიგება და ფასების დიფერენციაციის პოლიტიკა ხელს უწყობდა ნეპმანის გამოდევნას ვაჭრობიდან.

კერძო კაპიტალმა პირველ რიგში შევიწროება განიცადა საბითუმო ვაჭრობაში. 1925/26 წწ. საქართველოში სახელმწიფო ვაჭრობის ხვედრითი წილი საბითუმო ვაჭრობაში შეადგენდა 68%, კოოპერაციულის — 25% და კერძოსი მხოლოდ 7%-ს[34]. 1925/26 წ-სათვის კი შესაბამისად — 61,8%, 36.1% და 2,1%. 1925 წლისათვის კერძო ვაჭრობის სფეროდან გამოდევნილ იქნა ისეთი საქონელი, როგორიცაა შაქარი, ნავთობი, ასანთი და სხვ.

კერძო კაპიტალის შევიწროებისა და გამოდევნის საქმეში დიდი როლი შეასრულა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების III ყრილობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა[36].

საქართველოს სოფლებში 1923/24 წ. მეორე ნახევრიდან 1925/26 წ. პირველ ნახევრამდე სახელმწიფო სავაჭროების რიცხვი საცალო ქსელში 3-ჯერ და მეტად გაიზარდა, ხოლო მათი ბრუნვის მოცულობა—505%-ით. ასევე გაიზარდა კოოპერაციული სავაჭროების რიცხვი 31 ერთეულით, ხოლო ბრუნვის მოცულობა - -5%-ით. კერძო სავაჭროების რიცხვი რამდენადმე შემცირდა, თუმცა ბრუნვა გაიზარდა 74,5%-ით[37]. ეს ზრდა იმით აიხსნება, რომ კოოპერაციაზე კრედიტით გაცემული საქონლის ფულადი ეკვივალენტი მრეწველობას უკან არ უბრუნდებოდა და ამიტომ ეს უკანასკნელი თავისი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საქონლის დიდ ნაწილს კერძო პირებს უთმობდა, რასაც შედეგად მოჰყვა კერძო სავაჭროთა საქონელბრუნვის გადიდება[38].

როგორც ჩანს, საქართველოს სოფლებში სწრაფად ვითარდებოდა ვაჭრობა, განსაკუთრებით კი სახელმწიფო ვაჭრობა. საქონელბრუნვის დიდი ნაწილი. დაახლოებით ორი მესამედი მოდიოდა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაზე.

1924 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ამიერკავკასიის სფსრ საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა გამოიკვლია სახელმწიფო, კოოპერაციული და კერძო ვაჭრობის ხვედრითი წილი საცალო ვაჭრობაში. შერჩევითი მეთოდით საქართველოში აღწერეს ქ. თბილისის და სამი მაზრის — თელავის, შორაპნის

---

[33] სტატისტიკური კრებული, 1922—1926 წწ., გვ. 244—261.

[34] საქართველოს სახალხო მეურნეობა 1921—1967, გვ. 159.

[35] ჟურნ. „სტატისტიკის მოამბე", 1928 წ., № 10—11, გვ. 25.

[36] III съезд коммунистических организаций Закавказья, Тб., 1924, გვ. 120—127.

[37] ჟურნ. „სახელმწიფო სტატისტიკის მოამბე", 1927 წ., № 8—9, გვ. XII.

[38] ა. გ ო კ ი ე ლ ი, კერძო სავაჭრო კაპიტალი საქართველოში, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1926 წ., № 3, გვ. 47.

და გუდაუთის სავაჭრო მაღაზიები. თბილისში აღწერაში მოხვდა მაღაზიების 25% — ხოლო მაზრებში — ყველა[39].

კერძო სავაჭროების საქონელბრუნვის მოცულობა თვიურად თელავის მაზრაში, ფინსახკომის ინსპექციის ცნობით, შეადგენდა 73917 მან. თვითონ ვაჭრების ჩვენებით კი — 25594 მან. სახელმწიფო და კოოპერაციული მაღაზიების თვიური ბრუნვა კი — 90099 მან. უდრიდა, შორაპნის მაზრაში—შესაბამისად 7114 მან., 50099 და 557 551 მან. ხოლო გუდაუთის მაზრაში — 33282 მან., 22575 და 34672 მან.

კერძო სავაჭროების მიმოქცევის ხარჯები, ინსპექციის ცნობით, თელავის მაზრაში შეადგენდა საერთო ბრუნვის 8,1%-ს, თვითონ ვაჭართა ჩვენებით კი — 23,3%-ს, კოოპერაციული სავაჭროების ხარჯები კი — 6,3%. შორაპნის მაზრაში — შესაბამისად 12,6%. 18% და 2% ხოლო გუდაუთის მაზრაში — 7.5%, 11.1%, 8,1%. ხარჯების დიდი ნაწილი მოდიოდა ბინის ქირაზე.

თუ ამ ცნობებს მთელ საქართველოზე გავავრცელებთ, მივიღებთ, რომ საქართველოს სოფლებში თვიური სავაჭრო ბრუნვა საცალო ვაჭრობაში (სახელმწიფო, კოოპერაციულ და კერძო ვაჭრობაში) შეადგენდა 3927 122 მან. და წლიური — 47 132 482 მან[40].

კერძო ვაჭრები მალავდნენ თავის შემოსავალს, ხოლო ხარჯების რაოდენობას აზვიადებდნენ იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ დაბეგვრა.

1926/27 წლის გამოკვლევის მასალების მიხედვით საქართველოს სოფლებში იყო 151 სახელმწიფო, 704 კოოპერაციული და 3623 კერძო, სულ 4478 სავაჭრო პუნქტი[41].

კერძო სავაჭროები იყო ორი სახის: ერთპიროვნული და ამხანაგური. გამოკვლეულთაგან 90,5% იყო ერთპიროვნული, ხოლო 9,5% — ამხანაგური

იმის მიუხედავად, რომ კერძო სავაჭროთა რიცხვი სოფლად ყველაზე მეტი იყო (იგი შეადგენდა დაახლ. 81%), სავაჭრო ბრუნვაში მათი ხვედრითი წილი არ იყო დიდი (13909,5 ათას მან.) — 30,4%. ყველაზე დიდი ხვედრითი წილი სოფლის ვაჭრობაში ამ მხრივ ეკავა კოოპერაციულს (29 989,5 ათასი) -65,7%. სახელმწიფო ვაჭრობის ხვედრითი წილი ჯერ კიდევ საკმაოდ მცირე იყო (1771.9 ათასი მან) — 3,9%.

კერძო სავაჭროების მომარაგების მთავარ წყაროს წარმოადგენდა იგივე კერძო ვაჭარი, ოღონდ უკვე ქალაქში მცხოვრები, რომელიც ამარაგებდა მათ საქონლის დიდი ნაწილით 69%-ით.მეორე წყაროს წარმოადგენდა შესყიდვა ადგილობრივი სოფლიდან 16,5%, საქონლის 6.6% იღებდა სახელმწიფო ვაჭრობიდან და 5,6% — კოოპერაციულისაგან.

სამომხმარებლო კოოპერაციული ვაჭრობა საქონლის ძირითად ნაწილს იღებდა თავისი კავშირისაგან და კოოპერატივებისაგან — (44.2%+20.7-73,2%, 21,8% — სახელმწიფო და მხოლოდ 5% — კერძო ვაჭრობიდან.

სახელმწიფო ვაჭრობა, ბუნებრივია, მარაგდებოდა სახელმწიფო ცენტრალიზებული წესით, კერძო შესყიდვა შეადგენდა უმნიშვნელო ნაწილს (0,1%).

ყველა სექტორის მიერ საქონლის რეალიზაცია ხდებოდა უმთავრესად

---

39 ჟურნ. „სახელმწიფო სტატისტიკის მოამბე", 1925 წ., № 5—6, გვ. 12.

40 ჟურნ. „სახელმწიფო სტატისტიკის მოამბე", 1925 წ., № 5—6, გვ. 15—16 (აქ არ შედის საბაზრო და საბითუმო ვაჭრობის ნაწილი).

41 საქ. ორსმ არქივი, ფ. 600, აღწ. 1, ს. 1744, ფურც. 50.

საცალოდ. მხოლოდ სოფლის კოოპერაციის მიერ კერძო პირებზე მიყიდვის % უდრიდა 17,4-ს, რაც აიხსნება საქონლის ასორტიმენტით.

კერძო ვაჭრობის საქონლის ასორტიმენტი 1926/27 წელს ასეთი იყო[41]: სასოფლო-სამეურნეო საქონელი შეადგენდა 24,7%, სამრეწველო—72,8% კუსტარული ნაწარმი -- 2,4% და სხვ. 0,1%, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ 1925/26 წელს კერძო ვაჭრობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხვედრითი წილი შეადგენდა 18,4%, ხოლო სამრეწველო პროდუქციისა — 81,6%, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წილი კერძო ვაჭრობაში თანდათან იზრდებოდა. ამის მიზეზი იყო, ერთი მხრივ კერძო ბაზარზე სამრეწველო საქონლის გამოტანის შემცირება, ხოლო მეორე მხრივ, მოსახლეობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნილების გაზრდა.

1925/26 წელს კერძო ვაჭრებმა თავისი საქონლის 94,9%-ის რეალიზაცია მოახდინეს კერძო პირებზე, სავაჭროებსა და საწარმოებზე და მხოლოდ საქონლის 5,1% მიჰყიდეს სახელმწიფოსა და კოოპერაციას.

სამომხმარებლო კოოპერაციამ თავისი საქონლის 22,6% მიჰყიდა სახელმწიფოს, 52,6% — თავის კავშირს და 21% — კოოპერაციულ ცენტრებს, ხოლო 3,8% — კერძო პირებს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ სახელმწიფოს მიაწოდა საქონლის 58,7%, თავის კავშირსა და სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციებს — 40,3% და კერძო პირებს — მხოლოდ 1%[43].

სოფლის ვაჭრობის საგამსაღებლო ოპერაციების განხილვისას ვხედავთ, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადება და რეალიზაცია, რომელსაც უფრო მეტად ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა, ხდებოდა თითქმის მთლიანად სასოფლო და სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით. კერძო ვაჭრობის მიერ საქონლის დამზადება ემსახურებოდა უმთავრესად ადგილობრივი რაიონის მოთხოვნილებებს. უნდა გვახსოვდეს, ზემოთ ნათქვამი შეეხება მხოლოდ ადგილობრივ კერძო ვაჭრობას, რომელიც მცირე რაოდენობის საქონელს ამზადებდა. შედარებით დიდი მასშტაბით ეწეოდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადებას კერძო პირები, რომლებსაც არ გააჩნდათ სოფლად სავაჭრო წერტები და სეზონურად ყიდულობდნენ გლეხებისაგან პროდუქციას. ისინი უმთავრესად ქალაქებში ახდენდნენ ამ პროდუქციის რეალიზაციას.

1926/27 წელს ადგილობრივი კერძო ვაჭრობის მიერ დამზადებული პროდუქციის ხვედრითი წილი შეადგენდა მთელი დამზადებული საქონლის მხოლოდ 3.2%-ს[44]. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ 1924/25 წელს კერძო კაპიტალის ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებაში შეადგენდა დაახლოებით 34%[45], დავინახავთ, რომ მისი ხვედრითი წილი საკმაოდ სწრაფი ტემპით მცირდება.

გამოკვლევის მასალებიდან ირკვევა, რომ დამზადებული საქონლის 12,9% მიღებული იყო კრედიტით, უმთავრესად კერძო პირებისგან, კუსტარებისგან კერძო ვაჭრობის დაკრედიტება განსაზოგადოებული სექტორის მიერ მეტად

---

[42] საქ. ორსმ არქივი, ფ. 600, აღწ. 1, ს. 1744, ფურც. 51.

[43] იქვე, ფურც. 52—53.

[44] იქვე, ფურც. 53.

[45] ჟურნ. „საქართველოს კოოპერაცია“, 1926 წ. № 3—4, გვ. 46.

უმნიშვნელო იყო. კერძო სავაჭროების მიერ კრედიტით მიღებული 200809 მანეთის საქონლიდან სახელმწიფო და კოოპერაციის წილად მოდიოდა 580 მან. ე. ი. მხოლოდ 0,28%[46].

უნდა ითქვას, რომ თვითონ კერძო სავაჭროებიც სცემდნენ კრედიტით საქონელს, თუმცა უმნიშვნელო ოდენობით, ისინი უფრო ხშირად თვითონ იღებდნენ კრედიტს, ვიდრე გასცემდნენ მას. 1926/27 წელს კერძო სავაჭროების მიერ გაყიდული საქონლიდან 7,1% რეალიზებულ იქნა კრედიტის ფორმით. ერთ მყიდველზე კრედიტის ოდენობა აღწევდა დაახლოებით 7,5 მან. ამის მიუხედავად, კრედიტით საქონლის შეძენას სოფლის ვაჭრობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან გლეხს ყოველთვის არ ჰქონდა თავისუფალი თანხა საჭირო საქონლის შესაძენად. გავრცელებული იყო აგრეთვე ფასის გადახდა სხვადასხვა პროდუქტით, ე. ი. ნატურალური გაცვლა.

1927/28 წელს გამოკვლეულ 357 კერძო სავაჭროს კაპიტალი სოფელ ადგილებში შეადგენდა 228 285 მან[47]. თუ გამოვიყენებთ ექსტრაპოლიაციის მეთოდს, მაშინ მივიღებთ, რომ მთელი კერძო სავაჭრო კაპიტალის სიდიდე სოფელ ადგილებში აღწევდა დაახლოებით 2 მლნ მან. (კერძო სავაჭროთა რიცხვი, როგორც ვიცით, აღწევდა 3407).

1924/25 წელს მთელი კერძო კაპიტალის სიდიდე ქალაქად და სოფლად შეადგენდა დაახლოებით 7 500 000 მან. აქედან ქალაქზე მოდიოდა 53%, ხოლო სოფლად—47%[48]. ამრიგად, სოფლად მისი სიდიდე იქნებოდა 3 500 000 მან. როგორც ვხედავთ, მისი ხვედრითი წილი თანდათან მცირდებოდა, ხოლო სახელმწიფო და კოოპერაციული სავაჭრო კაპიტალი კი იზრდებოდა.

კერძო სავაჭროების მფლობელები შემოსავალს იღებდნენ აგრეთვე საწარმოებიდან, სარეწაოებიდან, სოფლის მეურნეობიდან და სხვ. შემოსავლის 89,9% იღებდნენ სავაჭრო ოპერაციებიდან, 7,7%—სოფლის მეურნეობიდან, 1,4% — სარეწაოებიდან, 0,6%—სამრეწველო საწარმოებიდან და 0,4%—სხვა წყაროებიდან[49]. როგორც ვხედავთ, შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა ვაჭრობა. ამავე დროს ისინი მაინც არ წყვეტდნენ კავშირს სოფლის მეურნეობასთან, თუმცა ეს უკანასკნელი წარმოადგენდა შემოსავლის დამხმარე წყაროს.

კერძო სავაჭრო კაპიტალის დაგროვება უდრიდა მთელი შემოსავლის 28,1% და რეალიზებული პროდუქციის ღირებულების 5,8%. 1926/27 წელს კერძო სავაჭრო კაპიტალის დაგროვება შეადგენდა დაახლოვებით 800 000 მან[50]. ეს საკმაოდ დიდი ციფრია.

კერძო სავაჭროთა გამოკვლეული ნაწილიდან 1 წლის განმავლობაში მოქმედებდა 30,1%, 1-2 წლამდე—27,0%, 2-4 წლამდე—14,8% და 4 წელიწადზე მეტ ხანს — სავაჭროთა 28, 1%.

რევოლუციამდელ კერძო ვაჭართა უმრავლესობას შეადგენდნენ გლეხები — 37,7%, შემდეგ მოდიან ვაჭრები — 27.8%, ხელოსნები— 10.4%, მუშები — 6,0%, სავაჭროთა მსახურები — 3,6%,[51].

[46] საქ. ორსმ არქივი ფ. 600, აღწ. 1, ს. 1744, ფურც. 55.

[47] იქვე, ფურც. 60.

[48] ჟურნ. „საქართველოს კოოპერაცია“, 1926, № 3—4, გვ. 47.

[49] საქ. ორსმ არქივი, ფ. 600, აღწ. 1, ს. 1744, ფურც. 63—64.

[50] იქვე, ფურც. 66.

[51] იქვე, ფურც. 66.

ჩვენს ყურადღებას იქცევს ყოფილ გლეხთა დიდი პროცენტი, რაც აიხსნება მათი, უმეტესად მდიდარი ნაწილის ლტოლვით ვაჭრობისადმი.

სტაჟის მიხედვით სავაჭროთა მფლობელნი ასე ნაწილდებიან: 1 წლამდე სტაჟის მქონენი შეადგენდნენ 1%-ს, 1—3 წლამდე — 36,5%, 3—5 წლამდე — 13,5%, 5—10 წლამდე—16,7% და 10 წელზე მეტი სტაჟის მქონენი—32,2%[52]. მათ დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ 1—3 წლამდე და 10 წელზე მეტი ხნის სტაჟის მქონენი (68,7%). როგორც ჩანს, ძველ ვაჭართა გვერდით ნეპის პერიოდში გაჩნდნენ ახალი ვაჭრებიც, რომელთა უმრავლესობას, ცხადია, მდიდარი და შეძლებული გლეხები შეადგენდნენ.

გამოკვლეული 497 კერძო ვაჭრიდან 415 ანუ 83,5% იყო სავაჭროს მფლობელი, 72 ანუ 14,5% — იყვნენ ოჯახის წევრები, მუდმივად ან დროებით დასაქმებული სავაჭრო წერტებში და მხოლოდ 10 კაცი (2%) იყო დაქირავებული.

მაშასადამე, სოფლის კერძო ვაჭრობაში მეტად ნაკლებად იყო გამოყენებული დაქირავებული შრომა. ეს გასაგებიცაა, რადგან სოფლად ვაჭრობის ხასიათის გამო თვითონ სავაჭროს მფლობელიც არ იყო მთლიანად დატვირთული. ერთ დასაქმებულ პირზე სავაჭრო ბრუნვა 1926/27 წელს შეადგენდა საშუალოდ 4281 მან., წინა წელს კი უდრიდა — 3260 მანეთს. სავაჭრო ბრუნვის ეს ზრდა უნდა მივაწეროთ სავაჭროთა ეკონომიკურად მომძლავრებას.

სამუშაო დღის ხანგრძლივობა 1 თანრიგის სავაჭრო ორგანიზაციებში შეადგენდა მფლობელთათვის 11,7 საათს, IV თანრიგის სავაჭროებში 13,2 საათს ყველა თანრიგის სავაჭროებში კი — საშუალოდ 11,4 საათს. ოჯახის წევრთათვის — მუდმივად მომუშავეთათვის სამუშაო დღე გრძელდებოდა — 9,9 საათს. დროებით მომუშავეთათვის — 4,6 საათს, დაქირავებულთათვის კი — საშუალოდ 8 საათს[45]. როგორც აქედანაც ჩანს, დაქირავებული შრომის ექსპლუატაცია აქ შედარებით ნაკლებად ხდებოდა.

სავაჭროებთან ერთად გამოკვლეულ იქნა 10 ბაზარი: სვირის, ბანძის, მარნეულის, გურჯაანის, ლაგოდეხის, ხარაგაულის, ჩხარის, ნაგომრის, ჩოხატაურისა და საგარეჯოს.

საშუალო საბაზრო ბრუნვა 1 დღის განმავლობაში 1926/27 წელს შეადგენდა 7 371 მანეთს, რაც საკმაოდ დიდ თანხად უნდა ჩაითვალოს წინა წელს იგი უდრიდა 5 571 მანეთს. ეს იმითაა გამოწვეული, რომ საერთოდ ყველა გამოკვლეულ ბაზარს ახასიათებდა დიდი საქონელბრუნვა. ამავე დროს 1926/27 წლისათვის საქონელბრუნვა მეტად გაიზარდა.

ამიერკავკასიის სფსრ ცსს მონაცემებით საქართველოს სსრ მთელი საბაზრო ბრუნვა როგორც ქალაქად, ისე სოფლად 1926/27 წელს შეადგენდა 28373 ათას მანეთს[55].

სოფლის საბაზრო ვაჭრობის ყველაზე აქტიურ მონაწილეებს შეადგენდნენ გლეხები. მათზე მოდიოდა მთელი სავაჭრო ბრუნვის 77,6%, 9,1% მოდიოდა კუსტარებზე.

საბაზრო ვაჭრობაში მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე

---

52 საქ. ორსმ არქივი, ფ. 600, აღწ. 1, ს. 1744, ფურც. 67.

53 იქვე, ფურც. 67.

54 იქვე, ფურც. 68.

იქვე, ფურც. 70.

კერძო სავაჭროები. მათ წილად მოდიოდა გამოკვლეულ ბაზართა საერთო ბრუნვის 12,4%, ხოლო კოოპერაცია ფაქტობრივად საბაზრო ვაჭრობებში თითქმის არ მონაწილეობდა. მისი ხვედრითი წილი შეადგენდა მხოლოდ 0,9%[56]. შეიძლება აღინიშნოს, რომ რამდენადაც საბაზრო ვაჭრობა უმთავრესად სოფლის შიგნით ან სოფელთა შორის საქონელგაცვლას ემსახურებოდა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მონაწილეობა საბაზრო ვაჭრობაში მეტად მცირე ყოფილა, რაც არ შეეფერებოდა მის როლს სოფლის ეკონომიკაში.

გამოკვლევის მასალები გვიჩვენებს, რომ საბაზრო ვაჭრობაში სამომხმარებლო კოოპერაციის მონაწილეობაც არ იყო დიდი, სულ 6,3% შეადგენდა. მაგრამ ესეც მეტად მიახლოებითი და საეჭვო ციფრია, რადგან ბაზარზე რეალიზებულ ძირითად საქონელს შეადგენდა სოფლის მეურნეობის პროდუქცია (77,0%), რომელსაც უმთავრესად გლეხები ყიდიდნენ (გაყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მთელი ჯამის (98,4%), კერძო ვაჭრები, კუსტარები და კოოპერაცია ყიდიდნენ უმთავრესად სამრეწველო საქონელს.

საბაზრო ვაჭრობის ბრუნვაში პროდუქციის ცალკეული ჯგუფების ხვედრითი წილი ასეთი იყო: სოფლის ბაზარზე რეალიზებულ ძირითად საქონელს წარმოადგენდა მსხვილფეხა პირუტყვი: ხარები შეადგენდნენ საერთო ბრუნვის 37,2%, ცხენები — 2,2%, ძროხები — 4,5%, კამეჩები — 2,2, სულ ამ ჯგუფზე მოდიოდა საერთო ბრუნვის 46,1%. მეორე ადგილი ეკავა მარცვლეულს — 12,9% (სიმინდი — 7,5% და ხორბალი — 5,4%). შემდეგ მოდიოდა ფეხსაცმელი — 6,3%, ჩითი — 4,5% და სხვ.[57].

1925/26 წლის გამოკვლევის მონაცემებით საქონელი შეადგენდა საერთო ბრუნვის 45,9%, მარცვლეული — 10,2%, მანუფაქტურა — 8,8% და ა. შ.

1928 წლის აღწერის ცნობებით პირუტყვი და მარცვლეული წარმოადგენდა რეალიზაციის ძირითად საგანს, თანაც ორივე ეს საქონელი რაიონის გარეთ თითქოს არ საღდებოდა .

როგორც ჩანს, სოფლის საბაზრო ვაჭრობის ასორტიმენტი მკვეთრ ცვლილებას არ განიცდიდა და ხელს უწყობდა ამ საქონლის სოფელთა შორის ურთიერთ გაცვლას.

საქართველოს სოფლებიდან შარაგზებით დიდძალი საქონელი შემოდიოდა სხვადასხვა ქალაქში, უმთავრესად კი — თბილისში. ქალაქის აღმასკომის სტატგანყოფილების მიერ აღრიცხულია თბილისში შემოტანილი 94 დასახელების საქონელი. შემოზიდულ საქონელში ღირებულების მიხედვით პირველი ადგილი ეკავა ბოსტნეულს, მეორე ხილს, მესამე რძეს, მეოთხე ყველს და ა. შ.

1925/26 წელს თბილისში შარაგზებით შემოტანილი საქონელი შეადგენდა 60979, 55 ტონას, მისი ღირებულება კი — 7 711 483 მანეთს. 1926/27 წელს— 98 871, 43 ტონას 10 339 815 მანეთის, 1927/28 წელს კი შესაბამისად —70 474 93 ტონას და 7 713 403 მან.

როგორც ვხედავთ, 1926/27 წელს გაზრდილა შემოტანილი საქონლის ოდენობა როგორც რაოდენობრივად, ისე ღირებულებით, მომდევნო წელს

[56] საქ. ორსმ არქივი, ფ. 600, აღწ. 1, ს. 1744, ფურც. 70.
[57] იქვე, ფურც. 71.
[58] ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1929 წ. № 7—8, გვ. 124.

კი რამდენადმე შემცირებულა, უფრო კი — ღირებულებით. ეს ალბათ, საქონლის გაიაფების შედეგი იყო.

თბილისში საქონელი შემოდიოდა რკინიგზებითაც. 1927/28 წელს რკინიგზებით შემოზიდულ იქნა 123 725 ტონა სხვადასხვა საქონელი. შემოტანილი საქონლის ოდენობის მიხედვით პირველი ადგილი ეჭირა სიღნაღის მაზრას, მეორე გორის, მესამე — ქუთაისის და მეოთხე ადგილი თელავის მაზრას.

საბაზრო საქონელბრუნვაში 1924/25 წელს პირველი ადგილი ეკავა კახეთის მევენახეობა-მეღვინეობის რაიონს, მეორე — თრიალეთისა და მთიულეთის მესაქონლეობის რაიონს, შემდეგ მოდიოდა დასავლეთ საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის და მემინდვრეობის რაიონი. კახეთის მევენახეობის რაიონი ასხვისებდა მთელი თავისი პროდუქციის 55,57%, მთიულეთის მესაქონლეობის რაიონი — 28,35%, თრიალეთის მესაქონლეობის რაიონი 26, 48%, ხოლო დასავლეთ საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი 41, 88%[59]. ცალკეული პროდუქციის სასაქონლო ნაწილის ხვედრითი წილი უფრო დიდი იყო.

ამავე დროს, რაც უფრო დიდი იყო რაიონის სასაქონლო პროდუქციის ოდენობა. მით უფრო მაღალი იყო მისი, განსაკუთრებით კი მდიდარი მეურნეობის მყიდველობითი უნარიანობა. გლეხების სასაქონლო პროდუქციის 46,5% სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანოები იძენდნენ, დანარჩენი კი უშუალოდ ბაზარზე საღდებოდა .

კერძო ვაჭრობა ძალაში იყო 1932 წლამდე. ამიერიდან კი მან გზა დაუთმო საკოლმეურნეო ვაჭრობას.

ამრიგად, რევოლუციამდე საქართველოში საქონლის შიმშილის ძირითადი მიზეზი იყო წარმოების სფეროს შეკვეცა და შრომის ნაყოფიერების დაცემა. ამ შემთხვევაში საქონლის ღირებულება განისაზღვრებოდა არა მის საწარმოებლად დახარჯული საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროით, არამედ მიწოდება-მოთხოვნილების თანაფარდობის საფუძველზე.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ კერძო ვაჭრობის მოქმედების ფარგლები თანდათან შეიკვეცა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის განვითარების შედეგად. მის ძირითად ასპარეზს სოფელი წარმოადგენდა (სოფლად კი უმეტესად ბაზარი) ხოლო საქონლის ძირითად ასორტიმენტს — სამრეწველო საქონელი. კერძო ვაჭრობაში არ ხდება დაქირავებული შრომის ექსპლუატაცია. კერძოდ კაპიტალის მოგების წყარო იყო სხვაობა საქონლის წარმოების ღირებულებასა და მის ფასს შორის.

კერძო ვაჭართა მნიშვნელოვან ნაწილს (ერთ მესამედზე მეტს) შეადგენდა გლეხობა, განსაკუთრებით. მისი საშუალო და მდიდარი ფენა. ვაჭართა დაახლოებით ნახევარი წარმოიშვა ნეპის პერიოდში.

1932 წლიდან საქონელმიმოქცევაში გაბატონდა სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის ფორმები.

---

59 ა. რ უ ხ ა ძ ე, საბაზრო ტრიალი სოფლის მეურნეობაში 1924/25 წ. ჟურნ. „სახელმწიფო სტატისტიკის მოამბე“, 1928, № 11—12, გვ. 104—105.

60 ა. რ უ ხ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

Р. Г. КОЧЛАМАЗАШВИЛИ

# ИЗ ИСТОРИИ ТОВАРООТНОШЕНИЙ В ГРУЗИНСКОЙ ДЕРЕВНЕ (1917—1932 гг.)

Резюме

В статье освещены формы и методы товароотношений в грузинской деревне в 1917—1932 годах. В период господства меньшевиков торговля приняла натуральный характер ввиду того, что упал уровень развития промышленности, сельского хозяйства и производительности труда. Баланс внешней торговли был отрицательным.

К установлению Советской власти в Грузии вошла в силу новая экономическая политика. Развивалась государственная и кооперативная торговля, постепенно свертывались пределы действия частного капитала. Главной ареной последнего являлась деревня. В частной торговле не имела места эксплуатация труда. Источником прибыли частного капитала являлась разница между стоимостью производства товара и его ценой.

С 1932 года в товарообращении стали господствовать формы государственной, кооперативной и колхозной торговли.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს უახლესი ისტორიის განყოფილებამ

ბაადა სურგულაძე

# შიიტური ისლამის როლი ირანის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახალხო ანტიმონარქიული რევოლუციის წინა პერიოდში (XX ს. 60—70-იან წწ.)

ბოლო ოცწლეულის ირანის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრება ხასიათდება შიიტური ისლამის განსაკუთრებული აქტივიზაციით (ე. წ. ისლამური „ბუმით"), რამაც შეაპირობა მისი წამოტივტივება 1978—1979 წლების ანტიმონარქისტული და ანტიიმპერიალისტური სახალხო რევოლუციის ზედაპირზე, ერთის შეხედვით ეს პარადოქსალური მოვლენა ირანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების კომპლექსური ანალიზის შედეგად კანონზომიერი ჩანს. შიიტური ისლამის ცხოველმყოფელობა 70-იანი წლების ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოიწვია არა მარტო ამ ქვეყნის საშინაო ცხოვრების რთულმა, წინააღმდეგობრივმა ხასიათმა და მისგან გამომდინარე ღრმა სოციალურმა კონფლიქტებმა, არამედ ირანის დაქვემდებარებულმა როლმა საერთაშორისო იმპერიალისტურ სისტემაში, ამ ქვეყანაში ამერიკული იმპერიალიზმის განუკითხავმა ბატონობამ, ანტიიმპერიალისტურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ საერთო აღმავლობამ, რაც თანამედროვე ეპოქაში აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრების დამახასიათებელი მოვლენაა.

ისლამური რელიგიის პოლიტიზაცია აღმოსავლეთის ხალხთა დღევანდელი ცხოვრების საერთო დამახასიათებელი ნიშანია. მაგრამ უდავოა ისიც, რომ ისლამური რწმენის ყველა ქვეყანაში ამ მოვლენას თავისი კონკრეტული მიზეზები აქვს და ამასთან, სპეციფიკური ფორმით მიმდინარეობს. შიიტური ისლამის პოლიტიკური აქტივობა და მისწრაფება სახალხო მოძრაობის საკუთარი ინტერესებისადმი დამორჩილებისა ირანში ეფუძნებოდა ერთი მხრივ, ისტორიულ ტრადიციას, მეორე მხრივ, ექსპლუატირებული მოსახლეობის განმათავისუფლებელი მოძრაობის კლასობრივ მოუმწიფებლობას. ისლამური აფეთქება ამ ქვეყანაში პირველ ყოვლისა შეამზადა მავნე და გაუმართლებელმა კურსმა, რომელიც ირანის შაჰმა აიღო ე. წ. „დიდი ცივილიზაციის" მისაღწევად. ამ თეზისის მართებულება დასტურდება ირანში შიიტური ისლამის ისტორიული ტრადიციისა და მიმდინარე საუკუნის 60—70-იანი წლების სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ანალიზით.

* * *

ირანში — დიდი კულტურული ტრადიციების ქვეყანაში — შიიტური ისლამი ოფიციალურ, სახელმწიფოებრივ რელიგიად გაფორმდა XVI ს-ში

სეფევიდთა დინასტიის პერიოდში[1]. ამ დროიდან ისლამი, რომელიც ადრეული საუკუნეებიდანვე უკვე ღრმად იყო შეჭრილი ირანელი ხალხის ყოფასა და საზოგადოებრივ ურთიერთობებში როგორც შეუვალი მარეგულირებელი ძალა, გადაიქცა ოფიციალურ სახელმწიფო სასულიერო ძალად, რომლის მონოპოლიური უფლებები აწესრიგებდა ირანელი ხალხის ცხოვრების ყველა მხარეს. სასულიერო ხელისუფლების ძლიერება ეფუძნებოდა იმ დიდ მატერიალურ უპირატესობას, ეკონომიკურ და ფინანსურ ძლიერებას, რაც კულტის უმაღლეს მსახურთა ხელში დაგროვდა მსხვილი მამულების, რელიგიურ დაწესებულებათა შემოსავლის, სასულიერო გამოსაღებისა და მემკვიდრეობის შეუვალობის შედეგად[2].

შიიტური სასულიერო ზედაფენა, რომლის ძლიერებას აგრეთვე აპირობებდა მისი რეზიდენციების ხელშეუხებლობაც: (ქერბელა, ნეჯეფი — ერაყში, ყუმი და მეშჰედი — ირანში), სახელმწიფო ხელისუფლებაში პირველობაზე პრეტენზიას აცხადებდა. შიიტურ დოგმებზე დაყრდნობით იგი სასულიეროსაგან დამოუკიდებელ საერო ხელისუფლებას უკანონოდ მიიჩნევდა. „12 იმამის მოძღვრების“ თანახმად, ისლამური თემისადმი უმაღლესი ძალაუფლება დაკისრებული უნდა ჰქონოდათ მხოლოდ წინასწარმეტყველ მუჰამედის „წმინდა ოჯახის“ შთამომავალთ, რომლებიც მორწმუნეებს ღმერთთან აკავშირებდნენ. ისლამურ ღვთისმეტყველთა წარმოდგენით საერო ხელისუფლება განცალკევებულად არ იყო უფლებამოსილი განეგო ისლამის მსახურთა ბედ-იღბალი. სასულიერო ზედაფენა თანდათან ზღუდავდა სახელმწიფოს მესვეურთა პრერაგატივებს და საუკუნეთა მანძილზე ახერხებდა კიდეც უპირატესობის შენარჩუნებას. ამიტომაც შუა საუკუნეებში ირანის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია თავისი შინაარსით უპირატესად თეოკრატულ ხასიათს ატარებდა.

XIX ს-ის დამდეგიდან ირანის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე ნელმა, მაგრამ მტკივნეულმა პროცესებმა, რაც კაპიტალისტური დასავლეთის (უპირატესად ინგლისის) ქვეყნებთან დამოკიდებულების გაძლიერებასთან იყო დაკავშირებული, სასულიერო და საერო ზედაფენის ქიშპობა გაამწვავა და პოზიციები თანდათან განუმტკიცა საერო ხელისუფლებას, როგორც ქვეყანაში მოძალებულ იმპერიალისტურ ძალებზე დამოკიდებულ ფენომენს. სახელმწიფო ხელისუფლება ამიერიდან მეტის გამბედაობით და თანმიმდევრობით ზღუდავდა სასულიერო ზედაფენის გავლენას როგორც პოლიტიკურ, ისე სხვა სფეროებში[3]. ისლამის უმაღლეს მსახურთა გავლენის შესუსტებისათვის სახელმწიფო ხელისუფალთა ბრძოლა ცხადია. არ გულისხმობდა მორწმუნეთა შორის ისლამის, როგორც რელიგიის გავლენის საერთოდ შესუსტებას, პირიქით, სახელმწიფოს მესვეურნი ისლამურ რელიგიას მუდამ მიიჩნევდნენ ყველაზე საიმედო და ძლიერ ძალად თავისი სოციალ-

---

[1] И. П. Петрушевский, Ислам в Иране в VII—XV веках, Л., 1966, გვ. 375—376.

[2] Е. А. Дорошенко, Политические традиции шиизма и антимонархическое движение в Иране (1978—1979), Журн. «Народы Азии и Африки», 1980, № 6, გვ. 59.

[3] Д. М. Акаркулова, К вопросу о роли шиитского духовенства в Иране (конец XIX —начало XX в.). В кн. Ислам и его роль в современной идейно-политической борьбе развивающихся стран Азии и Африки. Материалы координационного совещания в Ташкенте, март, 1980, გვ. 393 (в дальнейшем — Материалы Ташкентского совещания).

ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ბრძოლა ამ შემთხვევაში შეეხებოდა მხოლოდ ხელისუფლების საღავეებს.

ირანის ისტორიით დადასტურებულია, რომ აქ, ისე როგორც, სხვა მუსლიმანურ ქვეყნებში მსხვილი რელიგიური მოღვაწენი ყოველთვის მმართველი ზედაფენის ნაწილს შეადგენდნენ. მაგრამ ისტორიის ცალკეულ პერიოდებში,— როგორც სამართლიანად მიუთითებს ს. ალიევი, —როცა ძალთა თანაფარდობის ბალანსი დაირღვეოდა ხოლმე, როცა თავს იჩენდა ცდა მსხვილი სასულიერო წოდების მეორე პლანზე გადაწევისა, როცა შაჰის სასახლეს მსხვილი სასულიერო წოდების ძლიერებაზე იერიში მიჰქონდა, მაშინ. ისლამური მოღვაწენი იწყებდნენ ბრძოლას თავისი პოზიციების აღდგენისათვის. ამ ბრძოლაში, ისინი უნარიანად იყენებდნენ მასობრივ მოძრაობას“[4].

მსოფლიო ისტორიიდან ცნობილია, რომ ფეოდალურ ეპოქაში მასების სოციალური პროტესტის სტიქიური გამოვლენა რელიგიური გარსითაა დაფარული. (გლეხთა ომები გერმანიაში XVI ს-ში, სექტანტური მოძრაობანი რუსეთში, იაპონიაში, არაბულ ქვეყნებში და თვით ირანში გვიანი შუა საუკუნეების ეპოქაში). XIX ს-ის ირანში მასების ასეთი სტიქიური აღშფოთების გამოხატულება იყო, მაგალითად, ბაბიდების მოძრაობა. ეს მოძრაობა შემადგენელი ნაწილი იყო იმ რევოლუციური ტალღისა, რომელიც XIX ს-ის ევროპული და ამერიკული კაპიტალის აღმოსავლეთის ქვეყნებში შეჭრისა და მსოფლიო იმპერიალისტურ სისტემაში მისი იძულებითი ჩათრევის გამო აგორდა ვეებერთელა სივრცეზე მაღრიბიდან ჩინეთამდე. ირანის ბაბიდურ აჯანყებებში (1848—1852 წწ) თავი იჩინა იმ რელიგიურმა მესიანიზმმა, რაც საერთოდ დამახასიათებელია რელიგიური გამოსვლებისათვის ყველა ქვეყანაში. აჯანყებათა მამოძრავებელ ძალებს შეადგენდნენ გლეხობა, ხელოსნები და წვრილი ვაჭრები, ანუ ტრადიციული „საშუალო ფენები“ რომელთათვისაც ყველაზე მტკივნეული იყო ახალი ურთიერთობით გამოწვეული ჩაგვრის სიმძიმე[5]. რელიგიური ფანატიზმით განმსჭვალული მასების გათავისუფლების რწმენა ალაჰს უკავშირდებოდა. ბაბიზმის იდეოლოგია იყო ისლამური „მაჰდის“ იდეა, თუმცა აჯანყებულთა მისწრაფებამ ამ ქვეყნად „წმინდა სამეფოს“ დამყარებისა, ვერ პოვა ირანის რელიგიური ზედაფენის მხარდაჭერა. პირიქით. ორთოდოქსალური ისლამი მას მტრულად შეხვდა, მაგრამ ამ დროიდან რეფორმისტული მისწრაფებები გზას თანდათანობით მაინც იკვლევდნენ. ამასთან გარეკაპიტალისტური ზეგავლენისადმი ირანის თანდათანობით დამორჩილების ვითარებაში ისლამი გახდა ის პოლიტიკური ძალა, რომელიც მიმართული იყო არა მხოლოდ საერო ხელისუფლების, არამედ ირანში ევროპულ სახელმწიფოთა და რუსეთის შეჭრის წინააღმდეგ[6].

---

4 С. М. Алиев, Ислам и революция в Иране.

5 М. С. Иванов, Антифеодальные восстания в Иране в середине XIX в., М., 1982.

6 Д. М. Акаркулова, К вопросу о роли шиитского духовенства в Иране (Материалы Ташкентского совещания, გვ. 395).

ირანის სასულიერო ზედაფენამ აქტიური როლი შეასრულა იმ სახალხო მოძრაობაშიც, რომელიც მიმართული იყო ინგლისის იმპერიალისტური წრეებისათვის თამბაქოს მონოპოლიის გადაცემის წინააღმდეგ (1891—1892 წწ). შიიტურმა სასულიერო წრეებმა თავიდანვე შენიშნეს და უნარიანად გამოიყენეს დაჩაგრული მასების ანტიკოლონიური განწყობილება და იგი წარმართეს ისლამური ტრადიციების დამანგრეველი ტენდენციების წინააღმდეგ. თავრიზში, ისფაჰანში, შირაზში და ირანის სხვა ქალაქებში დაწყებულ აღშფოთებას მოლები აქეზებდნენ. ინგლისელთა მონოპოლიის ჩაშლის მიზნით სასულიერო მესვეურებმა გამოსცეს საგანგებო ფეტვიც კი, რომელიც ინგლისური კონცესიის გაუქმებამდე მთელ ირანში თამბაქოს მოწევას კრძალავდა[7]. ირანში დასავლეთის კოლონიურ შეღწევას და დასავლური ბურჟუაზიული იდეების „დამღუპველ" გავლენას, რომ ებრძოდა, სასულიერო წოდება ობიექტურად მოკავშირეობდა ქვეყნის წვრილ-ბურჟუაზიული და გაბურჟუების გზაზე შემდგარ იმ ფენებს, რომელთაც დასავლეთის ეკონომიკური ექსპანსია ართმევდა ბაზარს და საარსებო გზას უხშობდა. დაახლოებით ამავე პერიოდიდან იწყება პირველი რეფორმაციული მოძრაობანი შიიტური ისლამის ისტორიაში, რომლის მთავარი ტენდენცია მდგომარეობდა ქრისტიანული სამყაროს საპირისპიროდ ისლამური (ირანული) ნაციონალიზმის გაღვივებაში (მირზა მალკოლმ ხანის მოღვაწეობა).

XX საუკუნის დამდეგი — კაპიტალიზმის იმპერიალისტურ სტადიაში გადაზრდის პერიოდი — ხასიათდება აღმოსავლეთის კოლონიურ და ნახევრად კოლონიურ ქვეყნებში დასავლეთის მსხვილ სახელმწიფოთა შეჭრისა და გაბატონების ინტენსიურობით. ამ პროცესის საპირისპიროდ აღმოსავლეთის მუსლიმანური ქვეყნების სასულიერო ზედაფენაში თანდათან მწიფდებოდა ღრმავდებოდა პანისლამისტური განწყობილება — უმაღლესი ხალიფის გამგებლობის ქვეშ ყველა მუსლიმანი ხალხის ერთიან მუსლიმანურ იმპერიად გაერთიანების ტენდენცია, დასავლეთ დამპყრობთა წინააღმდეგ მთელი მუსლიმანური სამყაროს გაერთიანების ტენდენცია. სოციალური და ეროვნული ჩაგვრით სულშეხუთული მოსახლეობის გამოღვიძებისა და ანტიკოლონიური მოძრაობის გაღვივების წამქეზებლად ისლამი გამოდის.

მიუხედავად იმ სოციალური კონსერვატიზმისა, რაც ისლამის გააქტიურებას ედო საფუძვლად, ამ მოძრაობაში მაინც იგრძნობოდა აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნული გამოღვიძების, მისი თვითშეგნების ამაღლების პროგრესული ნაკადი, „ევროპისა და ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული განმათავისუფლებელი მოძრაობა შეაერთონ ხანების, მემამულეების, მოლებისა და სხვ. პოზიციის განმტკიცებასთან"[8]. ასეთ შეფასებას აძლევდა ვ. ი. ლენინი ისლამის აქტივიზაციის დანიშნულებას იმპერიალიზმის ეპოქაში. ვ. ი. ლენინი აქეზებდა რა დასავლეთის იმპერიალისტური ქვეყნების ექსპანსიის წინააღმდეგ აღმოსავლეთის ხალხთა რევოლუციურ აქტივობას, ამასთან, ყურადღებას ამახვილებდა პანისლამიზმის რეაქციულ შინაარსზე და მოითხოვდა ბრძოლას მის წინააღმდეგ.

ირანის შიიტური სასულიერო წოდება აქტიურად მონაწილეობდა 1905-1911 წლების რევოლუციაში, რომელიც თავისი ხასიათით ანტიფეოდალური

---

[7] М. С. Иванов, Очерки истории Ирана, М., 1952, გვ. 196.

[8] В. И. Ленин, Сочинения (4-е изд.), т. 31, გვ. 127.

და ანტიიმპერიალისტური იყო. ეს რევოლუცია წარმოადგენდა ფეოდალურ-მონარქიული დესპოტიზმისა და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ირანელი ხალხის მასობრივ სტიქიურ გამოსვლას. რევოლუციაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა რუსეთის პირველმა სახალხო რევოლუციამ, რომელმაც თავისი დიდი საერთაშორისო რეზონანსის გამო აქტიური პოლიტიკური ცხოვრებისათვის განაწყო მრავალი ევროპული და აზიური ქვეყნების მშრომელი მასები. „რუსეთის 1905 წლის მოძრაობის შემდეგ დემოკრატიული მოძრაობა მოედო მთელ აზიას, თურქეთს, სპარსეთს, ჩინეთს" — შენიშნავდა ვ. ი. ლენინი[9].

ირანის 1905—1911 წწ. რევოლუციასა და 1978—1979 წწ. ანტიიმპერიალისტურ და ანტიმონარქიულ სახალხო რევოლუციას შორის ბევრია საერთო: საერთოა ის, რომ ორთავე რევოლუცია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განსაკუთრებით მძიმე და მტკივნეული შედეგებით იყო შეპირობებული; ორთავე მიმართული იყო შაჰის დესპოტიზმისა და იმპერიალისტთა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ; ორთავე რევოლუციაში მონაწილეობდნენ თითქმის ერთი და იგივე სოციალური ფენები (გლეხობა, ფორმირების პირველ ეტაპზე მყოფი მუშათა კლასი, ქალაქის ხელოსნები ანუ ე. წ. „საშუალო ფენები" და სასულიერო წოდება), თუმცა კლასობრივი შეგნების დონით მეორე რევოლუციის მამოძრავებელი ძალები გაცილებით მაღლა იდგნენ და მეტი მასობრიობა ახასიათებდათ. რევოლუციის ძირითადი სოციალური ფენების პროგრამის გამოუკვეთელი ხასიათი, არათანმიმდევრულობა და ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრიობა, როგორც პირველ, ისე მეორე რევოლუციაში გამორიცხავდა რევოლუციის ძალთა ერთიანობას. პირველ რევოლუციაში, ისევე როგორც 70-იანი წლების ბოლოს, ირანის სასულიერო ზედაფენა უნარიანად იყენებდა იმ პოლიტიკურ ვაკუუმს, რასაც რევოლუციის ერთიანი ხელმძღვანელი ძალის არ არსებობა, მებრძოლ ძალთა დაბნეულობა, პროგრამული სიჭრელე, ძირითადი მასის რელიგიური ფანატიზმი და საერთო ეგალიტარული მისწრაფება ქმნიდა. ორთავე რევოლუციას წინ უსწრებდა დასავლეთის იმპერიალისტური წრეების მისწრაფება ირანზე ზეგავლენის გაფართოებისა. რეაქციულ წრეებთან ფარული გარიგებანი და ლავირების ის პოლიტიკა, რასაც ინგლისის, რუსეთის ცარიზმის და ამერიკის შეერთებული შტატების მართველი წრეები ახორციელებდნენ პირველ რევოლუციაში, უფრო მეტი დაჟინებით, სიხარბით და შენიღბულად ხორციელდებოდა მეორე რევოლუციის წინ დასავლეთის და, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა მხრივ. ირანის პირველი რევოლუციიდან იღებენ საწყისს ის მეთოდები და ორგანიზატორული ღონისძიებანი, რასაც ირანის სასულიერო წოდება მიმართავდა მეორე რევოლუციაში. მასების პირველი აღშფოთების კერები 1905—1911 წლებშიც რელიგიურ წმინდა ადგილთან იყო დაკავშირებული და საგიტაციო პუნქტებს მეჩეთები წარმოადგენდნენ, სადაც მქადაგებლები გამოდიოდნენ ისლამური სამართლიანობის შებღალვის, ხალხის რწმენასა და ყოფაცხოვრებაზე დასავლური ჩვევების დამღუპველი ზეგავლენის წინააღმდეგ. ცნობილია, რომ 1905 წ. დეკემბერში თეირანის უმაღლესი სასულიერო პირების წაქეზებით ქალაქის ათასობით ხე-

[9] В. И. Ленин, Сочинения (4-ое изд.), т. 19, გვ. 65—66.

ლონნები, სასულიერო სასწავლებელთა სტუდენტობა, ვაჭრები და სხვ. დაჯდა ბესთზე შაჰ „აბდულ-აზიზის მეჩეთში და შეიმუშავა მოწოდება, რომელშიც ირანის შაჰი გამოცხადებული იყო ყველა იმ უბედურების მოთავედ, რამაც ხალხი განაწყო სტიქიური აღშფოთებისათვის[10]. ბაზრებში, მოედნებსა და მეჩეთებში შეკრებილ მიტინგებზე ისლამის მქადაგებლები მოუწოდებდნენ აჯანყებულთ შაჰის ტირანიის დამხობისაკენ. როგორც ცნობილია, შიიტური ისლამის მესვეურთა ბრძოლის ასეთი მეთოდები, ცხადია, მეტის აქტივობით და მრავალფეროვნებით, განმეორდა 1978—1979 წწ. რევოლუციაში. სწორედ სასულიერო ზედაფენის აქტიურობამ 1905—1906 წწ. ერთ-ერთი წამყვანი როლი შეასრულა შაჰის იძულებით დათმობებში. როგორც ცნობილია, რეაქციონერი პრემიერ მინისტრი აინ-ედ დოულე გადაყენებულ იქნა და გამოქვეყნდა უქაზი კონსტიტუციის შემოღების შესახებ.

ვლაპარაკობთ, რა ირანის ორი რევოლუციის მსგავსებაზე, ჩვენ ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ ის არსებითი განსხვავება, რომელიც ისლამურ მოძრაობას ახასიათებდა მაშინ და ახასიათებს დღევანდელ ეტაპზე. აკად. ე. მ. პრიმაკოვი, მიუთითებს რა ამ განსხვავებაზე, წერს: „1906—1911 წლებში მუსლიმური სასულიერო წოდება ძირითადად იბრძოდა არა რეაქციული, დესპოტური ზედნაშენის ლიკვიდაციისა და ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური ნორმების პოლიტიკურ ცხოვრებაში დანერგვისათვის, არამედ იმისათვის, რომ აუცილებლობით გამოწვეულ ამ ცვლილებებს არ გამოეწვია სახალხო მასებზე რელიგიის გავლენის შესუსტება“[11].

ამრიგად, თუ მაშინ სასულიერო წოდების აქტივიზაციაში წინა პლანზე წამოწეული იყო წმინდა რელიგიური მოტივები, დღეისათვის ამ მოძრაობაში წამყვანი პოზიცია სოციალურ ელემენტებს უკავია.

ირანის ისტორიის შემდგომ პერიოდს — ორი იმპერიალისტური ომის (1914—1919, 1939—1945) შუა ეპოქას, კლასობრივი ანტაგონიზმის გაღრმავებისა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების კვალდაკვალ წითელ ზოლად გასდევს სასულიერო და საერო ძალაუფლების დაპირისპირებისა და ქიშპობის, უპირატესი გავლენისათვის ურთიერთშორის ფარული თუ აშკარა ბრძოლის ტენდენცია. ამ ბრძოლის ფაქტებისა და მოვლენების ჩამოთვლას აქ ვერ შევუდგებით. ირანის ამ პერიოდის ისტორიის სპეციალისტთა მიერ აღიარებულია, რომ ისლამის მსახურთა ზედაფენა კარგად სარგებლობდა რა მოსახლეობის რელიგიური ფანატიზმით, შეუვალობითა და სააგიტაციო საშუალებათა სიუხვითა და მრავალფეროვნებით, ინარჩუნებდა მაღალ გავლენას სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ფეოდალური ფენის წარმომადგენლობასთან ერთად მეჯლისში იგი წარმოადგენდა ყველაზე ძლიერ ფრთას და შაჰს აიძულებდა გაეწია ანგარიში მისი ინტერესებისათვის.

ისლამის უმაღლეს მსახურთა ამ გავლენის სუბიექტური შინაარსი ყოველთვის გულისხმობდა ირანის ისლამური ტრადიციების ურყევად შენარჩუნებას, ფეოდალური მონარქიის დაცვას, ბრძოლას ექსპლუატირებული მა-

---

[10] Сборник дипломатических документов, касающихся событий в Персии, СПб., 1911—1913; М. С. И в а н о в, Очерки истории Ирана, გვ. 208.

[11] Е. М. П р и м а к о в, Восток после краха колониальной системы, М., 1982, გვ. 75.

[12] М. П. П а в л о в и ч, Восток в борьбе за независимость, М., 1980, გვ. 64.

სების განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. რელიგიური ფანატიზმისა და ისლამური ნაციონალიზმის გაღვივებას. უმაღლესი სასულიერო ძალები ფეოდალურ-მონარქისტული ძალების მხარდამხარ ზოგჯერ გამოდიოდნენ კონსტიტუციის წინააღმდეგაც. ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობით შეშფოთებული მოლები და მოჯთეხიდები საგანგებო ფეტვით კრძალავდნენ პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობას. ჯერ კიდევ 1910 წ. ნეჯეფის მოჰთეხიდთა მოთხოვნით თეირანის სასულიერო წოდებას მიეცა რწმუნება, რომ მეჯლისის სხდომებზე პროკონსულების ხარისხში გაეგზავნა 5 მოლა, რომლებიც „ვეტოს" დაადებდნენ ყველა იმ რეზოლუციას, რომლებიც თავისი სულისკვეთებით ისლამის სულს, შარიათს ეწინააღმდეგებოდა, ამასთან, რელიგიის მსახურნი აქტიურად ეწეოდნენ პროპაგანდას ირანის მოსახლეობის იმპერიალისტური დამონების წინააღმდეგ, აღვივებდნენ მოსახლეობის ანტიკოლონიურ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეალებს, უპირისპირდებოდნენ შაჰის დესპოტიზმს. ამრიგად, ისლამი იდგა ხან პროგრესის, ხან რეაქციის სამსახურში. მისი როლის მრავალმნიშვნელოვნობა იზრდებოდა საერთაშორისო მოვლენების გართულებასა და საკუთრივ ირანის საშინაო ცხოვრებაში მიმდინარე ობიექტური პროცესების შესაბამისად.

მაგრამ XX ს-ის 20-იანი წლებიდან ირანის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და პოლიტიკური ბედ-იღბალი იმგვარად წარიმართა, რომ შიიტური რელიგიის ყოვლისმომცველ ძლიერებას თანდათანობით შეერყა საფუძველი. გადამწყვეტი როლი ამ მხრივ ორმა ფაქტორმა შეასრულა: 1. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ რუსეთში და 2. ირანში დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ექსპანსიის ზრდამ.

ირანის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე შესამჩნევი ზეგავლენა მოახდინა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ და საბჭოთა რესპუბლიკასთან უშუალო მეზობლობამ. განმათავისუფლებელ და ანტიკოლონიურ მოძრაობათა იმ ახალ ეპოქას, რომელიც დიდი ოქტომბრის ზეგავლენით დაიწყო, აჰყვნენ ირანის პროგრესული საზოგადოებრივი ძალები. საბჭოთა ხელისუფლების პირველ დეკრეტებს, სამოქალაქო ომში მის ძლევამოსილ გამარჯვებას ირანის ექსპლუატირებული და კოლონიური ძარცვით სულშეხუთული მოსახლეობა აღიქვამდა როგორც დიდ პროგრესს. ფეოდალური და კლერიკალური წრეების ყველა ცდის მიუხედავად დაემალათ და დაემახინჯებინათ სოციალისტური რევოლუციის განმათავისუფლებლური ხასიათი, ამ რევოლუციის ექო მაინც აღწევდა მასებამდე და განაწყობდა მათ განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. ეს მოძრაობა კი თავისი შინაარსით უპირისპირდებოდა რელიგიურ ფანატიზმს და იწვევდა ისლამური ბურჯების რყევას. 1920—1921 წლებში ირანის სამხრეთში რევოლუციური აფეთქებანი გამოძახილი იყო რუსეთის დიდი სოციალისტური რევოლუციისა (შეიარაღებული აჯანყება თავრიზში, გილანის რესპუბლიკის შექმნა, რომელიც უშუალოდ მომდინარეობდა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან და სხვ. ოქტომბრისშემდგომი მოვლენების განვითარება ირანში ნათლად მოწმობდნენ ანტიფეოდალური და ანტიიმპერიალისტური შინაარსის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის დაწყებას. მაგრამ რევოლუციურ ძალებს იმ დროს აკლდათ ორგანიზებულობა და თანმიმდევრულობა, არ გააჩნდათ ნათელი პროგრამა და ხელმძღვანელი შტაბი. რეაქცი-

ის ძალები ახერხებდნენ სპორადულ მოძრაობათა დათრგუნვას. კლერიკალური წრეები აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციის ჩახშობაში. მთავარი დასაყრდენი კი რეაქციის ძალებისათვის იყო ინგლისის იმპერიალიზმი, რომელიც 1919 წლიდან ამ ქვეყნის ფაქტობრივი ბატონ-პატრონი გახდა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგი პერიოდის ირანის საშინაო ცხოვრება ხასიათდება დასავლეთის ქვეყნების იმპერიალისტური ექსპანსიის შემდგომი გაძლიერებით. ირანის მმართველი წრეების რეაქციულმა გარიგებამ ინგლისის მთავრობასთან (1919 წ. 9 აგვისტოს შეთანხმება) ანტირეჟიმული განწყობილება ირანში კიდევ უფრო გაალვივა. ეკონომიკურ ექსპანსიასთან ერთად თანდათან ძლიერდებოდა დასავლეთის იდეოლოგიური ზეგავლენაც. ირანის განათლებულ ფენებში იზრდებოდა რელიგიური ინდიფერენტიზმი. დამახასიათებელია ამ მხრივ რეზა შაჰის დიქტატურის ხანა. ყაჯართა დინასტიის დაცემა (1925 წ). თავისთავად მოასწავებდა კლერიკალური წრეების მარცხს. მართალია, რეზა შაჰმა პირველად ადვილად მოიგო ისლამის უმაღლეს მსახურთა გული იმით, რომ დეკლარაციაში მთავარ ამოცანად „ისლამის კანონების დაცვა" გამოაცხადა, და ამ პოლიტიკით მთავრობის დროებითი მეთაურის პოსტიდან მემკვიდრეობითი შაჰის ტახტზე გადანაცვლებაც გაიადვილა, მაგრამ შემდეგ განახორციელა რიგი ღონისძიებებისა (ქალთა ჩადრის ტარების წინააღმდეგ. სასულიერო წოდებისათვის სამოსამართლო ხელისუფლების ჩამორთმევა, სკოლების უმრავლესობის გამოცალკევება სასულიერო უწყებიდან, ვაკფური მიწათმფლობელობის შეზღუდვა და სხვ.), რომლებიც კვეცავდნენ სასულიერო წოდების პრეროგატივებს და ობიექტურად ხელს უწყობდნენ მისი გავლენის შესუსტებას, აჩქარებდნენ სეკულარიზაციის პროცესს. ამიტომაც რეზა შაჰის ამ კურსის მიმართ ისლამური ზედაფენა მტრულად იყო განწყობილი და შას მკვეთრ ოპოზიციას უქმნიდა, მაგრამ რეზა შაჰმა ისლამური ოპოზიციის დაძლევა შეძლო.

რეზა შაჰის პოლიტიკა ასახავდა მსხვილ ფეოდალ-მემამულეთა და ბურჟუაზიულ-ვაჭრული ზედაფენების ინტერესებს. მისი ღონისძიებანი მიმართული იყო შაჰის აბსოლუტიზმის განმტკიცებისაკენ, რაც რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობისადმი უსასტიკესი ანგარიშსწორების გზით ხორციელდებოდა. ირანის ძველი ძლიერების აღდგენის ეგიდით წამოწყებულ საქმეებში ყველაზე მეტად ხელს ითბობდნენ დასავლეთის იმპერიალისტური წრეები, რომლებიც ქვეყანაში არამარტო თანდათან აღწევდნენ ეკონომიკურ გაბატონებას, არამედ ირანის საგარეო პოლიტიკას თავიანთი ინტერესების სამსახურში აქცევდნენ. დასავლეთის იმპერიალისტურმა წრეებმა წააქეზეს ირანის მმართველი ზედაფენა აელო მტრული კურსი საბჭოთა ქვეყნის მიმართ და წამოეწყო აქტიური თანამშრომლობა ფაშისტურ გერმანიასთან. ჰიტლერი სარგებლობდა რა შაჰის პროიმპერიალისტური და პროფაშისტური განწყობილებით, შეეცადა ირანის რესურსები და სამხედრო-ეკონომიკური შესაძლებლობანი გამოეყენებინა ანტისაბჭოური მიზნებისათვის. ქვეყანაში გაბატონდა პოლიციური პარპაშისა და თვითნებობის სულშემხუთველი ატმოსფერო[13]. 1941 წ. ირანში ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების — საბჭოთა

[13] С. Л. Агаев, Иран в прошлом и настоящем, გვ. 101.

კავშირისა და ინგლისის ჯარების შეყვანის შემდეგ რეზა შაჰი იძულებული გახდა გადამდგარიყო. ტახტზე მის მემკვიდრეს მუხამედ რეზას არ აღმოაჩნდა მამის მონარქიული სიმტკიცე. მეჯლისში მომძლავრდა აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ოპოზიცია. მოკავშირეთა ძალების ირანიდან გაყვანის შემდეგ ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში გამწვავდა კონფლიქტური სიტუაცია მონარქისტულ და რესპუბლიკურ ძალებს შორის. ქვეყნის სათავეში მოქცეულმა პროფაშისტურმა ძალებმა ჰიტლერული გერმანიის კრახის მოლოდინში ორიენტაცია შეიცვალეს და ახალი დასაყრდენი ძალა დაინახეს ინგლისის და ამერიკის იმპერიალისტურ მმართველ წრეებში. შემთხვევითი არ იყო ასპარეზზე ინგლისელ მრჩეველთა მითითებით პირწავარდნილი რეაქციონერის სეიდ ზია ედ-დინის გამოჩენა, რომელმაც ირანის ფანატიკურ მოსახლეობაში პოპულარობის მიზნით გეზი აიღო ისლამური ტრადიციების დაცვაზე და ბრძოლა გამოუცხადა ევსტერნიზაციას. ზია ედ-დინმა მეჯლისში შემოიკრიბა რეაქციული კლერიკალური წრეები და სათავეში ჩაუდგა დემოკრატიული მოძრაობისადმი ანგარიშსწორებას. სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი კლერიკალურ-ნაციონალისტურ ორგანიზაციას „ფედაიანე ისლამს", მოლა ასკეტ ნავაზ საფავის მეთაურობით. ეს ორგანიზაცია აღვივებდა ისლამურ ფანატიზმს და ნაციონალიზმს. ზია ედ-დინის საქმიანობა პოზიციებს უმაგრებდა კავამ ეს სალტანეს მთავრობას დემოკრატიული მოძრაობის ჩახშობის ღონისძიებებში და ხელს უწყობდა ირანზე ამერიკული იმპერიალიზმის გავლენის გაძლიერებას. ირანის ეკონომიკასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ამერიკის გაბატონების პირველი ნაბიჯი გადადგა 1943 წ. „მილსპოს" მისიამ, რომელიც უნარიანად ახერხებდა მეურნეობის ფეოდალური დონის კონსერვაციის გზით ირანი ამერიკული მონოპოლიების აგრარულ-სანედლეულო დანამატად გაეხადა.

მთავრობის რეაქციული დამთრგუნველი ღონისძიებების მიუხედავად, დემოკრატიული მოძრაობა ირანში 50-იანი წლების დამდეგიდან აღმავლობით ხასიათდებოდა. მომძლავრებულმა ეროვნულმა ბურჟუაზიამ და გაბურჟუების გზაზე შემდგარმა მემამულეურმა ფენამ სწორედ დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობის გავლენით გადადგეს ნაბიჯები იმპერიალისტური კლანჭებიდან ქვეყნის გამოსახსნელად. ირანის ეროვნული ინტერესების დაცვას ემსახურებოდა ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციისათვის გაჩაღებული მოძრაობა, რომლის მოთავეებად გამოვიდნენ დოქტორი მოსადეყი და შიიტური ისლამის მესვეური აბოლყასემ ქაშანი — ბრწყინვალე ორატორი („თეირანის ბაზრის კუმირი"). თავისი ქადაგებებით ქაშანი ადვილად ახერხებდა მორწმუნენი ეგზალტაციამდე აეყვანა. მთელ უბედურებას, რაც ირანში ყველასათვის ისედაც ცხადი იყო, ქაშანი „ურწმუნო უცხოელთ" აბრალებდა, რომლებმაც დაიმონეს ირანი, ძარცვავდნენ მას და შერყვნეს რწმენა ალაჰისადმი[14]. მასების ფართო ფენებისათვის ქაშანი იყო ისლამის დემოკრატიული და ეგალიტარული პრინციპების გამომხატველი. ამ მოძრაობამ სასულიერო წრეებში ფართო პოპულარიზაცია მოიპოვა. ქაშანს გვერდით ამოუდგნენ გავლენიანი მოჯთახიდები აიათოლები ხონსარი, შახრუდი, ალიაზგარ ბორგაი, შახრესტანი და სხვ. სასულიერო წრეებში მომწიფდა

[14] Е. А. Дорошенко, Шиитское духовенство в современном Иране, М., 1975, გვ. 94.

„ურწმუნოთა" წინააღმდეგ „ჯიხადის" გამოცხადება. აქტიური ანტიდასავლური კამპანიის მოთავეებს ზურგს უმაგრებდნენ ტერორისტული ჯგუფები „ფედაიანე ისლამის" პარტიიდან და ახლად ორგანიზებული პარტია „მოჯთახედინე ისლამი", რომელიც შიიტთა ფანატიკურ წრეებს აერთიანებდა. ამ წრეებში განხორციელდა პრემიერ-მინისტრ ა. რაზმარას მკვლელობა და სხვა ტერორისტული აქტები ნავთობის საერთაშორისო კომპანიის „აინკ"-ის) მომხრეთა წინააღმდეგ[15].

ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციის პერიოდი (1951—1953 წწ) ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალიზმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლით ხასიათდებოდა. ამ ბრძოლაში ჩაბმული იყო ირანის მოსახლეობის ფართო მასები (მუშათა კლასი, წვრილი და საშუალო ბურჟუაზია, ინტელიგენცია, სტუდენტური ახალგაზრდობა). დიდმა პატრიოტულმა აღმავლობამ ჩაითრია სასულიერო წოდებაც სოფლისა და ქალაქის მოლებიდან დაწყებული მოჯთახედებისა და ულემების ჩათვლით. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში 1953 წ. აგვისტოში სასულიერო ხელისუფალნი მერყევ ლიბერალ მოსადეყს გადაუდგნენ და შაჰის მომხრეთა რიგებში ჩადგნენ. სასულიერო ზედაფენის პოლიტიკური ორიენტაციის ამ შებრუნებამ შაჰს გაუადვილა რევოლუციური ძალებისადმი ანგარიშგასწორება. მოსადეყის მთავრობის დამხობა იყო კონტრრევოლუციური გადატრიალება, რომელმაც შაჰის დიქტატურა განამტკიცა. 50-იანი წლების ამ მოძრაობაში თავისი სოციალურ-პოლიტიკური შინაარსით მრავალმნიშვნელოვანი იყო ისლამის როლი. ერთი მხრივ, იგი უპასუხებდა ირანელი ხალხის ინტერესებს, მაგრამ სასულიერო წოდება არსებითად იბრძოდა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ადრინდელი გავლენის აღდგენისათვის, შარიათის სიმტკიცეს, ყურანის დოგმების დაცვას აყენებდა წინა პლანზე, წინააღმდეგი იყო წარმომადგენლობითი ორგანოების ფუნქციების გაფართოებასა, და საბოლოოდ ხელს უწყობდა ფეოდალურ ურთიერთობათა კონსერვაციას. სასულიერო წოდება, ამასთან, ფანატიკური მტრობით იყო განმსჭვალული კომუნისტური იდეებისადმი, რომელიც ირანის ექსპლუატირებულ ფენებში, რეაქციის სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, ნელა და მტკივნეულად გზას მაინც მიიკვლევდა. ჩვენი აზრით, შეიძლება ზოგი რამ საერთო მოინახოს სასულიერო წრეების ზედაფენაში მოსადეყის პერიოდის მოძრაობასა და 70-იანი წლების მიწურულის მოძრაობას შორისაც: ორთავე შემთხვევაში ისლამის ტრადიციონალისტთა გეზი აღებული იყო ისლამური ადრინდელი გავლენის აღდგენისა და დასავლეთის იმპერიალისტური წრეების ეკონომიკური და იდეოლოგიური ექსპანსიის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, 70-იანი წლების მიწურულში სასულიერო წრეების აქტივობა გაცილებით მაღალი აღმოჩნდა და მოძრაობის საერთო-სახალხო ხასიათის პირობებში იგი გამოკვეთილი დემოკრატიზმით ხასიათდებოდა, ყოველ შემთხვევაში, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას რომ 70-იანი წლების მიწურულის სახალხო რევოლუციაში სასულიერო წოდება ეყრდნობოდა 50-იანი წლების ტრადიციებსაც.

[15] М. С. Иванов, Иран в 60—70-х годах XX века, М., 1977, გვ. 157.

ირანის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XX ს-ის 60-70-იანი წლები. 60-იანი წლების დამდეგის რევოლუციური კრიზისის დაძლევისათვის ზემოდან გატარებულმა რეფორმებმა ვერ უზრუნველყვეს ქვეყნის დამშვიდება და ნორმალური განვითარება. რეფორმების შედეგად კლასობრივ ძალთა ანტაგონიზმი ირანში კიდევ უფრო გაღრმავდა, კლასობრივმა ბრძოლამ, უფრო მწვავე და მასობრივი ხასიათი მიიღო. სწორედ სამოციანი წლების რეფორმათა წინააღმდეგობრივ ხასიათსა და ცალმხრივობაშია საძიებელი საფუძვლები იმ დიდი სახალხო რევოლუციისა, რომელმაც მოიცვა ირანი 70-იანი წლების მიწურულიდან.

რეფორმების წინა ირანი იყო მრავალი გადაულახავი წინააღმდეგობის კვანძი, რაც ქვეყანაში ფეოდალურ-მონარქიული სისტემის კონსერვაციითა და იმპერიალისტური დასავლეთისადმი ნახევრად კოლონიური დამოკიდებულებით იყო შეპირობებული. ამ ორი მჩაგვრელი ძალის წინააღმდეგ ირანელი ხალხის სოციალური პროტესტის აკუმულაცია წლების მანძილზე მძლავრ ფეთქებად ძალად გროვდებოდა და მუჰამედ რეზა შაჰის მონარქისტული რეჟიმი დამხობის რეალური საშიშროების წინაშე იდგა.

დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების, პირველ რიგში აშშ მმართველი წრეების წაქეზებითა და დახმარებით ირანის მონარქიული ხელისუფლება იძულებული შეიქმნა მიემართა რეფორმებისათვის, ამ რეფორმებს უნდა გამოეყვანა ირანი კრიზისული მდგომარეობიდან და დაწყებულიყო სწრაფი ეკონომიკური პროგრესი.

შაჰმა და მისი კურსის აქტიურმა პროპაგანდისტებმა 60-იანი წლების რეფორმებს თავისი იდეოლოგიური დასაბუთებაც წაუმძღვარეს: ამ იდეოლოგიით 60-იანი წლების რეფორმები გამოცხადებულ იქნა „თეთრ რევოლუციად", ირანის განვითარების, „უსისხლო", „საბედნიერო" და „სასწაულებრივ" გზად, „ალაჰის სასწაულად", იმ „მესამე გზად", რომელიც უცხოა როგორც კაპიტალისტური, ისე კომუნისტური სამყაროსათვის. შაჰი და მისი იდეოლოგები ირანელ ხალხს აღუთქვამდნენ, რომ რეფორმათა შედეგად ირანი უმტკივნეულოდ და უსწრაფესად გადაიქცეოდა ერთ-ერთ უძლიერეს და ყველაზე ცივილიზებულ ქვეყნად მთელს მუსლიმანურ სამყაროში[16], ხოლო მსოფლიო მასშტაბით მეხუთე სახელმწიფოდ თავისი ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალით.

60-იანი წლების იმ რეფორმებიდან, რომელსაც ქვეყნის ეს „სასწაულებრივი" გარდაქმნა უნდა მოჰყოლოდა, პირველი და ამასთან ძირითადი იყო აგრარული რეფორმა. ამ რეფორმის დანიშნულებას შეადგენდა მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის დანერგვა და აგრარულ სექტორში გლეხურ მეურნეობათა ხვედრითი წილის გადიდება. ეს უნდა გამხდარიყო ირანის სწრაფი ინდუსტრიული განვითარების საფუძველი. ამ რეფორმასთან დაკავშირებული იყო რიგი სხვა ხასიათის გარდაქმნები სოფლის მეურნეობის

---

[16] Мохаммед Реза-шах Пехлеви, Мое служение родине; его же, Белая революция, Париж, 1960; Р. Сангви, Персия — бессмертное царство, Лондон, 1971; Основы нового общества. Доклады комитета иранских ученых, Тегеран.

დარგში. აგრარული რეფორმის აუცილებლობა ირანში, მართლაც, დიდი ხანია მომწიფებული იყო და მისმა დადებითმა შედეგებმა მრავალმხრივ იჩინეს თავი. მთავარი ისაა, რომ რეფორმამ საფუძველი გამოაცალა მსხვილ ფეოდალურ მიწათმფლობელობას და გზა გაუხსნა სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებას. მაგრამ აგრარულმა რეფორმამ მაინც ვერ მოხსნა ის წინააღმდეგობანი, რომლებიც ირანის ეკონომიკის თავისუფალ განვითარებას ეღობებოდა წინ, ვერ დაამყარა ირანის სოფელში ის „სოციალური სამართლიანობა", რაზედაც ოცნებობდა ფეოდალური ექსპლუატაციით სულშეხუთული გლეხობა. რეფორმამ ვერ გადაწყვიტა სოფლის მოსახლეობის მიწით დაკმაყოფილების საკითხი, ხოლო კაპიტალისტურ ურთიერთობათა სწრაფმა განვითარებამ გააჩანაგა და პაუპერიზაციის გზაზე დააყენა წვრილმეურნეობათა უდიდესი უმრავლესობა. სოფელი სიღარიბიდან ვერც უცხოური ფირმების მონაწილეობით მსხვილი აგროსამრეწველო კომპლექსების შექმნამ გამოიყვანა, ვერც კოოპერირებამ. კოოპერატივებში თუ აგრო-სამრეწველო კომპლექსებში ჩაბმამ ვერ იხსნა გლეხობა ძველი სავაჭრო-სავახშო კაპიტალის კაბალისაგან, რადგან გამოსასყიდი მიწების მაღალი ფასი აიძულებდა მათ მევახშეთა კლანჭებში მოქცეულიყვნენ[17].

ამერიკულ მონოპოლიებს, რომელთაც შაჰის მხარდაჭერით მინიჭებული ჰქონდათ ირანის კოლონიური ძარცვის უფლება, სოფლად შეჰქონდათ სასურსათო პროდუქცია, რომელთაგან აღებული მოგება ყოველწლიურად 2 მილიარდი დოლარის რაოდენობით გადიოდა ირანიდან[18]. მიწის წვრილი მფლობელები, რომელთაც კონკურენციას უწევდა უცხოური და საექციო სასოფლო სამეურნეო კომპანიების მიერ მიღებული პროდუქცია, კოტრდებოდნენ, განიცდიდნენ „ლეგალურ ექსპროპრიაციას". ვალში ჩაფლული, შიმშილით განაწამები გლეხობა, რომელმაც ახალ ვითარებაში ვერ შეძლო მეურნეობის აწყობა და გაძლოლა, მასობრივად ტოვებდა სოფელს და ბედის საძიებლად ქალაქში გარბოდა. რეფორმიდან 10 წლის შემდეგ ქალაქად ემიგრირებულ გლეხთა საერთო რაოდენობამ 5 მილიონს გადააჭარბა. სოფლის ეს მიგრანტები ავსებდნენ ქალაქების დაბალ და საშუალო ფენათა რიგებს. მეტწილ შემთხვევაში მათ ეკავათ შუალედი რგოლი წვრილ მწარმოებელთა და ლუმპენთა შორის (პაუპერები). ტრადიციულ საყოფაცხოვრებო წყობის ნგრევა ამ ფენას განაწყობდა სოციალური პროტესტისათვის. კლასობრივად მოუმწიფებელი, მალემრწმენი, დამყოლი, ალაჰის ყოვლისშემძლეობის მიმდობი ეს მასა ჰქმნიდა ერთ-ერთ მთავარ რეზერვს ანტირეჟიმული მოძრაობისათვის. ამრიგად, აგრარული რეფორმა, რომელიც „თეთრი რევოლუციის" იდეოლოგთა მიერ ნაგულისხმები იყო საზოგადოებრივ გარდაქმნათა ეპიცენტრად, შაჰისათვის სავალალო აღმოჩნდა როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობის შედეგების თვალსაზრისით[19].

---

[17] Г. С. Чипашвили, История возникновения и развития сельскохозяйственных кооперативов в Иране и их место в системе аграрных преобразований страны, Тб., 1979.

[18] Нуреддин Киянури, Народная революция в Иране, жур. «Коммунист», 1980, № 5, გვ. 81.

[19] А. И. Демин, Проблемы капиталистического развития современной иранской деревни, В кн. Иран, проблемы экономического и социального развития, М., 1980, გვ. 167—207; С. М. Алиев, Антимонархическая и антиимпериалистическая революция в Иране, жур. «Народы Азии и Африки», 1979, № 3, გვ. 47.

აგრარულ რეფორმას მოჰყვა რეფორმები განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და ყოფაცხოვრების სფეროებში. ზედნაშენური ხასიათის ეს რეფორმები მონარქისტული ირანის მესვეურთა რწმენით შესაბამისი უნდა ყოფილიყო იმ ეკონომიკური გადახალისებისა და პროგრესისა, რასაც აგრარული რეფორმა და ქვეყნის სამრეწველო-კაპიტალისტური წინსვლა ითვალისწინებდა. ამავე შინაარსს გულისხმობდა ქალის უფლებრივი მდგომარეობის შეცვლა, რაც ირანის საუკუნებრივ ტრადიციებს არღვევდა და გზას უხსნიდა მას ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ირანის შაჰის რეფორმები, რომლის მიღებასა და გატარებაში უხვად იყო გამოყენებული „მათრახისა და ნამცხვრის" მეთოდები და მემარჯვენე და მემარცხენე ოპოზიციური ძალების მიმართ ლავირების პოლიტიკა, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შეფასებულია როგორც თანამედროვე მოდიფიკაცია ბონაპარტისტული გადატრიალებისა. 1953 წ. გადატრიალებისაგან განსხვავებით იგი ხორციელდებოდა პარლამენტს გარეშე, მაგრამ პლებისციტური მეთოდით, რამაც უზრუნველყო მაინც რევოლუციურ აფეთქებათა დროებითი პარალიზება, ეს რეფორმები ობიექტური შედეგებით პროგრესული იყო. საბოლოოდ მან არა თუ შეასუსტა, არამედ კიდევ უფრო გააღრმავა სოციალური წინააღმდეგობანი ქვეყანაში და წარმოშვა ახალი ძალები, რომლებიც ირანის მონარქისტულ რეჟიმს დაუპირისპირებდნენ და თვალსაჩინო როლი შეასრულეს მისი დამხობისათვის ბრძოლაში.

60-იანი წლების აგრარულმა რეფორმამ შელახა სასულიერო წოდების ინტერესები. იგი შეეხო ვაკფურ მიწათმფლობელობას, სასულიერო წოდების ეკონომიკურ დასაყრდენს. საქმე ის არის, რომ შიიტურ ღვთისმეტყველთა ელიტარული ფენა ძველთაგანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფეოდალურ არისტოკრატიასთან, რომლის ბატონობა ამ რეფორმით ძირფესვიანად შეირყა. აგრარულმა რეფორმამ გადააქცია რა მოიჯარადრე გლეხი მესაკუთრედ, გამოიყვანა იგი ფეოდალის დამოკიდებულებიდან. ფეოდალურთან ერთად ვაკფური მიწათმფლობელობის ექსპროპრიაციით სასულიერო წოდებას ხელიდან გამოეცალა უზრუნველი შემოსავალი, შეირყა სოფლად მისი ძლიერება. ბუნებრივია, რეფორმის მზადების პერიოდში სასულიერო წოდება, განსაკუთრებით მისი ზედაფენა აჩოჩქოლდა. მეჯლისში თუ რეფერენდუმის დროს იგი წინააღმდეგობას უწევდა რეფორმის დაკანონებას. ეს ბრძოლა კიდევ უფრო თანმიმდევრული და შეუპოვარი გახდა, როცა რეფორმამ კანონის ხასიათი მიიღო და დაიწყო მისი ეტაპობრივი განხორციელება.

შიიტურ სასულიერო წოდებას შაჰის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებას უძლიერებდა მომდევნო რეფორმებიც. ამიერიდან წარსულს უნდა ჩაბარებოდა შიიტური დოგმატური ისლამის ტრადიციები, რომელიც სასულიერო და საერო ხელისუფლების განუყოფლობას გულისხმობდა, მისი სოციალური ფუნქციის ყოვლისმომცველობას აკანონებდა. ისლამი, თუ კი შაჰის რეფორმები განხორციელდებოდა, უნდა გამოთხოვებოდა თავის შეუვალ ბატონობას.

ეს რეფორმები ჯერ კიდევ დღის წესრიგში იდგა, როცა დიდი აიათოლა ბორუჯედი, რომელიც მანამ თითქმის არ ერეოდა სახელმწიფო პოლიტიკაში, გამოვიდა მკვეთრი განცხადებებით აგრარული რეფორმის წინააღმდეგ. მეჯ-

ლისში წარდგენილი აგრარული კანონი ეწინააღმდეგება ისლამის სულისკვეთებას და ირანის კონსტიტუციასო — მიუთითებდა ეს განცხადება. მეჯლისის დეპუტატებს ბორუჯედი მოუწოდებდა აემაღლებინათ ხმა ამ ანტიისლამური და ანტიეროვნული კანონის წინააღმდეგ.. ბორუჯედის გამოკვეთილმა პოზიციამ მეტი სითამამე შესძინა შიიტურ ზედაფენას. ისლამურ დაწესებულებებში დაიწყო ანტირეფორმული პროპაგანდა. მეჩეთებში, სასულიერო სასწავლებელთა კათედრებზე იმართებოდა დისპუტები. სადაც მქადაგებელნი მორწმუნეთა საჯარო დასწრებით რელიგიურ საკითხთან ერთად იხილავდნენ მთავრობის კურსს.

სასულიერო წინამძღოლნი გმობდნენ შაჰის პოლიტიკას არა მარტო რეფორმებთან დაკავშირებით, არამედ იმპერიალისტური დასავლეთის წინაშე ქედმოხრისა და ირანის ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის გაბატონების, დასავლური ჩვევებისათვის გზების გახსნისა და ისლამური ტრადიციების შერყვნისათვის[20]. აგრარული რეფორმის დაკანონებას ბორუჯედი აღარ მოსწრებია, იგი 1962 წ. გარდაიცვალა, მაგრამ მისი ხაზი გააგრძელეს და ანტირეფორმისტული მოძრაობის სათავეში აღმოჩნდნენ ირანში დიდად პოპულარული ისლამური ღვთისმეტყველები — აიათოლა ბეხბეხანი, აიათოლა ხომეინი, მოჯთეხიდები და სხვა მრავალი სასულიერო ლიდერები. დიდი რეზონანსი ჰქონდა გაფიცვას, რომელიც სასულიერო პირთა მეთაურობით ჩატარდა თეირანის ბაზარში 1962 წ. დეკემბერში და დიდ საქალაქო დემონსტაციას, რომელიც, აგრეთვე სასულიერო პირთა მეთაურობით მოეწყო.

რეფორმების განხორციელების კვალდაკვალ სასულიერო წოდების ცრტვინვა და ანტიშაჰური აქტივობა თანდათან ძლიერდებოდა. მეჩეთებში მოლები მორწმუნეთ უქადაგებდნენ, რომ ირღვევა ისლამის ძალა და მასთან ერთად ქვეყნის ძლიერება, ძირი ეთხრება მის დამოუკიდებლობას. ხალხის ყოფაში იჭრება დასავლური გარყვნილება, რომ შაჰს ქვეყანა დაღუპვის გზით მიჰყავს, ბორუჯედის მიმართვას მოლები ანიჭებდნენ ისლამური ფეტვის მნიშვნელობას და მოუწოდებდნენ მორწმუნეთ ამდგარიყვნენ რწმენისა და სამშობლოს დასაცავად. განსაკუთრებით ფართო ხასიათი ისლამურმა მოძრაობამ მიიღო 1963 წ. (ივნისში „აშურას", დღეებში). მის ცენტრად იქცა ქ. ყუმი, სადაც აიათოლა ხომეინის ქადაგებებმა სასულიერო მოძღვართა და მორწმუნეთა ფართო მასა აიყოლია.

ანტიშაჰური რელიგიური მოძრაობა მალე გასცდა თეირანისა და ყუმის ფარგლებს. მან მთელი ირანი მოიცვა. განსაკუთრებული სიძლიერით ხასიათდებოდა იგი მეშჰედში, შირაზში, ისფაჰანში, თავრიზს და სხვა ქალაქებში. სამგლოვიარო დღეები პოლიტიკურ დემონსტრაციაში გადაიზარდა. ბევრგან მთავრობის ჯარებსა და რელიგიურ ძალებს შორის შეიარაღებული შეტაკებები მოხდა. მთავრობამ დემონსტრაციათა წინააღმდეგ ტანკებიც გამოიყენა. გაძლიერდა რეპრესიები. შაჰის ხელისუფლებამ დააპატიმრა რელიგიური გამოსვლების მრავალი მოთავე და აქტიური მონაწილე, მათ შორის აიათოლა ხომეინი და მოჯთეხიდები.

1963 წ. მოვლენებმა სასულიერო წოდებასა და შაჰს შორის დამოკიდებულება იმდენად გაამწვავა, რომ ისინი საბოლოოდ ერთმანეთის დაუძინე-

[20] Ислам в истории народов Востока, М., 1981, გვ. 78.

ბელ მტრებად გადააქცია. შაჰს კარგად ესმოდა, რომ ქვეყანაში ისლამური რელიგიის გავლენა უდიდესი იყო, ამიტომ იგი ისლამურ მესვეურებთან მტრულ დამოკიდებულებას ხატავდა როგორც ირანის ჭეშმარიტი ინტერესების წინააღმდეგ მებრძოლ ცალკეული პირების ამლაგმველ ღონისძიებას, ხოლო „დიდი ცივილიზაციისაკენ" მიმართულ რეფორმებს წარმოადგენდა როგორც ისლამური სულისკვეთების ახალ აღორძინებას.

შაჰი ძალებს არ ზოგავდა იმის დასამტკიცებლად, რომ რეფორმები ისლამური რელიგიის საფუძვლების განმტკიცებას ემსახურება და თავად იგი ჭეშმარიტი მუსლიმანია, მისი ძლიერებისათვის თავგამოდებული მებრძოლია. სიტყვა რომ საქმით შეემაგრებინა, შაჰი თანხებს არ იშურებდა ისლამური წმინდა ადგილების განახლებისა და გამშვენიერებისათვის, სისტემატურად მიმართავდა მომლოცველობას, უყოფდა დიდძალ თანხებს შიიტურ დაწესებულებებს, სასულიერო წოდებისათვის როგორც ირანში, ისე მის გარეთ შეჰქონდა დიდძალი შეწირულებანი. ამასთან საიდუმლო პოლიციის (სავაკის) საშუალებით ნელა და ფარული გზით ანადგურებდა ოპოზიციურ საერო და სასულიერო ძალებს.

60-იანი წლების მეორე ნახევრიდან შაჰმა თითქმის მიაღწია ირანში რელიგიური მოძრაობის საჯარო კერების ჩახშობას, მაგრამ რელიგიურ ძალებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. ისლამური სულისკვეთება ვლინდებოდა იმ მასობრივ გამოსვლებში, რომელიც ირანის ხან ერთ, ხან მეორე ქალაქში იფეთქებდა. რელიგიური სულისკვეთება მეტი და მეტი სიძლიერით ვლინდებოდა მუშათა, ქალაქის წვრილბურჟუაზიული ფენების, პაუპერების, ინტელიგენციის გამოსვლებში. აქტიურად მოქმედებდა ანტიშაჰური მოძრაობის საზღვარგარეთული ცენტრი, რომელსაც ემიგრანტი აიათოლა ხომეინი მეთაურობდა. ისლამური ტერორისტული ორგანიზაციები ხშირად აწყობდნენ თავდასხმას შაჰის მოხელეებზე.

ამრიგად, 60—70-იან წლებში მიმდინარეობდა რელიგიური ძალების მძლავრი აკუმულაცია, რომელმაც შემდეგ 70-იანი წლების მიწურულში ერთბაშად გამოავლინა თავისი თავი და სასულიერო წოდება ანტიმონარქისტული სახალხო რევოლუციის ორგანიზატორად წამოატივტივა.

П. А. СУРГУЛАДЗЕ

# РОЛЬ ШИИТСКОГО ИСЛАМА В ГОСУДАРСТВЕННОЙ И ОБЩЕСТВЕННОЙ ЖИЗНИ ИРАНА В КАНУН АНТИМОНАРХИЧЕСКОЙ РЕВОЛЮЦИИ
## (60—70 гг. XX в.)

Резюме

В общественно-политической жизни Ирана ислам со времени провозглашения его государственной религией занимал ведущее место, а крупные религиозные деятели составляли часть правящих классов. Но в отдельные периоды истории, когда баланс религиозных и светских сил нарушался, когда шахский двор пытался лишить крупное духовенство его могущества, исламские деятели начинали борьбу за восстанов-

ление своих позиций и в этой борьбе пользовались массовыми движениями.

В 60—70 гг. XX в. против политики шаха Мухаммеда Реза Пехлеви, защищавшего в Иране интересы запада и, в первую очередь, американского империализма, постепенно сплачивались общественные силы Ирана — пауперизованные крестьянство, рабочий класс, огромная армия мелких предпринимателей, торговцев и чиновников (традиционный городской «средний слой»), интеллигенция. Антиимпериалистическое движение в Иране, несмотря на репрессии шаха, постепенно приобрело характер всенародного национально-освободительного движения, в котором активную и на решающем этапе организующую роль сыграли служители шиитского ислама.

წარმოადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ისტორიის კათედრამ

მერი ინაძე

# ჰერაკლიდეს „ფასისელთა პოლიტიის“ განმარტებისათვის

ანტიკური მწერლობიდან შემორჩენილ ცნობათა შორის ძველი კოლხეთის ქალაქ ფასისის რაობის, მისი თავისებურების გასარკვევად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფრაგმენტს „ფასისელთა პოლიტიიდან“ ანუ „სახელმწიფო წყობილებიდან“, რომელიც ჩვენამდე ჰერაკლიდეს სახელით არის მოღწეული[1]. ფრაგმენტში ვკითხულობთ:

XVIII. Φασιανῶν.

Φᾶσιν τὸ ἐξ ἀρχῆς Ἡνίοχοι κατῴκουν, φῦλον ἀνθρωποφάγον καὶ ἐκδεῖρον τοὺς ἀνθρώπους, ἔπειτα Μιλήσιοι. Φιλόξενοι δ'εἰσίν, ὥστε τοὺς ναυαγοὺς ἐφοδιάζειν καὶ τρεῖς μνᾶς διδόντας ἀποπλεῖν".

. XVIII. ფასისელთა (სახელმწიფო წყობილება).

„ფასისში თავდაპირველად ჰენიოხები ცხოვრობდნენ, კაციჭამია და ადამიანთა ტყავის გამხდელი ტომი. შემდეგ კი მილეტელები. ხოლო ესენი სტუმართმოყვარენი არიან, ისე რომ ამარაგებენ მათ, ვისაც გემები ეღუპებათ, ესენი კი სამ მნას აძლევენ (მილეტელებს) და ზღვითვე მიემგზავრებიან“[2].

---

[1] ჰერაკლიდეს ვინაობა არ არის დადგენილი. სხვადასხვა მოსაზრება იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეს ჰერაკლიდე, იხ. В. Бузескул, Введение в историю Греции, Харьков, 1904, გვ. 206, შენ. 1. სადღეისოდ დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ პოლიტიების დამუშავების თარიღი ძვ. წ. IV-ის შემდგომ ხანას უნდა განეკუთვნებოდეს (თ. ყაუხჩიშვილი, ჰერაკლიდე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, „აღმოსავლური ფილოლოგია“, I, 1969. გვ. 189—191).

[2] თარგმანი ეკუთვნის თ. ყაუხჩიშვილს (დასახ ნაშრ., გვ. 194—195; იხ. მისივე, კავკასიის ტომების საკითხისათვის ანტიკური წყაროების მიხედვით. 2. ჰენიოხები, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1980, № 4, გვ. 60). ხელნაწერებში ფრაგმენტის დასაწყისში ქალაქ ფასისის აღმნიშვნელი სიტყვა „*Φᾶσιν*“ მოცემულია ფორმით „*φασὶν*“. რაც ნიშნავს „ამბობენ“. ამან საფუძველი მისცა ზოგიერთ მკვლევარს ეჭვი გამოეთქვა იმის შესახებ, რომ ზემოთ მოტანილ ფრაგმენტს არაფერი აქვს საერთო ქ. ფასისთან (იხ. Н. Ю. Ломоури Выступления по проблемам греческой колонизации Восточного Причерноморья: Проблемы греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья, Тб., 1979, გვ. 384), მაგრამ, საქმე ის არის, რომ ტექსტის ყველა გამომცემელი ფრაგმენტის ამ ადგილას წერს ქალაქ ფასისის სახელს —„*Φᾶσιν*“, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, ვის სახელმწიფო წყობილებაზეა ლაპარაკი; ამასთან საჭირო იქნებოდა კიდევ ქალაქის აღნიშვნა. ფრაგმენტის ქ. ფასისისადმი კუთვნილების მიმართ სკეპტიკურად განწყობილ მკვლევართა შემდეგი არგუმენტი არის ის, რომ არსად სხვა წყაროებში ჰენიოხები არ იხსენიებიან მდ. ფასისის შესართავის მახლობლად (Выступления..., 384 და შემდ.). მართლაც, „ფასისელთა პოლიტიის“ ფრაგმენტში ჰენიოხთა განსახლების შესახებ არსებული ცნობის წარმომავლობისა და უტყუარობის საკითხი შემდგომ შესწავლას საჭიროებს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ

თუ გავითვალისწინებთ ძველი კოლხეთის ისტორიის ზემოდასახელებულ პრობლემასთან დაკავშირებით ჩვენ ხელთ არსებულ წერილობით წყაროთა არაჩვეულებრივ სიმცირეს, სავსებით გასაგები გახდება ის დაუცხრომელი ინტერესი, რომელსაც ჰერაკლიდეს სახელით მოღწეული „ფასისელთა პოლიტიის“ ეს მცირე ფრაგმენტი იწვევდა და დღესაც იწვევს საქართველოს ძველი ქალაქების მკვლევართა შორის.

მოტანილი ფრაგმენტი პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში მ. ბერძნიშვილმა გამოიყენა თავის ნაშრომში, რომელიც საგანგებოდ ქ. ფასისის წარსულის შესწავლას მიუძღვნა. ამ ფრაგმენტის საფუძველზე მანვე პირველმა მიაქცია ყურადღება ფასისელთა პოლიტიკური წყობილების დაწერის ფაქტის მნიშვნელობას და გამოთქვა მოსაზრება, რომ ფასისელები... ცალკე სახელმწიფო“ უნდა ყოფილიყოო[3].

„ფასისელთა პოლიტიის“ შემდგომ შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა თ. ყაუხჩიშვილმა. საფუძვლიანმა წყაროთმცოდნეობითმა კვლევა-ძიებამ, ჰერაკლიდეს სახელით ცნობილი სხვა პოლიტიების განხილვის შედეგების გათვალისწინებით[4], მკვლევარი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ისევე როგორც ჰერაკლიდეს სახელით მოღწეული მთელი რიგი სხვა პოლიტიები, „ფასისელთა პოლიტიის“ ავტორიც უნდა ყოფილიყო არისტოტელე, ან მისი რომელიმე უახლოესი მოწაფე[5]. ამ ფაქტის დადგენამ, თავისთავად ცხადია, დიდად გაზარდა „ფასისელთა პოლიტიის“ ფრაგმენტში დაცული ცნობების მეცნიერული ღირებულება, მეტი მნიშვნელობა მიანიჭა იმ დასკვნებსაც, რომლებიც ამ პოლიტიის დაწერის ფაქტიდან გამომდინარეობს.

კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების პრობლემის დამუშავების დროს ჰერაკლიდეს „ფასისელთა პოლიტიის“ ფრაგმენტმა ჩვენი ყურადღებაც მიიქცია. ფრაგმენტის ანალიზმა, წინამორბედ მკვლევართა მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგების გათვალისწინებით, ჩვენ მოგვცა საფუძველი გამოგვეთქვა მოსაზრება, რომ ფრაგმენტში შემორჩენილი ზოგიერთი ფანტასტიკური და ნახევრადლეგენდარული მონაცემის მიუხედავად, იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან საისტორიო წყაროს კოლხეთის სანაპირო ქალაქების ბუნების შესასწავლად, რადგან თავისთავად ფაქტი არისტოტელეს მიერ „ფასისელთა პოლიტიის“ დაწერისა გულისხმობს ამ ქალაქში გარკვეული თვითმმართველობის ორგანიზაციის არსებობას[6]. აქვე ჩვენ იმასაც შევნიშნავდით, რომ ეს ფაქტი „არ გამორიცხავს ამ ქალაქის თავისებურ ხასიათს, როგორც ეთნიკური შემადგენლობის, ასევე პოლიტიკური ორგანიზაციის თვალსაზრისით, რადგან არის-

---

ფრაგმენტის დანარჩენი ნაწილი ქ. ფასისის სახელმწიფო წყობილებას არ ეხება და აქ ამ წყობილები შესახებ არ არის ლაპარაკი. წინამდებარე წერილში ჩვენი საგანგებო კვლევის საგანს ფრაგმენტისს სწორედ ამ ბოლო ნაწილის რეალურ-ისტორიული შინაარსის განმარტება წარმოადგენს.

[3] მ. ბერძნიშვილი, ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969, გვ. 127.

[4] უახლესი ნაშრომი ამის შესახებ არის А. И. Доватур, Политика и Политии Аристотеля, М., 1965.

[5] თ. ყაუხჩიშვილი, ჰერაკლიდე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 191.

[6] მ. ინაძე, არისტოტელეს „ფასისელთა პოლიტია“ და ქალაქ ფასისის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1967, გვ. 10, 11; М. П. Инадзе, Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1969, გვ. 63—67.

ტოტელეს ინტერესთა სფეროში შედიოდა არა მარტო წმინდა ბერძნული პოლისების შესწავლა, არამედ პერიფერიებზე მდებარე ქალაქებისა ბერძნული და ადგილობრივი მოსახლეობით, რომელთა საქალაქო წყობა გარკვეულ თავისებურებას ამჟღავნებდა"[7].

მართალია, დღესდღეობით საკითხი კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიების პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმების შესახებ ჯერ კიდევ ერთ-ერთ რთულ, სადავო და ძნელად გადასაჭრელ საკითხად რჩება ჩვენს ისტორიოგრაფიაში, მაგრამ ის მოსაზრება, რომ „ფასისელთა პოლიტიის" დაწერის ფაქტი მოასწავებს ფასისში რაღაც თვითმმართველობის ორგანიზაციის არსებობას, ამჟამად აღიარებულია მკვლევართა უმრავლესობის მიერ. მიღებულად ითვლება ისიც, რომ ქ. ფასისის წყობილებას გარკვეული თავისებურებანიც ახასიათებდა. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი მკვლევარი (ი. ბრაშინსკი, ო. ლორთქიფანიძე და სხვ.), ქ. ფასისის სახელმწიფო წყობილების დაწერას არისტოტელეს ან მისი მოწაფის მიერ ამ წყობილებისათვის დამახასიათებელი თავისებურებით ხსნის და მას უკავშირებს. სახელდობრ, ი. ბრაშინსკი წერს: «Едва ли может быть случайным упоминание в источниках, восходящее очевидно к Аристотелю, «Политии» фасиан, под которым, с моей точки зрения, безусловно, следует понимать граждан Фасиса. И можно полагать, что описание этой «Политии» объяснялось именно тем, что она обладала какими-то особенностями»[8]...

ანალოგიური აზრია გატარებული ოთ. ლორთქიფანიძის მონოგრაფიაშიც «Древняя Колхида, Миф и археология»: «Несмотря на фрагментарность, а частично и легендарный характер (сведения о гениохах), данный эксцерпт Гераклида дает основание для некоторых заключений. В первую очередь, он свидетельствует не только о наличии определенной организации самоуправления города, но и о каком-то его своеобразии, и, несомненно, значительности, привлекшей чем-то (с неизвестной нам точки зрения) внимание Аристотеля, в труде которого был описан государственный строй таких знаменитых городов-государств, как Афины, Спарта... и т. д.»[9]

ასეთივე დასკვნის გაკეთება შეიძლება თ. ყაუხჩიშვილის მსჯელობიდან. იგი შენიშნავს: „არისტოტელემ სხვა „პოლიტიათა" შორის დაწერა „ფასისელთა პოლიტიაც" იმიტომ, რომ მის დროს ფასისი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო და მისი მმართველობის ტიპი საინტერესო იყო არისტოტელესათვის... ყველა ქალაქის „პოლიტია" რომ ერთნაირი ყოფილიყო, არისტოტელე მათ შესახებ ცალ-ცალკე არ დასწერდა"[10].

ამის შემდეგ ჩვენს წინაშე დგება საკითხი — რაში უნდა მდგომარეობდეს ქ. ფასისის თვითმმართველობის ორგანიზაციის თავისებურება და ასახა თუ არა იგი ჰერაკლიდეს სახელით მოღწეულ ფრაგმენტში?

---

[7] მ. ინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10, 11.

[8] И. Б. Брашинский, Выступления по проблемам греческой колонизации Восточного Причерноморья, კრებულში: Проблемы греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья, გვ. 371.

[9] О. Д. Лордкипанидзе, Древняя Колхида, Миф и археология, Тб., 1979, გვ. 112.

[10] თ. ყაუხჩიშვილი, ახალი გამოკვლევა კოლხეთის ქალაქთა შესახებ, „მნათობი", 1970, № 1, გვ. 190.

სამწუხაროდ, ამ კითხვას სადღეისოდ ვერავინ სცემს პასუხს. ჩემი წინასწარი ვარაუდით, რომელიც ადრე გამოვთქვი, ეს თავისებურება უპირველეს ყოვლისა განაპირობა თვით ქალაქ ფასისის მოსახლეობის შემადგენლობამ, აქ მოახალშენეებთან ერთად ადგილობრივ მკვიდრთა არსებობამ, რის შედეგად საბოლოოდ ჩამოყალიბდა ბერძნულ—ადგილობრივ მოქალაქეთა თემი თავისებური თვითმმართველობს ორგანიზაციით, რომელშიც შერწყმული იყო ბერძნული და ადგილობრივი წყობილების ელემენტები, საზოგადოების მაორგანიზებელი წესები, ფასისში მოქმედი კანონები (ზღვაოსნობისა და საერთაშორისო ვაჭრობის მოწესრიგების მიზნით აქ გამომუშავებული დადგენილებები, სამართლებრივი ნორმები)[11].

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ჩემი ეს მოსაზრება მხოლოდ წინასწარი ვარაუდი იყო, კოლხეთის სანაპირო ქალაქების თვითმმართველობის შესახებ გამოთქმული, კონკრეტულად კი ამ მმართველობის თავისებურების რაიმე ნიშნებს ჰერაკლიდეს სახელით მოღწეულ „ფასისელთა პოლიტიაში“ მე ვერ შევნიშნავდი[12].

საერთოდ უნდა ითქვას, რომ თუ კი თავიდანვე ფასისის თვითმმართველობის ორგანიზაციისათვის დამახასიათებელმა თავისებურებამ ჰოვა ასახვა არისტოტელეს, ან მისი უახლოესი მოწაფის მიერ შედგენილ „ფასისელთა პოლიტიაში“, მისი ნიშნები უპირველეს ყოვლისა უნდა ასახულიყო ამ ნაწარმოების სისტემატურ ნაწილში, რადგან დადგენილია, რომ პოლიტიების სწორედ ამ ნაწილში იყო თავმოყრილი არისტოტელეს თანადროული დიდი და მრავალფეროვანი ფაქტობრივი მასალა ამა თუ იმ ქალაქის სახელმწიფო წყობილების შესახებ[13]. აქედან გამომდინარე მე ვვარაუდობდი, რომ „ფასისელთა პოლიტიის“ სისტემატურ ნაწილშიც საყურადღებო მონაცემები უნდა ყოფილიყო შეტანილი არისტოტელეს დროინდელი ფასისის საქალაქო ორგანიზაციის შესახებ, მაგრამ დროთა განმავლობაში მერმინდელ ავტორთა ხელში ამ ცნობებმა დიდი ცვლილება განიცადეს[14].

ფასისელთა პოლიტიის სისტემატური ნაწილიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ორმა მნიშვნელოვანმა დეტალმა, ერთია ცნობა გემდაღუპულთა მომარაგების შესახებ შემდგომი მგზავრობისათვის საჭირო სახსრებით და მეორე სამ მნაზე, რომელსაც ზემომოტანილი ქართული თარგმანის მიხედვით გემ-

---

[11] М. П. Инадзе, О некоторой специфике греческой колонизации Восточного Причерноморья. კრებულში: «Проблемы греческой колонизации». გვ. 280—291; ее же. Причерноморские города древней Колхиды, გვ. 63—65.

[12] თ. ყაუხჩიშვილი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „საერთოდ არ ჩანს სრულებით, რანაირი იყო ის საქალაქო ორგანიზაცია, რომელიც ფასისს ჰქონდა“ (თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ახალი გამოკვლევა კოლხეთის ქალაქთა შესახებ, გვ. 190.)

[13] А. Доватур, დასახ. ნაშრომი, გვ. 65, 66. პოლიტიები იყოფოდა ისტორიულ და სისტემატურ ნაწილებად. პირველში, ჩვეულებრივ, მოკლედ იყო გადმოცემული ქალაქის ისტორიული წარსული, მეორე კი შეიცავდა ქალაქის პოლიტიკური წყობილების აღწერილობას (იხ. М. П. Инадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 63, 64).

[14] М. П. Инадзе, Причерноморские города древней Колхиды, გვ. 66, 67, საერთოდ, არისტოტელეს პოლიტიების სისტემატური ნაწილიდან გაცილებით ნაკლები ცნობებია შემორჩენილი, ვიდრე ისტორიული ნაკვეთიდან. შეიძლება ითქვას, რომ ის ძირითადი და არსებითი, რაც დამახასიათებელი იყო სისტემატური ნაწილებისათვის პოლიტიათა უმრავლესობიდან თითქმის არ შემოინახა (М. П. Инадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 66, 67.

დაღუპულები აძლევენ მილეტელებს. სწორედ ეს ორი დეტალი (რომლებიც გადარჩენილია „ფასისელთა პოლიტიიდან“), ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ ამ პოლიტიის სისტემატური ნაწილის დაწერის დროს მისი შემდგენელი ემყარებოდა არა რაღაც ზოგად გადმოცემებს, არამედ სავსებით კონკრეტულ მონაცემებს, ინფორმაციას მის დროს ქ. ფასისში არსებული წესების შესახებ და ამდენად, ეს ცნობები გარკვეული რეალურ-ისტორიული ვითარების ამსახველნი უნდა იყვნენ.

ასეთი დასკვნისაკენ მივყევართ აღნიშნული ცნობების შემდგომ კვლევაძიებასაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ჰერაკლიდეს სახელით მოღწეული „ფასისელთა პოლიტიის“ ბოლო ნაწილი, რომელშიც ეს ცნობებია დაცული, აზრობრივად ძალიან ძნელი გასაგებია ბერძნული ტექსტის ფრაგმენტულობის გამო.

მკვლევარნი, რომლებიც ადრე მუშაობდნენ „ფასისელთა პოლიტიის“ თარგმანზე, ფრაგმენტის ბოლო ნაწილს თარგმნიდნენ ისე თითქოს მილეტელები არა მარტო ამარაგებენ საჭირო სახსრებით გემდაღუპულებს, არამედ გამგზავრებისას მათ კიდევ სამ მნას აძლევენ და ისე ისტუმრებენ.

ფრაგმენტის ბოლო ნაწილის ასეთი ინტერპრეტაცია მოცემული აქვს SC-ს ცნობილ გამომცემელს ვ. ლატიშევსაც: «Они (милетяне) до того гостеприимны, что снабжают потерпевших кораблекрушение и при отправлении в путь дают им по три мины»[15].

SC-ის გამოცემის შემდეგ ყველა მკვლევარს, ვინც კი იყენებდა „ფასისელთა პოლიტიას“, როგორც წყაროს, მისი ბოლო ნაწილი (სამი მნის შესახებ) ესმოდა ისე, როგორც ეს თარგმნა ვ. ლატიშევმა. მაგალითად, მ. ბერძნიშვილი, რომელიც ლატიშევისეული თარგმანით სარგებლობდა, თავის ნაშრომში აღნიშნავდა: ქალაქი ფაზისი „აძლევს... სახსარს, ამარაგებს რითაც საჭიროა დაზარალებულებს, ხოლო გამგზავრებისას თითოს თან ატანს სამ-სამ მნას ფულად. ეს უკანასკნელი შტრიხი მნიშვნელოვანია. ჩანს, ფაზისეული ბერძნები საკმაოდ შეძლებულნი ყოფილან, რომ ასეთ ფულად დახმარებას აძლევდნენ გემდამსხვრეულებს (დაახლოებით 70—73 მან. რაოდენობით)“[16].

ამ ათიოდე წლის წინ ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტი მის წინამორბედ მკვლევართაგან სრულიად განსხვავებულად თარგმნა თ. ყაუხჩიშვილმა. ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ მთლიანად მისი თარგმანი „ფასისელთა პოლიტიის“ ფრაგმენტისა. ეხლა კი საგანგებოდ შევჩერდებით მის ბოლო ნაწილზე. როგორც დავინახეთ თ. ყაუხჩიშვილის თარგმანის მიხედვით ფრაგმენტის ბოლო ნაწილი შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: მილეტელები არიან სტუმართმოყვარენი. ისინი ამარაგებენ მათ ვისაც ხომალდები ეღუპებათ, ხოლო თავის მხრივ ესენი (გემდაღუპულები) სამ მნას უხდიან (მილეტელებს) და ისე ვანაგრძობენ მოგზაურობას. თ. ყაუხჩიშვილი კომენტარებში დასძენს, რომ მისი თარგმანი, რომელიც დიამეტრალურად განსხვავდება ყველა სხვა თარგმანისაგან, მარ-

---

[15] В. В. Латышев, SC, I, СПб, 1900, გვ. 447. ანალოგიურად აქვს გაგებული „ფასისელთა პოლიტიის“ ფრაგმენტის ზემოთ მოტანილი ადგილი ტექსტის ინგლისურად მთარგმნელს M. R. Dilts-ს:... Milesians... are hospitable so that they furnish victims of shipwreck with supplies, give them three minas, and send them off» (Heraclidis Lembi Excerpta Politiarum, ed. and transl. by M. K. Dilts, Durham, 1971, გვ. 28).

[16] მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

თალია, აზრობრივად ნაკლებად გასაგებია, ვიდრე ზემოთ მოყვანილი რუსული ან ინგლისური თარგმანი, მაგრამ ტექსტი, რომელიც ხელნაწერებშია და რასაც გამომცემლებიც იმეორებენ, გრამატიკულად შეიძლება ითარგმნოს მხოლოდ ისე, როგორც მას აქვს წარმოდგენილი[17].

კერძოდ, არსებული ბერძნული ტესქტის თანახმად გადამხდელნი ფულისა (3 მნისა) შეიძლება იყვნენ მხოლოდ ისინი, ვისაც დაეღუპათ ხომალდი (ναυαγούς) და არა სტუმართმოყვარე მილეტელები (φιλόξενοι), რადგან ერთადერთი სწორი გაგება ტექსტში მოყვანილი ზმნის ფორმისა διδόντας (ac. pl.-ში) არის ის, რომ ის დაუკავშიროთ ναυαγούς, რომელიც ასევე ac. pl-შია და არა φιλόξενοι-ს, რომელიც არის nom. pl-ში[18]. თუ ვინმეს სურს მოტანილი ადგილის სხვაგვარი თარგმნა, მაშინ მან გარკვეული ცვლილება უნდა შეიტანოს თვით ბერძნულ ტექსტში (ჩაურთოს დამხმარე ზმნა, შესცვალოს არსებითი სახელისა და მიმღეობის ბრუნვის ნიშნები და სხვა), რაც თავისთავად არ არის სასურველი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თ. ყაუხჩიშვილის მიერ შესრულებული თარგმანი „ფასისელთა პოლიტიის“ ფრაგმენტისა და მისი ინტერპრეტაცია არ იქნა გაზიარებული ზოგიერთი სპეციალისტის მიერ. მაგალითად, ი. ვ. ვინოგრადოვი შენიშნავდა: «Предполагаемый перевод имеет ряд логических и грамматических противоречий»[19]. ერთ-ერთ ლოგიკურ წინააღმდეგობად ი. გ. ვინოგრადოვი მიიჩნევს იმას, რომ «откуда человек, у которого погиб карабль со всеми средствами, мог взять три мины в чужом городе»[20] და სხვა ამგვარი, ხოლო რაც შეეხება გრამატიკულ წინააღმდეგობას, რომელიც თითქოს დაშვებულია თ. ყაუხჩიშვილის თარგმანში, მისი თავიდან აცილების მიზნით ი. ვინოგრადოვი გვთავაზობს (მკვლევარ პოდოსინოვის) კონიექტურას, რომლის მიხედვით ბერძნულ ტექსტში καί-ს შემდეგ უნდა ჩაემატოს ἐᾶν — (inf. ზმნიდან „ἐάω“ „ნებას ვრთავ“ „ვუშვებ“), რომელიც თითქოს გადამწერის მიერ უნდა იყოს შეცდომით გამოტოვებული; მაშინ διδόντας კარგად მიუდგება მილეტელებს და გამოვა, რომ სამ მნას მილეტელები აძლევდნენ გემდაღუპულებს[21].

ჩემი აზრით, თ. გ. ვინოგრადოვის ასეთი შენიშვნების მიუხედავად, „ფასისელთა პოლიტიის“ თ. ყაუხჩიშვილისეული ინტერპრეტაცია ძალზე საყურადღებოა და უთუოდ ანგარიშგასაწევი ამ ცნობით სარგებლობის დროს, რადგან, ჯერ ერთი, მთარგმნელი ითვალისწინებს ბერძნული ტექსტის გრამატიკულ მხარეს, იგი ამოდის არსებული ტექსტიდან და მასში არ შეაქვს თავისი შესწორებანი რაიმე საკუთარი მოსაზრებებიდან გამომდინარეს, იძლევა ტექსტის ძალდაუტანებელ თარგმანს. ამასთან, მის ხელთ არსებული ბერძნული

---

[17] თ. ყაუხჩიშვილი, კავკასიის ტომების საკითხისათვის..., გვ. 60, 61.

[18] თ. ყაუხჩიშვილი, ჰერაკლიდე და მისი ცნობები... გვ. 202; სამი მნის მიმცემად არ შეიძლება მილეტელები მივიჩნიოთ იმის გამო, რომ ტექსტის მიხედვით ენობრივად ამ თანხას იხდის ის ვინც მიემგზავრება (διδόναι ἀποπλεῖν). „ἀποπλεῖν“ — ნიშნავს „ზღვით წინსვლას“ და არა ვინმეს გაგზავნას ზღვით (თ. ყაუხჩიშვილი, კავკასიის ტომების საკითხისათვის, გვ. 61). აზრობრივადაც ფასისიდან გზის განმგრძობად (გამგზავრებულად) არაფრით არ შეიძლება მილეტელები წარმოვიდგინოთ.

[19] Выступления по проблемам греческой колонизации Восточного Причерноморья, კრებულში: «Проблемы греческой колонизации...». გვ. 379.

[20] Выступления... გვ. 380.

[21] Выступления..., 380. ი. გ. ვინოგრადოვის თარგმანი «Они настолько гостеприимны, что снабжают и дают три мины, разрешают отплыть» (იქვე, გვ. 380).

ტექსტი ცნობილ გამომცემელთა მიერ არის დადგენილი პოლიტიების ყველა ხელნაწერის გათვალისწინებით.

სხვა საქმეა თუ როგორ გავიგებთ თ. ყაუხჩიშვილის მიერ შესრულებული ახალი თარგმანის მიხედვით „ფასისელთა პოლიტიის" ფრაგმენტის ბოლო ნაწილის რეალურ-ისტორიულ შინაარს. კერძოდ, ტექსტის ამ ადგილის ასე თარგმნის შემდეგ დამატებით განმარტებას მოითხოვს ცნობა გემდალუპულთა მიერ სამი მნის გაცემის შესახებ. ახსნა უნდა მოეძებნოს იმას, თუ რატომ ართმევენ ფასისელები გემდალუპულებს სამ მნას, თუ კი სტუმართმოყვარეობა უკარნახებს მათ დაზარალებულებს დახმარების ხელი გაუწოდონ[22].

უკანასკნელ ხანებში შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის საკითხების შესწავლის დროს ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა ბერძნულმა წარწერამ, რომელიც ძველი მესემბრიის (თანამედ. ნესებერის) ტერიტორიაზე აღმოჩნდა (1949 წელს)[23].

როგორც მკვლევარნი ფიქრობენ, შემორჩენილი წარწერა მხოლოდ ნაწილია ვრცელი დოკუმენტისა, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი წარმოადგენდა ფიცს, რომელიც დაუდიათ მესემბრიელებსა და თრაკიელთა ერთ-ერთი ტომის (ასტების) მთავარს — სადალს სავაჭრო კონვენციის (შეთანხმების) ტექსტის დაწერის დროს, მეორე ნაწილი იყო მესემბრიელთა დადგენილება სადალისათვის მრავალი პატივისა და სხვადასხვა პრივილეგიის მინიჭების შესახებ, მესამე კი წარმოადგენდა მესემბრიელთა და სადალს შორის ზღვაოსნობასთან დაკავშირებით დადებული შეთანხმების ტექსტს. როგორც დადგენილია ჩვენამდე მოღწეულ წარწერაში დოკუმენტის მხოლოდ მეორე და მესამე ნაწილებია შემორჩენილი. წარწერის მესამე მუხლში ვკითხულობთ: „მესემბრიელთაგან ის, ვისაც ზღვა სადალის მიწაზე გადაისვრის, გადაიხდის ტვირთის (იგულისხმება ხომალდიდან გადარჩენილი ტვირთის — მ. ი.) (ღირებულებიდან)... და ნახევარ სტატერს"...[24]

---

[22] უნდა აღინიშნოს, რომ უძველეს ხელნაწერებში ამ ადგილას „სამი მნა" (*μνᾶς*) კი არ წერია, არამედ „სამი თვე" (*μῆνας*), მაგრამ, ხელნაწერთა უმრავლესობა სავსებით სამართლიანად „*μῆνας*" ადგილას იძლევა „*μνᾶς*" („მნას") წაკითხვას, რადგან ასეთ კონტექსტში თანხის ხსენება უფრო ბუნებრივია, ვიდრე „თვეების" (თ. ყაუხჩიშვილი, კავკასიის ტომების საკითხისათვის, გვ. 60). თუ დავუშვებთ, რომ აღნიშნულ ადგილას წერია „სამი თვე" და არა „სამი მნა", მაშინ გამოვა, რომ გემდალუპულები სამ თვეს აძლევენ ფასისელებს, რაც სრულ უაზრობას წარმოადგენს.

[23] ქრ. დანოვი წარწერას ათარიღებს ძვ. წ. III-ს-ის შუა ხანებით, ან მისი მეორე ნახევრით (იხ. Хр. М. Данов, К истории Фракии в III в. до н. э. (Новая надпись из Месамбрии), ВДИ, 1954, № 2, გვ. 174—177).

[24] ამ ადგილას წარწერა დაზიანებულია და სიტყვები „ტვირთის (ღირებულებიდან)"— „От (стоимости) груза"—*τῶν ναύλ[ων* აღდგენილია წარწერის გამომცემლის ქრ. დანოვის მიერ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სიტყვა „*το ναῦλον*" ნიშნავს როგორც იმ ღირებულებას (თანხას), რომელიც გემით ტვირთის გადატანასთან იყო დაკავშირებული, ასევე გემზე არსებულ ტვირთსაც. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ წარწერაში ლაპარაკი იყო სადალის მიწაზე გამორიყულ მესემბრიელთა მიერ მისთვის გემიდან გადარჩენილი ტვირთის და არა მისი ღირებულების ნაწილის გადახდაზე, მაგრამ უფრო დამაჯერებელი ჩანს ქრ. დანოვის თარგმანი, რომლის მიხედვით საქმე ეხება სწორედ ტვირთის ღირებულებას, რადგან იქვე, მომდევნო „სტრიქონში დასახელებულია ფულადი თანხაც..." და ნახევარი, სტატერი", „და"-ს წინ წარწერაში კიდევ რაღაც სიტყვები უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამჟამად ისინი არ იკითხება. ნახევარი სტატერი იმდენად მცირე თანხაა (=10 დრაქმას), რომ ძნელად წარმოსადგენია წარწერაში მხოლოდ ამ რაოდენობის ფულზე იყოს საგანგებოდ ლაპარაკი (და ე. ი. მესემბრიელი გემდა-

ამრიგად, წარწერიდან ნათლად ჩანს, რომ მესემბრიელს (იგულისხმება ვაჭარ-ნავკლერს), რომელსაც სადალის ქვეყნის ნაპირთან ცურვის დროს ხომალდი დაეღუპა და ზღვამ, მისი ხომალდი სადალის მიწაზე გამორიყა, ტვირთის ღირებულების ნაწილი უნდა გადაეხადა. წარწერის მეორე მუხლის თანახმად, სადალს ენიჭებოდა მთელი რიგი პრივილეგიებიც (მ. მესემბრიის ნავსადგურში თავისუფლად და შეუზღუდველად ვაჭრობა, მასში ხელშეუხებლად შესვლა-გამოსვლა და სხვა მრავალი)[25].

მოტანილი წარწერა ჩვენთვის საინტერესოა იმ მხრივ, რომ მასში, ისევე როგორც „ფასისელთა პოლიტიაში“, ლაპარაკია გემდაღუპულებზე (ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა ვინ იყვნენ ისინი — მესემბრიელი ბერძენნი, თუ შორეული ელინური ქალაქებიდან მოსულნი) და ორივე შემთხვევაში ის, ვისი გემებიც ზღვამ გამორიყა, იხდის ფულად თანხას.

მესემბრიელთა წარწერიდან, ისევე როგორც „ფასისელთა პოლიტიიდან“ ისიც ირკვევა, რომ ბერძენ ნავკლერთა ხომალდების დაღუპვის ფაქტები იშვიათი არ იყო შავ ზღვაზე ნაოსნობის დროს, რადგან ხომალდიდან გადარჩენილი ტვირთის ღირებულების ნაწილის გადასდა სადალისათვის დოკუმენტში შეტანილია, როგორც კონვენციის ერთ-ერთი ძირითადი მუხლი. ასევე ჩვეულებრივი მოვლენა ჩანს გემების დაღუპვა და მათი ნაპირზე გამორიყვა კოლხეთის შავიზღვისპირეთში, კერძოდ, მდ. ფასისის შესართავის მახლობლად, რამაც განაპირობა უთუოდ ფასისელთა მიერ გემდაღუპულთა დახმარების (მათი ხელახლა აღჭურვისა და სხვ.) წესის შემოღება, მსგავსი კანონის შემუშავება.

გარდა ამისა, მესამბრიელთა წარწერაში თვალნათლივ შეინიშნება და ეს „ფასისელთა პოლიტიის“ ახალი თ. ყაუხჩიშვილისეული თარგმანიდანაც გამომდინარეობს, რომ ძვ. წ. IV—III სს-ში სიტყვა „გემდაღუპული“ ანტიკურ სამყაროში და მის პერიფერიებზე გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი ტერმინია.

გემის დაღუპვა ანტიკურ ხანაში, როდესაც ნაოსნობა უმთავრესად საკაბოტაჟო ხასიათს ატარებდა (ე. ი. გემი ნაპირს მოჰყვებოდა), არ ნიშნავდა მაინცდამაინც ხომალდთან ერთად მისი მფლობელის და მასზე არსებული ტვირთისა და ფულის დაღუპვასაც. ამდენად, გემდაღუპული ის ადამიანიც იყო, რომლის ხომალდი ზღვის ტალღამ ნაპირზე გამოაგდო და დაამსხვრია. ამასთან დაკავშირებით, საინტერესო ცნობებია დაცული ანტიკურ ავტორთა ნაშრომებში, საიდანაც ირკვევა, რომ შავი ზღვის სანაპიროებზე, იქ სადაც მეჩხერი წყლები იყო, ასეთი შემთხვევები გამუდმებით ხდებოდა: „ფლავიუს არიანე თავის „პერიპლუსში“ გადმოგვცემს, რომ ევქსინის პონტოს (შავი

---

ღუპულები გადარჩენილი ტვირთიდან ასე მცირე საფასურს უხდიდნენ სადალს), ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ „ნახევარი სტატერის“ წინ დაზიანებულ ადგილას დასახელებული იყო კიდევ რაღაც თანხა, კერძოდ ის ძირითადი ნაწილი თანხისა, რომელიც ტვირთის ღირებულებიდან უნდა გადაეხადათ სადალისათვის გემდაღუპულებს და მაშინ ზემოაღნიშნული ნახევარი სტატერიც ამ თანხის ნაწილი გამოდის. როგორც ჩანს, წარწერაში სწორედ ფულის ... („ნახევარი სტატერის“) დასახელებამ მისცა ქრ. დანოვს საფუძველი სიტყვები „τῶν τελ[ων“ ეთარგმნა როგორც „ტვირთის ღირებულებიდან“ და არა „ტვირთიდან“, თუმცა თვით მთარგმნელი ამის შესახებ თავის ნაშრომში არაფერს წერს.

[25] Хр. М. Данов, დასახ. ნაშრომი, გვ. 175—177.

ზღვის) აღმოსავლეთ ნაპირის გასწვრივ მგზავრობის დროს მის ხომალდებს თავი შეუფარებიათ ადგილ ათენასთან მდებარე ნავსაყუდელში, რათა თავი დაეცვათ ღამით ამოვარდნილი ქარიშხლის, ჰექა-ქუხილისა და აბობოქრებული ზღვის ტალღებისაგან. „ხოლო მეტი წილი ხომალდების ვაგზავნა, — გვამცნობს ავტორი, — გადაწყდა უახლოეს ნაპირზე ხმელეთზე გამოსატანად. მართლაც, ისინი გამოტანილ იქნენ და ყველა დაუზიანებლად გადარჩა, გარდა ერთისა, რომელიც ღუზაზე დადგომისას დროზე ადრე შებრუნდა ალმაცერად (ამიტომ ის) ტალღებმა ასწიეს, ნაპირზე გადმოაგდეს და დაამსხვრიეს, მაგრამ გადარჩა ყველაფერი, არა მარტო იალქნები და ხომალდის მოწყობილობა, არამედ ლურსმნებიც, და სანთელიც კი აფხეკილ იქნა. ასე რომ ხომალდის აღსადგენად მხოლოდ ფიცრები და იქნება საჭირო, რაც... ჭარბად მოიპოვება პონტოს ნაპირზე"[26].

ძვ. წ. IV ს-ის ბერძენი ავტორის ქსენოფონტის გადმოცემით, პონტოს დასავლეთ სანაპიროზე, სალმიდესის მახლობლად, გემების დაღუპვა იმდენად ხშირი ყოფილა, რომ მახლობლად მცხოვრებ თრაკიელებს ნაპირი ნაკვეთებად დაუყვიათ და თითოეული თრაკიელი თავის საკუთრებად მიიჩნევდა იმ ტვირთს, რომელსაც ზღვა მის ნაკვეთზე გადმოისვროდა (გამორიყავდა)[27]. იმავე ქსენოფონტის გადმოცემის თანახმად, ასეთივე ვითარება ჩანს ბითვინიის ნაპირებზედაც. ბითვინიის მეფე ზიელს განსაკუთრებული წყალობა გაუღია კ. კოსის ზღვაოსანთა მიმართ (ძვ. წ. III ს-ის შუახანებში), პირობა დაუდია მათთვის, რომ მის ნაპირთან გამორიყულ კოსელ ზღვაოსნებს ხომალდიდან გადარჩენილ ტვირთს არ წაართმევდა[28].

ქსენოფონტის გადმოცემებიდან და მესემბრიელთა წარწერიდან ისიც ირკვევა, რომ დაღუპული ხომალდიდან გადარჩენილი ტვირთისა და ფულის მითვისება სანაპიროსთან მცხოვრები ადგილობრივი ტომებისა და მათი მეფე-მთავრების მიერ ჩვეულებრივი ამბავი იყო ძვ. წ. IV—III სს-ის ახლო ხანებში. ეს აქტი, როგორც ჩანს, ადგილობრივ ტომთა შორის სავსებით გამართლებულად ითვლებოდა, ერთგვარ კანონადაც კი იყო მიღებული (ე. წ. სანაპირო კანონი). რა თქმა უნდა, სანაპიროს აბორიგენთა შორის გავრცელებული ეს კანონი დიდ ზიანს აყენებდა შავიზღვისპირეთის ბერძნული ახალშენების საზღვაო-სავაჭრო ურთიერთობას გარე სამყაროსთან.

მესემბრიის წარწერიდან კარგად ჩანს, რომ აღნიშნული ახალშენები მთელი რიგი დათმობებისა და ღონისძიებათა გზით ცდილობდნენ თავი დაეღწიათ ადგილობრივ მცხოვრებთა ასეთი წესებისაგან, დაეცვათ როგორც საკუთარი, ასევე შორეული ბერძნული ცენტრებიდან ჩამოსულ ვაჭართა საქონელი ამ კანონისაგან. მესემბრიელები, მაგალითად, სადალს უფლებას აძლევენ თავისუფლად და უსასყიდლოდ ისარგებლოს მათი ნავსადგურით (უთუოდ პურის ვაჭრობის მიზნით), მასვე ანიჭებენ სხვა პრივილეგიებსაც, სამაგიეროდ სადალი უთუოდ სხვა პირობებთან ერთად აღუთქვამს იმასაც, რომ მის მიწაზე გა-

---

26 ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი ნ. კეჭაღმაძისა, თბ., 1961, გვ. 33, 34.

27 Xenoph., Anab., VII, V § 12—14.

28 Xenoph., Anab. წ. VI, § 2; Mitteilunger des deutschen archäologischen Jnstituts, Athenische Abteilung, 1905, გვ. 181 და შემდ., М. И. Максимова, Античные города Юго-Восточного Причерноморья, М.-Л., 1956, გვ. 155.

მორიყულ მესემბრიელებს გამოართმევს გემიდან გადარჩენილი ტვირთის ღირებულების მხოლოდ ნაწილს.

აღნიშნული ფაქტი მეტად საგულისხმოა და ნიშანდობლივი იმ მხრივაც, რომ, მართალია, სადალსა და მესემბრიელებს შორის დადებული შეთანხმების მიხედვით როგორც ერთი, ასევე მეორე მხარე საზღვაო ვაჭრობაში თანასწორუფლებიან პარტნიორად გამოდის, სადალი მაინც ართმევს გემდაღუპულ მესემბრიელებს ტვირთის ღირებულების ნაწილს, რაც იმის მანიშნებელია, რომ სანაპირო კანონი ტრადიციულად ძალაშია დატოვებული, თუმცა სრულდება იგი სულ სხვა ფორმით, შეიძლება ითქვას პირობითად (გემიდან გადარჩენილი მთელი ტვირთის მოტაცება კი არ ხდება, არამედ მხოლოდ მისი ღირებულების ნაწილის ნებაყოფლობითი გადახდა).

მესემბრიელთა ზემოთ მოტანილი წარწერისა და სხვა დამატებითი ცნობების განხილვის ფონზე, „ფასისელთა პოლიტიის“ ფრაგმენტში შემორჩენილ ცნობას იმ სახით, როგორც იგი თ. ყაუხჩიშვილს აქვს თარგმნილი, ვანსაკუთრებული ყღერადობა ენიჭება. მართლაც, რაკი გემების დაღუპვა და გამორიყვა არ იყო იშვიათი მოვლენა შავი ზღვის სანაპიროებზე და ამას ჩვეულებრივ თან სდევდა გემდაღუპულთა ტვირთის მითვისება ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ (ეს ერთგვარად სანაპირო კანონის სახესაც ატარებდა ძვ. წ. V—IV სს-ში), სავსებით მოსალოდნელია, რომ გემდაღუპულთა ტვირთის მითვისებას ადრეულ ხანებში კოლხეთის სანაპიროზედაც ჰქონოდა ადგილი.

სავსებით გასაგები ხდება ისიც, თუ რატომ იქნა ფასისში შემუშავებული დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა გემდაღუპულთა ხსნას, დაცვას და ყველა საჭირო სახსრებით მათ მომარაგებას. ამას მოითხოვდა ფასისელ მილეტელთა ფართო სავაჭრო ინტერესები, პირველ რიგში კი გარე სამყაროსთან მათი საზღვაო ეკონომიკური ურთიერთკავშირების უზრუნველყოფა (მით უმეტეს, რომ ხე-ტყით მდიდარ კოლხეთში ამის განხორციელება არ იყო ძნელი საქმე). მეორე მხრივ, თავისთავად ძალზე საინტერესო ცნობა გემდაღუპულთა მიერ სამი მნის გადახდის შესახებ, რომელიც ანალოგიას პოვებს სადალსა და მესემბრიელთა შორის დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთ მუხლთან, გვაფიქრებინებს, რომ ფასისელთა დადგენილებაში აირეკლა ადგილობრივ მოსახლეობაში ძველთაგანვე არსებული წესიც (სანაპირო კანონი) გემდაღუპულთა ტვირთის ღირებულების ნაწილის მითვისებისა და მათთვის ფულის გამორთმევისა.

ამრიგად, „ფასისელთა პოლიტიაში“ დაცული ცნობის ასეთი გაგების შემდეგ ერთგვარ დადასტურებას პოვებს ის ვარაუდი, რომ ქ. ფასისში მოქმედი დადგენილებების გამომუშავება ბერძნული და ადგილობრივი მოსახლეობის კანონების შერევისა და ურთიერთზემოქმედების საფუძველზე ხდებოდა: ეს დადგენილებები ითვალისწინებდნენ, ერთი მხრივ მილეტელთა სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებს (გემდაღუპულთა დახმარება), ხოლო, მეორე მხრივ, ერთგვარად ვალს უხდიდნენ, ანგარიშს უწევდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ძველ წეს-ჩვეულებებს. აქედან გამომდინარე ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ფასისელთა პოლიტიაში“ შემორჩენილ ზემოგანხილულ დეტალებში აირეკლა ამ ქალაქის დამახასიათებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანი, ადგილობრივი და ბერძნული ელემენტების მეტად თავისებური შერევა, შერწყმა მისი ცხოვრების ზოგიერთ სფეროში, რამაც უთუოდ მიიზიდა არისტოტელეს ყურადღება და ერთ-

გვარად განაპირობა კიდეც მის მიერ ამ საქალაქო თვითმმართველობის ორგანიზაციის საგანგებო აღწერილობის საგნად გადაქცევა.

დაბოლოს, თუ კი „ფასისელთა პოლიტიის“ ბოლო ნაწილის ზემოთ წარმოდგენილ განმარტებას დამაჯერებლად მივიჩნევთ, მაშინ ტექსტის ამ ადგილის თარგმანში „ესენი კი სამ მნას აძლევენ (მილეტელებს)“... „მილეტელები“ ფრჩხილებში უნდა შეიცვალოს „ფასისელებით“, რადგან იმათში, ვინც სამ მნასართმევს გემდაღუპულებს რეალურად იგულისხმებიან არა მხოლოდ ფასისელი მილეტელები, არამედ საერთოდ არისტოტელეს დროინდელი ფასისელი მოქალაქენი (ბერძნულ-ადგილობრივი მოსახლობა), რომელთა პოლიტიასაც წერდა ეს ავტორი.

М. П. ИНАДЗЕ

# К ИНТЕРПРЕТАЦИИ «ПОЛИТИИ ФАСИСЦЕВ» ГЕРАКЛИДА


## Резюме

В статье специально исследуется сохранившаяся в эксцерпте из «Политии фасисцев» Гераклида деталь, согласно которой милетяне до того гостеприимны, что снабжают потерпевших кораблекрушение, а эти в свою очередь дают (фасисцам) 3 мины и отплывают. Анализ приведенного текста дает основание для предположения о наличии в Фасисе каких-то городских постановлений и общественных норм, учитывающих с одной стороны экономические интересы милетян — помощь торговцам, приезжающим из различных центров античного мира и потерпевшим кораблекрушение около устья реки Фасиса, а с другой стороны, существовавшие в местном населении обычай и законы — отбирать у потерпевших кораблекрушение часть стоимости груза (пережитки т. н. берегового права).

Исходя из результатов проведенного нами исследования можно сделать вывод, что в «Политии фасисцев» нашла отражение одна из основных характерных черт города Фасиса, а именно смешанность и взаимовлияние эллинских и местных общественных установлений и законов. Именно это своеобразие города Фасиса и привлекло внимание Аристотеля, побудив его наряду с политиями других городов написать и политию фасисцев.


წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილებამ

გიორგი მაჭარაძე

# ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური ურთიერთობანი აზერბაიჯანის სახანოებთან XVIII საუკუნის 60—80-იან წლებში

XVIII ს-ის 40—50-იანი წლების გამოცდილება მოწმობდა, რომ საქართველოს საზღვრებზე მიმდინარე პროცესებს ერეკლე II გულგრილად ვერ შეხვდებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აზერბაიჯანში გაჩაღებული შინაბრძოლების მსვლელობას, რადგან, ზოგიერთი აზერბაიჯანელი ხანის ლეკებთან კავშირმა შეუძლებელი გახადა ჭარის საკითხის გადაწყვეტა[1], ურომლისოდ ლეკთა თავდასხმების მოგერიება შეუძლებელი ხდებოდა, მაგრამ ერეკლე II-ის დამოკიდებულება ამ ბრძოლებისადმი და დამოკიდებულება ყუბის მფლობელ ფათალი-ხანთან ერთნაირი არ ყოფილა.

XVIII ს-ის 60-იან წლებში აზერბაიჯანში გაძლიერდა ყუბის სახანო. 1756 წელს ფათალი-ხანმა ყუბის სახანოს შეუერთა სალიანის სამფლობელო[2], ხოლო 1759 წელს დერბენდის სახანოც[3]. მართალია, ფათალი-ხანს ბაქოს სახანო არ შეუერთებია, მაგრამ მან თავისი და ხადიჯა-ბიქე ცოლად გაატანა ბაქოს ხანს. ეს უკანასკნელი სუსტი პიროვნება იყო, ამიტომ ადვილად მოექცა თავისი ცოლის გავლენის ქვეშ და ბაქოს სახანოს პოლიტიკას წარმართავდა ხადიჯა-ბიქე, რომელიც ფაქტობრივად ფათალი-ხანის მითითებებს ასრულებდა[4].

1765 წელს ფათალი-ხანს დერბენდი ხელმეორედ დაუკავებია, რასაც ერეკლე II მტრულად არ შეხვედრია. როტმისტრი ალექსანდრე კირეევი ყიზლარის კომენდანტს 1765 წლის 26 მაისს მოახსენებდა: „დერბენდში ჩემი ყოფნის დროს ფათალი-ხანთან მოვიდა საქართველოს მფლობელის ერეკლეს ორი ელჩი განჯიდან იქაური ხანის წერილით, რომლებითაც მათ მიულოცეს დერბენდის ხელახლა მიღება და დააიმედეს იგი, რომ ჯარით დაეხმარებიან, როცა მას დასჭირდება: ფათალი-ხანმა ელჩებს მადლობ გადაუხადა და პატივით გაისტუმრა უკან, ხოლო თვითონ წავიდა ყუბაში, საიდანაც დერბენდში გამომიგზავნა წერილი თხოვნით, იგი თქვენი ალმატებულების მეშვეობით

---

[1] გ. მ ა ჭ ა რ ა ძ ე, ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური ურთიერთობა აზერბაიჯანულ სახანოებთან XVIII ს-ის 40—50-იან წლებში, „მაცნე", ისტორიის სერია, 1982, № 1, გვ. 52.

[2] В. Л е в и а т о в, Очерки из истории Азербайджана XVIII века, Баку, 1948, გვ. 129.

[3] Г. А б д у л л а е в, Азербайджан в XVIII веке и взаимоотношения с Россией, Баку, 1965, გვ. 204.

[4] П. Б у т к о в, Материалы для новой истории Кавказа, ч. I, СПб., 1869, გვ. 251.

რუსეთის საიმპერატორო კარისათვის გამეგზავნა, რომელსაც აქვე გაახლებთ"[5].

ამ საბუთიდან ნათლად ჩანს, რომ XVIII ს-ის 60-იან წლებში ფათალი-ხანს დერბენდი ხელმეორედ დაუკავებია და ერეკლე II-სა და ფათალი-ხანს შორის კარგი ურთიერთობა ყოფილა.

ამ წარმატების შემდეგ ფათალი-ხანმა გადაწყვიტა შემახის დამორჩილება, იგი რამდენიმეჯერ დაესხა თავს შემახას, მაგრამ უშედეგოდ. ფათალი-ხანი არა მარტო წარუმატებლად იბრძოდა, ზოგჯერ დაზარალებულიც კი ბრუნდებოდა უკან. შემახის ხანებსა (მას მართავდნენ ძმები მუჰამედ სეიდ-ხანი და აღასი-ხანი) და შაქის ჰუსეინ-ხანს შორის კარგი დამოკიდებულება იყო. ეს უკანასკნელი ეხმარებოდა შემახის ხანებს ფათალი-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1765 წლიდან მდგომარეობა შეიცვალა. შემახის ხანებსა და შაქის ხანს შორის ჩამოვარდა უთანხმოება. ჰუსეინ-ხანმა კავშირი შეკრა ფათალი-ხანთან, რათა დაეპყროთ და გაენაწილებინათ შემახა. მოკავშირეები 1768 წელს შეიჭრნენ შემახაში და დაიმორჩილეს. მუჰამედ სეიდ-ხანი ციხეში ჩასვეს, ხოლო აღასი-ხანს თვალები დათხარეს.

მაგრამ შაქის ხანი მოტყუებული აღმოჩნდა. ფათალი-ხანმა მოკავშირეს წილი წაართვა და შემახიდანაც გააძევა. კიდევ მეტი, ფათალი-ხანს შაქის დამორჩილება ჰქონდა გადაწყვეტილი. ჰუსეინ-ხანი მიხვდა თავის შეცდომას, შეურიგდა დაბრმავებულ აღასი-ხანს, კავშირი შეკრა ავართა ხანთან და დაიწყო მზადება ფათალი-ხანის წინააღმდეგ ომისათვის, მაგრამ ბრძოლაში ფათალი-ხანმა გაიმარჯვა და შემახა კვლავ ყუბის ხანის მფლობელობაში დარჩა[6].

ამრიგად, 1756—1768 წლებში აზერბაიჯანში მიმდინარე შინა ბრძოლებში ერეკლე ჩარეული არ ჩანს. მას კარგი ურთიერთობა აქვს ყუბის ფათალი-ხანთან.

ქართლ-კახეთის სამეფოსა და აზერბაიჯანულ სახანოებს შორის ურთიერთობის მნიშვნელოვანი ეტაპია რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წლების ომის პერიოდი. აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ერეკლე ამ პერიოდში ცდილობდა რუსეთის დახმარებით დაეპყრო აზერბაიჯანი. შ. ჰამიდოვა წერს, რომ „ერეკლე II არ დაკმაყოფილდა ქართული მიწების გაერთიანებით (იგულისხმება 1762 წ. ქართლ-კახეთის გაერთიანება — გ. მ.) და გადაწყვიტა თავის ხელისუფლებისათვის დაექვემდებარებინა დაქუცმაცებული აზერაბიჯანული სახანოები, რომლებსაც შედარებით სუსტად თვლიდაო"[7]. შემდეგ ავტორი მკითხველს აუწყებს, თუ როგორ დაიმორჩილა ერეკლე II-მ განჯის და ერევნის სახანოები და აღნიშნავს, ყუბის სახანოსთან ბრძოლა არ იყო ადვილი და „ამ მიზნით მან (ერეკლე II-მ — გ. მ.) 1770 წელს რუსეთში წარმომადგენელი გაგზავნა და ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერბაიჯანის დაპყრობა შესთავაზა"-ო[8].

---

[5] АВПР, ф. Сношения России с Персией, оп. 77/5, д. 13, л. 110; Г. Абдуллаев, Азербайджан в XVIII веке, გვ. 505.

[6] Г. Абдуллаев, Азербайджан в XVIII веке, გვ. 222—223.

[7] Ш. Һәмидова, Губа ханлығы илә Картли Кахетија, чарлығы мүнасибәтләрине даир (1770—1780-ҹи илләр), Азәрбајҹан ССР Елмләр Академијасынын хәбәрләри, 1970, № 3—4, გვ. 150.

[8] იქვე.

შ. ჰამიდოვა შეცდომაში შეუყვანია გ. აბდულაევის შრომებს[9]. გ. აბდულაევს ერეკლე II-ის ექსპანსიონისტური მისწრაფების დასადასტურებლად აუღია მეფის 1784 წლის წერილი ბურნაშოვისადმი და ის ხან 70-იან წლებში გადმოაქვს და ხან 80-იანი წლების დასაწყისში, რომ უჩვენოს ერეკლე მეფესა და ფათალი-ხანს შორის ურთიერთობის გამწვავების მიზეზები. შ. ჰამიდოვას, როგორც ჩანს, შეუმჩნევია ეს წინააღმდეგობა და გადაუწყვეტია, იგი 1770 წლით დაეთარიღებინა. წერილი რომ 1784 წლისაა, იქიდანაც ჩანს, რომ, როგორც ცნობილია, 1783 წლის ზაფხულამდე ბურნაშოვს საქართველოს საქმეებთან არავითარი კავშირი არ ჰქონია. ქრონოლოგიის თითქოს უბრალო დარღვევამ შეუძლებელი გახადა 70-იანი წლების საქართველოსა და აზერბაიჯანის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიის საკითხების სწორად გააზრება აზერბაიჯანულ სამეცნიერო ლიტერატურაში. გ. აბდულაევის და შ. ჰამიდოვას მოსაზრება რომ საფუძველს მოკლებულია, ეს კარგად ჩანს საარქივო საბუთებიდან.

როგორც ცნობილია, 1768 წელს, როცა თურქეთმა ომი წამოიწყო რუსეთის წინააღმდეგ, რუსეთის მთავრობა მოკავშირეებს თურქეთის უღელქვეშ მყოფ ხალხებში ხედავდა და მათ მიმართა. სოლომონ მეფემ, ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე მიმართა რუსეთს დახმარება აღმოეჩინა თურქეთის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა რუსეთ-იმერეთის კავშირი და რუსთა მცირე რაზმი 1769 წელს საქართველოში ჩამოვიდა. რუსეთს ერეკლეს მიმხრობაც სურდა. ერეკლე მზად იყო ომში მონაწილეობა მიეღო, რომ რუსეთის მფარველობა მოეპოვებინა და რუსეთთან კავშირით მტრების მიერ მიტაცებული ახალციხის მხარე და აღმოსავლეთ კახეთი გაეთავისუფლებინა[10].

რუსეთ-თურქეთის ომის დროს ერეკლე ირანისა და აზერბაიჯანის საკითხს არ სვამდა. ეს კარგად ჩანს ერეკლეს საუბრიდან რუსეთის წარმომადგენელ პორუჩიკ გრ. ხვაბულოვთან: „როდესაც მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა — მოახსენებდა გრ. ხვაბულოვი ყიზლარის კომენდანტს გენ. პოტაპოვს, — მოისურვებს იარაღი აღმართოს სპარსეთის წინააღმდეგ, იგი (ერეკლე II —გ. მ.) სიხარულით მიიღებს სპარსეთის წინააღმდეგაც ომში მონაწილეობას ეს შეუძლია კიდეც. მაგრამ ახლა ერეკლეს მიერ თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყებით სპარსეთი დაამშვიდოს რუსეთის სამეფო კარმა და წერილიც მისწეროს სპარსეთის უფროსს რომ ერეკლე მოქმედებას იწყებს თურქეთის წინააღმდეგ“[11]. იგივე უნდა განეცხადებინა რუსეთის სამეფო კარისათვის ერეკლეს ელჩს ა. ანდრონიკოვს[12].

რუსეთის მთავრობამ თავის კონსულებს ირანში მითითება მისცა თვალყური ედევნებინათ, როგორი გავლენა მოახდინა რუსეთის ჯარის საქართველოში შემოსვლამ „სპარსეთის“[13] ხანებზე და საჭირო შემთხვევაში დაკავში-

---

[9] Г. Абдуллаев, Из истории северо-восточного Азербайджана в 60—80-х годах XVIII века, Баку, 1958, გვ. 107—108.

[10] გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, თბ., 1958; გ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957.

[11] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, под ред. А. Цагарели, т. I; 1891, გვ. 431.

[12] იქვე.

[13] „სპარსეთის“ ხანებში გულისხმობდნენ აზერბაიჯანის ხანებსაც.

რებოდნენ „სპარსეთის“ ხანებს და დაემშვიდებინათ, რომ რუსეთი „სპარსეთთან“ მეგობრულ ურთიერთობაში რჩებოდა.

თურქეთის მთავრობამ თავის მხრივ ზომები მიიღო, რათა ირანის და ამიერკავკასიის მაჰმადიანი მფლობელები დაეპირისპირებინა რუსეთისა და მისი მოკავშირე საქართველოსათვის. ამ მიზნით სულთანმა კავკასიის მფლობელებთან თავისი აგენტები გამოგზავნა, ხოლო სურხაის შვილს დიდძალი ფულიც გამოატანა, რომ დაღესტნელი და აზერბაიჯანელი ხანები დაერაზმა ერეკლეს წინააღმდეგ. ეს რომ უბრალო ხმები არ ყოფილა, შემდგომმა ამბებმა ნათლად დაადასტურა: მან მართლაც, შეძლო ლეკების ერთი ნაწილის ახალციხეს გადაყვანა, მაგრამ ასპინძის ბრძოლაში მოკლულ იქნა[14].

ასე რომ, ერეკლე წინასწარ საკმაოდ ინფორმირებული იყო თურქეთის აგენტების საქმიანობაზე, და, როგორც ქვემოთ დავინახავთ. გარკვეული თადარიგიც დაიჭირა.

თურქეთის აგენტები აზერბაიჯანშიც მოქმედებდნენ, მაგრამ აზერბაიჯანელი ხანების ნაწილი ერეკლეს მეგობრობდა. ფათალი-ხანის პოზიცია ასეთი იყო: თურქეთი რომ არ გაენაწყენებინა, სულთანს უმტკიცებდა ძალების უქმარისობის გამო რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლა არ შემიძლიაო, ხოლო რუსეთს—თქვენი მეგობარი ვარო და ფაქტობრივად ნეიტრალიტეტს იცავდა, რაც აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით სწორი იყო. ამასთან, ფათალი-ხანმა გადაწყვიტა გამოეყენებინა ვითარება და დაემორჩილებინა შაქის, ყარაბაღის და განჯის სახანოები. ფათალი-ხანის ვარაუდით, თურქეთთან ომში ჩაბმული ერეკლე ვერ შეძლებდა დახმარებოდა თავის მოკავშირეებს, შაქის და ყარაბაღის ხანებს. ამიტომ ყუბის ხანმა 1770 წელს ყარაბაღის დამორჩილება გადაწყვიტა. ერეკლეს არ შეეძლო საქართველოს საზღვრებთან ყუბის ხანის დამკვიდრება, მით უმეტეს, რომ ფათალი-ხანის საყრდენი ლეკები იყვნენ, ხოლო საქართველოს საზღვრებზე ლეკების თავმოყრა დიდ საშიშროებას შეუქმნიდა ქართლ-კახეთის ფეოდალურ სახელმწიფოს. ამიტომაა, რომ 1770 წლის გაზაფხულზე, თურქეთთან საომრად მიმავალმა ერეკლემ, როგორც ა. მოურავოვის 1770 წლის 5 აპრილის მოხსენებიდან ჩანს, ყარაბაღის ხანს მისივე თხოვნით, ოთხი ათასი კაცი მიაშველა ყუბის ხანის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც ყარაბაღის სახანოზე თავდასხმას აპირებდა[15]. მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ერეკლეს ფათალი-ხანის სამფლობელოების ხელყოფა არ ჰქონია მიზნად. იგი ყარაბაღს იცავდა, რითაც საქართველოს საზღვრებთან საშიშროების თავიდან აცილებას ისახავდა მიზნად.

ეხებოდა რა ფათალი-ხანის პოლიტიკას, რუსეთის კონსული ენზელში გ. ბოგოლიუბოვი 1770 წლის 12 აპრილს საგარეო საქმეთა კოლეგიას წერდა: „ფათალი ხანის ყველა საქმე და მიზანი იქითაა მიმართული, რომ მოსპოს მეზობელი ხანები და თავის სამფლობელო გააფართოვოს, რისთვისაც ახლა მას ნამდვილად აქვს საამისო დრო და საშუალება, რადგან იმ მხარეში და მთელ სპარსეთშიც, გარდა ქერიმ-ხანისა მას ძლიერი მოწინააღმდეგე არ ჰყავს. თუმცა რამდენიც არ ეცადა ამ გასულ ორ წელიწადში, არაფერი მნიშვნელოვანი არ გაუკეთებია, მთელი მისი ძალა, რომელიც ათი ათას კაცზე ცოტა მე-

[14] А. Цагарели, Грамоты, т. I, გვ. 108.

[15] იქვე, გვ. 216

ტია, შედგებოდა და ახლაც შედგება არა სპარსელებისაგან (აზერბაიჯანელებისაგან — გ. მ.), არამედ ლეკებისაგან. მან შემახა აიღო, რომელთაგან მიღებული ნადავლი ლეკებსა და მის სხვა თანამზრახველებს დაურიგა; ახლა ამბობენ, რომ იგი თვითონაც არაა კმაყოფილი, რადგან ხედავს, რომ მას ძალა არ შესწევს თუ მას ლეკები განუდგნენ, მისი (შემახის — გ. მ.) დიდხანს შენარჩუნება არ შეუძლია, რადგან ხედავს მის წინააღმდეგ აშკარად დგანან შემახის ახლო მყოფი შაქისა და ყარაბაღის ხანები და მისი სამფლობელოების ირგვლივ მყოფი მთიელი მფლობელები[16].

შემახის აღების შემდეგ ფათალი-ხანმა გადაწყვიტა დაქირავებული ლეკებით შაქისა და ყარაბაღისათვის შეეტია. შეშფოთებულმა ხანებმა დახმარება ერეკლეს თხოვეს და დღის წესრიგში შემახის ხანის თავის სამფლობელოში აღდგენის საკითხი დააყენეს: „როცა დერბენდის ფათალი-ხანმა უკანასკნელ ორ წელიწადში შემახა აიღო და გამოამჟღავნა თავისი მისწრაფება ლეკებით ლაშქრობა განეგრძო, —წერდა რუსეთის მთავრობას ენზელიდან კონსული გ. ბოგოლიუბოვი 1770 წლის 28 მაისს, — მაშინ შეშფოთებულმა შაქისა და ყარაბაღის ხანებმა გადაწყვიტეს მოკავშირედ ერეკლე ეხმოთ და ერთხმად მოითხოვეს რომ ფათალი-ხანს შემახა დარჩენოდა მფლობელობაში, მაგრამ მმართველად აღედგინა მის მიერ გაძარცული და გაძევებული შემახის ყოფილი ხანი“[17]. ხანები ერეკლეს იმასაც სთავაზობდნენ: თუ ფათალი-ხანი წინააღმდეგობას გაწევდა, მაშინ მისთვის სამფლობელოების ნაწილი წაერთმიათ.

1770 წლის 20 აპრილს ასპინძასთან თურქ-ლეკთა ჯარებზე გამარჯვებას და ერეკლეს თადარიგს ფათალი-ხანი საფიქრებელში ჩაუგდია და განზრახვაზე (ყარაბაღზე ლეკებით თავდასხმაზე) ხელი აუღია. გ. ბოგოლიუბოვი რუსეთის მთავრობას 1770 წლის 28 მაისს აცნობებდა, რომ ერეკლეს თურქებზე გამარჯვების გამო „როგორც ჩანს მან (ფათალი-ხანმა — გ. მ.) ხელი აიღო თავის ადრინდელ განზრახვაზე, თუმცა ამბობენ, რომ ახლაც ხსენებულ ორ ხანს, ყარაბაღისა და შაქის, მასთან (ერეკლესთან — გ. მ.) აქვთ მიმოწერა და არწმუნებენ, რომ განზრახული აქვთ ყოველთვის მასთან კავშირში დარჩნენ, ხოლო მფლობელი (ერეკლე II — გ. მ.) მათ თავისი დახმარებით აიმედებს“-ო[18].

კონსული შიშობდა, რომ ერეკლეს კავშირს აზერბაიჯანელ ხანებთან ქერიმ-ხანი არ გაენაწყენებინა, ამიტომ რუსეთის მთავრობას სთხოვდა შეემოწმებინათ ერეკლეს მოქმედების გეგმები და თუ ზემოაღნიშნული მართალი აღმოჩნდებოდა, — ერეკლე თუ მართლა პირდებოდა ხანებს დახმარებას, მაშინ „ჩაეგონებინათ მისთვის, მფლობელ ერეკლესათვის, რომ რათა ვექილი (ქერიმ-ხანი — გ. მ.) და მით უმეტეს რუსეთისა და საკუთრივ მისი სამფლობელოების ახლო მყოფი დერბენდის ხანი არ გაეღიზიანებინა ახლანდელ საომარ ვითარებაში, თუნდაც მისი (ერეკლე II — გ. მ.) ინტერესები იმას ითხოვენ, რომ იგი (ფათალი-ხანი — გ. მ.) შაქისა და ყარაბაღის დააყრობით არ გაძლიერდეს“-ო[19].

---

[16] АВПР, ф. Сношения России с Персией, оп. 77/7, д. 111, лл. 34—36.
[17] იქვე, გვ. 43—44.
[18] იქვე.
[19] იქვე, გვ. 43—44.

როგორც ვხედავთ, კონსული ერეკლეს პოზიციის სამართლიანობასაც აღიარებდა, მაგრამ მისგან თავშეკავებას, აზერბაიჯანის საქმეებში ჩაურევლობას ითხოვდა. ერეკლე II მართალი იყო, როცა თადარიგს იჭერდა, რადგან ფათალი-ხანს ყარაბაღში საქართველოს საზღვრებთან ლეკები მიჰყავდა, რომლებსაც თურქებთან კავშირისაკენ გზას უხსნიდა.

ავანტიურისტმა ტოტლებენმა ხელზე დაიხვია კონსულის რჩევა და რუსეთის მთავრობას მოახსენებდა — ერეკლეს თურქებთან ბრძოლა არ უნდა, მას „სპარსეთის" დაპყრობა სურსო.

ფათალი-ხანმა სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება და არ გამოეხმაურა თურქეთის სულთნის მუსტაფა III-ის მოწოდებას, რომელიც მთელ მაჰმადიანურ სამყაროს (ირანს, აზერბაიჯანს, დაღესტანს) რუსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. მან არა მარტო თვითონ შეიკავა თავი, არამედ დაღესტნელ ფეოდალებსაც ურჩია თავი შეეკავებინათ გამოსვლებისაგან. 1770 წლის 8 ივლისს რუსეთის კონსული მ. სულიაკოვი სალიანიდან საგარეო საქმეთა კოლეგიას წერდა: „აქ ცნობილი გახდა, რომ მთელი ყაზიყუმუხის მფლობელის სურხაის შვილს სურს საქართველოს დაესხას, რომ ამით თავისი ძმის სისხლი აიღოს, რომელიც უფლისწულმა ერეკლემ მოკლა რუსების დახმარებით თურქებთან ახლანდელ ომში, ამიტომ ყოველმხრივ ცდილობს დაითანხმოს თავის განზრახვაზე მეზობელი, პირველ რიგში დერბენდის, შაქის და ყარაბაღის ხანები, რომელთაც თხოვა დამხმარე ჯარები. მაგრამ როგორც პირველმა ისე უკანასკნელმა მას უარი უთხრეს; ფათალი-ხანმა კი კეთილი და მისთვის სასარგებლო რჩევა მისცა, რომ ამ განზრახვაზე თავი შეიკავოს"[20]. სურხაის შვილს იმედი აქვს, რომ „მოიმხრობს იმ ხანებს, რომლებიც რუსეთის იმპერიისადმი არ არიან კეთილგანწყობილი და თუ სასურველს მიიღებს, ჭეშმარიტად ირწმუნებიან, რომ იგი (სურხაის შვილი — გ. მ.) საქართველოს საზღვრებზე თავდასხმას მოაწყობს[21]. დაღესტნელ ფეოდალთა ნაწილი (ტარკის შამხალი და ბუინაკის უცმი) გამოეხმაურა თურქეთის მოწოდებას და ორი ათასამდე კაცი გაგზავნეს ახალციხეში[22]. გარდა ამისა ლეკთა დიდი რაზმები საქართველოს სხვადასხვა დროს დაესხა თავს 1770 წლის ზაფხულში.

ფათალი-ხანის ლაშქრობა ყარაბაღზე მარცხით დამთავრდა, მაგრამ ხანს ყარაბაღის დამორჩილებაზე ხელი არ აუღია. 1770 წლის 16 ოქტომბერს გ. ბოგოლიუბოვი რუსეთის მთავრობას აცნობებდა: „დერბენდის ფათალი-ხანს წარმატება არ ჰქონდა ყარაბაღის ხანის წინააღმდეგ ლაშქრობასა და საქმეში, რის თაობაზე მე წინა მოხსენებაში მოგახსენეთ, მაგრამ დაბრუნდა შემახაში და შიშითა და ცემა-ტყეპით ადგილობრივ მოსახლეობას ასი ათასამდე მანეთი ფული წაართვა, ამით სამსახურისათვის შეთანხმებით გათვალისწინებული საფასური გადაუხადა ლეკებს და გაუშვა ისინი თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში, თუმცა ამბობენ, რომ ამ ხანებთან უთანხმოება ჯერაც არ შეწყვეტილა და რომ ფათალი-ხანი ახლა ახალ სამხედრო ლაშქრობას შეუდგა"-ო[23].

---

[20] АВПР. ф. Сношения России с Персией, оп. 77/7, д. 148, лл. 37—38.

[21] იქვე.

[22] იქვე, д. 115, лл. 36—37.

[23] იქვე, д. 111, л. 60.

ფათალი-ხანს შემდეგაც გაუგრძელებია ყარაბაღის წინააღმდეგ ბრძოლა და დამარცხებულა; ლეკებისათვის ჯამაგირი ვერ მიუცია და ისინიც ჩამოცილებიან. ხანს ყუბა და შემახა თავისი უახლოესი თანაშემწეებისათვის ჩაუბარებია, თვითონ დერბენდში წასულა და განმარტოებულა[24].

70-იანი წლებიდან ფათალი-ხანს დაღესტნელ ფეოდალებშიც გასჩენია ოპოზიცია. თუ ისინი ადრე მას დერბენდის აღებაში ეხმარებოდნენ, ახლა მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გაერთიანებულან. მას გადაუწყვეტია ყიზიყუმუხის და ყაიდაღის ტახტიდან მუჰამედ-ხანი და ამირ-ჰამზა ჩამოეგდო და ტახტზე მისთვის სასურველი კანდიდატები აეყვანა. ამ საქმეში მას ტარკის შამხალი და ბუინაკის უცმი ეხმარებოდნენ[25].

1773 წლის დასასრულს განჯის, შაქის, ავარიის ხანებმა და შემახის ყოფილმა ხანმა აღასიმ, რომელსაც ფათალი-ხანმა თვალები დათხარა, გადაწყვიტეს აეღოთ შემახა და იქედან ფათალი-ხანი გაეძევებინათ[26] (1769 წელს ფათალი-ხანის მიერ დაბრმავებული აღასი-ხანი ყარაბაღში გაიქცა. იქ თავისი ერთგული ხალხი შეიერთა და შემდეგ მუღანის ველზე, მდინარე მტკვარზე, ელოვლეში გამაგრდა. აქედან იგი შაქის ჰუსეინ-ხანს და ავარიის ნუცალ-ხანს ფათალი-ხანის წინააღმდეგ მოუწოდებდა და დროს ურჩევდა, რათა შემახა კვლავ დაებრუნებინა)[27]. ავარიის ნუცალ-ხანს თავდაპირველად საქართველოზე თავდასხმა ჰქონია გადაწყვეტილი. თურქეთის მთავრობისათვის დახმარება უთხოვია, მაგრამ ერეკლე II-ს მოუგვარებია ავართა ხანთან ურთიერთობა და მისთვის ბორჩალოელი და ყაზახელი თათრები (აზერბაიჯანელები —გ. მ.) მიუშველებია[28].

ერეკლე II ჭარელებთანაც მორიგებულა და ვალდებულება უკისრია მათთვის წელიწადში სამი ათასი მანეთი მიეცა ოღონდ ჭარელებს საქართველოს დასარბევად წამოსული დაღესტნელები თავიანთ ტერიტორიაზე არ გაეტარებინათ[29].

1773 წლის ნოემბერში ფათალი-ხანის წინააღმდეგ შემახაში მომხდარი ბრძოლა აწერილი აქვს ყიზლარის კომენდანტის შტენდერის მიერ აზერბაიჯანში გაგზავნილ ა. ფილატოვს. 1773 წლის 15 დეკემბერს ა. ფილატოვი პოლკოვნიკ შტენდერს მოახსენებდა: „ერეკლე მეფემ ავარიის ხანს თავისი ქვეშევრდომი ბორჩალოელი და ყაზახელი თათრები მიაშველა, მაგრამ რამდენი, ცნობილი არაა. ამასობაში ავარიის ხანი შეუთანხმდა სპარსეთის (აზერბაიჯანის—გ. მ.) ქალაქ შექის ჰუსეინ-ხანს და განჯის ხანს, აგრეთვე შემახის ყოფილ აღასი-ხანს (რომელიც შემახიდან ყუბის ფათალი-ხანმა გააძევა) და ყველა ერთად მოულოდნელად მივიდა შემახასთან იქაურმა მცხოვრებლებმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ქალაქი ჩააბარეს; თუმცა იმ დროს შემახაში იყო ფათალი-ხანი, რომელსაც ახლდა ყუმუხის მფლობელი ელდარი, მაგრამ მათ მცირე ჯარი ჰყავდათ და წავიდნენ: ფათალი-ხანი ყუბაში, ხოლო ელდარი ბაქოში; მოკლულ იქნა ფათალი-ხანის მო-

---

24 АВПР, ф. Сношения России с Персией, оп. 77/7, д. 119, л. 6—7.

25 Г. Абдуллаев, Азербайджан в XVIII веке, გვ. 519—520.

26 АВПР, ф. Сношения России с Персией, оп. 77/6, д. 467, л. 3.

27 П. Бутков, Материалы, ч. I, გვ. 253.

28 АВПР, ф. Сношения России с Персией, оп. 77/6, д. 467, л. 3.

29 იქვე.

კავშირე შემახის იქით მდინარე მტკვარზე, მცხოვრები მომთაბარე შასეინის (შაჰსევანის —გ. მ.) მფლობელი ახან-ხანი"[30]

ფათალი-ხანს დახმარებისათვის ტარკის შამხალ მურთაზ ალისათვის მიუმართავს, რომელიც მთებში წასულა დაღესტნელების დასაქირავებლად. რომელთათვის ჯამაგირის გადახდა (თითოეულისათვის 30 მანეთი) ფათალი-ხანს უკისრია. ფათალი-ხანს დახმარებისათვის ერეკლე II-სათვისაც მიუმართავს. 1773 წლის 30 დეკემბერს კონსული ვ. იაბლონსკი ენზელიდან რუსეთის მთავრობას ატყობინებდა: „ფათლი-ხანის შესახებ აცხადებენ, რომ მან თხოვა უფლისწულ ერეკლეს დახმარება და ათი ათას კაცს ელოდება, ამასთან დამატებით მეზობელ ხალხებში აგროვებს ჯარს, რომ თავის მტრებზე სასტიკად იძიოს შური და შემახა მიწასთან გაასწოროს-ო[31].

1774 წლის იანვარში ფათალი-ხანმა, მართლაც, შეძლო შემახის დაბრუნება. პ. ბუტკოვი თავის ნაშრომში ძალზე მოკლედ მოგვითხრობს ფათალი-ხანის მიერ შემახის აღების ისტორიას: „შემდეგ მან მალე შეაგროვა 20 ათასამდე ჯარი და ხელახლა გამოჩნდა შემახასთან, საიდანაც შაქის ხანმა თავის სამფლობელოში დაიხია. ფათალი-ხანმა დაამარცხა თავისი მოწინააღმდეგების მერსელისა და აღასის ჯარები. მოკლა ავართა ხანი მერსელი, ხოლო აღასიმ თავი შეაფარა თავის სამფლობელოში ელოვლეს"[32]. იქვე პ. ბუტკოვი განმარტავს, თუ რატომ მიატოვა შაქის ხანმა მოკავშირეები. მისი აზრით, შაქის ხანი წაეჩხუბა აღასი-ხანს ან ფათალი-ხანის მიერ იქნა მოსყიდული.

გ. აბდულაევი ეხება რა ფათალი-ხანის მიერ შემახის აღების ისტორიას წერს: „ყუბელები არ შეურიგდნენ დამარცხებას. შემახასთან შეიკრიბა მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერბაიჯანიდან მნიშვნელოვანი ძალები ხანის გვარდიისა. მუაფის, სახალხო ლაშქარი და დაქირავებული. აგრეთვე ტარკის, აკუშნელების და ბუინაკელთა რაზმები. შემახის პლაცდარმზე დაიწყო ძლიერი ბრძოლები, რომელიც ხელჩართულ ბრძოლებში გადავიდა. ფეოდალური კოალიციის ჯარებმა მარცხი განიცადეს, განსაკუთრებით დიდი ზარალი ნახეს ავარელებმა, ბრძოლის ველზე დარჩა ავარიის ხანის ორი ვაჟის— პულახ-მირზას და მუჰამედ-მირზას ცხედარი. მომდევნო წლის დასაწყისში (1774 წლის —გ. მ.) ბრძოლა განახლდა მოწინააღმდეგეთა ახალი ძალების მონაწილეობით. ანტიყუბური ბლოკის ძირითად დამრტყმელ ძალას შეადგენდნენ მრავალრიცხოვანი და მეომარი ავარელები, მაგრამ მოკავშირეებს ამჯერადაც არ ჰქონიათ წარმატება ახლა თვით ავარიის ხანი (ნუცალი) დაიღუპა"[33].

გ. აბდულაევი აკრიტიკებს ა. ბაქიხანოვს, პ. ბუტკოვს, ი. პაჯინსკის და საბჭოთა ისტორიკოსს ვ. ლევიატოვს, რომელთაც „ვერ შენიშნეს ბრძოლის ღრმა მიზეზები, დაავიწროეს მონაწილეთა წრე, სიტყვა არ თქვეს ფათალი-ხანის სახელმწიფო გეგმაზე და ამ ბრძოლაში ქართლ-კახეთის სამეფოს მონაწილეობაზე"[34].

---

[30] АВПР, ф. Сношения России с Персией, оп. 77/6, д. 467, л. 3. Г. Абдуллаев, Азербайджан в XVIII веке, გვ. 521.

[31] АВПР, ф. Сношения России с Персией, оп. 77/6, д. 466, л. 106.

[32] П. Бутков, Материалы, ч. I, გვ. 254.

[33] Г. Абдуллаев, Азербайджан в XVIII веке, გვ. 522.

[34] იქვე, გვ. 523.

გ. აბდულაევს, მას შემდეგ რაც ერეკლე II-მ ავართა ხანს ბორჩალოელი და ყაზახელი აზერბაიჯანელები მიაშველა და ამ ეგრეთწოდებულმა კოალიციამ 1773 წლის ნოემბერში ფათალი-ხანს შემახა დააკარგვინა, ქართლ-კახეთის სამეფო 1774 წლის შემახის და, უფრო მეტიც, გავდუშანის (1774 წ. ზაფხული) ბრძოლებში „ანტიყუბურ კოალიციაში" ჰყავს გაერთიანებული.

ჯერ კიდევ 1981 წელს ჩვენ ეჭვი შევიტანეთ გ. აბდულაევის ამ მოსაზრების სისწორეში, მაგრამ მასალების უკმარისობის გამო ვწერდით, რომ „ერეკლე II, ალბათ, თანაუგრძნობდა ამ კოალიციას, მაგრამ მისი აქტიური მონაწილეობა წყაროებიდან არ ჩანს"[35].

შემდგომი მუშაობის შედეგად რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში ჩვენ მივაკვლიეთ მეტად საინტერესო დოკუმენტს, რომელიც საშუალებას იძლევა გავარკვიოთ ერეკლე II როლი შემახისათვის ბრძოლების ისტორიაში და დავაზუსტოთ თუ რატომ გამოეთიშა შაქის ჰუსეინ-ხანი ფათალი-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში აღასი-ხანსა და ნუცალ-ხანს.

1774 წლის 9 ივნისს რუსეთის კონსული ვ. იაბლონსკი საგარეო საქმეთა კოლეგიას დაწვრილებით მოახსენებდა შემახაში მომხდარ ამბებს: „ვექილმა (ქერიმ-ხანმა — გ. მ.) ზემოხსენებული წესისამებრ მიიღო მასთან წარგზავნილი (ანდრეევსკელი თათარი ჰაჯი ალი-ბური —გ. მ.) და უკანვე გამოუშვა, თან გამოატანა თავისი სამი ყული (მონა — გ. მ.) ხალათებით და სხვა საჩუქრებით, ამასთან ერთად ბრძანებულებით უწყალობა ჰუსეინ-ხანს ბეგლარბეგობა, მურალ (ნუცალ — გ. მ.) ხანს სარდლობა, ხოლო ბრმა აღასის-შემახის ნაიბობა, რომ მათ ეცადათ ფათალი-ხანისათვის წაერთმიათ ყუბა და დერბენდი და მოეკლათ იგი (ფათალი-ხანი — გ. მ.) თუ საჭირო იქნებოდა იგი (ვექილი —გ. მ.), თვითონ დაეხმარებოდა ჯარით, შემდეგ წასულიყვნენ საქართველოში ერეკლეს წინააღმდეგ, სადაც მათ ატანდა თავად ალექსანდრეს, როგორც საქართველოს კანონიერ მმართველს"[36]. ქვემოთ კონსული განაგრძობს, რომ აქ „იგულისხმება იმის სამაგიეროს გადახდა, თითქოს ერეკლე თავისი ჯარით დაეხმარა ფათალი-ხანს შემახისა და შექის აღებაში, რაც სინამდვილეში არ მომხდარა: როგორც ადრე, ისე უკანასკნელად ფათალი-ხანის მიერ შემახის ნამდვილად დაბრუნების დროს ერეკლეს სხვა არაფერი გაუკეთებია გარდა იმისა, რომ ფათალი-ხანის თხოვნით შექის ჰუსეინ-ხანს შეუთვალა, რომ თუ იგი ადგილიდან დაიძვრება, ერეკლეს, მზად ჰყავს ჯარი, რომელსაც ნაბრძანები აქვს დაარბიოს შექი და მისი ხელისუფლების ქვეშ მყოფი ულუსები, რამაც დიდად შეუწყო ხელი ფათალი-ხანს შემახის დაკავებაში თუმცა შემახის ხანს აღასის საკმაოდ ბევრი ლეკი ჰყავდა ორი ხანით და გარემოცვა, როგორც ამბობენ ათი დღე გრძელდებოდა, მაგრამ გაიმარჯვა ფათალი-ხანმა, მოკლა ლეკი მუსალ (ნუცალ — გ. მ.) ხანი და დიდი რაოდენობით სხვებიც, ხოლო აღასი შემახელის შესახებ სანდო ცნობა ჯერ არ არის"[37].

---

[35] გ. მ ა ჭ ა რ ა ძ ე, XVIII ს-ის II ნახევრის საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობის ისტორიის ასახვა აზერბაიჯანულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა III რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბ., 1981.

[36] АВПР, ф. Сношения России с Персией, оп. 77/6, д. 466, лл. 18—20.

[37] იქვე.

როგორც მოტანილი ცნობიდან ჩანს, ერეკლე ფათალი-ხანის წინააღმდეგ არსებული კოალიციის მონაწილე კი არ არის, როგორც გ. აბდულაევს ეგონა, პირიქით მეფეს კატეგორიული წინადადება მიუცია შაქის ჰუსეინ-ხანისათვის შეეწყვიტა ბრძოლა ფათალი-ხანის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ერეკლეს ასეთი ნაბიჯი განპირობებული ყოფილა იმით, რომ „კოალიციის“ ზურგს უკან ქერიმ-ხანი იდგა, რომელსაც ფათალი-ხანის დამხობის შემდეგ, ლეკთა და ირანელთა ძალებით ერეკლეც უნდა დაემხოთ და ქართლში ალექსანდრე ბატონიშვილი გაემეფებინათ.

იმავე მოხსენებაში კონსული განაგრძობს: „რაც შეეხება ზემოხსენებულ ვექილის ყულებს, ისინი, როგორც კი (რეშტი გაიარეს) მივიდნენ ქესმაში და იქ შეიტყვეს, რომ ფათალი-ხანმა შემახა უკვე წაართვა და ლეკთა მუსალ (ნუცალ— გ. მ.) ხანი მოკლული იყო, ხოლო ერეკლეს ჯარები შაქზე მიდიოდნენ, გზა აღარ განაგრძეს, გაჩერდნენ ქესმაში და მაშინვე აცნობეს აქაურ ხანს (რომელიც უკან მოდიოდა და ახლო იყო ქესმასთან), რადგან ვექილმა თუმცა საჩუქრები გაუგზავნა ზემოხსენებულ სამ ხანს, მაგრამ ჰედაეთხანს ჰკითხეს როგორ მოქცეულიყვნენ“[38]. კონსული განაგრძობს, რომ ვექილი ახლა ალბათ ფათალი-ხანს მამაცობას შეუქებს და საჩუქრებს გამოუგზავნის-ო[39].

როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, ერეკლეს კარგი ინფორმაცია ჰქონია და სწორად შეუფასებია ვითარება, ხოლო ერეკლეს მხარდაჭერით ფათალი-ხანს აღარ გასჭირვებია შემახის ხელახლა დამორჩილება და „კოალიციის“ დამარცხება.

აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოდ გამოიყურება გ. აბდულაევის თეზისი, რომლითაც ერეკლე II გაერთიანებულია ანტიყუბურ „კოალიციაში“ ფათალი-ხანის წინააღმდეგ, როგორც შემახას, ისე გავდუშანის ბრძოლებში[40].

ნუცალ-ხანის სიკვდილის შემდეგ ავარიის ტახტზე მისი შვილი ომარ-ხანი ავიდა. ომარ-ხანს მიუხედავად იმისა, რომ ფათალი-ხანს თავის მოსისხლე მტრად თვლიდა, თავდაპირველად ფათალი-ხანის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია[41].

გ. აბდულაევის აზრით, არც გავდუშანის ბრძოლა ყოფილა სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ გაშუქებული. იგი წერდა: „როცა ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერბაიჯანის მებრძოლები შემახას იცავდნენ, ამით ისარგებლა სამხრეთ დაღესტნელ ფეოდალთა მეორე ბლოკმა ყარაყაიდაღის უცმის ამირ ჰამზას მეთაურობით, ისინი ზურგში დაეცნენ შემახის დამცველებს. 1774 წლის ივლისში გაერთიანებული შეიარაღებული ძალები ფეოდალ მმართველთა: ყაიდაღის უცმის ამირ ჰამზას, ყაზიყუმუხელი მუჰამედ-ხანის, ავარელი ომარ-ხანის, ტაბასარანის ყადის რუსტამის, ჯანგუტის ალი-სულთნის, ტაშის მუჰამედის რაზმები მიისწრაფოდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერბაიჯანის სამხედრო-პოლიტიკური ცენტრის ყუბისაკენ. ახლანდელი ხუდატის ახლოს, გავდუშანის ველზე გაიმართა სისხლის მღვრელი და ხანგრძლივი

[38] АВПР, ф. Сношения России с Персией, оп. 77/6, д. 466, лл. 18—20.

[39] იქვე.

[40] Г. Абдуллаев, Из истории северо-восточного Азербайджана, გვ. 73—74.

[41] АВПР, ф. Сношения России с Персией, оп. 77/6, д. 467, л. 9; П. Бутков, Материалы, ч. II, გვ. 18.

ბრძოლა... გავდუშანში ყუბის სახანოს ჯარები დამარცხდა. ეს იყო გაპირობებული მისი მოწინააღმდეგეების წინა შეტევით შემახაზე“[42].

მოტანილი მსჯელობა რამდენიმე შენიშვნას იმსახურებს: ჯერ ერთი, შემახის ბრძოლა 1774 წლის იანვარში გაიმართა და იგი ფათალი-ხანის გამარჯვებით დასრულდა; მეორე, ზემოთ ჩამოთვლილი დაღესტნელი ფეოდალები ერთად არ დასცემიან ყუბას; მესამე, ფათალი-ხანი იმყოფებოდა დერბენდში, როცა დაღისტნელი ფეოდალები: ყაიდაღის უცმი ამირ ჰამზა, ტაბასარანის ყადი რუსტამი, ყაზანიშევის მფლობელი ტიშისა და ჯანგუტის მფლობელი ალი-სულთანი ყუბისაკენ დაძრულან და მდინარე სამურს მიახლოებიან. ფათალი-ხანს როგორც კი შეუტყვია დაღესტნელი ფეოდალების მოძრაობის შესახებ, სასწრაფოდ შეუკრებია ჯარი (დაახლოებით 8 ათასამდე) და სოფელ ხუდატთან დაბანაკებულა[13]. „უცმიმ თავის თანამოაზრეებთან ერთად, დაინახა რა მისი (ფათალი-ხანის—გ. მ.) უპირატესობა, ყველანი ფიცით შემოიმტკიცა, რომ ფეხიზლად მოქცეულიყვნენ და თოფით სროლის შემდეგ უშიშრად ხმლით წასულიყვნენ და ხელი არაფრისათვის ეხლოთ, სანამ, ყველას არ დაამარცხებდნენ: ამრიგად, დაჰკრეს ფათალი-ხანის ჯარებს, რომელიც დაამარცხეს, ბევრი დახოცეს, სხვები ტყვედ წაიყვანეს, ფათალი-ხანი მცირე რაზმით ყუბაში წავიდა, ხოლო მასთან მყოფი ყუმუხთა მფლობელი ელდარი გაიქცა დერბენდს, მას დაედევნა ტიშის ბამატი და ელდარი მოკლა. ამის შემდეგ ტიშისი წავიდა, რათა თავს დასხმოდა ხანის ჯარში მყოფ სომეხთა სამოცდაათკაციან რაზმს, რომელიც იმალებოდა. იქ მოკლულ იქნა ტიშის ბამატი, ხოლო სომეხთაგან ოც კაცზე მეტი არ დარჩენილა ცოცხალი. თუმცა ავარიისა და ყიზიყუმუხის ხანებს განზრახვა ჰქონდათ, რომ არ წასულიყვნენ სპარსეთში (აზერბაიჯანში — გ. მ.) უცმისთან შესაერთებლად, მაგრამ დამარცხების ამბავი შეიტყვეს და ისინიც ჯარებით დაიძრნენ“[44]. — მოახსენებდა ყიზლარიდან აზერბაიჯანში მდგომარეობის შესასწავლად სპეციალურად გაგზავნილ ვ. ტარასოვი ყიზლარის კომენდანტს პოლკოვნიკ შტენდერს 1774 წლის 28 ოქტომბერს.

როგორც ვ. ტარასოვის მოხსენებიდან ჩანს, ავარიის და ყაზიყუმუხის ხანები მაშინ შეერთებიან ამირ-ჰამზას, როცა ფათალი-ხანის ბედი ფაქტობრივად უკვე გადაწყვეტილი ყოფილა. პ. ბუტკოვის შრომაში, თუმცა ცოტა სხვაგვარად არის მოთხრობილი გავდუშანის ბრძოლის ისტორია, მაგრამ აქაც ნათლად ჩანს, რომ ავარიის და ყაზიყუმუხის ხანები გვიან ჩართულან ბრძოლაში[45].

ფათალი-ხანმა დაკარგა შემახა, ყუბა, კულაგანი და სალიანს შეაფარა თავი. ამირ ჰამზა დერბენდისაკენ დაძრულა, მაგრამ ვერ აუღია, რადგან დერბენდელებს გადაუწყვეტიათ სანამდის ფათალი-ხანი და ტარკის შამხალი ცოცხალი იყვნენ, დერბენდი ამირ ჰამზასათვის არ გადაეცათ[46]. ამირ ჰამზა ხანგრძლივ ალყაზე გადავიდა, რომელიც ცხრა თვეს გაგრძელდა. ფათალი-ხანი

---

[42] Г. Абдуллаев, Азербайджан в XVIII веке, გვ. 523—524.
[43] АВПР, ф. Сношения России с Персией, оп. 77/6, д. 467. л. 9.
[44] იქვე.
[45] П. Бутков, Материалы , ч. II, გვ. 18.
[46] АВПР, ф. Сношения России с Персией, оп. 77/6, д. 467, л. 9.

სალიანიდან ბაქოს გავლით დერბენდში წავიდა, იქიდან ყიზლარში თავისი წარმომადგენელი გაგზავნა და რუსეთს დახმარება სთხოვა[47]. რუსეთის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა აკად. გმელინის ექსპედიციის დაღუპვის გამო ყაიდაღის უცმი დაესაჯა, მაგრამ გენ. დე მედემმა 1775 წლის გაზაფხულზე გარდა იმისა, რომ გმელინის მოკვლისათვის ყაიდაღის უცმი დასაჯა, დიდი დახმარება გაუწია ფათალ-ხანს. ამირ ჰამზა იძულებული გახდა დერბენდის ალყა მოეხსნა და დაბრუნებულიყო ყაიდაღში, სადაც რუსის ჯარის მიერ სასტიკად იქნა დამარცხებული ამით ფათალი-ხანს საშუალება მიეცა დაებრუნებინა ყველა დაკარგული სამფლობელო.

საქართველოში, როგორც კი შეიტყვეს მედემის ლაშქრობის ამბავი, გამოეხმაურნენ ამ ფაქტს. ერეკლე II-მ 1775 წლის 30 მაისს წერილი მისწერა გენერალ დე მედემს, იგი მას საქართველოსაკენ მიუხმობდა. ერეკლეს ამ წერილს სწორი მეცნიერული ინტერპრეტაცია მისცა აკად. ნ. ბერძენიშვილმა[48]. ერეკლე რუსეთის ჯარებს შემახაში იწვევდა და იქიდან კი ირანში ლაშქრობას სთავაზობდა, თუ რუსეთი ამას გადაწყვეტდა. იგი აუწყებდა რუსეთის მთავრობას, რომ მტკვრის ნაპირზე მცხოვრებნი, როგორც ქრისტიანები, ისე მაჰმადიანები, სიხარულით შეგხვდებიანო. მეფეს სურდა რუსეთის ჯარს დაღესტნელი ფეოდალები დაემორჩილებინა, რათა მათ გამანადგურებელ თავდასხმებს საქართველოზე ბოლო მოღებოდა.

„თუ უმაღლესის ჯარის მოხსენებით და ბრძანებით იქნებოდეს და ან ეგების ჩემის ყოვლად მოწყალისა და დიდისა მონარხისაგან ასეთი ნება გქონდესთ ბოძებული. რომ თქვენ შემძლებელი ბრძანდებოდეთ და გაისარჯნეთ ჯარით და ახლოს შამახიას მობრძანდე, მე ვგონებ, რომ სრული დაღისტანი დაგემორჩილებათ და ჩვენ ყოველნი აქეთ მყოფნი ქრისტიანენი მზას ვიქნებით, როგორც თქვენი ნება იქნება ამ საქმით.

და სალიანიდამ ნავები მტკვარში შემოვლენ და კახეთში სამძღვრის ალაგებზედ ას ვერსად სიახლოვეს შემოვლენ და იქიდამაც იქნება მცირეს გარჯით უფრო მახლობელად მოვიდნენ. კიდევ ეს მოგხსენდესთ: როგორც თქვენი ნება იქნება იმ დროს — იმ მოქმედებაში შევალთ ჩვენის შეძლებით: და სალიანიდამ მშრალზედ მტკვრის ორისავ ნაპირებიდან სულ ვაკე აქვს ტფილისამდინ და კახეთამდინ, ყოვლისფრით მეგზური სულ ვაკეზედ შეუწუხებლად ივლის.

და კიდევ ამას გარდა, რომელიც გილანს აქეთ სპარსნი მაჰმადიანნი იმყოფებიან და ერთი მეორისაგან შეწუხებულნი არიან, — უმრავლესნი სულ სიხარულით მოგვენდობიან და რასაც უბრძანებ, ყოველის მორჩილებით მიიღებენ, და ქრისტიანეთ რაღა თქმა უნდა—ყოველნი ღვთის მადლობით, როგორც უბრძანებ ისე გიახლებიან. თუ თქვენთანაც ისინი რომლითამე სახითა მიიღებიან, სრულის ერთგულებით დაადგებიან ყოვლად მოწყალის ხელმწიფის სამსახურს“[49].

---

[47] П. Бутков, Материалы, ч. II, გვ. 19.

[48] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 466.

[49] А. Цагарели, Грамоты, т. II, вып. I, გვ. 177—178. (ა. ცაგარელმა ეს წერილი შეცდომით 6 მაისით დაათარიღა და ადრესატიც აურია—П. Потемкину — ასევე ერთი სიტყვა ამოაგდო, უნდა იყოს არა „გილანს სპარსნი“, არამედ „გილანს აქეთ სპარსნი“, შდრ. АВПР, ф. Сношения России с Персией, оп. 77/6, д. 470, л. 86).

გ. აბდულაევი და შ. ჰამიდოვა ეკატერინე II-ის მიერ გენერალ დე მედემისთვის გაგზავნილი ინსტრუქციით მსჯელობენ ერეკლეს გეგმებზე, ამიტომ მათ ერეკლეს ეს ნაბიჯი ფათალი-ხანის წინააღმდეგ მიმართულ აქტად მიიჩნიეს, თუმცა არც ამ ინსტრუქციით ჩანს, რომ ერეკლეს ფათალი-ხანის დამხობა ჰქონდა მიზნად[50].

1775 წლის 28 ივლისს ეკატერინე II გენერალ დე მედემს სწერდა: „რაც შეეხება ქართველი მფლობელის მოთხოვნას, რომ თქვენ, თქვენი კორპუსით მიუახლოვდეთ მას, ეს მთელი სიცხადით გვიჩვენებს რომ იგი ახლაც ცდილობს ჩვენი დახმარებით თავის ხელისუფლებისმოყვარეობას სამსახური გაუწიოს, როგორც ეს ჩვენი ჯარის საქართველოში ყოფნის დროს გამოჩნდა. ერეკლეს წინადადება ახლა არ იმსახურებს ყურადღებას, ამიტომ თქვენ გაჩუმდით, ვიდრე იგი მეორედ არ მოგმართავთ, ხოლო თუ ისევ მოგმართოთ, აცნობეთ მას რომ ეს საქმე შეუძლებელია და თუ მას სურს, საკუთარი ძალებით აწარმოოს დაპყრობები"[51]. ქართლ-კახეთის სამეფოს მესვეურებმა ჯარების მოძრაობა და დერბენდის დაკავება ირანის წინააღმდეგ მიმართულ ლაშქრობად მიიჩნიეს და გამოეხმაურნენ ამ ფაქტს, მაგრამ რუსეთის მთავრობას იმ დროს ირანში ლაშქრობა არ ჰქონდა დაგეგმილი, ამიტომ, რა თქმა უნდა, ერეკლეს წინადადება არ იქნა მიღებული.

1775 წლის შემოდგომაზე კასპიის ზღვის ნაპირებთან ასტრახანელი ვაჭრის სკვორცოვის გემი დაიმსხვრა. ზარალი 700 ათას მანეთს შეადგენდა. რუსეთის მთავრობამ მოსთხოვა ფათალი-ხანს რათა საქონელი რუსეთისათვის გადაეცა. ფათალი-ხანმა 200 ათასი მანეთის საქონელი დააბრუნა, დანარჩენი კი რუსეთის მთავრობის თხოვნის და მუქარის მიუხედავად, მიითვისა. გენერალ დე მედემს გადაწყვეტილი ჰქონდა ფათალი-ხანი დაესაჯა, მაგრამ რუსეთის მთავრობამ ყიზლარიდან ჯარის გაყვანის უფლება არ მისცა. ამან, რა თქმა უნდა, რუსეთის სახელმწიფოსთან ფათალი-ხანის ურთიერთობა გააფუჭა. გ. აბდულაევმა, ო. მარკოვამ და შ. ჰამიდოვამ ამ ფაქტს არც თუ ისე დიდი მნიშვნელობა მისცეს და რუსეთის მთავრობასა და ფათალი-ხანს შორის ურთიერთობის გამწვავება ერეკლე II-ს გადააბრალეს. რა თქმა უნდა, რუსეთის მთავრობა ერეკლეს წერილებს ანგარიშს უწევდა, მაგრამ არც ისეთი გულუბრყვილო იყო რუსეთის დიპლომატია, რომ ერეკლეს კარნახით ეწარმოებინა თავისი საგარეო პოლიტიკა. ეს საკითხი კრიტიკულად განიხილა მ. სამსონაძემ[52], ამიტომ ჩვენ ამ საკითხზე მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ XVIII ს-ის 70-იან წლებში ფათალი-ხანსა და ერეკლე II-ს შორის ნორმალური ურთიერთობა იყო. ასევე კარგი ურთიერთობა ჰქონდა ერეკლე II-ს ყარაბაღის იბრეიმ-ხანთან, რაც ასევე დიდხანს გაგრძელდა (1783 წლამდე). რაც შეეხება განჯის სახანოს, იგი ერეკლემ XVIII ს-ის 50-იან წლებში ვასალად აქცია: განჯის სახანოს პოზიცია ცვალებადი იყო. იგი ხშირად განუდგებოდა ხოლმე თავის სიუზერენს. როგორც ჩანს, ერეკლე II მარტო ვეღარ ახერხებდა განჯაზე თავის ბატონობას, ამი-

---

[50] Г. Абдуллаев, Азербайджан в XVIII веке..., გვ. 537; შ. ჰამიდოვა, დას. ნაშრომი, გვ. 151.

[51] АВПР, ф. Сношения России с Персией, оп. 77/6, д. 470, лл. 97—98.

[52] მ. სამსონაძე, ამიერკავკასიის სახანოებთან ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობის ისტორიიდან XVIII ს-ის 80-იან წლებში (იხ. წიგნში: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1973).

ტომ 1778 წელს მან ყარაბაღის იბრეიმ-ხანთან ერთად ილაშქრა განჯაზე და მასზე ერთობლივი ბატონობა დაამყარეს. განჯაში ორი გუბერნატორი დასვეს — ერეკლეს მხრივ ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი და იბრეიმ-ხანის მხრივ აზრათ-ყული-ბეგი[53].

ფათალი-ხანს სურდა განჯის სახანოს დამორჩილება. მას ყარაბაღის და შაქის დამორჩილებაც ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ფათალი-ხანმა თვით იმ პროვინციებშიც კი, რომლებიც მან შეიერთა, სახანოების გაუქმება ვერ შეძლო. ამის მიზეზი იყო პარტიკულარისტული მისწრაფებები ადგილობრივი ხანებისა, რომელნიც ხშირად ეროვნულ ინტერესებს ივიწყებდნენ და უცხო ძალებს მიმართავდნენ, ოღონდაც ხელისუფლება არ დაეკარგათ. უცხო ძალებიც (დაღესტნელი ფეოდალები და ქართლ-კახეთის სამეფო) ხშირად ერეოდნენ აზერბაიჯანის საშინაო საქმეებში, რაც ერთგვარად აფერხებდა გაერთიანების საქმეს, მაგრამ მთავარი მაინც ქვეყნის საშინაო ვითარებაში და თვით აზერბაიჯანის, კერძოდ, ყუბის სისუსტეში უნდა ვეძიოთ. 1773 წელს ფათალი-ხანმა შემახა დაკარგა, შაქის და ყარაბაღის ხანების წყალობით. 1774 წლის იანვარში ერეკლე II-ის დახმარებით შეძლო უკან დაბრუნება. 1774 წლის ზაფხულში დაღესტნელი ფეოდალების წყალობით მთელი ხელისუფლება დაკარგა, 1775 წლის გაზაფხულზე რუსეთის სახელმწიფო დაეხმარა და იგი აღადგინა და ბოლოს, როგორც მრავალრიცხოვანი საარქივო მასალებიდან ჩანს, მისი ჯარი ძირითადად დაქირავებული ლეკებისაგან შედგებოდა, რომელსაც ხშირად დროულად ჯამაგირსაც ვერ უხდიდა. დაქირავებული ძალებით ისეთი დიდი საქმის განხორციელება, რომელსაც დაქუცმაცებული სახელმწიფოს გაერთიანება ჰქვია, შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, ფათალი-ხანი აზერბაიჯანში ყველაზე ძლიერი სახელმწიფო მოღვაწე იყო, რომელმაც მთელი ცხოვრება ბრძოლებში გაატარა და ცალკეულ ეტაპზე გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია.

1779 წლის 2 მარტს ირანის ვექილი ქერიმ-ხანი გარდაიცვალა[54]. ირანში ტახტის მაძიებელთა შორის სისხლისმღვრელი ომები გაჩაღდა. ამიერკავკასიაში ფათალი-ხანის და ერეკლე II-ის ურთიერთობაც გამწვავდა. ფათალი-ხანს ვერ მოეთმინა ის, რომ განჯაში იბრეიმ-ხანი და ერეკლე II ბატონობდნენ, ამიტომ მან 1779 წელს იბრეიმ-ხანთან გაგზავნა ელჩი, რომელსაც, ალბათ დავალებული ჰქონდა მოეხერხებინა იბრეიმ-ხანს და ერეკლეს შორის განხეთქილების ჩამოგდება. იბრეიმ-ხანმა ელჩი ციხეში ჩასვა და ორი წელი ჰყავდა გამომწყვდეული. 1780-1781 წლებში ფათალი-ხანმა ორჯერ მოაწყო ლაშქრობა იბრეიმ-ხანის წინააღმდეგ, მაგრამ უშედეგოდ[55].

განსაკუთრებით გამწვავებულა ურთიერთობა ერეკლესა და ფათალი-ხანს შორის 1782 წელს, როცა ფათალი-ხანმა ყუბაში თავშესაფარი მისცა ქართლის ტახტის მაძიებელს ალექსანდრე ბაქარის ძეს. ფათალი-ხანი დიდ ლაშქრობას ამზადებდა ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ. 1783 წლის გაზაფხულზე, მან 13 ათასი კაცით ყარაბაღზე ილაშქრა და დაარბია კიდეც იგი, მაგრამ შემდგომი მოვლენები სხვაგვარად წარიმართა. 1783 წლის 24 ივლისს გე-

---

[53] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 681.
[54] ზ. შარაშენიძე, ირანი XVIII ს-ის II ნახევარში, თბ., 1970, გვ. 90.
[55] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, გვ. 450—451.

ორგიევსკში დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შევიდა. რუსეთმა მოსთხოვა ფათალი-ხანს, რომ ლაშქრობაზე ხელი აეღო, ხოლო ალექსანდრე ბაქარის ძე რუსეთის ხელისუფლებისათვის გადაეცა. ფათალი-ხანმა რუსეთის მთავრობის მოთხოვნა შეასრულა, რითაც რუსეთის მთავრობის მადლობა დაიმსახურა[56].

1783 წელს უნდობლობა ჩამოვარდა იბრეიმ-ხანსა და ერეკლე II-ს შორის. რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა იბრეიმ-ხანის ტახტიდან ჩამოგდება და სომხური ქრისტიანული სახელმწიფოს აღდგენა. ერეკლე II-მ თუმცა ამ პროექტის შესახებ არაფერი იცოდა, რადგან რუსეთი ამას ერეკლესგან საიდუმლოდ ინახავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ერეკლესა და იბრეიმ-ხანს შორის ურთიერთობა მაინც გაფუჭებულა[57].

1783 წლის ნოემბერში თბილისში ტრაქტატით გათვალისწინებული რუსეთის ორი ბატალიონი შემოვიდა. 1784 წელს კი განჯაში ჰაჯი-ბეგის მეთაურობით აჯანყება მოხდა. ჰაჯი-ბეგმა ქართველი მმართველი გააძევა განჯიდან და ქვეყნის ერთპიროვნულ მართვას შეუდგა. პ. ბუტკოვის მოსაზრებით, ამ აჯანყებაში იბრეიმ-ხანის ხელი ერია და მისი ფარული წაქეზებით მომხდარა[58]. გ. აბდულაევმა კი განჯის აჯანყება ფათალი-ხანის ენერგიულ მოღვაწეობას დაუკავშირა. მას თურმე გადაწყვეტილი ჰქონია განჯის ტახტზე დაესვა მუჰამედ-ხანი, რომელიც იბრეიმ-ხანს ჰყავდა დატყვევებული[59]. მ. სამსონაძემ გაიზიარა მოსაზრება ფათალი-ხანის მონაწილეობის შესახებ განჯის აჯანყებაში, თუმცა, თვლის რომ იბრეიმ-ხანის ხელიც ერია საქმეში, რომელიც ალბათ ფარულად მოქმედებდა[60]. ჩვენ ვიზიარებთ ამ აჯანყებაში იბრეიმ-ხანის და ფათალი-ხანის მონაწილეობას და მათ როლს, მაგრამ ყურადღებას გავამახვილებთ აგრეთვე შაქის ხანის მონაწილეობასა და მის როლზე, რომელიც აშკარად და დაუფარავად მოქმედებდა და ამ აჯანყების სული და გული ყოფილა.

1784 წლის გაზაფხულზე რუსეთის მთავრობის წარმომადგენელს პოლკოვნიკ ბურნაშოვს ერეკლე II-მ აზერბაიჯანში ლაშქრობა შესთავაზა. ერეკლეს ეს წერილი პოლკოვნიკმა ბურნაშოვმა 14 აპრილს კავკასიის ხაზის უფროსს პ. პოტიომკინს, მან კი 26 აპრილს გრ. პოტიომკინს გადაუგზავნა. ერეკლე II პოლკოვნიკ ბურნაშოვს წერდა: „ჩემამდე მოსული ცნობები მოწმობენ, რომ თითქოს სურს (იბრეიმ-ხანს —გ. მ.) თავისუფლება მისცეს მაჰმედ-ხანს და სურთ იგი აღადგინონ განჯაში, მიუხედავად იმისა, მე ამაზე თანახმა ვარ თუ არა, ან ამის წინააღმდეგი ვარ. ამ ცნობას ისევე გაუწყებთ, როგორც ჩემამდე მოაღწია. განმცხადებელი ჯერ არ შემიძლია დავასახელო, სანამ იგი თვითონ აქ არ მოვა, მისგან პირადად დაწვრილებით შევიტყობ. მარწმუნებენ, რომ თითქოს მას (იბრეიმ-ხანს — გ. მ.) სურს შეხვედრა ფათალი-ხანთან და სურს ჩემი თანხმობა: მაგრამ ერთგულება რომელიც მე გამოვუცხადე მისი იმპერატორობითი დიდებულების ტახტს, მიკრძალავს მე ამაზე დავთანხმდე და რაიმე შეხვედრაზე ვიფიქრო, როგორ სასარგებლოც არ უნდა მიმაჩნდეს, ამჟამად ვთვლი სასარგებლოდ რომ რუსეთმა დაიპყროს აზერბაიჯანი, ხოლო შემდეგ

---

56 В. Левиатов, Очерки из истории Азербайджана в XVIII веке, გვ. 143.

57 მ. სამსონაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

58 П. Бутков, Материалы, ч. II, გვ. 159.

59 Г. Абдуллаев, Из истории северо-восточного Азербайджана, გვ. 113.

60 მ. სამსონაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 110—111.

ერთი ნაწილი მე მომცეს. ფათალი-ხანი მჭიდრო კავშირშია ტარკის შამხალთან, ჯიმუტის მფლობელთან და სხვა დაღისტნელ მფლობელებთან, ამიტომ საჭიროა რათა რუსეთის ჯარები დერბენდისაკენ გადაეიდნენ, მაშინ აზერბაიჯანელებისა და დაღისტნელების მთელი ძალები გაითიშება და მათი ჩანაფიქრი დაიმსხვრევა“[61]. ერეკლეს მხრივ ასეთი მოთხოვნა განჯაში დაწყებული არეულობების შედეგი უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება ტერიტორიულ პრეტენზიებს, ერეკლე ალბათ განჯის გადაცემას გულისხმობდა, რომელსაც იგი XVIII ს-ის 50-იანი წლებიდან ფლობდა. შ. ჰამიდოვა წერს: „ერეკლე II გაერთიანდა დაღესტნელებთან. ომარ-ხანთან და გაძარცვა დერბენდი და შემახა, რომელიც ფათალი-ხანის მმართველობაში იმყოფებოდა“ო[62]. იგი თარიღს არ უთითებს თუ როდის შედგა ეს ლაშქრობა, მაგრამ ჩვენი დაკვირვებით იგი 80-იანი წლებს გულისხმობს. ჩვენ იმთავითვე ეჭვი შევიტანეთ ამ ფაქტის სისწორეში, რადგან ასეთი ცნობა. ისტორიოგრაფიაში უცნობია. ავტორი იმოწმებს ცენტრალური სამხედრო ისტორიული არქივის პოტიომკინის ფონდის 282 საქმის, II ნაწილის 32-ე გვერდს. ჩვენ შევამოწმეთ ხსენებული საქმე მთლიანად. მაგრამ ამის მსგავს ცნობას ვერ მივაკვლიეთ. პოტიომკინის ფონდის ამ საქმეში მთლიანად ყირიმიდან გაგზავნილი ანგარიშებია დაცული დე ბალმანისა გრ. პოტიომკინისადმი, ჯარში გადამდებ სნეულებათა ეპიდემიის შესახებ.

1784 წლის ნოემბერში ერეკლე II და ს. ბურნაშოვი განჯისაკენ დაძრულან. მაგრამ დაღესტნელებს, რომლებიც განჯელების დასახმარებლად იყვნენ ჩასულნი. განჯა მიუტოვებიათ და ახალციხისაკენ წასულან. ერეკლე II დადევნებია მათ, მაგრამ უშედეგოდ[63]. ამიტომ, ერეკლე II ფათალი-ხანთან ერთად ახალციხის სულეიმან ფაშასაც აბრალებდა განჯის განდგომას. „აქამდის მოგხსენებოდათ უფლის პოლკოვნიკის ბურნაშევისაგან ჩვენი განჯის მხრისაკენ დაბრუნების ამბავი და მიზეზი. სულეიმან-ფაშამ აღარავისთვის მოგვაცალა ჩვენ და არც ბატალიონები იმ ადგილების გამაგრებით, საცა იმისი ავაზაკებრი გონება განიზრახავს და უდიდეს წყენას ცდილობს, რომლითაც ჩვენც და ჩვენი ხალხიც მწუხარებაში შეგვიყვანა“[64]. იგი თხოვდა პ. პოტიომკინს 1784 წლის 14 დეკემბერს, მიეწერა წერილი ფათალი-ხანისთვის, რომელიც იბრეიმ-ხანს სთხოვდა მუჰამედ-ხანის გადაცემას, რათა იგი განჯაში დაესვა, ამ განზრახვაზე ხელი აეღო[65]. პ. პოტიომკინმაც არ დააყოვნა და წერილი გაუგზავნა არა მარტო ფათალი-ხანს, არამედ შაქის მუჰამედ-ჰუსეინ-ხანსაც. იგი დაემუქრა, რომ თუ ისინი განჯზე ხელს არ აიღებდნენ, ჯარით შევიდოდა და ყველას დააწყნარებდა. მუქარის წერილი გაუგზავნა ასევე განჯის მმართველებსაც, რათა მათ ერეკლესათვის პატიება ეთხოვათ და კვლავ მისი ხელისუფლება ეცნოთ[66].

ერეკლე II-ს გადაწყვეტილი ჰქონდა ზამთარში განჯაზე გაელაშქრა, მაგრამ იგი გადადო. „აზრა-ყული-ბეგმა, იბრეიმ-ხანის სახელით სთხოვა ერეკლეს,

---

[61] ЦГВИА, ф. 52. оп. I/194, д. 331. ч. IV, л. 32

[62] შ. ჰამიდოვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 153 (შ. ჰამიდოვას ჰგონია, რომ ნადირშაჰმა ერეკლე ქართლის მეფედ დანიშნა. თეიმურაზი კი კახეთის. იქვე, გვ. 149; მასვე მიაჩნია, რომ ერეკლეს წინ ქართლს ბაქარი მართავდა, იქვე, გვ. 152).

[63] გ. სამსონიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

[64] ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 350, ч. I, л. 18.

[65] იქვე.

[66] იქვე; გვ. 6—8.

რათა განჯაზე რუსეთის ჯარით დაუყოვნებლივ გაელაშქრა. ერეკლემ აქ დიდი სიფრთხილე გამოიჩინა და განუმარტა, რომ რუსეთის ჯარების შეჭრა განჯაში, თუმცა კი მისი უმაღლესობის ქვეშევრდომ ოლქში, უკმაყოფილების ახალ მიზეზს შექმნის თურქეთის კარის მხრიდან"[67].

იბრეიმ-ხანის ელჩმა მაშინ სთხოვა ერეკლეს განჯაში შეჭრილიყო, როცა ფათალი-ხანს და მას შორის მოლაპარაკება ჩაიშალა, იბრეიმ-ხანი არ დათანხმდა მისთვის მიეცა განჯის მუჰამედ-ხანი[68].

რა თქმა უნდა, ერეკლეს მიერ განჯაზე ლაშქრობის გადადება თურქეთის გაღიზიანების რიდით, მხოლოდ საბაბი იყო. სინამდვილეში ერეკლეს მაშინ არ შეეძლო განჯაზე ლაშქრობა. 1784 წლის 13 დეკემბერს პოლკოვნიკი ბურნაშოვი პ. პოტიომკინს მოახსენებდა: „მისი უმაღლესობის განზრახვაა, რომ არ დაუშვას განჯის დაუმორჩილებლობა, ამიტომ აუცილებელია რათა ზამთარში წავიდეთ ბატალიონებითა და არტილერიით. მაგრამ მეფის მხრივ ასეთი სამზადისი ტარდება ძალზე ნელა და გაუბედავად. გარდა ამისა, ზამთარში ლაშქრობისას მომარაგების საქმეში სიძნელეები იქნება, რადგან ერთი თვის საგზალი, არ დამზადებულა. საკვების დამზადება დიდი სიძნელით ხერხდება. ცხენებიც ქიზიყში, ბამბაკში და ზემო ქართლში ლაშქრობების შემდეგ და საკვების უკმარისობის გამო ძალზე დაუძლურებული არიან, ამიტომ ეს საჭირო საქმე საეჭვოა რომ მოხდეს"[69].

რა თქმა უნდა, აზრა-ყული-ბეგს ასეთ ინფორმაციას ერეკლე II ვერ მისცემდა, ამიტომაც მან თურქეთი მოიმიზეზა.

1785 წლის მარტში ერეკლემ და ბურნაშოვმა განჯაზე გაილაშქრეს. რუსეთის ბატალიონები სამარინის მეთაურობით შამქორისაკენ დაიძრნენ, ხოლო ქართული ჯარი თავად ორბელიანის მეთაურობით განჯას შემოადგა[70]. პოლკოვნიკი ბურნაშოვი ურჩევდა ერეკლეს, რომ ქალაქზე იერიში მიეტანათ, მაგრამ ერეკლეს ბურნაშოვისათვის განუცხადებია, რომ განჯის აღება ნადირ-შაჰმა უზარმაზარი არმიით ექვსი თვის განმავლობაში ვერ შეძლო და ბოლოს მხოლოდ მოლაპარაკებით შეძლო ხელშეკრულების დადებაო[71]. განჯაზე იერიშის მიტანას აფერხებდა ერთი გარემოებაც — ფათალი-ხანის მოკავშირეები, მას შემდეგ რაც მათ გ. პოტიომკინისაგან მუქარის წერილი მიიღეს, რათა განჯაზე ხელი აეღოთ, ახლა იბრეიმ-ხანის ბანაკში გადავიდნენ და თურქეთს აღიზიანებდნენ[72]. შაქის მუჰამედ-ჰუსეინ-ხანი ქართლ-კახეთის მეფეს ემუქრებოდა, თუ განჯაში რუსის ჯარს შეიყვან, მთელ დაღესტანს და თურქეთს ფეხზე დავაყენებო[73]. ასეთ ვითარებაში ერეკლეს ვერ გაუბედავს განჯაზე იერიშის მიტანა. იბრეიმ-ხანსაც ურჩევია ერეკლესათვის ალყა მოეხსნა და ჯარი უკან გაეწვია.

თუ ადრე ფათალი-ხანი ითხოვდა იბრეიმ-ხანისაგან განჯის მუჰამედ-ხანის განთავისუფლებას, ახლა ეს საკითხი იბრეიმ-ხანთან კატეგორიულად შაქის ხანს დაუსვამს. მუჰამედ-ხანის ერეკლესათვის მიცემას ურჩევდა ყარაბაღის ხანს

---

[67] მ. სამსონაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.
[68] ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 350, ч. III, лл. 11—12.
[69] იქვე, ნაწ. I, გვ. 17.
[70] იქვე, ნაწ. IV, გვ. 24—25.
[71] იქვე.
[72] მ. სამსონაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.
[73] ЦГВИА, ф. 52, оп. I/194, д. 350, ч. IV, л. 27.

რუსეთის წარმომადგენელი პოლკოვნიკი ბურნაშოვი. იბრეიმ-ხანს გადაუწყვეტია არც ერთი არ გაენაწყენებინა და მუჰამედ-ხანისათვის თავი მოაკვეთინა. მოკლულის ძმა რეგემ-ბეგი შუშიდან განჯაში გაიქცა და თავი ხანად გამოაცხადა. ქართლ-კახეთის მეფესა და რეგემბეგს შორის კარგი ურთიერთობა დამყარდა. ამას კი ერეკლესა და იბრეიმ-ხანს შორის ურთიერთობის გამწვავება მოჰყვა.

1785 წლის შემოდგომაზე ქართლ-კახეთზე გამანადგურებელი თავდასხმა მოაწყო ავარიის ომარ-ხანმა. ერეკლე II-ს მთელი მაჰმადიანური სამყარო აუმხედრა თურქეთმა.

1787 წლის ზაფხულში იბრეიმ-ხანი განჯისაკენ დაიძრა. ერეკლემ ალისულთანის მეთაურობით ჯარი გაგზავნა განჯაში და განჯა დაიკავა. იბრეიმხანმა წერილი მისწერა ერეკლეს და სთხოვა განჯაში მეფეს ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი გაეგზავნა, რათა მას შეძლებოდა განჯაში წესრიგის დამყარება. ერეკლეს მიერ გაგზავნილი ქ. ანდრონიკაშვილი იბრეიმ-ხანმა შუშაში წაიყვანა. განჯაში კი ჯავად-ხანი გაამეფა. ამით მან ფაქტობრივად განჯა თავის დამოკიდებულებაში მოაქცია[74].

ფათალი-ხანი ამ ამბავმა იმდენად აღაშფოთა, რომ მან ერეკლეს კავშირი შესთავაზა იბრეიმ-ხანის წინააღმდეგ. ერეკლეც, მიუხედავად ძველი მტრობისა თანახმა გახდა ამ კავშირისა, რადგან განჯა დაკარგა და იბრეიმ-ხანის წყალობით ერევნის დაკარგვის საფრთხეც ემუქრებოდა. იბრეიმ-ხანი, თურქეთის მიერ გათამამებული, ახლა ერევნის წართმევას უპირებდა მეფეს.

ასეთ ვითარებაში ფათალი-ხანის და ერეკლეს კავშირი მყარ ნიადაგზე დადგა. თუმცა მათ 1787 წელს დაგეგმილი ერთობლივი ლაშქრობა განჯა-ყარაბაღზე ჩაეშალათ (ომარ-ხანის მიზეზით), ისინი შემდგომშიც ეძებენ გზებს, რათა ერთობლივად იმოქმედონ.

1787 წლის სექტემბერში რუსეთის ჯარის გაყვანამ ერთგვარად დააწყნარა ამიერკავკასიელი მფლობელები, რომლებიც ოთხი წლის განმავლობაში თურქეთის გამუდმებული მოწოდებების გამო აფორიაქებული იყვნენ. ახლა რუსეთ-თურქეთის ომიც დაიწყო და თურქებს კავკასიაში აქტიური მოქმედება არ შეეძლოთ.

1789 წლის დასაწყისში ერეკლე II და ფათალი-ხანი ერთმანეთს შეხვდნენ შამქორში. ირანში გაძლიერებული აღა-მაჰმად-ხანი ახალ საზრუნავს უჩენდა ამიერკავკასიელ მმართველებს. მათ ერთმანეთის მტრობა დაივიწყეს და ამ ძლიერ დამპყრობლის მოლოდინში გეგმებს სახავდნენ. ერეკლე მეფეს ნადირ-შაჰის შვილიშვილი ნაზარალი-ხანი თბილისში ჰყავდა და ფათალი-ხანის დახმარებით ირანის ტახტზე დასმას უპირებდა, მაგრამ 1789 წლის მარტში ფათალი-ხანი გარდაიცვალა და ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა[75].

---

[74] ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 20, ч. VI, лл. 34—37.

[75] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 718.

Г. В. МАЧАРАДЗЕ

# ПОЛИТИЧЕСКИЕ ОТНОШЕНИЯ КАРТЛИ-КАХЕТИНСКОГО ЦАРСТВА С АЗЕРБАЙДЖАНСКИМИ ХАНСТВАМИ В 60—80-Х ГОДАХ XVIII В.

Резюме

В работе показаны дружественные отношения Картли-Кахетского царства с Ганджиским и Карабагским ханствами в 60—70-х годах XVIII века.

Привлечение новых архивных документов позволило пересмотреть существующие в литературе мнения о враждебных отношениях между царем Ираклием и Кубинским ханством в 70-х годах и показано, что во время битвы за Шемахии Ираклий II был не на стороне антикубинской коалиции, а наоборот, оказал помощь кубинскому хану. Хотя в начале 80-х годов XVIII века обострились отношения Картли-Кахети с Кубинским, Шекинским и Карабагским ханствами, но угроза со стороны персидского Аги Магомет хана заставили закавказских владетелей совместно наметить пути спасения от общего врага.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ხალხთა ისტორიის განყოფილებამ

# ცნობები და შენიშვნები

ნანა გელაშვილი

## მაჰმუდ ნათანზის ცნობები საქართველოს შესახებ

XVI ს-ის სპარსულ ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მაჰმუდ ბენ ჰედაიათალაჰ ნათანზის. სამწუხაროდ, მისი ბიოგრაფიისა და ცხოვრების შესახებ ცოტა რამაა ცნობილი, არც იმ პერიოდის სპარსულ თხზულებებშია მასზე რაიმე თქმული. მცირეოდენი ცნობები ნათანზის შესახებ მოცემულია მისივე ნაშრომში, რომელსაც ეწოდება „ნაყავათ ალ-ასარ ფი ზექრ ალ-ახიარ"—(„ხსოვნათა სიწმინდე საუკეთესოთა გადმოცემებში"). წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია მისი 1971 წლის თეირანისეული გამოცემა დოქტორ აჰსან აშრაყის მიერ[1].

ავტორის სიტყვებიდან ირკვევა, რომ იგი დაიბადა 938/1531—32 წ. და ცხოვრობდა ქ. შირაზში. როგორც თხზულების შესავალშია აღნიშნული, მას ბევრი ლექსიც დაუწერია, რომლებიც ხუთ დივანში გაუერთიანებია. სამწუხაროდ, ნათანზის ლექსები აღმოჩენილი არაა[2]. რაც შეეხება მის ვრცელ ისტორიულ ნაშრომს, როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს, მისი წერა 60 წლის ასაკში დაუწყია, კერძოდ 998 წლის (1590 წ.) გაზაფხულზე, როდესაც შაჰ აბას 1-მა იაყუბ-ხან ზულყადარის აჯანყება ჩააქრო ფარსში. სწორედ ეს მოვლენა გამხდარა მიზეზი ხსენებული თხზულების დაწერისათვის.

„ნაყავათ ალ-ასარ" სეფიანთა ისტორიის ერთ-ერთი უძვირფასესი წყაროა. რომელშიც გადმოცემულია ირანის ისტორიის მეტად საინტერესო პერიოდის მოვლენები. კერძოდ, შაჰ თამაზის (1524—1576) ზეობის ბოლო პერიოდიდან მოყოლებული შაჰ აბას I (1587—1629) მეფობის მეთერთმეტე წლამდე. ნაშრომი შედგება ორი წიგნისაგან: I მოიცავს შაჰ თამაზის, შაჰ ისმაილ II-ის (1576—1578) და შაჰ მოჰამედ ხოდაბანდეს (1578—1587) ზეობათა ხანის აღწერას. ამასთანავე, პირველი წიგნის დიდი ნაწილი ეთმობა შაჰ მოჰამედ ხოდაბანდეს უფროსი ვაჟის — ჰამზა მირზას მამაცობისა და რაინდობის თხრობას: კერძოდ. მის თავგანწირულ ბრძოლებს გარეშე თუ შინაურ მტრებთან. რაც შეეხება თხზულების II წიგნს, იგი შეიცავს შაჰ აბასის ზეობის პირველი თერთმეტი წლის აღწერას. უკანასკნელი ამბავი, რომელიც მოთხრობილია ნაშრომში, არის მოჰამედხან ოზბეგის დამარცხება ხორასანში და ჰერათის დაპყრობა შაჰ აბასის მიერ.

როგორც „ნაყავათ ალ-ასარის" გამომცემელი დოქტორი აჰსან აშრაკი აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ნათანზი სეფიანთა ისტორიას სხვა წყარო-

---

[1] نقاوة آلاثار فی ذکر الاخیار تألیف محمود بن هدایت الله افوشتهٔی نطنظی . باهتمام دکتر احسان اشراقی ، تهران ، ۱۳۵۰ ، (შემდეგში ყველგან: ნათანზი),

Ч. А. Стори, Персидская литература, биобиблиографический обзор, переработал и дополнил Ю. Э. Брегель, II, М., 1972, გვ. 866.

თა მსგავსად გადმოგვცემს, მის ნაშრომს განსაკუთრებული ადგილი უკავია სპარსულ ისტორიოგრაფიაში, ვინაიდან გვაწვდის მთელ რიგ ისეთ ცნობებს, როგორიც სხვა წიგნებში არ მოიპოვება. მაგალითად: შაჰ თამაზის დაკრძალვის ცერემონიალი, თეითმარქვიების გამოჩენა შაჰ ისმაილ II-ის სიკვდილის შემდეგ, შაჰ აბასის საზეიმო მსვლელობანი სხვადასხვა ქალაქებში, ისფაჰანის გასაოცარი ფეიერვერკები და ამ ქალაქის ხელოვნების იშვიათ ქმნილებათა აღწერა, ამასთანავე საინტერესო ცნობები მიწისძვრებისა და წყალდიდობათა შესახებ[3]. ავტორის უდავო დამსახურებაა ისიც, რომ ნაშრომში არა მხოლოდ მშრალი ფაქტებია მოცემული, არამედ ახსნილია ამა თუ იმ მოვლენებისა და ფაქტების მიზეზები. ამას ემატება ცნობები საკუთარ თავზე, სეფიანთა სახელმწიფოს დაარსებაზე, აღწერილი პერიოდის სხვადასხვა გამოჩენილ პიროვნებებზე. რაც შეეხება წყაროებს, რომლებიც ისტორიკოსმა თავისი ნაშრომის წერისას გამოიყენა, ნათელი არაა. მოვლენათა უმრავლესობას ავტორის სიცოცხლეშივე ჰქონდა ადგილი, ამასთანავე ის იყენებდა ისეთ თვითმხილველთა და მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც ხსენებულ პერიოდში ავტორიტეტითა და დიდი სახელით სარგებლობდნენ ირანში.

ისევე როგორც სხვა სეფიანთა ხანის თხზულებანი, „ნაყავათ ალ-ასარ" გადატვირთულია გრძელი და ღვარჭნილი ფრაზებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, სავსებით შეიძლება დავეთანხმოთ დოქტორ აჰსან აშრაყის, რომ ნათანზი ისე ცოცხლად და მეტყველად აღწერს მოვლენებს, რომ მათი კითხვისას ნათლად შეიგრძნობა გადმოცემული ამბების დრო და ადგილი, ამასთანავე ემჩნევა ავტორის მაღალი განათლება და სამწერლო საქმის დახვეწილი ცოდნა[4].

ნათანზის ნაშრომში წარმოდგენილ მრავალ საყურადღებო და საინტერესო მოვლენათა შორის, მცირე ცნობები მოიპოვება აგრეთვე საქართველოს შესახებ. ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ სწორედ მათზე. მაგრამ ვიდრე უშუალოდ ცნობებზე გადავიდოდეთ, მოკლედ უნდა შევეხოთ ირანისა და საქართველოს ურთიერთობას იმ პერიოდში, რომელიც გაშუქებულია ნათანზის თხზულებაში, კერძოდ 1576—1598 წლებში. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ირანელი ისტორიკოსის ნაშრომში აღწერილი ამბები ქრონოლოგიურად უკავშირდება ირან-ოსმალეთის II ომს (1578—1590). ომის ძირითადი მიზანი, ისევე როგორც ადრე, ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა-დამორჩილება იყო, რომელთა შორის ორივე მუსლიმური სახელმწიფო განსაკუთრებულ მნიშვნელობას საქართველოს ანიჭებდა. ირანი მოუმზადებელი შეხვდა ამ ომს, ვინაიდან მეტად გართულებული იყო ქვეყნის საშინაო მდგომარეობა[5], რასაც ზედ დაერთო ფეოდალური შინაომები შაჰ თამაზის სიკვდილის შემდეგ: ყიზილბაშთა თავკაცებმა ბრძოლა გააჩაღეს და ერთმანეთს დაუპირისპირეს გარდაცვლილი შაჰის ვაჟები—ჰაიდარ მირზა და ისმაილ მირზა. როგორც ცნობილია, ჰაიდარ მირზა ვერაგულად იქნა მოკლული, ვერც შაჰ ისმაილმა შეძლო სამეფო ტახტზე გამაგრება, ვინაიდან ჰაიდარ მირზას მომხრეებმა იგი სიცოცხლეს გამოასალმეს. ამის შემდეგ ყიზილბაშთა თავკაცებმა ირანის სამეფო ტახტზე აიყ-

---

[3] ნათანზი, გვ. 26.

[4] იქვე, გვ. 27.

[5] იხ. ვ. გაბაშვილი, სეფიანთა სახელმწიფო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 242—243.

ვანეს შაჰ თამაზის უსინათლო ვაჟი მოჰამედ მირზა, რომელიც მოჰამედ ხოდაბანდეს სახელით გამეფდა. შინაომი კიდევ უფრო გაძლიერდა ირანში, რითაც მოხერხებულად ისარგებლა ოსმალეთმა და რამაც განაპირობა მისი წარმატებანი ახალ ომში.

სწორედ ამ პერიოდს ეხება ნათანზის ცნობა ქართლის მეფის სიმონ I-ისა (1556—1569, 1578—1600) და ისა-ხანის[6] სტუმრობის შესახებ შაჰ მოჰამედ ხოდაბანდეს კარზე. მისი გადმოცემით, შაჰ მოჰამედს, სამეფო ტახტზე ასვლისა და გამაგრების შემდეგ, სხვადასხვა მხარეთა მეფეები და ელჩები ეწვივნენ, მათ შორის „ისა-ხანი—ლევანის ვაჟი და სიმონ მეფე—ლუარსაბის ვაჟი საქართველოს სხვა დიდებულებთან ერთად... აუცილებელი მისართმევლის მირთმევის, ლოცვისა და ხოტბის შესხმის, მისი უავგუსტოესის გამეფების მილოცვის შემდეგ, მეგობრული ურთიერთობის აღსანიშნავად, ჩვეულებრისამებრ, სამოთხისებური მეჯლისი გაიმართა“, სადაც სახელოვანი სტუმრები პატივისცემითა და ღირსებით იქნენ შემკულნი.[7]

ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ სიმონ მეფე და ისა-ხანი დაატყვევა შაჰ თამაზმა და ისინი ალამუთის ციხეში ჩასვა: ივ. ჯავახიშვილი[8] იმოწმებს რა ისტორიკოს ისქანდერ მუნშის (1560/1—1634), აღნიშნავს, რომ იესე და სიმონი შაჰ თამაზმა დაატყვევა 1568 წელს. მაგრამ იესე ციხეში მოხვდა უფრო ადრე, კერძოდ 1562 წელს, როდესაც შაჰ თამაზის კარზე მძევლად ყოფნისას მუსლიმანობა უარყო და გაქცევა განიზრახა. სწორედ მაშინ იგი შეიპყრეს და 1562 წლის 26 დეკემბერს ალამუთის ციხეში ჩასვეს.[9] სიმონ მეფე კი იმავე ციხეში მოათავსეს 1569 წელს მუსლიმანობის მიუღებლობისათვის. რაც შეეხება მათ განთავისუფლებას, ისქანდერ მუნშის ცნობით, სიმონი და ისა-ხანი შაჰ ისმაილმა გამოუშვა ციხიდან, მაგრამ მაშინვე არ დაუბრუნებია ისინი საქართველოში. მხოლოდ მაშინ, როდესაც ირანის სამეფო ტახტზე ავიდა შაჰ მოჰამედ ხოდაბანდე, მათ მიეცათ სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა, მაგრამ ისიც როგორც ირანის შაჰის ინტერესების დამცველებსა და აღმასრულებლებს: მოჰამედ ხოდაბანდეს ისა-ხანისათვის შაჰ თამაზის ძმისწული — სამ მირზას ასული მიუცია ცოლად და შაქის მმართველად დაუნიშნავს. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ეს ხოდაბანდეს მეფობის პირველივე წელიწადს უნდა მომხდარიყო, რადგან ლალა მუსტაფა ფაშას 1578 წლის საქართველოზე შემოსევის დროს ისა-ხანი შაქის ხანად მჯდარა უკვე; როგორც გამუსლიმანებულსა და სიძეს, ირანის შაჰი მას მეტად ენდობოდა[10]. სიმონ მეფემ კი, მას შემდეგ რაც მუს-

---

[6] იესე, ლევან კახეთის მეფის ძე.

[7] عیسی خان ولد لوخد و ملک سمایون ولد لواسان با سایر حکام گرجستان ... بعد از تقدیم لوازم دعا و ثنا ، بمراسم تهنیت جلوس همایون پادشاه ربع مسکون قیام و اقدام نموده بشرف مجالست مجلس بهشت آیین و مصاحبت محفل فلک تزین مشرّف و مکرم گردیدند (ნათანზი, გვ. 32).

[8] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1948, გვ. 284.

[9] ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966, გვ. 37, 64—65.

[10] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 284.

ლიმანობა აღიარა და სულთან მაჰმუდ-ხანად იწოდა, „ძმის“ წოდება მიიღო. „პატივითა და ღირსებით მოსილი საქართველოში გაემართა და სამემკვიდრეო ქვეყანას დაეუფლა“[11].

ანალოგიური ცნობებია დაცული ქართულ წყაროებშიც სიმონის შესახებ: როდესაც ოსმალთა სარდალი ლალა მუსტაფა ფაშა საქართველოს შეესია, შაჰ ხოდაბანდეს დედამ, „რომელი იყო ასული ოთარ შალიკაშვილისა, დაახვია ჴრმალსა ლეჩაქი და წარმოუგზავნა სჳმონ მეფეს (ვითარცა წესი არს ქართველ-თა)“ და შეუთვალა: „გწადდეს ლეჩაქი ესე, აიღეო და გწადდეს ჴრმალიო, ჩუენც მოგუეჴმარე და შენს საბატონოსაცა და წარმოგზავნა თჳსსა ქართლად და წარ-მოვიდა“[12].

საქართველოში კი ამ დროს უკვე ლალა მუსტაფა ფაშა თავისი ურიცხვი ლაშქრით სულ უფრო წინ მიიწევდა: 1578 წლის აგვისტოს დასაწყისში ოსმალ-თა არმია სამხრეთ საქართველოში შემოიჭრა და არტაანში დაბანაკდა. მესხ დი-დებულთა ერთმა ნაწილმა მტერს უბრძოლველად ჩააბარა თავიანთი ციხე-სი-მაგრეები. სამაგიეროდ, აზნაურთა გარკვეულმა ნაწილმა და გლეხებმა ოსმალო დამპყრობლებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. მიუხედავად ამისა, მძიმე ბრძოლების შემდეგ, აღებულ იქნა ქაჯთა ციხე, ველისციხე (ორივე არტაანში მტკვრის ნაპირებზე), თეთრციხე (ჩილდირის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე). აქე-დან ოსმალთა ლაშქარი ჩრდილოეთისაკენ გაემართა, სადაც 1578 წლის 9 აგ-ვისტოს მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა[13]. პირისპირ შეებნენ, ერთი მხრივ, ოსმა-ლები და, მეორე მხრივ, ყიზილბაშები და ქართველები. ირანელთა ლაშქარს სარდლობდნენ თოყმაყ-ხანი და განჯის ბეგლარბეგი იმამყული-ხანი. სასტიკი ბრძოლა, რომელიც შუადღიდან დაბინდებამდე გრძელდებოდა, ოსმალთა გა-გარჯვებით დასრულდა. ახლა ოსმალებს ქართლისკენ გზა ხსნილი ჰქონდათ და ლალა მუსტაფა ფაშამ თბილისისაკენ აიღო გეზი, სადაც გამგებლად გამაჰმადია-ნებული დაუდ-ხანი იყო. ოსმალთა სარდალმა მას ჯერ წერილი გაუგზავნა, რო-მელშიც მორჩილებისაკენ მოუწოდებდა, მაგრამ დაუდ-ხანმა პასუხად თბილი-სი გადასწვა და ლორეს შეაფარა თავი[14]. 24 აგვისტოს ოსმალებმა თბილისი დაიკავეს. ქალაქის დამორჩილების შემდეგ ისინი აქ თავიანთი წესების შემო-ღებას შეუდგნენ[15].

აღნიშნულ ამბებს ასე მოგვითხრობს ნათანზი: თოყმაყ-ხანი და იმამყული-ხანი, სხვა ყაჯარ ამირებთან ერთად, ბრძოლის ველიდან უვნებლები გამოვიდ-ნენ[16] და ალამაღმართულები ჩუხურისაადისაკენ გაემართნენ. დახოცილ ოსმა-ლთა თავები, ტყვეებთან ერთად, და ომში მოპოვებული ნადავლი ქვეყნის სა-

---

[11] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმა-ნითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 28.

[12] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 411. ანალოგიური ცნობებია ბერი ეგნატაშვილთან (ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვ-რება, II, თბ., 1959, გვ. 372) და ფარსადან გორგიჯანიძესთან (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე. II, თბ., 1925, გვ. 219).

[13] დაწვრილებით იხ. მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობა ამიერკავკასიაში, თსუ შრომები, 116, თბ., 1965, გვ. 389.

[14] ახალი ქართლის ცხოვრება, ტექსტი III, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 522; ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 411.

[15] მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობა ამიერკავკასიაში, გვ. 393.

[16] იგულისხმება ბრძოლა ჩილდირის ველთან.

ფარველის[17] კარზე გაგზავნეს. ოსმალთა ნაწილი, დახოცილთა თავებით, სტამბოლისაკენ წასულა. ხოლო მათმა ლაშქარმა, დასძენს სპარსელი ისტორიკოსი, „ალმები აღმართა თბილისის ციხის დასამორჩილებლად. თბილისის ციხის დაპყრობის შემდეგ კი მდინარე მტკვრის ნაპირას დაბანაკდნენ“.[18]

ქართლიდან მუსტაფა ფაშა უშუალოდ მიადგა კახეთს. კახეთის მეფე ალექსანდრემ (1574—1605), რომელიც ოსმალთა ლაშქარს სართიჭალასთან შეეგება, სულთანს ხარკი და მორჩილება აღუთქვა. ამრიგად, კახთა მეფემ ამჯერადაც თავისი ნაცადი პოლიტიკა გამოიყენა, ქვეყანა აოხრებას გადაარჩინა და ოსმალეთის ვასალი გახდა.[19]

საქართველოდან მუსტაფა ფაშა,. ისე როგორც წინასწარ იყო გათვალისწინებული, შაქი-შირვანისაკენ გაემართა. ნათანზი ვრცლად მოგვითხრობს ამ ლაშქრობის შესახებ. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის მონაკვეთი, სადაც საუბარია სიმონ მეფის თავგანწირულ ბრძოლაზე ოსმალთა წინააღმდეგ. ნათანზის გადმოცემით. 987 წელს,[20] როდესაც მუსტაფა ფაშას შირვან-ყარაბაღისკენ გამგზავრება ყაზვინში შეიტყვეს, მამაცი უფლისწული[21] თავის სახელოვან ამირებთან ერთად იმ მხარეს გაემართა. როდესაც მუსტაფა ფაშას სმენამდე ყიზილბაშთა მოახლოების ამბავმა მიაღწია, მან დაპყრობილი ვილაიეთები თავის სარდლებს ჩააბარა: არეშის მიდამოები — ყიათას ფაშას, შემახა — ოსმან ფაშას. თავად კი გაცლა არჩია და არზრუმისაკენ გაემართა. რადგან მისი გზა საქართველოს ვილაიეთზე გადიოდა, დასძენს ავტორი, „სიმონ მეფე — ლუარსაბის ვაჟი. ქართველთა უძლეველი ჯარით და მამაცი და გულადი რაინდებით, მის ლაშქარს უშიშრად თავს დაესხა; ბევრი დახოცა, ნაწილი შეიპყრო, უთვალავი აღჭურვილობა და იარაღი თავის მხარეში წაიღო“[12]. გარდა ამისა, მუსტაფა ფაშას გზაზე ყიზილბაშთა ლაშქარიც გადაეღობა. საშინელი სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა, ორივე მხარემ ბევრი მეომარი დაკარგა. ბოლოს, ასრულებს თხრობას ნათანზი, ყიზილბაშები ურიცხვი ნადავლით უკან დაბრუნდნენ და დახოცილთა თავები მის უდიდებულესობას მიართვეს.

---

[17] იგულისხმება შაჰ მოჰამედ ხოდაბანდე.

[18] عالم هزیمت بصوب خطهٔ تفلیس بر افراخته بعد از ضبط قلعهٔ تفلیس بر ساحل رود کر معسکر ساختند.
ნათანზი, გვ. 82.

[19] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 286.

[20] ჰიჯრის 987 წელი შეესატყვისება 1579 წელს.

[21] იგულისხმება ჰამზა მირზა, რომელიც მეტად ნიჭიერი პიროვნება და გულადი მეომარი იყო. აღსანიშნავია, რომ ირანელი ისტორიკოსი უფლისწულს, თავისი უფლება-მოვალეობით, შაჰს უთანასწორებს. მისი გადმოცემით, „რადგან მისი უდიდებულესობა უმთავრესად მუსაიფით, მხიარულებითა და დროსტარებით იყო დაკავებული,* სახელოვანმა ამირებმა და ქვეყნის დიდებულებმა სახელმწიფოს მართვის სადავე სამართლიანობის საფარველი უფლისწულის ერთგულებისა და რწმენის ხელში მოახვედრეს... ყველა მბრძანებელი ალექსანდრეს სადარ უფლისწულის ფირმანებს ემორჩილებოდა“ (იხ. ნათანზი, გვ. 211). ჰამზა მირზა მოკლულ იქნა ყიზილბაშთამომთაბარული არისტოკრატიის შეთქმულების შედეგად 1586 წელს.

[22] ملک سمسون ولد لواسان با جمعی کثیر از گرجیان ظفر آسا و جوانان بهادر و دلیران باتهوّر بر اردوی او زده خیلی را کشتند و جمعی را گرفته با اسباب و جهات بیشمار بمحل خود باز گردید
(ნათანზი, გვ. 85—86).

ხსენებულ ამბავს ნათანზის მსგავსად მოგვითხრობს ისქანდერ მუნშიც, კერძოდ, სიმონის შესახებ იგი აღნიშნავს, რომ მან „ოსმალებს წინააღმდეგობა გაუწია, გზაჯვარედინებსა და მთის გადასასვლელებზე მტრის ჯარს წინ ხვდებოდა სხვა ქართველებთან ერთად და საგრძნობ ზარალსაც აყენებდა“ [23]

ქართული საისტორიო თხზულებების მიხედვით, სიმონ მეფე 1578 წლის ოქტომბერში დაბრუნდა საქართველოში. მას თან ახლდა ირანში ტყვედ ნამყოფი ბევრი ქართველი, მათ შორის მისი ძველი თანამებრძოლი არჩილ მუხრანბატონიც.[24] სწორედ ამ პერიოდში ოსმალთა მთავარსარდალი მუსტაფა ფაშა აზერბაიჯანიდან, კახეთზე გაელით, ქართლში ბრუნდებოდა. თბილისში კი უკვე ოსმალთა საწინააღმდეგო მოძრაობა იყო დაწყებული. აქ მყოფი ოსმალური გარნიზონი საშინელ პირობებში იმყოფებოდა, ვინაიდან ქალაქის მოსახლეობას სურსათ-სანოვაგე გადამალული ჰქონდა. ოსმალთა მძიმე მდგომარეობას იმდროინდელ თბილისში ვრცლად აგვიწერს ოსმალო ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი (1574 — გარდაიცვალა 1651 წლის ახლო ხანებში).[25] ამრიგად, ქართლში დაბრუნებულ სიმონ მეფეს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის ხელსაყრელი ვითარება დახვდა: მან პარტიზანული ბრძოლები გაუმართა ოსმალეთში დასაბრუნებლად მიმავალ მუსტაფა ფაშას ლაშქარს. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვებით: „მეფემ სვიმონ გარდასდვა თავი ხონთქრის გასაჯავრებლად და ყაენის საამებლად იქნია ხმალი და მრავალი ურუმი დახოცა“.[26] მისმა თავგანწირულმა ბრძოლამ გარკვეული შედეგიც გამოიღო; მუსტაფა ფაშას ქართლიდან გასვლის შემდეგ, სიმონმა ოსმალო დამპყრობთაგან გაათავისუფლა ლორი, გორი და სხვა ციხე-სიმაგრეები, მაგრამ თბილისი კვლავ მტრის ხელში რჩებოდა[27].

ნათანზის მომდევნო ცნობა საქართველოს შესახებ ეხება ქართლ-კახეთის მეფეების სიმონისა და ალექსანდრეს მიერ ელჩებისა და საჩუქრების გაგზავნას შაჰ მოჰამედ ხოდაბანდეს კარზე. ამ ამბის თხრობას იგი ცალკე თავს უძღვნის „ამბავი საქართველოს მეფეთა მორჩილებისა და გაგონებისა. ხარაჯასა და საჩუქრების გაგზავნა მზის სადარ ქალიშვილებთან ერთად ამა ქვეყნის მბრძანებლის კარზე“. ავტორის გადმოცემით, როდესაც საქართველოს მეფეებმა ყიზილბაშთა მიერ თათართა დამარცხების ამბავი შეიტყვეს, მათ თავიანთ სამეფოთა სიმტკიცესა და ძლიერებაში ეჭვი შეეპარათ. მათ უკვე ძალა აღარ შესწევდათ, თავი ისე მოეჩვენებინათ, თითქოს არაფერი იცოდნენ. ამის გამო, „მისმა უმაღლესობამ სულთანმა ალექსანდრემ და მისმა უდიდებულესობამ ბედნიერმა მეფემ სიმონმა, რომელნიც საქართველოს სახელოვან მბრძანებელთაგან იყვნენ, და თავიანთი მაღალი მდგომარეობის, მიუვალი ადგილსამყოფელის, მრავალრიცხოვანი ლაშქრის და ამალის, დიდძალი ქონებისა და სიმდიდრის მეტების გამო, თავს გამორჩეულად და საუკეთესოდ თვლიდნენ, ქვეყნის საფარველის ზეურბ-

---

[23] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 30—31.

[24] ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 411.

[25] იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯ ი ქ ი ა მ, თბ., 1964, გვ. 54.

[26] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 221.

[27] ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 411; ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, გვ. 372.

[28] ალექსანდრე ტექსტში მოხსენიებულია „სულთნად“.

ლზე, წესისამებრ, ელჩები გაგზავნეს მრავალრიცხოვანი საჩუქრებით“[29]. მათ შორის: ურიცხვი ძვირფასი საქონელი, თეთრი და წითელი ფული, უამრავი ძვირფასი თვლები, ამასთანავე უმშვენიერესი ქალიშვილები და ტანკენარი ვაჟები, რომელთა სილამაზის შესამკობად ავტორი არ იშურებს მაღალფარდოვან ეპითეტებს. მეფეთა წარგზავნილებს მორჩილება, ერთგულება და სიყვარული აღუთქვამთ შაჰისათვის. უფლისწულმა ჰამზამ, ამასთან დაკავშირებით, მეჯლისი და ნადიმი გამართა, თან მხიარულება და დროსტარება ბრძანა. თვითონაც რამდენიმე დღე, ადათ-წესების დაცვით, მხიარულებასა და დროსტარებაში გაატარებია. შაჰმა საქართველოს ელჩების მიმართ მეფური კეთილგანწყობილება გამოიჩინა და ფულადი გადასახადი დაუწესა, რის შემდეგაც მათ დაბრუნების ნებართვა უბოძა. ამასთანავე, სპარსეთის მბრძანებელმა საქართველოს მნიშვნელოვან საქმეებზე, მის წყობაზე, წესრიგზე, ვაჭრობის გამოცოცხლებაზე მზრუნველობა იკისრა[30].

ამრიგად, ამ ცნობის მიხედვით ნათელი ხდება, რომ აღწერილი მოვლენის დროს ალექსანდრე მეფე უკვე სპარსეთის მხარეზეა გადასული[31] და სიმონ მეფესთანაც შერიგებულია. ამ უკანასკნელთან მას დიდი ხნის მტრობა ჰქონდა: ქართული წყაროების გადმოცემით, ალექსანდრესა და სიმონს შორის უთანხმოების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ალექსანდრემ ქართლის მეფეს ცოლისძმები დაუხოცა, ამასთანავე იგი დაუდ-ხანს (სიმონის ძმას) უმხრობოდა, ვინაიდან ენათესავებოდა მას[32]. ხოლო როდესაც ალექსანდრემ ოსმალთა მომხრეობის გზა აირჩია, სიმონმა კი — ირანის ერთგულება და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა, მეფეთა შორის არსებულ უთანხმოებას ზედ დაერთო მათი პოლიტიკური მოქმედების გეზის შეურიგებლობაც[33]. გადამწყვეტი ბრძოლა სიმონსა და ალექსანდრეს შორის მოხდა ჰოტორთან 1582 წელს, რომელიც სიმონის გამარჯვებით დასრულდა. ამ ბრძოლის შემდეგ ქართლის მეფემ კახელები დააფიცა „მცხეთას სუეტსა ცხოველსა ზედა... მიანიჭა ყოველივე კახთა წყალობა და ხალათები და ესრეთ განუტევნა ისინი მშვიდობით და არღარა ემტერებოდა ამიერთაგან“[34].

ქართლ-კახეთის მეფეთა შერიგებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ირანისათვის, ვინაიდან მათ შორის არსებული შუღლი ასუსტებდა ქართველი ხალხის ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ. ამიტომ, როდესაც ირან-ოსმალეთს შორის შე-

---

[29] سلطان عالی محل الکسندر و صاحب بخت همایون ملک سیمون که از اعاظم حکام ممالک گرجستان بودند، و بمزید رفعت شأن و مناعت مکان و کثرت خیل و حشم و بسیاری اسباب و نعم از ماعدای خود ممتاز و مستثنی مینمودند، ایلچیان قاعده‌دان با پیشکشهای فراوان... بدرگاه جهان پناه رسال داشتند (ნათანზი, გვ. 109).

[30] ნათანზი, გვ. 110.

[31] 1578 წელს: მუსტაფა ფაშას საქართველოზე შემოსევის დროს, ალექსანდრე მეფემ ოსმალეთის სულთანს მორჩილება გამოუცხადა. ოსმალთა სარდალმა მაშინ შაქის დაპყრობა მიანდო. ამ დავალების შესრულების შემდეგ, შაქის გამგებლად ალექსანდრეს ვაჟი — ერეკლე დანიშნა. ალექსანდრეს კი სულთანმა უმაღლესი სიგელ უბოძა: კახეთის მმართველობა ბეგლარბეგის სახელწოდებით. ამასთან ერთად, კახეთის მეფეს ხარკი უნდა ეძლია ოსმალეთისათვის (იხ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები, საქართველოს შესახებ, გვ. 42—44).

[32] ვახუშტი, გვ. 412; ბერი ეგნატაშვილი, გვ. 372.

[33] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 276.

[34] ახალი ქართლის ცხოვრება, ტექსტი III, გვ. 527.

დარებითი სიმშვიდე დამყარდა (1582 წელს მათ შორის მოლაპარაკების დაწყების შემდეგ), სპარსელებმა ისარგებლეს შექმნილი ვითარებით და შაჰის მთავრობისა და ირანული ორიენტაციის მომხრე ქართველ თავადთა მონდომებით სიმონი და ალექსანდრე შეარიგეს; მათ ჯვარზე და სახარებაზე ფიცი დაადებინეს, რომ ერთმანეთს დაეხმარებოდნენ, სპარსელთა ერთგულებას არასოდეს უღალატებდნენ და მათთან ერად იბრძოლებდნენ ოსმალთა წინააღმდეგ[35].

რაც შეეხება ნათანზის ცნობას ფულადი გადასახადის დაწესებაზე, აქ უნდა იგულისხმებოდეს ის თანხა, რომელიც ირანის მთავრობამ ალექსანდრეს მოსთხოვა იმ წლების ხარკის ფასად, როდესაც იგი სპარსელებს განუდგა და ოსმალებს ემხრობოდა. ისქანდერ მუნშის სიტყვებით: „ალექსანდრე-ხანმა ივალდებულა, რამდენიმე წლის მიუცემელი ხარკის დასაფარავად, შიმოქცევაში მყოფ შაჰურ ერაყულ 3000 თუმანს ხელმწიფის ხაზინას ჩააბარებდა და 1000 თუმანს მისი უდიდებულესობა ქვეყნის დამპყრობისათვის და 1000 თუმანს სხვა დიდებულების შესანახად გაიღებდა[36].

მოვლენათა შემდგომი განვითარება განსახილველ პერიოდში მოწმობს, რომ სიმონი და ალექსანდრე მცირე ხანს, მართლაც, ირანის შაჰის ერთგულები იყვნენ, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად მაინც. მიუხედავად იმისა, რომ სიმონს თავისი ქალიშვილი უნდა გაეგზავნა ირანში — ჰამზა მირზას საცოლოდ, იგი სხვადასხვა მიზეზთა მოტანით პირობის შესრულებას აყოვნებდა[37]. სამაგიეროდ, იგი შემთხვევას არ უშვებდა, რომ შაჰისა და ხსენებული უფლისწულისათვის სხვადასხვა ძვირფასი საჩუქრები მიერთმია. ნათანზის გადმოცემით, როდესაც უფლისწული თავისი ლაშქრით ოსმალთა წინააღმდეგ აზერბაიჯანში, ყარაბაღისა და ირახის მიდამოებში იბრძოდა, იმ მხარეთა ამირები ნაირნაირი საჩუქრებით ეახლნენ მას და ერთგულება აღუთქვეს. მათ შორის ავტორი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს მბრძანებლებზე, რომელთაც უამრავი მეფური საჩუქრები, თავიანთი უმშვენიერესი ქალიშვილებით უფლისწულისათვის გაუგზავნიათ. იგივე განმეორდა, განაგრძობს თხრობას სპარსელი ისტორიკოსი, როდესაც ყიზილბაშთა ლაშქრის ყარაბაღში მეორედ ყოფნისას „საქართველოს მეფეებმა კვლავ მრავალი საჩუქრის მირთმევით, გულწრფელი ნაბიჯების გადადგმის წყალობით, განსაკუთრებული მდგომარეობა და შაჰის ამალაში ყოფნის ბედნიერება მოიპოვეს. (შემდეგ კი) პატივცემულები და ამაღლებულები თავიანთ ვილაიეთში დაბრუნდნენ“[38].

ამით სრულდება ნათანზის თხზულებაში არსებული ცნობები საქართველოს შესახებ. მიუხედავად მათი სიმცირისა, ისინი ავსებენ და აშუქებენ ირა-

---

[35] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 36; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV. გვ. 276.

[36] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 37.

[37] მიუხედავად ამისა, ქართველი მეფეები იძულებული გახდნენ თავიანთი შვილები ირანის მბრძანებლის კარზე გაეგზავნათ: ალექსანდრემ — კონსტანტინე გაისტუმრა ირანში, სიმონ მეფემ კი — ლუარსაბი (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 276).

[38] سلاطین گرجستان بار دیگر ، با نثار پیشکش بسیار بقدم اخلاص طریق اختصاص پیموده بسعادت ملازمت آستان آسمان نشان مستعد گردیده مکرم و محترم بولایت مألوف عنان مراجعت معطوف ساختند. (ნათანზი, გვ. 211—212).

ნისა და საქართველოს ისტორიის მეტად მნიშვნელოვან მონაკვეთს. ამიტომ, ვფიქრობთ, ნათანზის ისტორიულ თხზულებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს, როგორც კიდევ ერთ სპარსულენოვან წყაროს XVI ს-ის II ნახევრის ირან-საქართველოს ურთიერთობათა შესწავლისათვის.

Н. Г. ГЕЛАШВИЛИ

## СВЕДЕНИЯ МАХМУДА НАТАНЗИ О ГРУЗИИ

Резюме

Сочинение персидского историка Махмуд бен Хидайаталлах Афуште-и Натанзи «Накават ал-асар фи зикр ал-ахиар» является ценным источником по истории государства Сефевидов II половины XVI века. Труд содержит также некоторые сведения о странах Закавказья, в частности, о Грузии.

В настоящей статье по данным сочинения Натанзи освещены ирано-грузинские взаимоотношения в 70—80-ых годах XVI века. Имеющиеся сведения сличены с данными других источников.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

Л. Б. ПАШАЕВА

# НЕКОТОРЫЕ КАЛЕНДАРНЫЕ ПРАЗДНИКИ УРУМОВ

Календарные праздники урумов, как и других народов, отражают их хозяйственную деятельность.

Урумы — тюркоязычные греки — проживают в Цалкском, Дманисском, Тетрицкаройском районах Грузинской ССР[1].

Календарные праздники урумов — это в первую очередь аграрный календарь[2], приуроченный к таким работам, как начало пахоты, уборка урожая, выгон скота на пастбища.

Они сложились задолго до переселения урумов в Грузию, на их прежней родине, современной Турции (северо-восточные вилайеты).

Целью нашей работы является описание календарных праздников урумов (хотя бы некоторой части), сохранившихся в памяти их старшего поколения, показать, что они принесли с собой, что приобрели в грузинской среде.

Как известно, греки, в том числе и тюркоязычные урумы, в начале XIX века были рассеяны почти по всей Турции в качестве этнического наследия Византийской империи и в своем большинстве продолжали исповедовать христианство православного толка.

Следует отметить, что после падения Византии султан Мехмед II Фатих, завоевавший Константинополь, даровал привилегии патриарху Генадию Схоларию, который превратился в главу греческого миллета — греческой вероисповедной общины в Османской империи[3], и грекам была предоставлена некоторая религиозная свобода. Именно вера и церковная школа помогали грекам центральной Турции сохранить национальную самобытность[4]. Но вдали от патриархии, в Малой Азии, они быстрее теряли национальную самобытность, пользовались турецким языком не только в быту, но и в церковной службе[5].

---

1 А. С. Хаханов. Цалкинские греки и их социальное положение, «Этнографическое обозрение», 1908, № 3; А. И. Робакидзе. К вопросу о некоторых пережитках культа рыбы, СЭ. 1948, № 3; Г. С. Читая. Этнографические исследования в Грузинской ССР. 1948, № 4; Л. Бочоришвили. Головной убор цалкской женщины, МЭГ, Тб., 1956, т. VIII; П. Акритас. Греки Кавказа, «Народы Кавказа», М., 1962, т. II; Т. Чиковани. Формы взаимопомощи у цалкских урумов, КЭС, Тб., 1972, т. IV; Л. Пашаева. Семья и семейный быт цалкских урумов, дисс. на соиск. учен. степени канд. ист. наук; Н. Волкова. У греков Грузии, Полевые исследования Ин-та этнографии, М., 1975; Т. Чиковани, Триалети, Тб., 1976 (на груз. яз.).

2 М. В. Кантария. Народные способы счисления времени в Чечено-Ингушетии, «Мацне», 1977, № 4, с. 56 (на груз. яз.).

3 В. А. Гордлевский. Греки в Османской империи, избр. соч., М., 1962, т. III, с. 137.

4 В. А. Гордлевский, там же, с. 138.

5 Ianin. Musulmans malgre eux. Les starviotes, „Ehos d'Orient", 1912, № 97, с. 435; В. А. Гордлевский. К истории тайных христиан в Малой Азии, там же, с. 326.

В первой четверти XIX века усилившиеся гонения на религию послужили одной из причин переселения христианского населения северо-восточных вилайетов Турции в Грузию и поселения их в Квемо Картли.

В современном Дманисском районе урумы в 1829—30 годах были поселены в четырех селениях: Демир-Булаг, Петрованск, Амбарло, Булгасон-Кейван или Ергиш-Оглы[6]. Булгасон-Кейван получило двойное название потому, что в нем поселились представители двух сел, переселенцев из Турции — Булгасон и Кейван. Селение Петрованск просуществовало несколько лет, затем оно слилось с селением Демир-Булаг[7]. Селение под таким названием существовало в Турции, в Пасенском санджаке[8].

Переселенцы дали новым поселениям в Грузии названия тех сел, в которых они проживали на прежней родине.

В данное время турецкие названия вышеназванных сел изъяты и даны грузинские: Саркинети (Демир-Булаг), Ганахлеба (Амбарло), Велиспири (Булгасон-Кейван)[9]. Саркинети — это востановленное древнегрузинское название этого селения, в котором по переписи «Моцинаве дроша» 1721 года насчитывались один владелец-собственник (Капланишвили), подвластный владелец (Бучкиашвили), 7 податных, 1 малоземельное и 4 разоренных семейства[10].

В селениях Гора и Сакире проживают греки, говорящие на греческом. Часть из них переселилась из Турции в 1800, 1806, 1813 годах. Основная масса является выходцами из Карсского вилайета и поселилась в этих селах в 50-ых годах прошлого века. Церковь, выстроенная ими в Сакире, датирована 1878 годом[11].

Переселенцы на новом месте находили памятники грузинской материальной культуры, которые отвечали их быту, вере и обычаям. По этому поводу Е. Такайшвили отмечал: «Новые пришельцы... нашли готовые храмы, иногда даже с пергаментными церковными книгами и обратили их в свои приходские церкви, в первое время без всякой переделки»[12]. Но затем переселенцы начали строить новые церкви, используя материал старых грузинских церквей[13].

---

6 Л. Б. Пашаева. Семья и семейный быт цалкских урумов. диссер., с. 49. Этнические процессы в Триалети, «Мацне», 1977, № 1, с. 87.

7 С. Г. Каухчишвили. История поселения греков в Грузии. «Труды Кутаисского педагогического института им. А. Цулукидзе», Кутаиси, 1942, с. 232 (на груз. яз.).

8 Л. Б. Пашаева. Семья и семейный быт цалкских урумов, диссер., с. 49.

9 Л. Б. Пашаева. Семья и семейный быт населения Дманисского и Марнеульского районов в прошлом и настоящем, Тб., 1975, с. 7; Рукопись отдела этнографии института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР, № 47.

10 И. Лордкипанидзе. Квемо Картли, I и II части, Тиф., 1935, с. 344.

11 Л. Б. Пашаева. Дневник Дманисской этнографической экспедиции (ДЭЭ), 1974 г., тет. № 4, с. 6, 24.

12 Е. Такайшвили. Археологические экскурсии, разыскания, заметки. Тифлисская губерния, Борчалинский уезд, Триалетское приставство, СМОМПК, Тифлис, 1913, вып. 43, с. 3.

13 Е. Такайшвили, указ. работа, с. 3.

Для переселенцев было открыто 12 приходов[14].

Одним из праздников зимнего цикла, отмечаемых урумами, являлся рождественско-новогодний.

10 февраля урумы отмечали день св. Харлампия, покровителя больных, людей и животных, как считали в Авранло — «Ау Harlampos hastalarin väkilidir»[15]. В Едикилисе и Каракоме он был принят как покровитель, лекарь животных и птиц — «Ау Harlampos mallarin dohturidi». В этот день быков не заставляли работать. Особенно торжественно день св. Харлампия отмечался в Каракоме. В центре этого селения стоит большая церковь св. Харлампия. 10 февраля крестьяне окрестных сел старались попасть в Караком, зажечь в церкви свечи, принести в жертву барана, рога которого обвязывали красной лентой. Жертвенное животное три раза обводили вокруг церкви и закалывали[17].

Как выясняется, основные «полномочия» св. Харлампия заключались в его покровительстве животным, особенно быкам. Это понятно, ибо крестьяне готовились к полевым работам, а от состояния быков зависела пахота.

11 февраля урумы называли ägrica—уродом (igri на турецком кривой, согнутый дугой, изогнутый)[18]. В эту ночь по их понятиям просыпалась природа и спать нельзя было, особенно беременным женщинам, потому что они могли родить урода. И скотина могла появиться уродливой[19]. Agrica урумов напоминает день Хыдреллеза у турок, отмечаемый ими 23 апреля (по старому стилю). Хызыр (Хыдреллез), синкретизировавшийся под влиянием византийцев со св. Георгием[20], связан с оживанием природы[21]. День Хыдреллеза — праздник, который в Стамбуле справлялся повсеместно. всем населением, мусульманским и христианским; повсеместно соблюдали этот день — «праздник котлов» — и цыгане. И Хызыр строго наказывал тех, кто в этот день работал. У беременной женщины. нарушившей этот обычай, ребенок мог родиться хромым[22]. Уродство непременно проявилось бы, если не на детях, то на скотине[23].

Необходимо отметить, что урумы сел. Саркинети 16 февраля отмечали праздник Хыдреллеза.В этот день девушки гадали, пекли соленые

---

14 ЦГИАЛ СССР. О состоянии в духовном отношении греков, переселившихся из Турции в Грузию, ф. 797, оп. 10, д. 27284, л. 6—9.

15 Л. Б. Пашаева. Дневник Триалетской этнографической экспедиции (ТЭЭ), 1980, тет. № 2, с. 27.

16 Там же, тет. № 1, с. 40, 43.

17 Там же, тет. № 2, с. 2.

18 Турецко-русский словарь. М., 1945, с. 262.

19 Л. Б. Пашаева. Дневник ТЭЭ, 1980, тет. № 1, с. 20, 40.

20 В. А. Гордлевский. Материалы для Османского народного календаря. Избр. соч., М., 1968, т. IV, с. 89.

21 В. А. Гордлевский. Народный календарь. Избр. соч. М., 1962, т. III, с. 60—61.

22 Там же, с. 61.

23 В. А. Гордлевский. Материалы для Османского календаря, с. 90.

хлебцы[24]. Небезынтересным является тот факт, что и курды-езиды праздновали Хырднаби-Хыдреллеза, вершителя судеб молодых, в феврале. В праздничную ночь девушки гадали, если соленую лепешку, чтобы увидеть во сне суженного, который должен был подать им воду. С этим, широко отмечаемым езидами праздником, связано поверие о похищении курдским юношей девушки — гречанки.

В обоих случаях суть празднования Хыдреллеза связана с зарождением нового — новой жизни, пробуждением природы, ее оживанием. Много в этом празднике различных наслоений от празднеств разных времен и поэтому он требует специального исследования.

После рождественско-новогодних праздников начинался цикл весенних.

В центре календарных праздников урумов, которые отражали подготовку к весенним полевым работам, была пасха. Праздник переходящий и отмечался он по окончании великого поста (или большого) — böyük päres. Идея, вкладывавшаяся в пост,—очищение от грехов посредством воздержания и покаяния— соотносилась в какой-то степени с древними представлениями крестьян — земледельцев. Наступала весна — очень ответственное для земледельцев время, и надо было подготовиться к предстоящим полевым работам, «очиститься» от всего вредоносного, подготовить все для сева[25]. Дата христианской пасхи была установлена в 525 году. Это праздник воскресения Христа. Но в сущности пасха — перелицованный на церковный лад древний, весенний, в основе своей народный праздник в честь умирающего и воскресающего бога, а первоначально — чисто земледельческий ритуал погибшего и ожившего духа хлебного поля[26].

Великому посту — böyük päres — предшествовало заговение. За две недели до великого поста наступал мясоед — ät hafta, ät pärdändäk (Санамер, Едикилиса). В течение этой недели преобладали мясные блюда. По окончании мясоеда наступала сырная неделя — peynir hafta, peynir pärdändäk или масляная — yag pärdändäk (Хадык), когда преобладали молочные блюда[27]. В Греции масленица продолжается три недели. Первая неделя называется «объявление», — потому что о начале масленицы провозглашали во всеуслышание, затем о мясоеде и «сырной» неделе[28]. Одним из главных элементов масленицы был обычай ряжения.

Следует отметить, что ряжения распространились из Древнего Двуречья[29]. Высокоразвитое ирригационное земледелие Древней Месопотамии с культивированием яровых и создание календаря с весенним началом года (III тыс. до н. э.) способствовало слиянию и формированию обрядов ряженых в единный комплекс аграрного весеннего

---

24 Л. Б. Пашаева. Дневник ДЭЭ, 1974, тет. № 1, с. 1.

25 В. К. Соколова. Весенне-летние календарные обряды русских, украинцев и белорусов. М., 1979, с. 94.

26 Календарные обычаи и обряды в странах Зарубежной Европы. Весенние праздники. М., 1977, с. 9.

27 Л. Б. Пашаева. Дневник ТЭЭ, 1980, тет. № 2, с. 7, 9—11.

28 Календарные обычай..., с. 322—323.

29 Н. А. Брегадзе. К изучению истории «берикаоба», «Мацне», 1980, 1, с. 65.

праздника, а переход на юлианский календарь вызвал дублирование обычаев и обрядов весеннего праздника ряженых и в зимний сезон[30].

Ряжения были очень приняты в Греции, широко распространены в Византии. Византийские скоморохи чернили свои лица сажей, надевали звериные шкуры и маски[31].

Ряжения не были распространены среди урумов Грузии, не проводились они ими и на их прежней родине в Турции. Сразу же с окончанием сырной недели начинался великий пост. Однако в селении Хадык нами зафиксирован материал следующего содержания. «По окончании масляной недели, на утро наступал великий пост. Но в этот вечер (последний вечер масляной недели, Л. П.) народ собирался в большом хлеве, ели, пили, под звуки зурны и барабана пели и танцевали»[32]. Можно предположить, что сбор, отмечаемый в Хадыке, является не чем иным, как отзвуком проводов зимы. Мы не сомневаемся в том, что для урумов, как потомков византийцев, были характерны и ряжения. Более того, как указывает Гордлевский, они были заимствованы турками от греков. «Весною, — отмечает он, — по деревням из дома в дом ходят парни («Сайа Гезмек») и как бы поздравляют с окончанием зимы; соседи подают им кто муку, кто сладости и т. д.: иногда парни выбирают из своей среды кого-нибудь одного, который изображает невесту («Саяджы Гелини» — невеста «обхожих»). Там же в примечании он продолжает: «Обходы эти (заимствованные у греков) совершаются и под Новый год»[33].

Ввиду того, что ряжение — шумный праздник, привлекающий внимание, предки нынешних урумов, постоянно испытывавшие на своей прежней родине в Турции гонения на религию, стали отмечать христианские праздники скрыто и, вероятно, потому многие из них исчезли, в том числе и ряжения.

Известно, что, опасаясь гонений, многие христиане Турции отступничали, другие, более смелые, покидали свои места, удалялись во внутрь страны и устраивались там вдали от властей. Другие, делая видимость принятия ислама, в действительности оставались христианами, исполняли христианские обряды и обычаи в такой форме, в какой им позволяли их условия[34], в чем мы убедились выше.

Начало великого поста то совпадало с днем св. Харлампия, то наступало после него[35]. В основном на великий пост приходился март.

Март для урумов, как и для других греков, являлся примечательным этапом их календарного цикла. До принятия юлианского календаря (I в. до н. э.) греки, как и другие народы, мартом начинали год.

В прошлом гражданский год в Турции также начинался 1 марта[36]. По первым 12 дням марта урумы определяли погоду на весь год. Так, если 1 марта погода была плохой, ветренной, то весь март должен был быть таким,

---

30 Там же.

31 Календарные обычаи..., с. 325.

32 Л. Б. Пашаева. Дневник ТЭЭ, 1980, тет. № 2, с. 10—11.

33 В. А. Гордлевский. Материлы для османского калндаря, с. 81.

34 Ianin. там же, с. 435, 497; В. А. Гордлевский. К истории тайных христиан в Малой Азии, с. 326.

35 Л. Б. Пашаева. Дневник ТЭЭ, 1980, тет. № 2, с. 4.

36 В. А. Гордлевский. Материалы для османского народного календаря, с. 89.

если 2 марта погода была хорошей, то и апрель обещал быть таким и т.д[37] Обряды, связанные с встречей нового года и одновременно расцветом, возрождением природы были позже сдублированы при встрече нового года 1 января. Март являлся критическим временем года для урумов. В марте начинались полевые работы, кому не доставало семян, кому корма, отсюда и поговорки: «Март пришел — заботы пришли» — «Mart gäldi, därd-gäldi», «Март уходит — заботы уходят»—«Mart cihiyer, därd cihier». В марте съестные запасы доходят до критического уровня—«Martta märäklär yari gäräk[39].

Девятого марта урумы встречали весну и связывали эту встречу с появлением аистов — «Läg, läg säkizä gälmäz, dokuza qalmaz». Если аисты приносили колос, то эта примета была к урожаю, если кровавый комочек — к войне[40]. Такое же поверье существовало среди турок Сивасского вилайета [40] Они также считали, что тот, кто увидит летящего аиста, тому суждено жить на чужбине, а кто опускающегося—на родине. Аист в представлении турок предвестник благополучия; охотники никогда его не убивали[42].

В первую субботу великого поста урумы отмечали день св. Федора, прибавлявшего силы постящимся. У грузин Тедороба — скотоводческий праздник, но он имел также и аграрный характер[43].

Последнюю неделю великого поста урумы называли булочками, богатым Лазарем, бедным Лазарем — kelkellär, zangin Lazaros, fahir Lazaros. Сюжет праздника следующий: жили два соседа — богатый Лазарь и бедный Лазарь. Богатый Лазарь был жаден и ничего никому не давал. Второй Лазарь, несмотря на свою бедность, собрал по горстям муку, испек булочки (бублики) и раздал детям. «На том свете богатый просил у бедного каплю воды, бедный отвечал, что не может ему дать, потому что между ними пропасть (гора)»[44]. «Богатого Лазаря отмечали одну неделю. В субботу наступал день бедного Лазаря. В этот день пекли булочки. В воскресенье их раздавали детям с зелеными ветками—vaya»[45]. Аджарские греки в воскресенье перед пасхой также праздновали «вайо». С раннего утра дети с ве-

---

[37] Л. Б. Пашаева. Дневник ТЭЭ, 1980, тет. № 1, с. 16—17.

[38] Там же, тет. № 2, с. 3.

[39] Л. Б. Пашаева, Дневник ТЭЭ, 1980, тет. № 1, с. 16.

[40] Там же, с. 18.

[41] В. А. Гордлевский, указ. работа, с. 85.

[42] Там же.

[43] Н. А. Брегадзе. К вопросу о характере одного из грузинских народных календарных праздников («теодороба»). Вопросы этнографии Грузии. Тб., 1970, с. 81.

[44] „Lazaros, Lazaros bir damcada su tamlat agzima. O da dediki: yog ikimizi arasinda bir dag var“. Л. Б. Пашаева. Днев. ТЭЭ, тет. № 19.

[45] Zangin Lazaros bir haftadir. Sava gūni gäliyer fuhara Lazar. Kelkel o gūni ediyer. O gündā pisiriyerag kelkellāri. Pazar güni usaglara veriyerig. Kövün usagi gäzip, topliyerdilär kelkel. Kelkellär güni vaya agac halha dagidiyerdilär. Л. П. Пашаева, там же, тет. № 2, 4—5.

точками вербы ходили по домам, собирали бублики и некрашеные яйца. Затем взрослые и дети отправлялись в церковь[46].

Причудливый рассказ о воскрешении Лазаря в дни последней недели великого поста получил у урумов свою довольно оригинальную интерпретацию. Богатый Лазарь, по нашему мнению — это олицетворение уходящей зимы, смерти. Бедный Лазарь — воскрешение природы, приход весны. Последнюю неделю великого поста греки называли «пальмовой». В «пальмовое воскресенье» освящали в церкви зелень. Обычай освящения зелени был введен христианской церковью в IX веке. Церкви украшали свежей зеленью — ветвями лимонных и апельсиновых деревьев. Женщины связывали пучки свежей зелени вайя — букв. «пальма»[47].

По мнению Соколовой суть этого дохристианского праздника заключалась в следующем: здоровое, расцветающее дерево должно было как бы передать здоровье, силу и красоту человеку[48].

В апреле урумы праздновали пасху — kizil yumurta. Пасхальные песнопения исполнялись на греческом. В день самой пасхи все поздравляли друг друга словами: «Hristos anesti. Alistos anesti (греч.) «Христос воскрес воистину воскрес». И так встречали друг друга в течение 40 дней. На пасху красили яйца, пекли паску — pasha, треугольные хлебцы — bäksimäd, coräk. В Олянке и Бешташени эти хлебцы назывались pagac, в Джинисе kätä. Праздновали пасху в течение трех дней. Встречались за праздничным столом, христосовались[49]. Дагвинские греки (Аджария) не работали всю неделю. В течение трех дней ходили в церковь. Не работали также и в первую пятницу после пасхи[50].

Важное место в пасхальном обряде занимало поминовение умерших, которое, как известно, генетически восходит к культу предков. Урумы посещали кладбище на третий день, последний из пасхального праздника. На кладбище приносили пасхальную еду — крашеные в красный цвет яйца и хлебцы.

Основными элементами пасхи являлись яйцо, застолье и культ предков, где яйцо как символ новой зарождающейся жизни занимает центральное место в пасхальных обрядах.

Обряды и магические действия, рассредоточенные по отдельным дням поста и пасхи, вероятно, являлись отдельными частями, сохранившимися рудиментами некогда единого большого весеннего аграрно-магического действия, назначение которого было обеспечить урожай и приплод скота[51].

На апрель приходился один из самых популярных праздников среди урумов — праздник св. Георгия, отмечаемый 23 апреля, а также 10 ноября. День св. Георгия — Ayos Uorios торжественно справлялся в Ташбаше, Авранло (2 церкви на его имя), в Джинисе[52].

---

46 Л. Б. Пашаева. Дневник Аджарской этнографической экспедиции (АЭЭ), 1975, тет. № 1, с. 4.

47 Календарные обычаи, указ. работа, с. 329.

48 В. К. Соколова, указ. работа, с. 98.

49 Л. Б. Пашаева, Дневник ТЭЭ, 1980, тет. № 1, с. 21, тет. № 2, с. 6.

50 Л. Б. Пашаева, Дневник АЭЭ, 1975, тет. № 1, с. 3.

51 В. К. Соколова, указ. работа, с. 141.

В прошлом этот день считался границей между летним и зимним сезонами. Турки, перенявшие такое деление года от византийцев, считали, что летний сезон начинается 23 апреля, от дня Хыдреллеза (св. Георгия), и зимний сезон — от 26 октября от дня Касыма (св. Димитрия)[53]. По замечанию В. Гордлевского, обрядности 9 марта и 23 апреля перепутались — на западе, в Византии, новый год — оживание природы — наступал позже, чем в Иране, и 23 апреля здесь повторялось то, что совершалось в Иране 9 марта[54].

К св. Георгию обращались в самых различных случаях: из-за богатого урожая, болезни, члена семьи, находящегося вдали от дома, бездетности[55]. Св. Георгию приносили в жертву барана, бычка, или быка, ягненка, петуха голубя. Жертвенному животному—qurban—делали отметку на ухе. Если у семьи не было собственной скотины, то ее покупали. В таких случаях покупатель не торговался, а платил за нее, сколько просили. Ее нельзя было не только бить, но и раздражать[56]. Если семья обещала св. Георгию жертву из-за благополучия своей семьи и опаздывала с закланием животного, то его не кастрировали, не использовали как тягловую силу. Также поступали грузины, осетины[57].

Если предназначенное для жертвы животное, которое никогда не держали на привязи, попадало в чужой огород, то его с извинениями приводили обратно. В случае потери животного обет считался выполненным, ибо св. Георгий обязан был охранять предназначенную ему жертву. Иногда всей деревней покупали быка и приносили в жертву св. Георгию, моля его о ниспослании дождя, плодородии почвы, богатом урожае. Культ св. Георгия широко отмечался и в армянских селах Триалети. На пасху всей деревней покупали 7 быков и приносили в жертву св. Георгию[57]. Обещанную жертву следовало непременно исполнить, иначе св. Георгий мог покарать.

Следует заметить, что ритуал, совершаемый перед закланием животного, и принцип заклания на имя любого святого был одинаков. «Несмотря на исповедуемое ими православие, — писал о цалкинцах Эриксон, — они не углубляются в смысл св. написания, почти ничего не знают о житии св. отцов церкви, перед которыми между тем слепо преклоняются и почти боготворят»[58]. Такая расплывчатость, неясность и противоречивость верований характерна не только для урумов, но и для верований любого народа[59]. Подавляющее большинство «верующих», отмечает С. А. Токарев, ссылаясь на американского ученого Пола Радина, не знает этих верований и не особенно интересуется ими...

---

52 Л. Б. Пашаева. Дневник ТЭЭ, 1980, тет. № 2, с. 27.

53 В. А. Гордлевский, Народный календарь, с. 61; Материалы для осм. кол. с. 89.

54 В. А. Гордлевский, Народный календарь, с. 62.

55 Л. Б. Пашаева, Дневник ТЭЭ, 1980, тет. № 1, с. 30.

56 А. Н. Сихарулидзе, К вопросу о значении изображения быка на триалетских вешапах и вешапоидах, КЭС. Тб. 1972, IV, с. 32.

57 В. А. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, с. 195, 199, 257; Л. А. Чибиров, Народный земледельческий календарь осетин, Цхинвали, 1976, с. 46.

57 Л. Б. Пашаева, Дневник ТЭЭ, 1980, тет. № 1, с. 2.

58 Э. В. Эриксон, указ. работа, с. 11.

59 С. А. Токарев, О религии как о социальном явлении, СЭ, 1979, № 3, с. 88.

с него достаточно совершать установленные обряды, приносить жертвы[60].

Перед закланием животного урумы созывали ближайших родственников и соседей. Шею жертвенного животного обвязывали красным лоскутом, на рога прикрепляли свечи. Священник освящал животное и затем вместе с присутствующими три раза обходил церковь. Тот, кто совершал жертвоприношение, надрезал скотиие ухо до крови, затем обмазывал крестообразно кровью собственное темя и детей, порог и двери церкви, наделяя таким образом всех божественной силой. После этого зажигали свечи, молились. Семь кусков вареного мяса раздавали присутствующим[61].

В армянских селах священник освящал горсть соли, затем жертвенное животное слизывало соль и его закалывали. Семь кусков мяса раздавали, а священнику посылали одну из передних ножек[62].

Эриксон писал про цалкинцев, что в день храмового праздника крестьяне окрестных сел приносили овцу с заранее надрезанным ухом. Ее обводили вокруг церкви, затем резали и варили. Шкуру и сырую лопатку отдавали священнику[63].

На имя св. Георгия большей частью закалывали быка, изображение которого, как известно, представлено в Триалети на таких памятниках материальной культуры, как вешапы и вешапонды[64].

В Грузии культ быка был широко распространен. В Месхет-Джавахети хозяйка дома выпекала сначала новогодние хлебцы, а затем фигурные хлебцы в виде рогов быка и др.[65] Затем эти хлебцы бросали с бани и проверяли, куда и как они упали. Если хлебец лежал верхней частью — это был признак хорошего урожая, если наоборот— плохого; хлебец у порога означал падеж скота, у очага — размножение. После этого глава семьи входил в хлев и поздравлял животных с новым годом, моля бога о размножении скота, хлебцем касался темени скота (чтобы он не болел) и давал поесть по кусочку этого хлебца всем быкам в хлеве[66].

В Джавахети быка с горящими на рогах свечами обводили вокруг новогодней таблы. Глава семьи произносил молитву в честь размножения скота, хорошего урожая и затем давал быку сена[67].

Весной в Месхети и Джавахети крестьянин, впервые выводивший быка на полевые работы и впрягавший его в ярмо, разбивал об его темя яйцо и просил быка, чтобы он работал добросовестно, за что обещал не впрягать его в праздничные и воскресные дни[68].

Св. Георгий в сознании урумов был всемогущ. Несмотря на то, что культ св. Георгия широко почитался урумами и до переселения в Грузию, после их поселения на новом месте его «функции», ввиду огромной популярности св. Георгия в Триалети, расширились и углубились. По нашему мнению, именно после переселения в Грузию, в частности, в Триалети, урумы в результате влияния местной среды восстановили утерянную традицию и стали приносить в жертву св. Георгию большей

60 Там же, с. 89.
61 Л. Б. Пашаева. Дневник ТЭЭ, 1980. тет. № 1, с. 24, тет. № 2, с. 2.
62 Там же. № 2 с. 38.
63 Э. В. Эриксон, указ. работа, с. 11—12.
64 А. Н. Сихарулидзе, указ. работа, с. 35.
65 С. Макалатия. Месхети и Джавахети, Тб., 1938, с. 104 (на груз. яз.).
66 А. Н. Сихарулидзе, указ. работа, с. 38.
67 С. Макалатия, указ. работа, с. 105—106.
68 Там же, с. 110.

частью быка. Греки в Греции и по сей день в жертву св. Георгию приносят белого ягненка[69].

Через 40 дней после пасхи урумы праздновали день св. Софии — Ay Sofiya — в церкви, находящейся в ущелье около сел. Кызылкилиса, в Олянке, Ташбаше и Гомарети (Дманисский район). В этот день все старались выкупаться. Особенно была чудодейственна вода небольшой реки в ущелье около сел. Кызылкилиса. К св. Софии обращались также бездетные женщины, просили ее ниспослать дождь[70]. Праздник св. Софии—это вознесение. Этот же день считался среди урумов праздником пастухов и назывался — sudlü — молочный. В этот день весь надой молока и молочные продукты доставались пастухам[71]. В горных районах Греции вознесение также является праздником пастухов и хозяев овечьих отар. Пастухи Этолии считают этот день самым большим праздником в году. Они приглашают священника благословить стадо. Угощение состоит из молока, сыра и йогурта (род кислого молока). Все молоко, надоенное в этот день, должно пойти на приготовление угощения, а оставшееся — вылито. Такова природа жертвоприношения: все, что приносится в жертву, должно быть отдано (в данном случае другим людям)[72].

Через 10 дней после празднования дня св. Софии урумы отмечали день мертвых — mäzärligin güni, Ay Bnemat, который был переходящим и попадал то на май, то на июнь, в зависимости от пасхи. В этот день все шли на кладбище, относили хлеб, сыр, яйца, фрукты, мясо, водку; там угощали друг друга, зажигали на могилах свечи[73]. Древние греки, как и римляне, верили, что души умерших в определенное время возвращаются в мир живых. Наиболее важными датами возвращения были 9, 11, 13 мая. Пятидесятый день после пасхи — праздник пятидесятницы — пендикостос посвящен памяти умерших[74]. День поминовения мертвых (Ay Bnemat), отмечаемый урумами, также попадает на пятидесятый день после пасхи.

Устраивая покойникам пиршества, их старались задобрить, ибо они, по народным верованиям, могли оказать воздействие на жизнь людей, на их семейное благополучие и благосостояние, на плодородие земли или же наказать их, лишить всех благ[75].

Лето — горячая пора для крестьян, и они мало времени уделяли празднованию святых. Крестьяне жали и обмолачивали зерновые, собирали урожай. Пастухи со стадами находились на летних пастбищах. 29 июня урумы праздновали день св. Павла. В этот день жители всех сел, населенных урумами, должны были дать пастухам хлеб: некоторые в сложенный несколько раз лаваш клали масло — yaginan cörägi[76].

---

69 Календарные обычаи, указ. работа, с. 332.

70 Л. Б. Пашаева, Дневник ТЭЭ, тет. № 1, с. 22—23, 34; тет. № 2, с. 10.

71 Там же, тет. № 2, с. 13.

72 Календарные обычаи, там же, с. 334.

73 Л. Б. Пашаева, Дневник ТЭЭ, 1980, тет. № 1, с. 23, тет. № 2, с. 10.

74 Календарные обычаи, указ. работа, с. 334.

75 В. В. Бардавелидзе, указ. работа, с. 162—163; Н. А. Брегадзе, указ. работа, с. 88.

76 Л. Б. Пашаева, там же, тет. № 2, с. 13.

14 июля урумы справляли в Едикилисе день св. Козьмы и Демьяна[77].

20 июля урумы праздновали день св. Ильи —Ay Yliya. Церквей, носящих им св. Ильи, было несколько: между Неон-Харабой и Ахалыком, в Хандо и Гомарети. Св. Илья был очень широко почитаем урумами. Он был в ответе за дождь и облака—«Ay Yliya bulutlar väkilidir». По мнению урумов Илья появился на свет раньше Христа[78]. Он обязан был оросить землю. В июле каждый понедельник до 20 июля, дня св. Ильи, считался днем града — doli pazari. В эти дни запрещалось работать, особенно женщинам шить, стирать, прясть[79].

Для того, чтобы вызвать дождь, женщины нескольких сел собирали деньги, покупали барана или ягненка, иногда даже быка и закалывали жертвенное животное у церкви св. Ильи. Посвящали ему и козла[80]. Бросали в воду кости мертвых. Женщина, непременно вдова, должна была бросить в воду доску от теста — rapata; девочки наряжали веник в женское платье, ходили по домам и обливали веник водой[81].

В грузинском сел. Реха, чтобы вызвать дождь, привязывали к арбе быков и пускали в реку, быки обрызгивали друг друга[82]. В Месхет-Джавахети (сел. Чабарети) трое старушек садились в куруни (каменный ящик у родника) спиной друг к другу и произносили молитву, выпрашивая у бога дождь. В это время группа женщин подкрадывалась к старушкам и обливала их водой[83].

В армянском селении Куши для вызывания дождя две женщины впрягались в плуг, а третья управляла ими, затем все шли к реке и женщина, управлявшая плугом, обливала женщин, впряженных в плуг[84].

Как выясняется, обряд вызывания дождя среди населения Квемо Картли, связанный с днем св. Ильи, совершают в основном женщины.

6 августа урумы праздновали — Metamofros — преображение (Авранло). В этот день пробовали первые овощи, фрукты. Закалывали жертвенное животное, зажигали свечи[85].

15 августа праздновали успение богородицы — Meryamana (Джинис Цалка). К ней обращались бездетные женщины, благодарили те, которым она «помогла» иметь детей[86]. Особенно популярно среди урумов изображение богородицы в Вардзии.

---

[77] Л. Б. Пашаева, Дневник ТЭЭ, 1980, тет. № 2, с. 8.

[78] Там же.

[79] Там же, тет. № 1, с. 29.

[80] Г. С. Читая, Из этнографической поездки в Агбулагский район, Вестник Гос. музея Грузии, 1928, т. IV, с. 230 (на груз. яз.).

[81] Л. Б. Пашаева, там же, с. 24—25.

[82] Там же, с. 13.

[83] Г. В. Джалабадзе, Полеводство в Месхет-Джавахети, Материалы к этнографическому изучению Месхет-Джавахети, Тб., 1972, с. 36 (на груз. яз.).

[84] Л. Б. Пашаева. Дневник ТЭЭ, 1980, тет. № 2, с. 37.

[85] Там же, тет. № 1, с. 25.

[86] Там же, с. 26.

В прошлом, по утверждению урумов, их предки «настоящий», новый, год встречали первого сентября[87]. В этот день по их мнению произошло разделение народов — «Millät birbirindän ayirildi»[88].

С IV века в Византии началом года считалось 1 сентября. До самого недавнего времени среди греческого народа, особенно в деревнях, эта дата отмечалась как начало года. В этот день не работали. Священник ходил по домам, приветствуя свою паству традиционным возгласом «многие лета». Накануне, 31 августа, жительницы острова Лерос ставили на стол посредине комнаты поднос со свежим мясом, чтобы добрый дух в образе змеи, который охраняет дом, мог ночью поесть. Утром 1 сентября люди желали друг другу удачи в наступающем году и как символ изобилия вешали на домашние иконы или потолочные балки венки... Женщины обрызгивали пол в доме свежей водой[89].

Все эти обряды имели одну цель — принести обилие, достаток, богатство в дом. Нетрудно заметить, что праздничные обряды 1 сентября повторяют действия, совершаемые 1 марта.

Древние грузины, армяне и албанцы также встречали Новый год 1 сентября. П. Ингороква отмечает, что 23 августа — это новый год древнегрузинского календаря, который длился до 22 сентября. Последний месяц древнегрузинского календаря назывался „არ დადეგისაჲ“ соответственно армянскому „ჰროტიც“, албанскому „ბახნეაჲ“.[90] В древнегрузинском календаре название нового года выражено грузинским словом—„თთუც ახალწლისაჲ“, а в армянском и албанском оно заимствовано из персидского „ნავასარდ“, „ნავასარდულ“.[91]

Далекими отзвуками празднования нового года грузинами в сентябре являлись бодрствование и встреча рассвета, которая называется „დადეგი“ в последний день августа в Гурии и Мигрелии[92].

В России при Петре Первом новый год стали праздновать не с первого сентября, а с первого января 1700 года.

8 сентября урумы праздновали — ahtälä — рождение Марии, 14 — hac ayi—воздвижение честного креста, приходившееся на время окончания летних сельскохозяйственных работ, что было поворотным моментом в хозяйственной жизни сельского населения.

26 октября урумы отмечали день св. Димитрия, представлявшегося им сидящим на красной лошади. Этот день был приурочен к завершению полевых работ и поэтому его праздновали очень торжественно.

Мы рассмотрели некоторые календарные праздники урумов. Праздники в целом были разными, соответствовали временам года и их значению для крестьянского хозяйства.

Издревле человек посвящал праздник определенному божеству,

---

[87] Там же, тет. № 1, с. 29; ДЭЭ ,1974, тет. № 1, с. 1.

[88] Там же.

[89] Календарные обычаи и обряды в странах зарубежной Европы. Летне-осенние праздники, М., 1978, с. 277—278.

[90] П. Ингороква. Древнегрузинский языческий календарь в памятниках V — VIII веков, Вестник Гос. музея Грузии, т. VII, 1931 и 1932, Тб., 1933, с. 291 (на груз. яз.).

[91] П. Ингороква, указ. работа, с. 291.

[92] Там же.

ибо верил, что от них зависят перемены времен года, урожайные и неурожайные годы.

Особенно много праздников и, соответственно, божеств было у греков. Это были Апполон и Дионис, божества воскресающей природы, покровительница земледелия Деметра и т. д. Время праздников определялось различными этапами сельскохозяйственных работ, которым по верованию древних греков покровительствовали те или иные боги[93].

С распространением христианства древние праздники были приурочены церковью к соответствующим им по времени датам церковного календаря, и многие праздники получили новые христианские названия. Проводились они в те же дни, что и раньше. В результате произошло сложное переплетение дохристианских и христианских верований. Прежние мифологические персонажи, олицетворявшие в большей части силы природы, были заменены библейскими и евангельскими персонажами, которые в народном сознании ассоциировались с прежними божествами и получили их функции — помощников в крестьянском хозяйстве[94].

Календарные праздники урумов сложились задолго до их переселения в Грузию, на их прежней родине в Турции. На новом месте урумы нашли сохранившиеся памятники материальной культуры Грузии, которые отвечали их быту, верованию и обычаям, и стали использовать их по своему усмотрению.

Суть и принцип проведения ими календарных праздников в Грузии были такими же, как и на их прежней родине. Но под влиянием местной среды стали расширяться «функции» некоторых святых, изменяться детали проведения их празднеств. Именно под влиянием грузин урумы Триалети, восстановив утерянную традицию, вновь стали приносить в жертву св. Георгию быка.

Праздники, которые проводились урумами в Грузии, его составные элементы в основном совпадают с греческими, византийскими, ибо урумы— это этническое наследие Византии. Среди них еще довольно свежо воспоминание, что «настоящий» новый год они праздновали 1 сентября. Как мы отмечали выше, в греческих селах еще до самого недавнего времени новый год праздновали 1 сентября. Наконец, несмотря на то, что урумы справляли церковную службу на турецком, они сохранили много греческих слов (vaya), названия праздников (Metamofros), песнопения, молитвы, особенно пасхальные.

Рождественско-новогодние имели подготовительный характер. Акцент делался на пожелании богатого урожая, здоровья.

Суть весенних праздников заключалась в непосредственной подготовке к предстоящим полевым работам и к их началу, подготовке семян, скота. После появления всходов праздники приобретали другой характер, но функция была та же — обеспечить богатый урожай.

Основными функциями летних праздников были сохранение урожая и подготовка к его уборке. Праздники же, связанные с жатвой, завершали летний цикл, открывали осенний цикл праздников.

Представлена отделом этнографии Кавказа Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР

---

[93] Календарные обычаи и обряды в странах зарубежной Европы. Зимние праздники, М., 1973, с. 9.

[94] В. К. Соколова, указ. работа, с. 5.

გულდამ ჩიქოვანი

# სასოფლო მოედნის აღმნიშვნელი თუშური ტერმინის განმარტებისათვის

კავკასიის მთიანეთში დასახლების სტრუქტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აუცილებელ ელემენტს წარსულში წარმოადგენდა სასოფლო მოედანი. იგი იყო სოფლის საჭირბოროტო საკითხების მოსაგვარებლად მამაკაცთა თავშეყრისა, ხოლო თავისუფალ დროს სასაუბროდ და გასართობად განკუთვნილი ადგილი. გენეტიკურად იგი სოფლის მმართველობასთან იყო დაკავშირებული და სრულიად განსხვავდებოდა ასევე სოფლის სტრუქტურის შემადგენლობაში არსებული რელიგიური დღესასწაულებისა თუ სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად შერჩეული მოედნებისაგან (ზოგიერთ შემთხვევაში ერთი და იგივე მოედანი სხვადასხვა ფუნქციასაც ასრულებდა ერთდროულად, მაგრამ ამჯერად ეს ჩვენი მსჯელობის საგანს არ შეადგენს). ასეთ მოედნებს ოსეთში ეწოდებოდა ნ ი ხ ა ს-ი, ჩაჩნეთ-ინგუშეთში — ფ ჰ ი ე ლ, ბალყარეთში — ნ ი ლ ა შ, დიდოეთში — ვ უ დ ი კ ა ნ. ასეთი ადგილები ქართულ სოფლებშიც იყო. სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონში მას სხვადასხვა სახელი ერქვა. საკუთრივ ხევსურეთში — ს ა ფ ე ხ ნ ო, ხევში — ს ა ე რ ო ბ ო, სვანეთში — ს ვ ი ფ, რაჭაში — ს ა ნ ა ხ შ ო და სხვ.

აღნიშნული ტერმინები მოცემული კუთხის ყოველ თემში გავრცელებულ, სასოფლო მოედნების აღმნიშვნელ ზოგად ტერმინებად ევლინება. ამავე დროს უმეტესი მათგანი უფრო ფართე მნიშვნელობის მატარებელია და სათემო და სახეობო შესაკრებლებსაც გამოხატავენ. უფრო მეტიც, ტერმინი ნ ი ხ ა ს ი ოსურში აღნიშნავს აგრეთვე კრებას, საუბარს, მსჯელობას, სიტყვით გამოსვლას და სხვ.[1]

სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით სვანურში შესაკრებელი ადგილის აღმნიშვნელი ტერმინები დიფერენცირებულია: ს ვ ი ფ ეწოდება სასოფლო შესაკრებელს, ლ ა ლ ხ ო რ ან ს ა ხ ე ვ — სახევო შესაკრებელს, ხოლო სოფლის შიგნით არსებულ ახლო მეზობლების თავშესაყრელ ადგილს — ლ ა ნ-ყ ა ვ[2].

თუშეთის შესახებ არსებულ ლიტერატურასა[3] თუ ზეპირ მეტყველებაში

---

[1] В. И. Абаев, ИЭСОЯ, II, Л., 1973, გვ. 219.

[2] იხ. ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, გვ. 90; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, გვ. 75, 82, 87.

[3] И. Цискаров, Записки о Тушетии, К., 1849, № 11, გვ. 44; Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, I, кн. 2, СПб., 1871, გვ. 301; Л. Зиссерман, Двадцать лет на Кавказе, ч. I, СПб., 1879, გვ. 248. ს. მაკალათია, თუშეთი, ტფ., 1933, გვ. 101; პ. ხუბუტია, თუშური კილო, თბ., 1969, გვ. 13 და სხვ.

ანალოგიური დანიშნულების სასოფლო მოედანი სხვადასხვა ტერმინით აღინიშნება: საანჯმნო (საანჯმო), საამჯნო, ბეხვნე, საპეხვნე, საფეხნო. მათი დანიშნულება კი ნათლად არ არის გარკვეული.

წინამდებარე სტატიის მიზანია სოფლის მმართველობასთან დაკავშირებული თუშური სასოფლო მოედნის აღმნიშვნელი ტერმინის დაზუსტება, მისი შინაარსისა და დანიშნულების გარკვევა, გავრცელების არეალის დადგენა.

რევოლუციამდელ ავტორთაგან, ი. ცისკარიშვილი მიუთითებდა, რომ იმ ადგილებს, სადაც საზოგადოებრივი საკითხები წყდებოდა თუშეთში, ეწოდებოდათ საანჯმო[4]. ამდენად, იგი ხალხურ მმართველობასთან დაკავშირებულ საკრებულოდ წარმოგვიდგება.

ი. ცისკარიშვილს ეყრდნობოდნენ და იგივეს იმეორებდნენ ნ. დუბროვინი[5] და ლ. ზისერმანი[6]. ეს უკანასკნელი წერდა: «Место заседании называется сванжелое»[7]. მას ცხადია, დამახინჯებულად მოჰყავდა საკრებულოს აღმნიშვნელი ტერმინი და ეჭვგარეშეა, რომ მასში „საანჯმოს" გულისხმობდა[8].

დ. კარიჭაშვილისა და ივ. ბუქურაულის სიტყვებით „საანჯმნო" — შესაკრებელი ალაგი"-ა[9], მაგრამ რა დანიშნულების შეკრებები იგულისხმება — — არ ჩანს.

სტ. მენთეშაშვილი თუშეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურში აღნიშნავს: „საანჯმო დილა-საღამოს ხალხის შესაყრელი ადგილია, სადაც საუბრობენ, მუსაიფობენ მოცლის დროს"[10]. ამ შემთხვევაში საანჯმო მხოლოდ არასაქმიანი შეკრების ადგილად გამოიყურება. დღიურის სხვა ადგილზე მითითებული იყო: „ფარსმის შუაგულში დიდი მოედანია, სადაც აშენებულია საქვაბე, წინ ბეხვნეა, უკან საანჯმო"[11]. ავტორისეული პირველი განმარტებიდან ჩანს, თუ რა იგულისხმება ტერმინ საანჯმოში. უნდა ვიფიქროთ, რომ ბეხვნეს სხვა დანიშნულება ჰქონდა. უფრო ქვემოთ ავტორი წერს:" თუ ვისიცობაა დაცემას აპირობდნენ (ზემოთ ლაპარაკია თუშების თავდასხმებზე მეზობელ ჩაჩნებზე ნადავლის წამოღების მიზნით — გ. ჩ.) ბეხვნეს შეიყრებოდნენ და ბჭობდნენ".[12] აქედან გამომდინარე, ბეხვნე საქმიანი შეკრებებისათვის განკუთვნილი ადგილი ყოფილა, ფუნქციურად სრულიად განსხვავდებოდა საანჯმოსაგან და ორივე ერთ სოფელში (ფარსმაში) არსებულა. ავტორს დღიურში მოცემული აქვს „ბეხვნეს" სხვაგვარი განმარტებაც: „ბეხვნე — ფეხოში (შენაქურია)"[13] ე. ი., ტერმინი ბეხვნე გაიგივებულია ტერმინ ფეხონთან, რომე-

---

[4] И. Цискаров, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

[5] Н. Дубровин, დასახ. ნაშრ., გვ. 301.

[6] Л. Зиссерман, დასახ. ნაშრ., გვ. 248.

[7] იქვე.

[8] გ. ჩაჩაშვილი, შატილის საფეხნო, თბ., 1948, გვ. 199. სადისერტ. ნაშრ., ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქივი, № 60.

[9] დ. კარიჭაშვილი და ივ. ბუქურაული, თუშურს ლექსებში ნახმარის სიტყვების განმარტება. ძველი საქართველო, ტ. II, ტფ., 1913, გვ. 135.

[10] სტ. მენთეშაშვილი, თუშური მასალები (ხელნაწერი), თბ., 1932 წ., ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი, № 39, გვ. 22.

[11] ვინაიდან სტ. მენთეშაშვილის დღიურებში ამჟამად ამ მითითებას ველარ მივაკვლიეთ, ციტატი მოგვყავს გ. ჩაჩაშვილის დასახ. ნაშრომიდან, გვ. 199.-

[12] სტ. მენთეშაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 165.

[13] იქვე, გვ. 22.

ლიც ხევსურეთში მამაკაცთა შეკრების გამომხატველია. სტ. მენთეშაშვილი ას სოფ. შენაქოში გავრცელებულ სიტყვად წარმოგვიდგენს.

ს. მაკალათიას მოჰყავს ორივე ტერმინი და წერს: „სტუმარი ერთობოდა აგრეთვე „ბეხვნე"-ში ან „საანჯმო"-ში (საბაასო). ამ ბეხვნეზე სხდებოდნენ სოფლის მამაკაცობა და დროს საუბარში ატარებდნენ. დედაკაცებს ბეხვნეზე ჯდომა არ შეეძლოთ და ახლოსაც არ ეკარებოდნენ. წინათ ბეხვნე ან საანჯმო თუშეთის ყველა სოფელში იყო გამართული. დღეს ბეხვნე დარჩენილია სოფ. შენაქოში, სოფლის შუაგულ ვაკეზე, სადაც მამაკაცები დღესაც საბაასოდ სხდებიან."[14] ს. მაკალათიას მითითებით, ტერმინ საანჯმოს მსგავსად ბეხვნეც მხოლოდ სასაუბრო ადგილს აღნიშნავს. გარდა ამისა მოტანილი ციტატი სხვაგვარი გაგების შესაძლებლობასაც ქმნის. შეიძლება ვიფიქროთ, რომ საანჯმო და ბეხვნე თუშეთის ყველა სოფელში არსებობდა და სტუმარი ერთობოდა ან ერთ ან მეორე ადგილას, რომ ორივე ტერმინი ერთი და იმავე დანიშნულების ადგილის აღმნიშვნელია, რომ ბეხვნე მხოლოდ სოფ. შენაქოში შემორჩენილა და სხვ.

მითითებულ ავტორებზე დაყრდნობით გ. ჩაჩაშვილი შემდეგში წერდა: „...ზოგან ბეხვნე და საანჯმო გაიგივებული ყოფილა, ზოგან კი მაგ., სოფ. ფარსმაში თუმცა ერთად, მაგრამ მაინც ცალ-ცალკე არსებულა."[15] აზრი გაუგებარია. საკუთარი მასალების ანალიზის შედეგად კი ავტორი იმ დასკვნამდე მისულა, რომ „ბეხვნე-საანჯმო სოფლის მამაკაცთა ისეთი საკრებულო იყო, სადაც ყრილობას სასოფლო საქმეებზე გამოჰქონდა ხოლმე გარკვეული გადაწყვეტილებანი".[16]

თ. უთურგაიძის განმარტებით, „საანჯმოჲ ადგილი სოფელში, სადაც ხალხი იყრის თავს."[17] რა სახის თავშეყრისთვისაა ეს ადგილი განკუთვნილი, არც აქ ჩანს. ტერმინი „ბეხვნე" ამ ლექსიკონში არ არის მოტანილი, და სამართლიანადაც. თუ რატომ ქვემოთ მოტანილი მასალა გვიჩვენებს.

მამაკაცთა სალოცავ ადგილებად მიუჩნევია ბეხვნე და საანჯმო პ. ხუბუტიას. იგი წერს: „ბეხვნეჲ ეკლესიასთან შემოღობილი პატარა მოედანი. საეკლესიო დღესასწაულების დროს, რომელსაც ათინაგენებს უწოდებდნენ, მამაკაცები თავს იყრიდნენ ბეხვნეში სალოცავად. ბოლო ხანებში მამაკაცები თავისუფალ დროს საზოგადოდ ბეხვნეში ატარებენ."[18] მეორე ტერმინის შესახებ იგი შენიშნავს: „საანჯმნოჲ ეკლესიასთან შემოღობილი ადგილი, განკუთვნილი სალოცავად მამაკაცისათვის".[91] შემდეგ ავტორი განმარტავს, თუ რატომ ეწოდება ამ ადგილს საანჯმო; მოგვყავს ციტატი მთლიანად: „ამ სიტყვიდან (საანჯმოჲ — გ. ჩ.) გამოიყოფა ჯმნ, რომელიც ძველ ქართულში ნიშნავდა ურის თქმას, გაცლას, გაშორებას: „ვითარცა უხმართაგან ვიჯმნეთ მათგან" (შენ. 2. ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ 1938, გვ. 106). „და იჯმნა მეფისაგან ქრისტიანსა პიტიახშმან" (შენ. 3. იაკობ ცურტაველი, შუშანიკის წამება, ძველი ქართული ლიტ. ქრესტ. შედგ. სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, 1956. გვ. 35).

---

[14] ს. მაკალათია, თუშეთი, ტფ., 1933, გვ. 101.
[15] გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 121.
[16] იქვე, გვ. 199.
[17] თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1961, გვ. 208.
[18] პ. ხუბუტია, თუშური კილო, თბ., 1969, გვ. 73.
[19] იქვე, გვ. 13.

ეს სიტყვა, გარდა თუშურისა, შენახული გვაქვს გურულში: ვიჯმნი ეშმაკისაგან ან ვეჯმნი ეშმაკს, ე. ი. ღმერთისადმი სიყვარულით, მისდამი ლოცვა-ვედრებით ეშმაკთან, ავ სულთან საერთო არაფერი მაქვსო.

ღმერთისადმი ასეთი ლოცვა-ვედრება წარმოებდა ჯერ ჯვარზე, რომელიც, როგორც ცნობილია, სამლოცველოს მაგივრობას ეწეოდა, ვინაიდან მას, ე. ი. ჯვარს დიდი გასაქანი ჰქონდა. შემდეგში ჯვარმა ადგილი ტაძარს დაუთმო და ახლა უკვე ტაძარში წარმოებდა ლოცვა-ვედრება, ცოდვების მონანიება. ტაძართან ერთად ლოცვა-ვედრების ადგილად ითვლებოდა საანჯმოც, ე. ი. ტაძართან გამოყოფილი პატარა ნაკვეთი, რომელიც შემოღობილი იყო და სადაც შესვლა მხოლოდ მამაკაცებს შეეძლოთ". ავტორი განაგრძობს: „მთაში ასეთ ადგილებს საანჯმო, საფიჯვნო, ბეხვნე, საჯარონე ეწოდებოდა".[20]

„საანჯმო-საფიჯვნო-ბეხვნეს" სალოცავ ადგილად არც ერთი წყარო არ წარმოგვიდგენს (სხვა საკითხია თუ მათთან ახლოს იყო სალოცავი ადგილები) და ამდენად ეს განმარტება ჩვენ სადავოდ მიგვაჩნია. ამ ტერმინების გვერდით საჯარონეს ამოყენებაც გაუგებარია: „საჯარონე 1. საანჯმო 2. ხარების საბალახო ადგილი."[21] — განმარტავს პ. ხუბუტია.

გარდა ამისა მითითებული ავტორი წერს: „რა თქმა უნდა თავშეყრა სხვადასხვა ხასიათის, დანიშნულებისა იყო და თითოეულ მათგანს თავისი სახელი ჰქონდა მთაში, მაგ., ქორწილი//ჯორწილი, ნათლობა, ტირილი, დღეობა, ხატობა, თენდი, ღოღი, შიყარაჲ//შეყარაჲ, ტაშ-ტილილა, სალოცავი, თავის დამარხვა, თავბანიება, (საზოგადო, სათემო) ყრილობა, საანჯმნო, საფიჯვნო, ბეხვნე, საჯარონე და სხვ."[22] ამასთანავე, ავტორის სიტყვით, „განზოგადების შემდეგ საანჯმნო ჩვეულებრივ თავშეყრასაც ეწოდება ბოლო ხანებში".[23] გამოდის, რომ სალოცავი ადგილის აღმნიშვნელი ტერმინები ამავე დროს სხვადასხვა დანიშნულების თავშეყრის აღმნიშვნელი ტერმინებიც ყოფილა. სხვა ადგილზე კი ავტორი წერს: „საანჯმნო და ბეხვნე ერთი და იმავე დანიშნულებისაა, ოღონდ საანჯმნოს გომეწარში ხმარობენ, ბეხვნეს კი — ჩაღმაში, მაგ., შენაქოში."[24] რა ტერმინები იხმარება საამისოდ თუშეთის დანარჩენ ორ თემში, ან სხვა სოფლებში — განმარტებული არ არის.

თუშეთის შესახებ არსებულ სხვა მასალაშიც ვხვდებით საკრებულოთა აღმნიშვნელი ტერმინების აღრევას. მაგალითად, 1980 წ. „ლიტერატურული საქართველოს" ერთ-ერთ ნომერში ამირან არაბული წერდა: „გაზაფხულზე აცოცხლებს ხალისიანი ჩოჩქოლი აქაური (თუშეთის — გ. ჩ) სოფლების ნეტარყუჩ ეზოებსა და საფეხნოებს, ნამძინარევ გზებსა და ბილიკებს...."[25]

ავტორი „საფეხნოში" სასოფლო საკრებულოს უნდა გულისხმობდეს და მას თუშური „საანჯმოს" ნაცვლად ხევსურული ტერმინით მოიხსენიებს.

ამრიგად, როგორც ვნახეთ ლიტერატურული მონაცემები აღნიშნულ საკითხზე გარკვეულ წარმოდგენას ვერ გვიქმნიან. მოვიშველიებთ ეთნოგრა-

---

20 პ. ხუბუტია, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

21 იქვე.

22 იქვე.

23 იქვე, გვ. 14.

24 იქვე, გვ. 134.

25 ა. არაბული, თუშური ჩანახატები, გაზ., „ლიტერატურული საქართველო", 1980, 19 სექტემბერი, № 38 (2215).

ფიულ მასალას, რომელიც ჩვენ მიერ მოპოვებულია 1971—1972 და 1980 წწ. მთათუშეთსა და ახმეტის რაიონის სს. ზემო და ქვემო ალვანში.

ეთნოგრაფიული მასალებით დადგინდა, რომ თუშეთის ოთხი თემიდან (ჩაღმა, გომეწარი, პირიქითი, წოვათა) სამში — პირიქითში, ჩაღმასა და გომეწარში გავრცელებული იყო სასოფლო მოედნის (იგულისხმება სოფლის დასახლებული ტერიტორიის ფარგლებში შემავალი, ყოველდღიური საუბრებისა და საქიროებისას სასოფლო საკითხების მოგვარებისთვის განკუთვნილი ადგილი) აღმნიშვნელი ერთადერთი სახელწოდება — ს ა ა ნ ჯ მ ო(ღ)[25]. ნათქვამი შეეხება ჩაღმის თემის სოფ. შენაქოსაც. სამივე თემის მრავალრიცხოვან მთხრობელთაგან[27] მიღებული ინფორმაციით, ყოველ სოფელში იყო „გამართული" მამაკაცთა თავშესაყრელი ადგილი და ყველგან მას საანჯმოს უწოდებდნენ. თუში იტყოდა: „საანჯმოს გავიდეთავ საუბრადაო, სალაპარაკოდაო" ანდა „მოდითავ, გავიდეთავ საანჯმოსო" და სხვ. რაც შეეხება ტერმინ ბესვნეს ან როგორც ზოგიერთები ამბობენ — „საბეხვნეს"[28] იგი სოფ. შენაქოს ტერიტორიის იმ მონაკვეთს ეწოდება, რომელზედაც საანჯმო იყო გამართული. შენაქოელ ალექსი ლაზარეს ძე სეხნიაიძის სიტყვით, „შენაქო ლამაზი სოფელია. ერთი გორაა და იმაზეა შემოხვეული სოფელი. ამ გორის შუა ადგილს უწოდებენ „ბეხვნეს". ეს ისეთივე სახელია, როგორიცაა მაგალითად, წ ა ს ნ ე, ამავე სოფლის გარეთ მდებარე ადგილისა. როცა თუშ ქალს ჰკითხავდნენ „შენი კაცი სად არის"ო, ის უპასუხებდა: „საანჯმოზე არისო" (და არა ბეხვნეზე). შენაქოელი კაცები კი ვიტყოდით ზოგჯერ „ბეხვნეს წავიდათაო". ბეხვნე, სოფლის ეს ადგილი, იყო ბ ო რ ტ ვ ი ადგილი, ე. ი. სუფთა, ჰმრალნიადაგიანი, ოდნავ შემაღლებული, ზურგიანი, წყალი რომ არასოდეს დადგებოდა, ისეთი, მწვანიანი. სხვა სოფლებში იმ ადგილებს, სადაც საანჯმო იყო გამართული, სახელი არა ჰქონდათ, თორემ იტყოდნენ. ამიტომ მარტო საანჯმოს ეძახიან".[29]

მეორე მთხრობელი ანდრო ქააძე გადმოგვცემს: „საბეხვნე ისეთივე სახელია, როგორიცაა კ რ უ ი ს კ ა რ ი გომეწრის თემის სოფ. დოჰოში. იქაც საანჯმო იყო".[30] სოფ. დანოში იმ ადგილს, სადაც საანჯმო იყო „კამართული" ეწოდებოდა ჰ ა ჰ ი ს კ ა რ ი, სოფ. ილიურთაში — გალავანი[31].

ფროსე გაბროს ასული იჭირაული-სეხნიაიძისა იგონებს: „ომალოში საანჯმო შუა სოფელში იყო. ამ ადგილს ყ ა ნ ო ა ნ ი ერქვა. ადრე აქ ყანა ითესებოდა. სულ ადრე შესაკრებელი გორაზე იყო და მას გ ო რ-ს ეძახდნენ."[32]

მოტანილი მასალით ირკვევა, რომ ეთნოგრაფიისათვის მისაწვდომში პერიოდისათვის ბეხვნე ტოპონიმი იყო.

---

[26] თუშები სწორედ ასე გამოთქვამენ ამ ტერმინს, მასში მ-ს შემდეგ ბგერა „ნ" არ ისმის. ზეპირსიტყვიერების გამოქვეყნებულ ნიმუშებში ვხვდებით „საამჯოს"-აც (იხ. ქვემოთ).

[27] ალექსი ლაზარეს ძე სეხნიაიძე, არჩილ ლევანის ძე ხოსიკურიძე, მიხო ქრისტოს ძე მოზაიძე, ნესტორ თეიმურაზის ძე თავბერიძე, ფროსე გაბროს ასული იჭირაული-სეხნიაიძისა, მარიამ გაბროს ასული ანთაიძე-ქააძისა და სხვ.

[28] თუმცა ამ უკანასკნელის ხმარებას თუშეთში ბევრი უარყოფს.

[29] გ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, თეე. 1972, რვ. I, გვ. 23.

[30] მ ი ს ი ვ ე, თეე, 1980, რვ.. I, გვ. 15.

[31] ამ მასალის მოწოდებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ პატ. გიორგი ცოცანიძეს.

[32] გ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, მითითებული დღიური, გვ. 15.

ჩვენი აზრით, ამავე მნიშვნელობითაა ეს ტერმინი წარმოდგენილი თუშურ ფოლკლორშიც: როდესაც საზოგადოდაა ლაპარაკი საკრებულოზე, ლექსი ასეა აგებული: „აღარც გამოხვალ საამჯნოს,

ალარ დაგვიჯდებ ჯარზედა".[33]

მეორე ლექსში, სადაც ნახსენებია ბეხვნე, იგი სოფ. შენაქოსთან დაკავშირებითაა მოტანილი:

„მიელნატრი შენაქოელებს შენაქოს ბეხვნეს ქეიფსა."[34].

თუშეთთან დაკავშირებულ, ჩვენთვის ცნობილ ფშავ-ხევსურელ ხეპირსიტყვიერების ნიმუშებში ტერმინი ბეხვნე არ შეგხვედრია, საანჯმო კი მოხსენიებულია: „ჩამაგსომს საანჯზოშია, თუშეთს მაავლებ თვალსაო".[35]

თუ რატომ შეერქვა სოფ. შენაქოში ამ ადგილს ბეხვნე, რა შინაარსი ძევს მასში, ამის შესახებ მთხრობლები ვერაფერს ამბობენ. ამ საკითხს ყველა უფიქრდება და ასოციაციით იხსენებენ სასოფლო საკრებულოსა და კრების აღმნიშვნელ ხევსურულ ტერმინებს—საფეხნოს, ფეხონს, ფეხნობას. მითითებულ ტერმინთა მსგავსება, მართლაც, ცხადია. ამ საკითხს ადრევე მიაქცია ყურადღება გ. ჩაჩაშვილმა და ტერმინი ბეხვნე ხევსურულიდან მომდინარედ მიიჩნია[36].

მთხრობელთაგან მხოლოდ ერთი, ალექსი სეხნიაიძე შეეცადა მის ახსნას: „გადმოცემით არაფერი ვიცი, მაგრამ ჩემით მგონია, რომ ოდესღაც ალბათ სოფ. შენაქოში ხევსურები ცხოვრობდნენ, მათ შესაკრებელს ერქვა საფეხნო, შემდეგ კი თუშებმა ადგილის სახელად შემოინახესო".[73] ამ საკითხზე მუშაობისას იგივე აზრი ჩვენც გაგვიჩნდა, და ამ მიზნით შევკრიბეთ მასალა სოფ. შენაქოს მკვიდრთა წარმომავლობის შესახებ. გამოირკვა, რომ აქ მოსახლეთაგან სეხნიაიძეთა წინაპარი კახეთიდან მოსულა, ბუქვაიძეებისა — ხევსურეთიდან (ზოგიერთი მას ქისტეთიდან მოსულად მიიჩნევს), იაურიძეთა და ხაჩიძეთა წინაპრები — თუშეთისავე სოფ. აგეურთიდან, ხაჩიძეების — იმერეთიდან, ჩილრელიძეები — დაღესტნიდან. ამ მასალის მიხედვით ტოპონიმ ბესვნეს ახსნა არ ხერხდება. მაგრამ საგულისხმო ფაქტად რჩება თუშ-ხევსურთა განსაკუთრებული ურთიერთობა სხვა კუთხეების ხალხებთან შედარებით, რაც მთხრობელთა მითითებით იმაში გამოიხატება, რომ ზაფხულობით „ათნიგენობას" სამი-ოთხი ცხენოსანი ხევსური დროშებითა და ზარებით ვადმოდიოდა თუშეთში და ყოველ სოფელში არსებულ მათ კუთვნილ ხატებში „ლოცულობდა".

ლიტერატურიდან კარგადაა ცნობილი, რომ „...ხევსური კარატისა და ხახმატის ჯვრის ჯვარიონნი თავისი დროშებით თუშეთში მოგზაურობდნენ საათენგენოდ, სადაც თითქმის ყოველ სოფელში კარატისა და ხახმატის სალოცავები იყო წარმოდგენილი" ნიშნების სახით.[38] თუშეთის ტერიტორიაზე ხევ-

---

[33] თუშური ლექსები, შეკრებილნი ივანე ბუქურაულის მიერ, ძველი საქართველო, ტ. II, ტფ., 1913, გვ. 9.

[34] გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

[35] ფშავ-ხევსურული პოეზია, შეკრ. ალ. ოჩიაურის მიერ, თბ., 1971, გვ. 39.

[36] გ. ჩაჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 121—122.

[37] გ. ჩიქოვანი, თეე, 1980, რე. I, გვ. 15.

[38] ვ. ბარდაველიძე, სვანური საგალობელი ბარბალ-დოლაში, „ენიმკის" მოამბე, 1940, გვ. 560; თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967, გვ. 58.

სურები უნდა ყოფილიყვნენ ჩასახლებულნი, რომელთაც თან მოიტანეს თავისი ხატის რაიმე ნაწილი.[39] თ. ოჩიაურის ვარაუდით, „...ხევსურული წარმოშობის ხატთა სიმრავლე თუშეთში, ხევსურთა მასიური და ერთდროული ჩასახლების შედეგი უნდა იყოს".[40] რომ ძირად ხევსური მოსახლეობა თუშეთში ძალიან ბევრია, ეს დაადასტურა მკვლევრის მიერ მოპოვებულმა ცნობებმა,[41] მაგრამ „თუ როდის უნდა მომხდარიყო ეს გადასახლება, ამაზე პასუხის გაცემა გადაწყვეტით ძნელია"[42]

ჩვენი აზრით, სწორედ ამ შიდამიგრაციის შედეგად უნდა გაჩენილიყო ტოპონიმი ბეხვნე სოფ. შენაქოში. თუშეთში ჩასახლებულ ხევსურთა თავშეყრის ადგილის აღმნიშვნელი ტერმინი აქაც (ხევსურეთის მსგავსად) საფეხნო უნდა ყოფილიყო. დროთა ვითარებაში, თუშებთან ხევსურების შენათესავებისა და შერევის შემდეგ იმძლავრა ადგილობრივმა სახელწოდებამ — საანჯმო, ხოლო პირველი, ნაწილობრივ სახეცვლილი (ბეხვნე, საბეხვნე) ტოპონიმად იქცა.

უკანასკნელ ხანებში შეიმჩნეოდა პირუკუ პროცესიც — ესაა ტოპონიმის ტერმინად ქცევა. ხშირად სასოფლო საკრებულოს აღსანიშნავად თუშები ბეხვნესაც ამბობენ (რამაც გამოიწვია ზემოთ მითითებული აღრევა ლიტერატურაში), მაგრამ ყოველ მთხრობელს გააზრებული აქვს მისი რეალური შინაარსი და აზუსტებს: ბეხვნე ადგილის სახელწოდებაა სოფ. შენაქოში, ხოლო სხვაგან, ყველგან (იგულისხმება სამი თემი — ჩაღმა, პირიქითი, გომეწარი) სოფლის საკრებულო ადგილს ეწოდება ს ა ა ნ ჯ მ ო ა.

თუ რატომ შემორჩა საანჯმოს მნიშვნელობით ტერმინი ბეხვნე მხოლოდ სოფ. შენაქოში, ამაზე პასუხის გაცემა არ ხერხდება.

რამდენიმე სოფლის გაერთიანების შეკრებები ეწყობოდა თემის ერთ-ერთ (მთავარ) სოფელში და ამდენად, იმავე ტერმინით აღინიშნებოდა მისი საკრებულოც. რაც შეეხება უფრო ფართე მასშტაბის — თემთაშორის შეკრებებს, ისინი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დათქმულ ადგილზე ტარდებოდა, რომელთაც საკუთარი სახელები ჰქონდათ.

„საანჯმნო ძველი ქართული სიტყვაა, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „საანჯმნო — საჯარო"-ს ნიშნავს.[43] „საჯარო ჯარისათჳს. საჯაროდ. ჯართ საცნაურად, საანჯმნოდ".[44] ხოლო „ჯარი მრავალკაცნი"-ა.[45] ასევე „ანჯმნი — საჯაროა."[46]

დ. ჩუბინაშვილის მიხედვით, „საანჯმნო, ზედ. საჯარო, აშკარა, гласный, публичный — სამართალი, гласный суд[47]. მისივე განმარტებით, „ანჯმნი" ზ. მ. ზ. საანჯმნო, აშკარა, საქვეყნო, явный, гласный, публичный»[48].

---

[39] თ. ო ჩ ი ა უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.
[40] იქვე, გვ. 63—64.
[41] იქვე, გვ. 64.
[42] იქვე.
[43] ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928, გვ. 284.
[44] იქვე, გვ. 39.
[45] იქვე, გვ. 467.
[46] იქვე, გვ. 39.
[47] დავით ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, პეტერ., 1887.
[48] იქვე.

ამრიგად, სიტყვა „საანჯმნო“ ძველ ქართულში გამოხატავდა ხალხისთვის, ჯარისათვის გასაცხადებელს, აშკარას, საცოდნელს. აქედან უნდა შერქმეოდა „საანჯმნო“ იმ ადგილსაც, სადაც ეს „გაცხადება“ ხდებოდა. შთაბეჭდილება იქმნება, რომ თუშური ტერმინი საანჯმ (ნ)ო, ისევე, როგორც ხევსურული საფეხნო (სა-ფეხნ-ო←ფეხონი), მოხევური საერობო (სა-ერობ-ო←ერობა), რაჭული სანახშო (სა-ნახშ-ო←ოსური სიტყვიდან ნიხასი) ნაწარმოებია კრების აღმნიშვნელი (ან საუბრის გამომხატველი) თუშური სიტყვიდან და სა-ო მაწარმოებლებია. თუმცა, მთხრობელები კატეგორიულად უარყოფენ მათ მეტყველებაში საუბრის, კრების, მსჯელობა-თათბირის ან სხვა რაიმე მსგავსის აღსანიშნავად მის გამოყენებას. ისინი თვითონვე მიგვანიშნებენ სიტყვა საანჯმოს მსგავსებაზე ხევსურულ საფეხნოსთან და ფშაურ საფიხვნოსთან და ამბობენ: „საანჯმოს მხოლოდ შეკრების ადგილზე იტყვიან, ძირი სიტყვა ჩვენ არ ვიცით. ლაპარაკთან ის არაფერ შუაშია. ფშაველები და ხევსურები კი იტყვიან „ვიფეხნოთო“, ე. ი. ვისაუბროთო. თუში არასოდეს არ იტყვის „ვიანჯმნოთო“ ან „ანჯმნობა“-ო. თუში იტყვის „ვიამბოთო.“[49] ეთნოგრაფიული მასალებით, თვით კრებას, თავშეყრას. თუშები უწოდებენ შ ე ყ რ ა-ს. „შეყრაჲ“-შეკრებულობა, საქმიანი კრება“ —განმარტავს პ. ხუბუტია[50]. ფართე მასშტაბის, თემთაშორისსა თუ მეზობელ მთიელებთან ერთად შეკრებებს თუშები უწოდებენ ყ რ ი ლ ო ბ ა ს. თ. უთურგაიძის განმარტებით, „ყრილობაჲ — თათბირია“.[51] რაც შეეხება, ჩვეულებრივ, თავშესაქცევ-გასართობ შეკრებებს თუშები გამოხატავენ სიტყვა შ ე ყ ა რ ა ყ ი-თ რაც სოფელში სახელდახელოდ კვამლეურად მოკრებილი საჭმელ-სასმელით გამართული ქეიფია[52]. თუმცა, როგორც თ. უთურგაიძე აღნიშნავს, ასეთ შეკრებებს ზოგჯერ გარკვეული დანიშნულებაც ჰქონდათ. მაგ., ამინდის შეცვლის გამოსაწვევად ღვთაების საპატივცემულოდ მოწყობილი ქეიფი[53].

ამრიგად, ამჟამად თუშეთში არ ჩანს კრების, თათბირის მნიშვნელობით სიტყვა „ანჯმნობა“-ს გამოყენება. მაგრამ ქართულ მეტყველებაში წარსულში რომ იხმარებოდა იგი, ამას ადასტურებენ საისტორიო წყაროები. ასე მაგალითად, არსენი კათალიკოზის ნაშრომში „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“ ნათქვამია: „მაშინ სომეხნი შეწუხნეს ფრიად... და იქმნა ანჯმნობაჲ შორის მათსა მრავალთა დღეთა“.[54] ამ სიტყვას თ. ჟორდანია ასე განმარტავს. „ანჯმნობა — რჩევა, თათბირი“[35]. იგივე სიტყვა აღნიშნავდა „შეკრება“-საც: სიტყვა „ანჯმანი||ანჯმნისა“ ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ განმარტებულია, როგორც „შეკრება, საჯარო“.[56]

---

[49] გ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, თეე. 1980, დღ., I, გვ. 25.

[50] პ. ხ უ ბ უ ტ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 166.

[51] თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 214.

[52] იხ. თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 215: პ. ხ უ ბ უ ტ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 166.

[53] თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 215.

[54] იხ. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტფ., 1892, 316; ა რ ს ე ნ ი ს ა ფ ა რ ე ლ ი, განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა. ზ. ალექსიძის მიერ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი, კომენტარებითურთ, თბ., 1980. გვ. 79.

[55] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 316.

[56] ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 7.

როგორც ირკვევა, ტერმინი, „ანჯიმან“ ძველ სომხურ მწერლობაშიც ყოფილა დადასტურებული. ზ. ალექსიძე საგანგებოდ ეხება მას, მოჰყავს თ. ჟორდანიასეული განმარტება და დასძენს: *անջիման* (ანჯიმან) ძველ სომხურ მწერლობაში სულ ორგან არის დადასტურებული (მოჰყავს სომხური ტექსტი —გ. ჩ.) საიდანაც აშკარად ჩანს, რომ იგი კრების აღმნიშვნელად იხმარება და *ժողով* (ჟოღოვ) სიტყვის სინონიმია“[57]. ჰრ. აჭარიანი (რომელსაც მითითებული აქვს ქართული „ანჯმნი“-ც) თვლის, რომ ეს ტერმინი სომხურში შედარებით ახალია და იგი მომდინარეობს ფალაური anjaman || *հան* jaman (კრება) სიტყვიდან[58].

ამრიგად, ჩანს, რომ ძველ ქართულში იხმარებოდა კრების, თათბირის აღმნიშვნელი „ანჯმნობა“, „ანჯმანი (ანჯმნისა)“ და აგრეთვე „საანჯმნო“, რომელიც ხალხისათვის, ჯარისათვის, საქვეყნოდ გასაცხადებელს, სათქმელს აღნიშნავდა. ეს უკანასკნელი პირველისგან უნდა იყოს ნაწარმოები. ორივე სიტყვა ხმარებაში უნდა ყოფილიყო თუშეთშიც, მაგრამ როგორც ჩანს, ცოცხალ მეტყველებას მხოლოდ ერთი მნიშვნელობით — იმ ადგილის აღსანიშნავად შემორჩა, სადაც ხდებოდა თათბირი, კრება, ამბის „გაცხადება“. კრების აღმნიშვნელი ტერმინი შ ე ყ რ ა მოგვიანებით ჩანს დამკვიდრებული.

რაც შეეხება თუშეთის მეოთხე თემს — წოვათას, რომელიც ორენოვანი (ქართული და წოვური (ნახური) მოსახლეობით იყო წარმოდგენილი, ეთნოგრაფიისათვს მისაწვდომი პერიოდისათვის არც თუშურ საანჯმოს და არც ნახურ ფ ჰ ი ე ლ-ს არ იყენებდა სასოფლო მოედნის აღმნიშვნელად (თუმც აქ სოფლის გამომხატველია ნახური სიტყვა ფ ჰ ჲე). უფრო მეტიც. წოველთა უმეტესობა საერთოდ არ იცნობს ტერმინს საანჯმ(ნ)ო. სასოფლო მოედნის აღმნიშვნელად აქ დადასტურდა ტერმინი ა დ გ ი ლ. კრების აღმნიშვნელად კი იგივე ტერმინი — შ ე ყ რ. ცნობილია, რომ თუშეთის თემთაგანნ დაბლობში, ალვანის ველზე პირველები სწორედ წოვები ჩამოსახლდნენ, შეითვისეს კრებისა და საკრებულოს აღმნიშვნელი ადგილობრივი ტერმინები, ხოლო წოვური გამოთქმები დავიწყებას მისცეს.

მოტანილი მასალით დადგინდა, რომ თუშეთის ოთხი თემიან სამში — ჩაღმაში, გომეწარსა და პირიქითში სასოფლო მოედნის აღსანიშნავად ერთადერთი ტერმინი ს ა ა ნ ჯ მ (ნ)ო იხმარებოდა. ძველად, კრება აღინიშნებოდა ტერმინით ა ნ ჯ მ ნ ი (ა ნ ჯ ა მ ა ნ) ა ნ ჯ მ ნ ო ბ ა, რომლიდანაც ნაწარმოები უნდა იყოს პირველი და აქაც სხვა კუთხეების ანალოგიურად სა-ო მაწარმოებელი იქნებოდა—ან ჯ მ ნ ი|ა ნ ჯ ა მ ა ნ→ სა-ანჯამან-ო→სა-ანჯმნ-ო. დროთა განმავლობაში კრების, თათბირის აღმნიშვნელი ტერმინი დავიწყებას მისცემია და თუშეთში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩასახლებულთა აგრეთვე კახეთთან მჭიდრო კონტაქტის გავლენით ტერმინი შ ე ყ რ/შ ე ყ რ ა დამკვიდრებულა.

---

[57] ა რ ს ე ნ ი ს ა ფ ა რ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, კომენტარები. გვ. 104.

[58] Гр. А ч а р я н, Этимологический коренной словарь армянского языка, т. I, Ереван, 1973, გვ. 210.

Г. А. ЧИКОВАНИ

# ДЛЯ ОБЪЯСНЕНИЯ ТУШИНСКОГО ТЕРМИНА СЕЛЬСКОЙ ПЛОЩАДИ

Резюме

Места сборищ мужчин, непосредствнено связанные с управлением сел горного Кавказа, в каждом регионе имели свои названия, например, Н ы х а с — в Осетии, П х ъ е х ъ а — в Чечено-Ингушетии, С а п е х н о — в Хевсуретии и т. д.

Для данного региона указанные термины являлись повсеместно распространенными, общими. В это же время большинство из них имели более широкое значение — ими обозначались также общинные и общеущельские сборные места. Более того, осетинский термин н ы х а с означает само собрание, беседу и т. д.

В литературе по Тушети и в устной речи аналогичные сельские площади обозначаются разными и не совсем понятными терминами.

В статье рассмотрены указанные термины.

На основе этнографических данных установлено, что из четырех в трех обществах Тушети (Г о м е ц а р и, Ч а г м а, П и р и к и т и) сельские площади назывались общим для всех селений словом с а а н д ж м (и) о. Также назывались общинные сборные места (само собрание — шекра შეყრაი). Общеущельские собрания в каждом отдельном случае собирались на договоренных местах, которые носили свои названия.

Двуязычное население (цово-тушины) четвертого общества Тушети — Цовата — вышеуказанные места называло грузинским словом а д г и л (ადგილ), собрание — груз. ш е к р (შეყრ). Бацбийских терминов не помнят даже старики.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებამ

И. М. ТАТИШВИЛИ

# ХРАМОВЫЙ СТРОИТЕЛЬНЫЙ РИТУАЛ У ХЕТТОВ (КВо IV 1)

Среди разнообразных по содержанию хеттских клинописных документов в Богазкейском архиве сохранились тексты, описывающие древнейшие религиозные ритуалы. К ним принадлежит один из интересных обрядов (СТН 413, датируемый на основе языковых данных эпохой Нового царства XIV—XIII вв. до н. э.), который исполнялся, как видно из текста, при закладке фундамента. Об этом сообщает нам и название таблицы, данное в конце текста: «Когда закладывают фундамент»[1]. Как выясняется, речь идет о строительстве храма.

Клинописная копия текста опубликована Э. Форрером в 1920 г. (КВо IV 1). Позднее были изданы его дубликаты KUB II 2 и KUB IX 33. Транслитерация интересующего нас текста с немецким переводом издана М. Витцелем в 1924 г.[2] Имеется перевод текста на английском языке, подготовленный А. Гетце в 1950 г. (ANET, с. 356—357).

Нет сомнений, современное состояние развития хеттологии требует нового издания текста, что мы и постарались сделать. По техническим причинам, мы не можем привести транслитерацию текста и даем лишь перевод, а также рассматриваем некоторые вопросы на основе данных ритуала.

## Перевод

Лицевая сторона

---

1. [Если] (заново отстраивают старый) дом, или воздвигают новые дома в другом месте[3],
2. то, [ког]да будут закладывать фундамент, под основание,
3. кладут следующее[4]: 7 мину dannanuuanza[5] меди, 4 бронзовых колышка (и)

---

[1] См. обор. стор., стк. 31.

[2] M. Witzel, Hethitische Keilschrift-Urkunden in Transkription und Übersetzung mit Kommentar, „Keilinschriftliche Studien“, 1924, H. 4. с. 76—87.

[3] Разрушенное начало строки все же дает возможность по отдельно сохранившимся словам восстановить смысл фразы. Несколько иначе переводит М. Витцель (Witzel, ук. соч., с. 76): «Когда пристраивают к зданию, или...». Общий смысл не меняется.

[4] Буквально: «следующим образом».

[5] Значение этого слова не установлено с точностью. А. Гетце переводит его как «очищенный» (Goetze, ANET, с. 356). М. Витцель предлагает переводить его как «массивный» (?)» (Witzel. ук., соч., с. 76). Мы оставляем это слово без перевода.

4. 1 маленький железный молоток. В центре, на месте kurakki-[6] он землю .
5. рое[т][7] и туда кладет медь. Затем он ее (т. е. медь) колышками со всех сторон
6. укрепляет, потом же бьет железным молотком (по меди)
7. и при этом он говорит так:

---

8. «Смотри, так же как эта медь защищена, — она кроме того вечна[8], —
9. пусть и этот храм будет также защищен!
10. Да будет он вечным на темной земле!»
11. Он называет имя «господина жертвы»[9]:» (Тот), кто этот храм воз[двигнет],
12. пусть он также будет вечным перед богами! [Этим храмом][10] он
13. на благо (богов) в будущем при (своей )жизни перед богами пусть п[равит][11]!
14. И так же как 4 угловых ка[м]н[я] домов вечны [на земле][10], —
15. а они не будут ру[ши]ться, —
16. так и благо [«господина жертвы»][10] перед богами также не будет уничтожено в будущем! Этим храмом он
17. перед богами на благо богов, для владычества в стране Хатти и царского престола
18. в (своей) здоровой, бодрой жизни пусть правит!»[12]

---

19. Что касается 4 угловых камней, то под каж[д]ый угловой камень
20. он кладет следующее: 1 šamana-[13] из серебра, 1 šamana- из золота, 1 šamana- из ляпис-лазури[14],
21. šamana- из яшмы[15], 1 šamana- из мрамора, 1 šamana- из железа,
22. šamana- из меди, 1 šamana- из бронзы, 1 šamana- из диорита[16],
23. И (все) 4 угловых камня будут расположены таким образом.

---

[6] Относительно kurakki- подробнее см. ниже.

[7] Перевод этой фразы у М. Витцеля (W i t z e l. ук. соч., с. 76): „(4)... и кладет (ее) наружу, на землю возле стены. (5) затем кладет медь в (землю)...».

[8] По-хеттски ukturi- «прочный, твердый, вечный». М. Витцель переводит его как «блестящий» (W i t z e l, ук. соч., с. 77).

[9] Подразумевается приносящий жертву.

[10] Восстановлено по KUB II 2 I 12—16.

[11] Там же, стк. 13. Это одно из спорных мест текста, которое исследователи переводят по-разному, исходя из разного толкования слова ḫaššikdu. См. напр., А. Гетце (ANET, с. 356): «(13) пусть привлечет он к себе (могущество) этого храма перед богами в продолжение своей жизни». См. также М. Витцель (W i t z e l, ук. соч., с. 77): «...и так пусть служит он в этом храме (13) перед богами на будущее время». Предложенный нами перевод считаем условным, так как не совсем уверены в его точности.

[12] Ср. стк. 12—13. См. также прим. 11.

24. Что касается 4 kurakki-, то под каждый kurakki-
25. он кладет следующее: 1 kurakki- из серебра, 1 kurakki- из золота, 1 kurakki- из ляпис-лазури,
26. 1 kurakki- из яшмы, 1 kurrakki- из железа, 1 kurakki-из диорита.
27. 1 kurrakki- из меди, 1 kurakki- из бронзы кладет он и так говорит:
28. «Вот этот храм, который мы тебе, божеству воздвигли», —
29. и он называет имя (того) божества, которому строят его (т. е. храм), — не мы его
30. строили, а все божества воздвигли его.

---

31. Боги-мужчины с помощью плотников[17] [в]оздвигли его: фундамент
32. заложил Телепину, стены на н[ем] Эа, [мудрости][18]
33. повелитель, построил, а дерево [и в]сякие камни горы [принесли][18],
34. глину же до[ставили богини...][19].

---

35. Фундамент заложили из серебра и золота. Золото из Пи[рундуммеи][19]
36. привезли, серебро из kūzza- доставили, ляпис-лазурь из Такнияры [привезли][19].
37. мрамор из страны Канисхи привезли, яшму из страны Элама
38. доставили, диорит из земли достали,
39. черное небесное железо с неба достали, медь(и) бронзу из Аласии.
40. с горы Таггаты[21] привезли.

---

41. И вот, под основание, при закладке фундамента, помещают золото[22]. Так же как золото
42. вечно, оно еще и чисто и прочно, сами божества
43. (благосклонно будут смотреть (?) на него навеки, (так же как) оно дорого богам и людям, пусть и этот храм
44. будет навеки также дорог богам!

---

45. Пусть и «господин жертвы» в (своей) блаженной жизни, в будущем [(его)внуки][19]

---

13 Относительно этого слова см. ниже.

14 И. Фридрих (HW, с. 205) слово $^{NA_4}$ZA. GÌN переводит как «камень».

15 Слово $^{NA_4}$DU$_8$ŠÚ. А И. Фридрих (HW, с. 268) переводит как «горный хрусталь».

16 М. Витцель воздерживается от перевода. По мнению И. Фридриха (HW, с. 116) слово kunkunuzzi — должно обозначать не очень драгоценный камень. По предположению Э. Менабде (Хеттское общество, Тб., 1965, с. 62, прим. 8), тот факт, что добывание указанного камня из земли, как видно, не представляло больших трудностей, указывает на базальт — обычный строительный материал.

17 А. Гетце (ANET, с. 356) переводит иначе: «Боги — те, (которые) плотники...».

18 Восстановлено по KUB IX 33 9, II, 2 I 40—42.

19 Восстановлено по KUB IX 33 24, KUB II 2 I 42, 44—45.

20 Этому слову не предшествует детерминатив географических названий. Значение его не установлено. М. Витцель (W i t z e l, ук. соч., с. 81) предлагает переводить его как «рудник, копи (?)». А. Гетце воздерживается от чтения этого слова.

21 Э. Менабде (ук. соч., с. 62) переводит иначе: «из Аласии и с горы Таггаты».

22 По дубликатам (KUB IX 33 18 и KUB II 2 I 50): «... под основание (помещают) ša-ma-na-an/uš из золота».

46. и правнуки будут также дороги богам!»

---

47. (Что касается) 9 подставок из серебра, каждая весом 1 сикль, 9 подставок из золот[а, каждая][24]
48. весом 1 сикль, 9 подставок из железа[24], 9 подс[тавок из бронзы, весом 1 сикль][23]

Оборотная сторона

---

1. Под жертвенник он ставит 4 подставки, среди них одну из [серебра, одну из золота][23]
2. одну из железа, одну из бронзы. На (?) центральный пе[редний][23]
3. kurakki- он также ставит 4 подставки. [также]
4. на правую (и) левую стороны противоположного kurakki-[23] всюду (т. е. в обе стороны) он таким же образом [ставит] 4 подстав[ки].
5. И на 4 угловые камни всюду, на каждый угловой камень, он также
6. ставит [4 по]дставки.

---

7. 1 лев из золота, (весом) 1 сикль, 2 пары железных быков, запряженных в серебряном ярме.
8. Каждый бык весом 1 сикль. А под ними цоколи.
9. На одном цоколе 2 быка стоят,
10. на другом цоколе также 2 быка стоят[25].

---

11. Вес цоколя не определен. [Ярм][26]о, в котором
12. запряжены быки, его вес тоже не
13. [опре]делен. Их он ставит под центральный передний kurakki-.

---

14. А под жерственник (он ставит) 1 жертв[енни]к из серебра, (весом) 1 сикль; 1 жертвенник из золота, (весом) 1 сикль;
15. 1 жертвенник из ляпис-лазури, 1 жертвенник[27], 1 жертве[нн]ик из яшмы, 1 жертве[нн]ик из железа,
16. 1 жертвенник из меди, 1 жертвенник из бронзы, 1 жер[твенник из мрамора][26]

---

17. Под очаг (он ставит) 1 очаг из серебра, (весом) 1 сикль, 1 очаг из золота, (весом) 1 сикль,
18. 1 очаг из ляпис-лазури, 1 очаг из яшмы, 1 очаг из мрамора
19. 1 очаг из железа, 1 очаг из бронзы, 1 очаг из диорита.
20. 4 подставки, среди них одну из серебра, одну из золота, одну из железа,
21. одну из бронзы (сюда же ставит он). [Ка]ждая подставка (весом) 1 сикль.

---

23 Восстановлено по KUB IX 33 27—29; KUB II 2 I 57, 59—60, II 2.

24 Здесь и далее при перечислении, где вес не всегда указан, подразумевается, очевидно, 1 сикль.

25 Исходя из другого чтения слова (BAL-zaḫḫa вместо palzaaḫḫa) М. Витцель (W i t z e l, ук. соч., с. 85) данное место переводит так: «(8)...приносят им (богам) в жертву (9) по два (быка): на одно пожертвование приходится 2 быка (10) и еще 2 быка — на другое пожертвование».

26 Восстановлено по KUB II 2 II 12, 18, 19.

27 Слово «жертвенник» без названия материала здесь лишнее. Его нет в KUB II 2 II 16.

22. Очаги, которые (построены) также из камней, каждый (из них весом) 1 сикль.

23. А под дверь (он помещает) [1] дверь из серебра, (весом) 1 сикль; 1 дверь из золота, (весом) 1 сикль;
24. 1 дверь из ляпис-[лазури, (весом) 1 си]кль, 1 дверь из яшмы, (весом) 1 сикль;
25. 1 дверь из железа, [ (весом) 1 сикль]; 1 дверь из бронзы, (весом) 1 сикль;
26. 1 дверь из м[рамора, (весом) 1 сикль; 1] дверь из диорита, (весом) также 1 сикль.
27. 2 музыкальных инструмента[28] из меди он кладет [в ворота][29]. А их вес не
28. определ[ен...].
29. [1]6 яблоней, среди них [4 яблони] из серебра, 4 яблони из золота,
30. [4] яблони из желез[а (и) 4 яблони] из бронзы (он сюда же помещает). А их [вес] не определен.

31. 1 пространная неполная[30] (таблица): «Когда закладывают фундамент»[31].

## Объект строительства. Исполнитель ритуала

Как видим, в интересующем нас тексте описана начальная стадия строительства, процесс закладки фундамента. Объектом строительства является, без сомнения, культовое сооружение, а именно храм. Об этом свидетельствуют данные текста.

То, что в начале текста (стк. 1) упомянуто слово «дом», не должно вводить нас в заблуждение, так как там же (в стк. 9 и далее) прямо сказано: «этот храм». Под «домом» подразумевается дом божества. В тексте упоминаются предметы явно культового значения: фигурки льва и быков, а также яблони, сделанные из драгоценных металлов, и медные музыкальные инструменты, которые клали в ворота. Количество упомянутых в тексте драгоценных металлов и камней, учитывая их символическое и ритуальное значение[32], указывает на важность описанного строительства, т. е. постройку храма, ничего не говоря про жертвенник, постоянный элемент культового сооружения, который, сог-

---

[28] Возможно, арфы. К переводу $^{GIŠ}$BALAG см. HW, с. 266, 342.

[29] Восстановлено по KUB II 2 II 31.

[30] Употребление слова NU. TIL («неполный») вместо слова QATI («оконченный»), которое можно было ожидать в конце текста. Г.-З. Шустер склонен принять за ошибку (H. S. Schuster, Die ḫattisch-hethitischen Bilinguen, Leiden, 1974, с. 59, p 179).

Может быть, слово «неполный» указывает на то, что таблица должна содержать еще какой-то текст, подобно дубликату (KUB II 2), где за «храмовым строительным ритуалом» непосредственно следует текст, описывающий ритуал при установке задвижки в новом дворце. Заметим, что в указанном дубликате засвидетельствовано слово QATI «оконченный».

[31] Буквально: «Когда фундамент кладут вниз» (см. Witzel, ук. соч. с. 87), см. также Schuster, ук. соч., с. 59.

[32] Подробнее см. ниже.

[33] См. M. Popko, Kultobjekte in der hethitischen Religion, Warszawa, 1978, с. 66 (там же указание на источники).

ласно хеттским текстам, вместе со статуей бога на нем воздвигали и во дворцах[33]. В данном тексте (лиц. стор., стк. 29—34) строителями являются не люди, простые смертные, а боги, которым помогают плотники. Таким образом, строительством руководят боги, что еще раз подчеркивает значение описанного строительства.

Что же касается исполнителя ритуала, в тексте ничего не сказано относительно его личности. Тем не менее, данные текста косвенно указывают на его высокое социальное положение. Об этом говорит, прежде всего, сам факт, что он является исполнителем ритуала и, тем самым, несущим весьма почетную обязанность.

Следует обратить внимание и на то обстоятельство, что исполнитель ритуала непосредственно общается с богами[34]. Этой высокой честью пользовались служители культа — привилегированное сословие храмового персонала. Возможно, он принадлежит к жречеству.

Заслуживает интерес еще одно лицо, которое упоминается как «господин жертвы», т. е. приносящий жертву. Служитель культа, как бы являясь посредником между «господином жертвы» и богами, молит этих последних о долголетии и благополучии «господина жертвы», который воздвиг их храм[35]. Именно за такую заслугу перед богами эти последние и должны были обеспечить ему долгую жизнь, благополучие, потомство и, что главное, царскую власть в стране Хатти. В этом и состоит цель данного ритуала.

Исходя из вышесказанного, можно заключить, что в лице «господина жертвы» мы имеем дело с царствующей особой.

## Строительная терминология

Заслуживают интерес строительные термины, встречающиеся в данном тексте. Особенное внимание будет обращено на те термины, значение которых не установлено точно, или же подлежит уточнению.

Šamana- «фундамент», «основание». В некоторых строках (лиц. стор., 20—22) значение «фундамент» вряд ли подходит по контексту, ввиду чего в этих строках данное слово оставляем без перевода. Šamana- здесь означает, очевидно, не фундамент, а лишь его символическое изображение[36], которое помещается на 4 угловых камнях здания с целью обеспечить их «вечность» и незыблемость.

kurakki-. Значение этого слова не установлено точно[37]. В тексте упомянуто 4 k. Из них особенно выделены два — «передний центральный» и «про

---

[34] См. лиц. стор., стк. 28 и сл.

[35] Подразумевается, видимо, пожертвование им материальных средств для воздвижения храма — одно из доказательств его высокого социального положения.

[36] Ср. напр., упомянутые в тексте kurakki- (сокр. k.), жертвенники, очаги, двери, из готовленные из разных металлов и камней, как видно, миниатюрные (весом 1 сикль) и являющиеся символами соответствующих объектов. К переводу данного слова (в сткк. 20-22 лиц. стор.) ср. М. Витцель (W i t z e l, ук. соч., с. 78): «часть фундамента», А. Гетце (ANET, с. 356): «фундаментный камень».

[37] А. Гетце (ANET, с. 356—357) воздерживается от перевода. У И. Фридриха (HW, с. 117) находим весьма неопределенное толкование данного слова „Vierfach vorhandene Teil des Hauses". М. Попко (ук. соч., с. 40) предлагает перевести его как «колонна», «столб (?)». М. Витцель (W i t z e l, ук. соч., с. 78 и сл.) переводит как «стена». Однако, согласно некоторым хеттским ритуальным текстам, на k. можно было водрузить образ, поставить

тивоположный», где стоят подставки (четыре у «переднего центрального» и по четыре подставки влево и вправо от противоположного k). Отметим, что цоколи с культовыми символами божеств служитель культа ставит под «передний центральный» k. Весьма возможно, что именно в этой самой священной части помещения он кладет в землю медь, укрепленную колышками, что символически должно было обеспечить долговечность здания. В этой связи небезынтересно вспомнить про хеттский текст[38], описывающий ритуал обновления культовых символов «охраняющих божеств», во время которого, согласно тексту, в культовом помещении на особенно важном месте— под статуями божеств — в землю вбивают колышки.

Примечательно, что в некоторых хеттских текстах упоминается «k. царя» как символ прочной власти[39]. Исходя из цели рассмотренного ритуала, по-видимому, не случайно исполнитель ритуала кладет культовые символы богов именно под k. («передний центральный»).

В тексте не раз упомянуты жертвенник, постамент (ZAG. GAR. RA) и очаг (GUNNI), основные компоненты культового здания. Под очаг и жертвенник, так же как и под k. и дверь (IG), кладут их символические изображения из разных камней. Исходя из функций упомянутых объектов в культе, можно предполагать, что они сами являлись объектами поклонения, занимая определенное место в иерархии культовых объектов[40].

В тексте упомянуты 4 угловых камня[41] (фундамента) (ḫalḫaltumar(i), ограждающих священную площадь помещения и являющихся точками опоры здания.

Согласно рассматриваемому нами тексту, 36 подставок (u̯alla) из золота, серебра, бронзы, железа распределяют по следующему порядку: по 4 подставки из каждого металла служитель культа ставит под жертвенник, на (?) «передний центральный» k., влево и вправо от «противоположного» k., под очаг, на 4 угловых камня. Цоколи (palzaḫḫa- с фигурками льва и быков сооружены под «передним центральным» k. Естественно полагать, что цоколи и дверь, откуда входили в помещение, были на одной стороне. Таким образом, изображения богов были защищены от взоров непосвященных даже при открытой двери, что хорошо согласуется и с планом раскопанных в Богазкее храмов[43].

---

престол (см. H. Otten, Hethitische Totenrituale, Berlin, 1958, с. 17, 41). Может быть, k. представляло собой специальное возвышение, сооруженное вдоль стены, засвидетельствованное в святилищах Чатал Хююка (VII—VI тыс. до н. э.).

[38] См. Otten, Ritual..., с. 354.

[39] Otten, Ritual..., с. 17 (там же указание на источники).

[40] Относительно культа указанных объектов см. Popko, ук. соч., с. 40—41, 66 и сл., 49 и сл. См. также В. В. Иванов, Культ огня у хеттов. Древний Мир, М., 1962, с. 268.

[41] У М. Витцеля (Witzel ук. соч., с. 77): «угол»; «угловая пилястра», «столб».

[42] М. Витцель (там же, с. 84 и сл.) переводит как «украшение (амулет?)».

[43] См. напр., E. Akurgal, Die Kunst der Ḫethiter, München, 1976, с. 68—72; R. Naumann, Architektur Kleinasiens, Tübingen, 1955, с. 378—406.

Как видно из текста, речь идет о постройке целлы — самом священном и заповедном помещении храма, где стояли культовые символы богов. Однако, ввиду того, что в тексте ничего не сказано относительно расположения объектов помещения (о расположении некоторых из них мы лишь догадываемся), а также из-за неясности части строительных терминов мы не в состоянии реконструировать план описанной в тексте постройки.

## Упомянутые в тексте металлы и драгоценные камни

Как выясняется из текста, во время строительного ритуала применялись следующие металлы и камни: серебро, золото, бронза, железо, медь, ляпис-лазурь, яшма, диорит, мрамор.

Медь, согласно тексту, помещали в фундамент, охраняли, укрепляли колышками, что обеспечивало охранность самого здания, а также «вечность» воздвигнувшего его лица. Золото также укладывалось в фундамент как залог долговечности и прочности здания. Оно, кроме того, должно было обеспечить благосклонность богов к «господину жертвы» и его потомству. Этим символическим действиям, основанным на особых магических свойствах металлов и камней, приписывались таинственные влияния на здание храма и его соорудителя. Мы имеем дело с гомеопатической магией, облеченной в типичную формулу «так же... как и»[44].

Примечательно упоминание в тексте предметов из разных металлов, среди них золотого льва и железных быков, запряженных в серебряное ярмо, которые еще раз свидетельствуют о высоком техническом и художественом мастерстве хеттских кузнецов.

Особенного интереса заслуживают железные предметы. Малая Азия по обработке железа занимала исключительное место на Древнем Востоке[45] и здесь издревле было известно рудничное железо[46]. Употребление именно метеоритного железа в данном ритуале, возможно, объясняется особыми магическими свойствами, приписываемыми металлу, полученному с неба[47].

## Предметы культово-ритуального значения

Интерес представляют металлические фигурки льва и быков.

Бык, как известно, являлся священным животным Бога Грозы, культ которого был широко распространен в хеттскую эпоху по всей Анатолии. Бог Грозы страны Хатти, верховное божество хеттского пантеона - Тешуп в культовых помещениях часто был представлен образом быка, стоящим на постаменте в качестве его культового символа. Нет оснований сомневаться, что железные фигурки быков, запряженных в серебряное ярмо, олицетворяют именно священных быков Бога

---

[44] См. Schuster, ук. соч., с. 60. О магии у хеттов см. напр., V. Haas. Magie und Mythen im Reich der Hethiter, Hamburg, 1977.

[45] См. напр., Э. Менабде, ук. соч., с. 65 и сл.

[46] См. напр., T. A. Wertime. The Beginnings of metallurgy: a new looks. „Science", New York, 1973, vol. 182, c. 885.

[47] См. V. Haas, ук. соч., с. 92. Для сравнения см. легенду Филона Библского об упавшем с неба камне, найденном Астартой и посвященном ею тирскому храму в качестве культового объекта в кн.: К.- Х. Бернхардт. Древний Ливан. М., 1982, 120—121.

Грозы, которые упоминаются в мифе «Песнь об Улликумми» под именами Серри и Телла[48].

Статуэтка льва, упомянутая вместе с фигурками быков может, по всей вероятности, рассматриваться как символ Хепата, супруги Тесупа, с которой была отождествлена верховная богиня хеттов, Богиня Солнца г. Аринны[49].

Металлические изображения яблонь, как нам кажется, не должны быть лишены сложных семантических ассоциаций. Положенные в ворота храма, они могут быть признаны олицетворением космического дерева, соединителя двух миров, и, таким образом, воплощением идей, с одной стороны, «вечности» «господина жертвы» перед богами, а с другой — прочности обиталища богов на земле.

Упомянутые в тексте музыкальные инструменты, а также железный молоток и бронзовые колышки, которые служитель культа вместе с медью помещает в фундамент, имеют явно ритуальное значение.

## Географические названия

В тексте KBo IV 1 указаны места, откуда был привезен нужный для ритуала материал. Часть из них не удается локализовать.

Золото, согласно тексту, привезли из Пирундуммен, серебро — из kūzza-. Местоположение Пирундумен неизвестно. Может быть, ее следует локализовать в бассейне р. Чорох, на юге Понтийских гор, исходя из предположения де Жезю о наличии здесь месторождения золота в хеттскую эпоху[50]. Что же касается kūzza[51]- то, вероятно, это не географическое название, а нарицательное имя, обозначающее, может, быть, серебряные копи, которыми богаты издревле горы Тавра в Киликии, а также Понтийские горы[52].

Не установлено точно местоположение горы Такниары. Согласно тексту, с этой горы привезли ляпис-лазурь. Известно, что единственное крупное месторождение этого камня на Ближнем Востоке находилось в Бадахшане (Афганистан)[53]. Если вспомнить, что по достоверным свидетельствам, из Бадахшана ляпис-лазурь доставляли в Египет, воз-

---

[48] Луна, упавшая с неба, пер. и коммент. В. В. Иванова. М., 1977, с. 125—141.

[49] В специальной литературе не раз отмечалась тесная связь божества солнца с образом льва на Древнем Востоке (см. Я. А. Киквидзе, Земледелие и земледельческий культ в древней Грузии. Тб., 1976, с. 163). Небезынтересно в этом отношении вспомнить об украшенной солярными знаками золотой статуэтке льва, найденной в 1973 г. Кахетской археологической экспедицией (руковод. проф. К. Н. Пицхелаури) в одном из курганов (конца III тыс. до н. э.) Алазанской долины (см. Ш. Ш. Дедабришвили. Курганы Алазанской долины, Тб., 1979, с. 65—67, табл. XVII).

[50] Prentiss S. de Jesus, Metal Resources in Ancient Anatolia, An St, 1978, 28, c. 102. В. В. Иванов высказывает предположение о вероятном тождестве хеттского Pirundummeia и урартского наименования древней североиранской области Puluadi (см. В. В. Иванов, ИФЖ, с. 84, прим. 72).

[51] См. прим. 20. Э. Ларош предполагает тождество хетт. kūzza- и Куша (см. Иванов, ИФЖ, с. 72, прим. 15).

[52] См. напр., Gurney, ук. соч., с. 82.

[53] Г. Чайльд, Древнейший Восток в свете новых раскопок, М., 1956, с. 112, . См. также G. Hermann, Lapis Lazuli: The early Phases of its Trade, Iraq, 30, 1968, с. 22, 28.

можно, через Месопотамию[54], можно предполагать, что оттуда он проникал и в Анатолию. Таким образом, упомянутую гору следует искать на территории Афганистана[55].

Согласно нашему тексту, мрамор доставляли из страны Канисхи[56], в названии которой можно выделить известное нам слово kaniš-/kaneš-, откуда было образовано и название крупнейшего в Малой Азии города «каппадокийских» табличек Каниш (тот же Неса хеттских источников). Нет сомнений, Канисха находилась где-то в Анатолии.

Бронзу и медь привезли из Аласии, с горы Таггаты (т. е. с острова Кипр). Однако точное местоположение горы Таггаты неизвестно.

Страна Элам названа поставщиком яшмы.

Не совсем понятно, зачем понадобилось хеттам привозить медь в Анатолию, богатую медными рудниками, которые разрабатывались издревле[57]. Вероятно, строители храма хотели этим показать размах строительства и значение постройки, для которого поставлялся не только местный, но и привозной материал.

## Типологические параллели ритуала

Ритуалы, совершаемые при строительстве, засвидетельствованы у многих народов Древнего Востока, в том числе у шумеров. Так, например, в надписи, прославляющей строительную деятельность Гудеи Лагашского (XXII в. до н. э.), описывается ритуал, связанный с постройкой храма Нингирсу и исполняемый самим правителем Лагаша. Согласно тексту, строительству предшествуют подготовительные, ритуальные действия, после чего Гудеа закладывает фундамент, произнося при этом ритуальную речь. По окончании строительства он кладет в углы здания карнеол, ляпис-лазурь и освящает пол благовонным маслом[58]. Строительные ритуалы засвидетельствованы и у ассирийцев[59].

Особый интерес по нашему мнению заслуживает факт существования строительных обрядов у протохеттов, предшественников хеттов в Малой Азии. Примечательно, что среди весьма немногочисленных протохеттских надписей две из них посвящаются описанию строительных ритуалов. В одном из них рассказывается о постройке «домов» Бога Солнца, в другом описан ритуал при установке задвижки в новом дворце[60].

---

[54] Г. Чайльд, там же.

[55] См. также Kammenhuber, Historisch-geographische Nachrichten..., с. 171, прим. 41.

[56] В. В. Иванов Kanišḫa в рассмотренном нами тексте читает как Канес и называет источником алебастра (см. В. В. Иванов, ИФЖ, с. 73, прим. 15).

[57] См. Т. А. Wertime, ук. соч., с. 880. См. также Prentiss de Jesus, ук. соч., с. 99.

[58] См. SAHG, с. 138—183.

[59] См. напр. R. Borger, Das Tempelbau-Ritual K 48, ZA, Berlin, 1971, B. 61, с. 74—78.

[60] См. Луна, упавшая с неба, с. 44—45. См. также Schuster, ук. соч., с. 65—77. Указанные ритуалы будут рассмотрены нами в отдельной работе, посвященной более детальному исследованию вопроса о типологических параллелях ритуала.

Интересные параллели к описанию строительных ритуалов встречаются и в этнографической действительности Грузии: в Раче при закладывании фундамента исполняли обрядовую песню. (См. В. Бардавелидзе, Древо жизни и плодородия

Полагаем, что рассмотренный нами строительный ритуал, как и большая часть хеттских религиозных ритуалов, именно протохеттского происхождения. Заслуживает внимания, прежде всего, использование в данном ритуале железа, которое, по замечанию А. Каммепхубер, играло заметную роль в ритуалах анатолийского происхождения, относящихся к хеттскому периоду, что резко отличает эти ритуалы от ритуалов других народов Древнего Востока того же времени[61]. Однако от окончательных суждений мы пока воздерживаемся. Более основательное изучение ритуалов, как анатолийских, так и иноземных, поможет нам пролить свет на происхождение рассмотренного нами ритуала.

## Список сокращений


В. В. Иванов, ИФЖ — В. В. Иванов, Проблемы истории металлов на Древнем Востоке в свете данных лингвистики, Истрико-филологический журнал, Ереван, 1976, № 4.

An St — Anatolian Studies.

CTH — E. Laroche, Catalogue des textes hittites, Paris, 1971.

HW — I. Friedrich, Hethitisches Wörterbuch, Heidelberg, 1952.

Goetze, ANET—В книге: I. B. Pritchard. Ancient Near Eastern Textes Relating to the Old Testament, Princeton, 1955.

Kammenhuber, Historisch-geographishe Nachrichten... — A. Kammenhuber, Historisch—geographische Nachrichten aus der althurrischen Überlieferung, dem altelamischen und den Inschriften der Könige von Akkad für die Zeit vor dem Einfall der Gutäer (CA. 2200/2136), «Acta Antiqua», T. XXII, Fasc. 1—4, Budapest, 1974.

Kammenhuber, Orakelpraxis... — A. Kammenhuber, Orakelpraxis, Träume und Vorzeichenschau bei den Hethitern, «Texte der Hethiter», H. 7. Heidelberg, 1976.

KBo—Keilschrifttexte aus Bogazköi.

KUB—Keilschrifturkunden aus Bogazköi.

Otten, Ritual...—H. Otten, Ritual bei Erneuerung von Kultsymbolen hethitischer Schutzgottheiten, Fs J. Friedrich, Heidelberg, 1959.

SAHG — Sumerische und akkadische Hymnen und Gebete, Eingeleitet und übertragen von A. Falkenstein und W. von Soden, Zürich/Stutgart, 1953.

ZA — Zeitschrift für Assyriologie und vorderasiatische Archäologie.


Представлена отделом древней истории Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР

---

в верованиях грузин, Вопросы этнографии Грузии, Тб., 1968, с. 45). В Картли и Кахети тоже произносили обрядовое стихотворение и исполняли следующий ритуал: после избрания места начиналось закладывание фундамента, в четыре уголка фундаментной выемки сыпали белую муку или деньги. Глава семейства первым касался лопатой земли и молил бога о благополучии семьи (См. Дж. Рухадзе, Жилищные постройки в Кахети, Материалы этнографии Грузии, X, Тб., 1959, с. 51).

[61] Хотя по ее же мнению, хеттский строительный ритуал KBo IV 1 хурритского происхождения (См. Kammenhuber, Orakelpraxis... с. 97, прим. 198). Об особой культовой значимости железа в ритуальной традиции Хатти см. также В. И. Иванов, ИФЖ, 1976, № 4, с. 78—79.

ირაკლი ჯანდიერი

# მიქელ მთავარანგელოზის ხატი სოფ. სუფის წმ. გიორგის ეკლესიიდან

სუფის წმ. გიორგის (ჯგრაგ) ეკლესიის სიძველეთა შორის ჩვენი ყურადღება მიიპყრო მიქელ მთავარანგელოზის მცირე ზომის (16×12) ხატმა. იგი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს[1]. განსვენებული მკვლევარი წერს, რომ ეს ხატი სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი არ ყოფილა,... „იგი ჩვენ ვიპოვეთ სხვა ნამტვრევებთან ერთად ნაგავში, სულ გაშავებული, გავრეცხეთ და კარგი ხატი აღმოჩნდა“-ო[2]. გარდა ამისა, მეცნიერი ხატის აღწერილობაში მასზე არსებულ წარწერასაც ეხება, ამასთან, წარწერაში დამოწმებული ქტიტორის („კტრჲსძესა“) იდენტიფიკაციის საკითხსაც განიხილავს, რომლის შესახებაც ჩვენ საგანგებოდ ქვევით შევჩერდებით. უნდა შევნიშნოთ, რომ მკვლევარი ნაშრომში ხატის თარიღის შესახებ არაფერს ამბობს.

მიქელ მთავარანგელოზის ხატი გამოჭედილია ვერცხლის ფირფიტაზე და დაკრულია მთლიან ფიცარზე. ხატის არშია ოლესაგან წნული გრეხილით (პუნსონირებული ხაზით) არის გამოყოფილი. ასეთივე ხაზი ოლესაც გასდევს ხატის ფონზე და არშიისაგან საზიარო გრეხილით არის გამოყოფილი. ხატის ოლე აქცენტირებულია მრგვალი, დიდი და მცირე, ოვალური ფორმის ბურცობების მონაცვლეობით, რომლებიც ძვირფასი ქვების იმიტაციას უნდა წარმოადგენდეს. ხატის ზედა არშიაზე, კერძოდ, კიდეებსა და ცენტრში, მოცემულია სტილიზებული ორნამენტული ჩანართი. ხატის ვერტიკალურ არშიაზეც ასეთივე ორნამენტული წყვილი ჩანართია მოცემული, ადგილის თანაბარი გამოტოვებით, რაც აწონასწორებს მის სადა მორთულობას.

ხატის ფონი თითქმის მთლიანად უჭირავს მთავარანგელოზის რელიეფურ, ფრონტალურად წარმოდგენილ ფიგურას, ხოლო ფონის ის ნაწილები, რომელიც საკმაოდ დიდი ნიმბისა და ფართოდ გაშლილ ფრთებს მიღმაა დარჩენილი, შევსებულია წარწერებით, რომელთა შესახებ ქვემოთ შევჩერდებით.

მიქელ მთავარანგელოზი ხატზე გამოსახულია სრული ტანით. თვალში საცემია მრგვალი, შედარებით დიდი თავი, რასაც უფრო ამახვილებს სახის ოვალზე შემოყოლებული და მხრებზე კულულის სახით ჩამოშვებული რელიეფური, ზოგადად, პარალელური ხაზებით დამუშავებული თმების თავისებური ვარცხნილობა. გრძელი, მორკალული წარბები შეერთებულია ცხვირის ფუ-

---

[1] ე. თაყაიშვილი, მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში, პარიზი, 1937, გვ. 427. ჩვენი წერილის ფოტო № 1.

[2] იქვე, გვ. 427.

ძესთან, დიდი ნუშისებური ფორმის ჭრილში წერტილით აღნიშნული თვალის გუგა პირდაპირ მზერას გამოხატავს. რკალის ფორმის, მსხვილი ზედა ტუჩი, მრგვალი, დიდი ნიკაპი, კრავს სახის ოვალს და მოცულობითობას ანიჭებს გამოსახულებას. მთავარანგელოზის ტანიც, რომელიც თეძოებიდან ზევით, იდლიებამდე თანდათან ვიწროვდება რელიეფურად არის გადმოცემული, ზემოდან მთავარანგელოზს აბჯარი აცვია, რომლის ფარფლები ზემოთ ფართოა და ოთხკუთხა, ქვევით კი ოვალური ფორმისა. ფარფლებს შორის დატანებულია ვერტიკალურად მიმართული, რელიეფურად ამოყვანილი პარალელური ხაზები. ასეთი რამ აბჯრის სხვა ადგილებში აღარ დასტურდება (შდრ. აბჯრის მკლავების ნაწილები იდაყვებამდე მოცემული, რომლის ქვეშ მოჩანს მკლავებზე შემოტკეცილი სამაჯურებიანი სახელოები სამოსელისა). სამოსელის ნაწილები, რომელიც აბჯრით არ არის დაფარული, სადაა, ქარგული ქობის გარეშე. მთავარანგელოზს მარცხენა ხელში, რომელიც ქვემოთ არის მიმართული და ოდნავ მოხრილი, მახვილის სწორი ქარქაში უჭირავს, მარჯვენაში კი მხარზე მიყრდნობილი მახვილი უპყრია. აბჯრის წელზევითა ნაწილი გადმოცემულია ჩაჭდეული, ირიბად მიმართული, პარალელური ხაზებით, რომლებიც მუცლის არეში რელიეფური, ტოლი ზომისა და ოთხკუთხა, ზემოდან ყოველ მათგანზე ჩაჭდევით შესრულებული სამი მოკლე ხაზით აღნიშნული ფარფლებით მთავრდება. აბჯრის ფარფლები მოქცეულია სარტყლის ქვეშ, რომლის სამყურა ნასკვი იქვეა აღნიშნული. სარტყელი თეძოსთან აბჯრის საფენს უერთდება ნახევარრკალის სახით და წინ არის ჩამოშვებული. იგი რელიეფურად არის ამოზიდული ისე, რომ აბჯრის ზემოდან შემორტყმულის შთაბეჭდილებას ტოვებს. სარტყელი ზემოთ რკალის ფორმის ლილვით იწყება, რომლის შემდეგ ორ, წვრილად ჩაჭდეულ ხაზს შორის მოქცეულ, წერტილოვან ზოლში გადადის, ქვემოთ კი მცირე ზომის, ორმაგად მოხაზული ნალის ფორმის ნახევარწრეები მიუყვება. ასეთივეა მხრებს ქვემოთ, მკლავებზე შემოკრული ბაზუბანდებიც. მთავარანგელოზს მკერდზე არშიებიანი ბაბთა აქვს შემოკრული, რომლის განიერ და სადა არეზე, ცენტრში, შედარებით დიდი და მრგვალი ბურცობი ჩანს, წვრილი წერტილების რიგით შემოვლებული. ეს წერტილები და ბურცობიც ძვირფასი ქვების იმიტაცია უნდა იყოს, ხოლო თვით ბაბთა კი მოსასხამის დასამაგრებელი და ამავე დროს მთავარანგელოზთა გამოსარჩევი, განსაკუთრებული ნიშანი[3]. ასევეა, ჩვეულებრივ, აბჯარი გადმოცემული ამავე პერიოდის ქართული ჭედური ხელოვნების ძეგლებშიც. აკად. გ. ჩუბინაშვილი ანალოგიური აბჯრით შემოსილ გამოსახულებებს X—XI საუკუნეთა მიჯნით ათარიღებს[4]. კედლის მხატვრობის ძეგლებში აბჯრის ამგვარი გაწყობა სარტყლის ქვემოთ XI ს-ის დასასრულს აღარ დასტურდება[5]. XI ს-ის დასაწყისიდან კი აბჯარზე ჩნდება წვრილი, პარალელური ხაზებით გამოყოფილი აბჯრის ფარფლების რიგი. ეს თავისებურება სვანური კედლის მხატვრობის ძეგლებში XI ს-ის დასასრულს იწყებს გავრცელებას[6]. ასეა აბჯარი გადმოცემული თანდილის,

[3] Н. П. Кондаков, Памятники христианского искусства на Афоне, СПб.; 1902, გვ. 200.

[4] გ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომჭედლობა, 1959, გვ. 363—367 და შემდეგ, ფოტო № 183, შდრ. იქვე, ფოტო № 184 და სხვ...

[5] Т. С. Шевякова. К вопросу о дате росписи церкви Джграг..., საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (შემდეგ სმამ), ტ. XXVII, №3, 1961 გვ. 382.

[6] იქვე, გვ. 381.

მხატვარ თევდორეს მიერ შესრულებულ ფრესკებში (იფრარი, ლაგურკა, წვირმი, ნაკიფარი — 1096—1130 წწ.)[7], მიქელ მაღლაკელის მაცხვარიშის ეკლესიის მოხატულობაში (1140 წ.)[8], აგრეთვე XII ს-ის პირველი ნახევრის-კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობაში და სხვ. როგორც ჩანს, სუფის წმ. გიორგის ეკლესიის (ჯუმათის, როგორც ხატის წარწერიდან ირკვევა) მთავარანგელოზს ხატისათვის დამახასიათებელი იკონოგრაფიულ-სტილისტური თავისებურებანი, რომლის პარალელები უკვე XI ს-ის ხელოვნებაში იჩენს თავს (მაგ.: წმ. გიორგის ხატი ხიდისთავიდან), არსებითად XII—XIII საუკუნეების ხელოვნებაში განიცდის განვითარებას.

მთავარანგელოზთა ჩაცმულობის ევოლუციის თავისებურების შესახებ Jeanne Villette[9]—შენიშნავს, რომ „...უკვე სანტა-მარია-მაჯორეს მოხატულობაში ანგელოზთა სამოსელი-ტუნიკა შემკული იყო ლატიკლავებით, ისევე, როგორც რომაელ სენატორთა ტოგა, ხოლო პალიუმი კი სიგელიონებით, რომელთა წარმოშობაც უცნობია, მაგრამ ცხადია, წარმოადგენს წარჩინებისა და დიდებულების ნიშანსო“[10]. მთავარანგელოზი წამოსასხამშია გამოსახული, რომელიც ნაკეცებად ეფინება მხრებზე, ზურგსუკან, ხოლო გულზე, ცენტრში ღილაკით აქვს შეკრული. წამოსასხამის კალთები, ზურგსუკან, მარჯვნივ, იღლიის ქვემოდან, რკალისებრ არის ჩამოშვებული და სამი, ღრმად ჩაჭდეული ხაზით არის ნაკეცები ზოგადად აღნიშნული. წამოსასხამის ნაკეცები აღნიშნულია მარცხენა ფეხთანაც, სამ წყებად დაფენილი და ძირს ჩამოშვებული. მთავარანგელოზის ფეხები წვივებს ზემოთ შიშველია, მუხლის ზევით მსხვილი, ქვევით კი შედარებით წვრილი და მოყვანილი. აცვია მოგვები. მარცხენა ფეხი რაკურსშია, ხოლო მარჯვენა თითქმის პროფილშია მოცემული, ისე, რომ ორივე ფეხით ხატის ოლეს გადაკვეთს. ეს თავისებურება დამახასიათებელია ძველი ქართული ჭედური ძეგლებისათვის, როდესაც ფიგურის მოჩარჩოების გარეთ გამოტანა გარკვეულ მხატვრულ ხერხს წარმოადგენდა[11], ჩვენ ხატზე კი ეს მხოლოდ ამ მხატვრული თავისებურების გადანაშთს უფრო წარმოადგენს, ვიდრე მის შემოქმედებითად გამოყენების ნიმუშს. ფიგურა ისეა დაყენებული, რომ ტანის სიმძიმე ორივე ფეხზე თითქმის თანაბრად არის განაწილებული. ყურადღებას იპყრობს მთავარანგელოზის გაშლილი ფრთები. მხრის გასწრივ და ზემოთ ბუმბული გადმოცემულია ოვალური ფორმის, შუაში ჩაღარული ბურცობების სახით, რომლებიც მწკრივად მიუყვება ფრთების მონახაზს. აღნიშნული ბურცობები შუიდან დაწყებული, ქვემოთ გრძელდება და ამასთან სიხშირეში კლებულობს. ყოველი ბურცობი რელიეფურად არის გამოყოფილი ერთიმეორისაგან, როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური ურთიერთგადამკვეთი ხაზებით. ასევე აქვს დამუშავებული ფრთები ვენეციის წმ. მარკოზის ტაძრის მოზაიკურ მხატვრობაში გამო-

---

[7] Ш. Амиранашвили, История грузинской монументальной живописи, 1957, გვ. 134; Т. Шевякова, დასახ. ნაშრომი, გვ. 381, აგრეთვე, იხ. Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Росписи художника Тевдоре в верхней Сванетии, таблицы, Тб., 1966.

[8] Т. Б. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхваришии: Ars Georgica, т, IV, Тб., 1955.

[9] Jeanne Villette, L'ange dans l'Art d'Occident, Paris, 1940.

[10] იქვე, გვ. 57.

[11] შდრ. რატის მიერ შეწირული საყურთხევლის წინამდგომი ჯვარი კაცხიდან (გ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომჭედლობა, ალბომი №№ 272, 273, 275, 276, განსაკუთრებით „ნათლისღების“ კომპოზიცია).




სურ. № 1



სურ. № 2

სახულ მიქელ მთავარანგელოზს[12], ხოლო ფრთების მონახაზის ანალოგიურობის მხრივ მაგალითებს ვხვდებით ხელოვნების სხვადასხვა დარგისა და ქრონოლოგიურად სხვადასხვა პერიოდის ნიმუშებში (შდრ. აკად. გ. ჩუბინაშვილის ალბომის № 170 ხატი მესტიიდან, №171-ჩუქულიდან და სხვ.). მიუხედავად, იმისა,რომ მხატვრული თვალსაზრისით წვირმის მთავარანგელოზის ხატი გაცილებით მაღლა დგას სუფის (ჯუმათის) ხატთან შედარებით, ფრთების საერთო მონახაზის მიხედვით, უკანასკნელი მასთან ახლოსაა (შდრ. გ. ჩუბინაშვილი, ალბომი, № 169-ხატი). ამ მხრივ, აგრეთვე ახლო პარალელებს ვხვდებით XIII ს-ის დასაწყისის ტიმოთესუბნის ეკლესიის მოხატულობაში გამოსახულ ანგელოზებთან (შდრ. I განკითხვის დღის კომპოზიცია), ბერთუბნის სასტიგნეში წელამდე გამოსახულ მთავარანგელოზებთან. ფრთების ასეთივე მონახაზი აქვთ ანგელოზებს XI ს-ის დასასრულსა და XII—XIII საუკუნეების მთელ რიგ ბიზანტიურ ძეგლებში (შდრ. სანტ-ანჯელოინ ფორმისის, ფოკიდის წმ. ლუკას, დაფნის, ჩეფალუს მოხატულობათა ნიმუშებს და სხვა...), რამდენადმე სახეცვლილია იგივე დეტალი ვოლოტოვოს ტაძრის კარიბჭეში გამოსახულ მთავარანგელოზებთან, ფერაპონტოვოს (1500 წ ახლო ხანებში), სვიაჟსკის მიძინების ტაძრის ანგელოზებთან (1555 წ.) და სხვა[13]. როგორც ჩანს, ფრთების ნახატის ეს თავისებურება მთელი რიგი ეპოქების მანძილზე უცვლელი რჩება, ხოლო სტილისტური თვალსაზრისით, ამგვარად გადმოცემული ფრთების პარალელები, ზემოთ მითითებული წმ. მარკოზის ტაძრის მთავარანგელოზის გამოსახულების გარდა, ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალებით უცნობია. ხატის აღწერისას შევნიშნავდით, რომ ჩვენს ხატზე ოლე, ფონი და არშია ერთ სიბრტყეზეა მოცემული, ყოველგვარი ჩაკუთხული წიბოს გარეშე. ხატების შემკობის ასეთი ხერხი დასტურდება X—XI და ნაწილობრივ XII საუკუნეთა ჭედური ხელოვნების ძეგლებში[14]. ასევე, ამ პერიოდის ჭედური ხელოვნებისათვის დამახასიათებელია თვით ოლეების შემკობის თავისებურებაც, რომელიც X—XIII საუკუნეთა განმავლობაში, მეტ-ნაკლები სიხშირით ვლინდება რამდენიმე ვარიანტის სახით (ზოგჯერ მხოლოდ ოვალური ბურცობებით, ზოგჯერ მრგვალი, ხან კი ორივეს კომბინაციის სახით გვხვდება[15]). განსაკუთრებით აღსანიშნავია დეკორის განაწილების, ხატის ოლეს, არშიისა და ფონის შეფარდების თვალსაზრისით № 425 ღვთისმშობლის ხატი ნესგუნიდან (ხატის ზურგზე ბორენას მინაწერით), იოანე ნათლისმცემლის ხატი № 426, №86-ხატი წმ. ბასილისა და № 161 (XI—XIII სს.) ხატი ყრმიანი ღვთისმშობლისა წვირმიდან[16], ვარძიის ღვთისმშობლის ხატი და სხვა[17]. ამ მხრივ ჩვენი

---

[12] შდრ. D i e l h, Manuel d'Art Byzantin, 1910, გვ. 657, სურ. 334.

[13] Д. А й н а л о в, Византийская живопись XIV столетия, Тр., 1917, ტბლ. 37

[14] შდრ. გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ოქრომჭედლობა, № 28 და № 385, № 252—ხატი ცხენოსანი წმ. გიორგისა შედლიდან (XI ს.), 249 ხატი წვირმი-ჩობენიდან, № 222 ხატის კუბო ნაკიფარიდან (XI ს.) აგრეთვე რ. შმერლინგი 1961 წ. პოლტაეის ხატის ოლე (XII ს. (?) და სხვ....

[15] შდრ. გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ოქრომჭედლობა, № 457 ხატი ყიბიანიდან № 460 ხატი წმ. კვირიკესი ხედან, № 464 — დეტალი დიდი ჯვრისა ბეჩოდან, № 458 და № 459 დეტალები და სხვა....

[16] იხ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ოქრომჭედლობა.

[17] იხ. Ш. А м и р а н а ш в и л и, История грузинского искусства, М., 1950, გვ. 230. ავტორი ხსენებულ ხატს XVI ს. ათარიღებს, მაგრამ ჭედურობის რამდენადმე უფრო ადრეული ხანით დათარიღების შესაძლებლობა, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს გამორიცხული.

ხატი ზემოთ ჩამოთვლილ მაგალითებს შორის საუკეთესო ეგზემპლარებს მისდევს. ხატის მორთულობა სადა, მოწესრიგებული და დახვეწილია (შდრ. ორნამენტის განაწილება კუთხეებში, სადაც თავისუფალ არეზე გადასვლები შეპირობებულია წონასწორობის დაცვის შესაბამისად).

საინტერესოა მიქელ მთავარანგელოზის ტანის ნახატიც, სადაც ხელოვანის მიერ გამოყოფილი მოცულობითი ფორმები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ განზე გაშვერილ და იდაყვებში მოხრილ ხელებს, მთლიანი ბლოკის სახით არის წარმოდგენილი, რომელიც მკერდზე, ჰორიზონტალურად შემორტყმული ბაბთის ქვემოთ თანდათან ფართოვდება. ხსენებული სტილისტური თავისებურება უფრო ადრეულ ხანაშიც გვხვდება[18]. იგი თავს იჩენს კედლის მხატვრობის ძეგლებშიც[19]. ჭედური ხელოვნების ძეგლებში, ამ მხრივ, ახლო პარალელს წარმოადგენს წმ. გიორგის დიდი ზომის ხატი ჯუმათიდან (№ 151)— ერისთავთ-ერისთავის ვარდან ვარდანიძის მიერ შეწირული[20]. გ. ჩუბინაშვილი ამ თავისებურებასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ „ჯუმათის წმ. გიორგის ტორსის ჭედური ნახატის თავისებური აგების საინტერესო გადმონაშთის ერთადერთ მაგალითს, რომელსაც მე შევხვდი—ეს არის მცირე ზომის სვანური ხატი (22.7×22,2), რომელიც XIV ს. გვიანდელი არ უნდა იყოს—სოფ. ლალამიდან (მესტია) Оп, ერმაკოვი № 16947 ფოტო., ე. თაყაიშვილის არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში, პარიზი, 1937, გვ. 288, № 7, სხვა დეტალები ამ ხატისა (საფეხური, ფარი, წამოსასხამის შესაკრავი, მახვილის უქონლობა) ამ ხატის ჯუმათის წმ. გიორგის ხატის მიხედვით უშუალოდ შექმნის დასაშვებად გარკვეულ წინააღმდეგობას ქმნისო“[21]. ერთი სიტყვით, საკსებით ობიექტური საბუთიანობის შემცველია აღნიშნული სტილისტური მხარე, რომელიც, თუ მხედველობაში მივიღებთ გ. ჩუბინაშვილის ზემოთ მოტანილ შეხედულებას — მითითებული შემთხვევის გარდა, სხვა მაგალითი გვიანი ხანის ძეგლებში არ ჩანს. სუფის (ჯუმათის) მთავარანგელოზის სამოსელის დეტალებიც ახლოსაა XII საუკუნის ჭედური ხატების გამოსახულებებთან (შდრ. № 152-ხატი წმ. გიორგისა ლაშთხვერიდან, განსაკუთრებით № 153-აგრეთვე წმ. გიორგის ხატი ხიდისთავიდან[22].). ამ ძეგლებშიც წელსქვევით აბჯრის ფარფლები, ისევე, როგორც ჩვენი ხატის მთავარანგელოზს, პარალელურად მიმართულ, ვერტიკალურ ხაზებს შორის აქვს მოქცეული. წელზე შემორტყმული სარტყელიც ნალისებრი მოყვანილობის მონახაზით აქვთ გაფორმებული[23]. აღნიშნული განსაკუთრებით თვალში საცემია ჩვენს ხატზე და იფრარის ტაძრის ინტერიერის ჩრდილოეთის კედელზე გამოსახულ მიქელ მთავარანგელოზზე[24], აგრეთვე მაცხვარიშის მოხატულობის წმ. მხედრებზე. ჭედური ხელოვ-

---

18 Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, გვ. 250.

19 ტ. შევიაკოვა, ნესგუნის (ზემო სვანეთი) ეკლესიის მოხატულობის თარიღის საკითხისათვის, სმამ. XVIII, 1959, გვ. 117.

20 ხსენებული პირი წერილობით წყაროებში არ არის დამოწმებული. შდრ. გ. ჩუბინაშვილი. ქართული ოქრომჭედლობა, გვ. 246.

21 გ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომჭედლობა, გვ. 250, შენიშვნა 4.

22 იქვე, ალბომი.

23 Н. Кондаков и Дим. Бакрадзе, Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб., 1890, გვ. 102; А. Бакрадзе, Путешествие по Гурии и Адчаре, СПб., 1878.

24 Ш. Амиранашвили, История грузинской монументальной живописи, Тб., 1957, ტ. I, ტბლ. 129.

ნების სხვა ძეგლებში კი, გარდა აღნიშნულისა, ჩვენთვის უცნობია. მთავარანგელოზთა სამოსელის აღწერილი დეტალები, შესაძლოა, სადღეისოდ დაღუპულ ძეგლებში უნდა ვივარაუდოთ, რადგან ჩვენამდე, როგორც შევნიშნეთ, თითო-ოროლა შემორჩენილა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მთავარანგელოზთა პატივისცემა, მით უმეტეს მთიანეთში, გავრცელებული იყო[25]. როგორც მთა-გადასასვლელთა მცველთა (ლახუაშ ანუ თარღი თარიხგზელ) და ვაჟიშვილების გამამრავლებელთა (მგხერი თჶრგლეზერი), ან ავი ზნისაგან მფარველთა (გაბრიელ თჶრგლეზერი) და სხვა,[26] ხოლო დასავლეთის რიგ ქვეყნებში (მაგ.: ლომბარდიასა და ესპანეთში და სხვა...) მთავარანგელოზები ბრძოლისა და ღრუბელთა ღვთაებასთან არიან დაკავშირებული[27].

ქართული ხელოვნების ძეგლების გათვალისწინება საშუალებას იძლევა გამოყოფილ იქნას მთავარანგელოზთა ტიპები, რომელთა დიფერენციაციას საფუძვლად უდევს სღვთისმეტყველო ფუნქცია. ქართული ხელოვნების ძეგლები ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მთავარანგელოზთა სხვადასხვა ტიპი, მსგავსად ბიზანტიური ხელოვნებისა, მეტ-ნაკლებად ჩვენშიც პოულობს გამოსახვის საფუძველს[28]. ბიზანტიური ხელოვნების ტრადიციას შემოუნახავს ანტიკური სამოსელი-ქლამიდა „ღვთის ანგელოზებისათვის", რომელნიც საეკლესიო იერარქიის თვალსაზრისით მთავარანგელოზებთან შედარებით უფრო დაბალ საფეხურს განეკუთვნებიან, ხოლო, აგრეთვე ანტიკური სამოსელი, რომელიც შედგება პალიუმისა და ტუნიკისაგან — „ქვეყნად მოვლენილ ანგელოზებისათვის"[29]. ასევეა მთავარანგელოზები ქართულ ხელოვნებაში დიფერენცირებული მათი კონკრეტული ფუნქციის მიხედვით. მაგ.: გაბრიელ მთავარანგელოზს „ხარების" კომპოზიციაში ანტიკურ სამოსელში ვხედავთ, ასევეა გამოწყობილი მთავარანგელოზი „განკითხვის დღის" კომპოზიციაში.[30] ცალკე ჯგუფს შეადგენს ახალგაზრდა მხედრის სახით წარმოდგენილი მთავარანგელოზთა გამოსახულებანი და ასეთივე მთავარანგელოზნი მახვილით ხელში[31].

მთავარანგელოზთა დასის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ჩვენში განსაკუთრებული გავრცელება მაინც ძვირფას სამეფო სამოსელში გამოწყობილთ ხვდათ წილად. ეს გარემოება საზოგადოდ, უკვე IX—X საუკუნეთა მიჯნის ძეგლებში დასტურდება ბიზანტიურ ხელოვნებაში, სადაც მთავარანგელოზნი არიან წარმოდგენილნი სამეფო სამოსელში (ლორით, კვერთხით და სფეროთი ხელში) და ბოლოს მეფისა და მთავარანგელოზების გამოსახულებას განასხვა-

---

[25] გ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომჭედლობა, გვ. 264—265.

[26] ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1941, გვ. 32—33. შდრ. მისივე — სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1939, გვ. 10—11, აგრეთვე სვანური პოეზია, 1, ა. შანიძის, ვ. თოფურიას და მ. გუჯეჯიანის შეკრებილი, თბ., 1939, გვ. 313—319; აგრეთვე — აკ შანიძე და ვ. თოფურია, სვანური პროზაული ტექსტები, თბ., ტ. 1, გვ. 16.

[27] Jeanne Villette, დასახ. ნაშრომი, გვ. 31 და შემდეგი...

[28] რ. შმერლინგი, ქართული ოქრომჭედლობის ერთი ძეგლი, სმამ, XXVIII, № 1, 1961, გვ. 14.

[29] Jeanne Villette, დასახ. ნაშრომი, გვ. 60, შდრ. რ. შმერლინგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

[30] რ. შმერლინგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

[31] შდრ. ჯუმათის მიქელ მთავარანგელოზის ხატი (XIX ს. 80-იან წლებში დაკარგული), იფრარისა და ბერთუბნის მოხატულობაში გამოსახული მთავარანგელოზნი. შდრ. წეირმის მთავარანგელოზთა ხატს (№ 169) და სხვ...

ვებს ანგელოზების ფრთები და სამეფო გვირგვინის უქონლობა[32]. აღნიშნული ვითარება ჩანს XI საუკუნის დასასრულსაც (შდრ. სანტ ანჯელო-ინ ფორმისის, ფოკიდის წმ. ლუკას, აგრეთვე ჩეფალუს, XII ს.) კედლის მხატვრობის ძეგლებში[33]. გარდა აღნიშნულისა, მთავარანგელოზთა შემკულობის სხვა ატრიბუტებიც დასტურდება იმავე პერიოდის ხელოვნების სხვადასხვა დარგის ძეგლებში. აკად. ნ. კონდაკოვს აღწერილი აქვს ხილანდარის ბიბლიოთეკაში დაცული ხატის კუბოზე დაკრულ მინანქარზე გამოსახული მთავარანგელოზების-მიქელისა და გაბრიელის-სამოსელის დეტალები (XI ს.), რომელთა შორის ყურადღებას მიაქცევს გაბრიელ მთავარანგელოზის მარჯვენა მკლავის სახელოზე არსებულ ძვირფასი ქვებით შემოყოლებულ ჯვარს. აღნიშნული დეტალი, როგორც მკვლევარი შენიშნავს, იშვიათია საერთოდ, სახელდობრ, „იგი არ ჩანს მიქელის გამოსახულებაზე, თუ მას დაზიანებულად არ მივიჩნევთ"... ეს ნიშანი „განსაკუთრებული პატივია მთავარანგელოზთა გამოსარჩევიო"[34]. აღსანიშნავია, რომ ასეთივე ნიშნები აქვთ ანჩისხატზე გამოსახულ მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზებს, ასევე წმ. მარკოზის ტაძარში გამოსახულ მიქელ მთავარანგელოზსაც[35].

ქართულ ხელოვნებაში, როგორც ჩანს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ე. წ. ლოროსან მთავარანგელოზებს, რაც ცხადია უკვე X ს-ის ძეგლების მიხედვით (ჭედური ხელოვნების ნიმუშებში), სადაც რაოდენობრივი უპირატესობა სწორედ სამეფო ინსიგნიებით აღჭურვილ მთავარანგელოზთა გამოსახულებას ეკუთვნის, ხოლო მცველი ანგელოზები, ახალგაზრდა მეომრების სახით წარმოდგენილნი-სპორადულ ხასიათს ატარებენ.

ასევე იშვიათია მთავარანგელოზთა გამოსახულებანი, რომლებიც კედლის მხატვრობაში თუ ჭედურ ძეგლებზე (უკანასკნელში მით უფრო) წარმოდგენილნი არიან გრაგნილებით ხელში![36] როგორც ჩანს, ამით უნდა იყოს შეპირობებული, რომ ცნობილ მკვლევარს — რ. შმერლინგს ზემოთ მითითებულ ნაშრომში ქუთაისის მთავარანგელოზების ხატის გამო, ხაზგასმით აქვს მითითებული, რომ „მათი (ე. ი. ორივე მთავარანგელოზის) დამახასიათებელი მეორე ატრიბუტი—გრაგნილი, რომელიც, როგორც ცნობილია ქადაგების სიმბოლოს წარმოადგენს, რიგ შემთხვევაში, სწორედ წმინდანებს მიეკუთვნება და არა მთავარანგელოზებს — ღმრთის მსახურებს, მახარებლებს, მხედრებს[37]." მთავარანგელოზთა გამოსახულებანი გრაგნილით ხელში მოცემულია ფერაპონტოვის ტაძრის, მხატვარ დიონისეს მიერ შექმნილ, მოხატულობაში (1500 წ. ახლო ხანებში), სვიაჟსკის მონასტრის მიძინების ტაძრის ფრესკებში, რომელთა ფუნქციას შეადგენს ეკლესიაში შემსვლელთა და გამომსვლელთა აღნუსხვა, ზოგჯერ კი გრაგნილზე ანგელოზთა ამ დასის წარმოშობის ლეგენდა არის ხოლმე მოცემული[38]. მთავარანგელოზები გრაგნილებით ხელში გამოსახულია აგ-

[32] Jeanne Villette, დასახ. ნაშრომი, გვ. 59; შდრ.: რ. შმერლინგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

[33] Jeanne Villette, გვ. 59. აგრეთვე, D. Thalbot Rice, Byzantine. Art. 1935, გვ. 8.

[34] Н. П. Кондаков, Памятники христианского искусства на Афоне, გვ. 200; შდრ. მისივე, Македон, СПб 1909, 264

[35] Dielh, Manuel d'Art Byzantin, 1910, გვ. 657.

[36] რ. შმერლინგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

[37] იქვე.

[38] Д. Айналов, Византийская живопись XIV столетия, გვ. 135.

რეთვე ვენეციის წმ. მარკოზის ტაძრის სანათლავში — გუმბათის მოზაიკურ მხატვრობაში (XIII ს.)[39], საქართველოში კი, მაგალითად, წალენჯიხის ტაძრის კედლის მხატვრობაშიც (XIV ს-ის დასასრული)[40]. მთავარანგელოზთა აღნიშნული ტიპის თუნდაც სპორადული არსებობა, ვფიქრობთ, არ შეიძლება აიხსნას მხატვრის ინდივიდუალობით. აღნიშნულის გარდა, რ. შმერლინგი მითითებულ ნაშრომში შენიშნავს: „მთავარანგელოზთა გამოსახულება ქუთაისის ხატზე, არსებითად, მხოლოდ ფრთებით არის დახასიათებული, ამ ატრიბუტების გარეშე ხატზე გამოსახული ფიგურები შეიძლებოდა წმინდანთა გამოსახულებად ყოფილიყო მიჩნეული“[41]. მთავარანგელოზები ფრთების გარეშე გამოსახულია: ჩუკულის ცნობილი ხის კარის რელიეფებზე. უკანასკნელთან დაკავშირებით აკად. შ. ამირანაშვილი წერს, რომ აქ წარმოდგენილი არიან მთავარანგელოზნი: „წმ. ოჳრიელ, წმ. რაფაელ, წმ. მიქელ, წმ. სარიელ!სურიელ. წმ. რაჰატიელ და წმ. გაბრიელ), და რომ მთავარანგელოზნი ფრთების გარეშე გამოისახებოდნენ ადრექრისტიანულ ხანაში (V ს-ის დასასრულისა და VI საუკუნის დასაწყისამდე)[42]. როგორც ჩანს, ასეთი ვითარება ქართული ხელოვნების განვითარების ადრეული ეტაპის კანონზომიერებას წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენამდე ერთეულ ეგზემპლარებს მოუღწევიათ და ამ ხანის ხელოვნების ტრადიციების კვალი შემოუნახავთ[43]. XI—XII საუკუნეების ჭედური ხელოვნების ძეგლებს, ასევე, შედარებით იშვიათად შემოუნახავთ მახვილით ხელში გამოსახული მთავარანგელოზები. ასეთი გამოსახულებები ბიზანტიურ ხელოვნებაში XII საუკუნეში გაჩენილა[44]. ჩვენში კი მთავარანგელოზთა მახვილიან გამოსახულებას მეფის მხატვარ თევდორეს მიერ 1096 წელს შექმნილ იფრარის მთავარანგელოზის ეკლესიის მოხატულობაში ვხედავთ[45], სადაც ინტერიერის ჩრდილოეთის კედლის მეორე რეგისტრში გამოსახულია მიქელ მთავარანგელოზი მახვილით ხელში, როგორც მცველი, მფარველი ეკლესიისა. ასეთივე მცველი მთავარანგელოზები დადასტურებულია XI—XIII საუკუნეების ძეგლებში, მაგალითად: კონსტანტინეპოლის წმ. სოფიას ტაძრის ეკვდერის. პალატინის კაპელისა და ნიკეის ტაძრის მოზაიკებში. ამ დასის მთავარანგელოზნი მოგვიანებითაც (XIV ს.) გვხვდება — ნოვგოროდის თევდორე სტრატილატისა და ვოლოტოვოს ღვთისმშობლის მიძინების ტაძრებში, ჩვენში კი XIII ს. დასაწყისში ბერთუბნის სატრაპეზოს საკურთხევლის ნიშის ორსავე მხარეზე იყო გამოსახული მახვილიანი მთავარანგელოზი — მიქელი, ხოლო გაბრიელის გამოსახულებას ძლიერ ფრაგმენტულს მოუღწევია ჩვენამდე. ერთი სიტყვით, ძველ ქართულ ხელოვნებაში აღნიშნული ტიპი მთავარანგელოზებისა თავს იჩენს XI—XII საუკუნეთა ძეგლებში, თუ ეს უფრო ადრეული ხანის ძეგლების დაღუპვით არ ავხსენით.

---

[39] Д. Айналов, დასახ. ნაშრომი, ტბლ. IV.

[40] ხმალაძის მიერ შესრულებული ასლი ხელოვნების მუზეუმში.

[41] რ. შმერლინგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

[42] იხ. შ. ამირანაშვილის რეცენზია ნიკოლოზ ჩუბინაშვილის სადოქტორო დისერტაციაზე, 1958, გვ. 8 (ხელნაწერის სახით).

[43] იხ. იქვე, გვ. 10, 11, 12 და შემდეგი. შდრ. რ. შმერლინგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 119, სადაც მკვლევარი იკონოგრაფიული ნორმებიდან გადახვევით ახსნის საკითხს.

[44] Д. Айналов, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

[45] Ш. Амиранашвили, История грузинской монументальной живописи, 1957, გვ. 137.

ამრიგად, სუფის წმ. გიორგის ეკლესიაში დაცული (ჯუმათის) მიქელ მთავარანგელოზის ხატი, კომპოზიციის, სკულპტურული ფორმის დამუშავების, ტანის ნახატის, აგრეთვე იკონოგრაფიული ტიპისა და დეკორის თვალსაზრისით XII—XIII საუკუნეთა ქართულ ძეგლებში პოულობს პარალელებს. ხოლო რიგი დეტალები როგორიცაა ფიგურის მოჩარჩოების გარეთ გამოტანის პირობითი ხასიათი, გულზე, ცენტრში ღილაკით შეკრული წამოსასხამი, აბჯრის ქვედა ნაწილის დამუშავების თავისებურება-ამ ხატის XIII ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებისაკენ გვიბიძგებს. როგორც ხატის წარწერიდან ჩანს, იგი ჯუმათის მთავარანგელოზისა ყოფილა, ხოლო შემდეგ მოხვედრილა ზემო სვანეთში-სუფის წმ. გიორგის (ჯგრაგ) ეკლესიაში, სავარაუდებელია. იმავე გზით, როგორც სხვა ხატები, ჯვრები ზარები და სხვა..., კერძოდ, ან „გახიზნეს ან რჯულის გასამტკიცებლად შესწირეს სვანეთის ეკლესიებს"[46]. თუ ეს ასეა, მაშინ შესაძლოა, კიდევ მეტი გულდაჯერებით ვივარაუდოთ, რომ ხატზე შენიშნული დამახასიათებელი მხარეები მხატვრულ-სტილისტური თავისებურებისა, გარკვეულად უკავშირდება ჯუმათის ზემოხსენებულ სხვა ხატებს ტრადიციის მხრივ, რასაც გ. ჩუბინაშვილი, გარკვეული სიფრთხილით შენიშნავდა, ხოლო ხატზე დადასტურებული იკონოგრაფიული ელემენტების კარნახით სათუოდ მიიჩნევდა[47]. თუ ჩვენი ვარაუდი უსაფუძვლო არ არის, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ სუფის წმ. გიორგის ეკლესიაში დაცული ხატი მიქელ მთავარანგელოზისა შექმნილია იმ მხატვრული ტრადიციით, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ფუძნდებოდა ჯუმათის სანახებში და სადღეისოდ უკვე ცნობილია არა ერთი მნიშვნელოვანი ძეგლით ქართული ჭედური ხელოვნებისა[48], ხოლო კვალი ამ კერისა ნივთიერი მასალით თვით XIV საუკუნეშიც და მერეც კარგად ჩანს[49].

ხატის წარწერების შესახებ:

ხატის ზედა ჰორიზონტალურ არშიაზე, ორნამენტისაგან თავისუფალი არეები ორ სტრიქონად არის შევსებული დაქარაგმებული ასომთავრული წარწერით, რომელიც მცირეოდენი დაზიანების მიუხედავად თავისუფლად იკითხება:

ႿႫႧႨႱႠႢ ႫႧႥႰႠ ႬႢႪႦႨ „ჯ(უ)მ(ა)თ(ი)საჲ მთ(ა)ვ(ა)რა(ნ)გ(ე)ლ(ო)ზი".

ხატის ფონზე, ზემოთ, მთავარანგელოზის შარავანდის ორსავე მხარეზე კი ბერძნული მთავრული წარწერაა მოცემული: მარცხნივ: ΟΑΡΧ, მარჯვნივ: ΜΙΧΑΗΛ, ხოლო ქვემოთ, მთავარანგელოზის ფეხებთან გასწვრივ, მარცხნივ და მარჯვნივ, ორ სტრიქონად განაწილებულია ქართული ასომთავრული წარწერა:

1. ႿႫႧႨႱႠႢ... :ႫႧႥႰႠႬႢႪႦႭ;
2. ႫႤႭႾ ႤႵႫႤႬ: ႡႢႰႱႠ ႩႲႰႢႱႻႤႱႠ:

1. „ჯ(უ)მ(ა)თისაჲ:... მთ(ა)ვ(ა)რა(ნ)გ(ე)ლ(ო)ზო:
2. მეოხ ექმენ: ბჲრსა კ(ი)ტრჲსძ(ე)სა:

---

[46] ეგნ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფილისი, 1925, გვ. 111.

[47] Г. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство, გვ. 250.

[48] შდრ. დიდი ხატი ჯუმათის წმ. გიორგისა, ჯუმათის მთავარანგელოზის ხატი-დაკარგული 1880 წ. ახლო ხანებში, მცირე ხატი ჯუმათის ეკლესიის წმ. მხედრის გამოსახულებით და ამჟამად სუფის ეკლესიაში დაცული ჩვენი ხატი.

[49] შდრ. ზუგდიდის მუზეუმის ხატი წმ. მეომრების გამოსახულებით, ფოტო № 2.

აკად. ე. თაყაიშვილი წარწერაში დადასტურებულ გვარს კითხულობს — „კონტრიძესა"[50]. საქმე ისაა, რომ დიღმის ხევის სოფ. წოდორეთსა და ბევრეთს შორის არსებულ ე. წ. „მაჩხანის" წმ. გიორგის სახელით ცნობილი ეკლესიის შესავლის არქიტრავზე ამოკვეთილ წარწერაშიც[51], ჩვენი აზრით იგივე გვარი უნდა იკითხებოდეს. ხსენებული წარწერა რვა სტრიქონისაგან შედგება:

**სახელითა ღმრთისათა//მეოხებითა წმიდისა თევდორესითა//**

**ადიდენ ღმერთმან, ქართლისა//ამირაჲსა ბედითა//აეშენა ესე**

**საყდარი//ჰომად//კიტრისძესაობასა//უფალო შეუნდვენ ცოდვანი!**

ეს წარწერა წაკითხულია აკად. აკ. შანიძის მიერ[52], ხოლო ამავე წარწერაში მეხუთე და მეექვსე[53] ჰწკარს შორის ჩართული არაბული წარწერის შესახებ საგულისხმო აზრი აქვს გამოთქმული გ. წერეთელს. მკვლევარი შენიშნავს, რომ ქართული წარწერის ტექსტში ჩართულ არაბულ წარწერაში იკითხება საკუთარი სახელი: „ჰომად ძე"[54] — حمد بن سسر ხოლო გვარი — კიტრისძე სხვა ქართულ ძეგლებში არაა დადასტურებული, მაგრამ სხვა წყაროებით კი ცნობილია, კერძოდ, ეს გვარი იხსენიება X ს-ის. არაბი ისტორიკოსის-ტაბარის (+923) თხზულებაში, სადაც ნათქვამია, რომ:

«...فتح زيرك الجردمان و اخذ بطريقها القطريج اسرا فحمله الى العسكر»

„...და დაიპყრა ზირაქმა ჯარდმანი და ტყვედ შეიპყრა მისი პატრიკიოსი ალკიტრიჯი და წაიყვანა იგი (თავის) ბანაკისაკენ"[55].

აღნიშნული ამბები მომხდარა 853 წელს, რასაც ატენის სიონის წარწერაც ადასტურებს[56]. ხოლო როგორც გ. წერეთელი შენიშნავს — „მაჩხანის ეკლესიის წარწერა ზემოთ მოყვანილი ამბების თანადროულია"[57]. გარდმანის (ჯარდმანი) პატრიკიოზის — კიტრისძის შესახებ ცნობები დაუცავთ სომეხ ისტორიკოსებსაც[58], რომელთა თხზულებებში ეს გვარი გადმოცემულია կտրիճ „კტრიჭ" ფორმით. ე. ს. მაჩხანის ეკლესიის წარწერის კიტრისძე (შდრ.

---

[50] ე. თაყაიშვილი, მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში, გვ. 427.

[51] გ. ჩუბინაშვილი, VIII—IX. სს. ქართულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, სმამ, ტ. XIII, № 7, 1952. აგრეთვე, იხ. თ. ბარნაველი, მაჩხანის ეკლესიის წარწერები. სმამ, ტ. XXIX. № 5, 1962, გვ. 649—655.

[52] გ. ჩუბინაშვილი, VIII—IX სს ქართულ ძეგლთა... გვ. 442.

[53] იქვე. გვ. 443.

[54] ნ. შოშიაშვილი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, თბ., 1980, გვ. 225. ავტორი აქ იძლევა ქართულ წარწერაში ჩართული არაბული წარწერის მესამე სიტყვის აღდგენას და წერს: حمد بن كسر „ჰუმად იბნ ქითრი" (მართალია კითხვის ნიშნით), მაგრამ ამგვარი (كسر „ქითრი") წაკითხვა გამორიცხული უნდა იქნას, მიუხედავად იმისა, რომ კონტექსტით, თითქოს ასე უნდა იყოს. ამ სიტყვის შესაძლებელი აღდგენის შესახებ გ. წერეთელი მსჯელობს (იხ. Г. Чубинашвили, Вопросы истории искусства, გვ. 174—175) და აღადგენს, როგორც بشير და შენიშნავს, რომ შეიძლება სხვანაირი აღდგენაო", მაგრამ არა „ქითრი" (?!)

[55] Г. Чубинашвили, Вопросы истории искусства, გვ. 174—175. სადაც მოცემულია გ. წერეთლის მოსაზრება.

[56] И. Джавахишвили, К вопросу о времени построения грузинского храма в Атене по вновь обследованным эпиграфическим памятникам. ХВ. I, вып III, СПб., 1912, გვ. 277.

[57] იხ. სმამ, ტ. XIII, № 7, 1952, გვ. 444.

[58] იოანე დრასხანაკერტელი ილ. აბულაძის თარგმანით, შენიშვნებითა და საძიებლებით, 1937, გვ. 17—18. Стефаноз Орбелиани, пер. Броссе, 1864, გვ. 104 და სხვ. შდრ. Г. Чубинашвили, Вопросы истории искусства, გვ. 175.

Ⴉ ‖ ႨႲႰႨႱႻႨႱႠႭႡႠႱႠ „კიტრისძისაობასა“), არაბული القطريج —„ალ-კიტრიჰ“ და სომხური წყაროების կտրիճ „კტრიჰ“-ის იდენტურობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. რაც შეეხება მაჩხანის ეკლესიის წარწერაში დამოწმებულ სახელს: ႠႭႫႠႣ („ჰომად“-ს), იგივე სახელი გვხვდება სოფ. დილმის მისავალთან არსებულ, აგრეთვე წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის წარწერაში, რომელიც აღმოსავლეთის ფასადზეა, სარკმლის მარცხნივ, ერთ სტრიქონად მოცემული, დაქარაგმების გარეშე:

ႵႤ ႸႤ ႠႭႫႨ „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ჰომ(ად)ი“,

რადგან წარწერის ხასიათი ცხადად გვიჩვენებს, რომ უკანასკნელი სიტყვა ისევე შეიძლება დაქარაგმებულიყო ქარაგმის ნიშნის გარეშე, როგორც ეს წარწერის პირველ ორ სიტყვაში ჩანს[59].

ამდენად, ზემოხსენებული კიტრისძის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ეს ეკლესიაც მისი კტიტორობით (?) არის აგებული, ხოლო შემდგომ რესტავრირებული, რისი კვალიც ცხადად ჩანს, ხოლო რაც შეეხება ჩვენ მიერ აღწერილი ხატის წარწერაში მოხსენიებულ კიტრისძეს (აკად. ე. თაყაიშვილის წაკითხვით—კონტრიძე. რადგან „...ეს გვარი დღესაც არის გურიაში“)[60] თუ კიტრისძეა. მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს გვარი იმდროინდელი ისტორიული ვითარების წყალობით გახიზნულა გურიაში, როგორც სხვა არა ერთი გვარი.

ყოველივე ეს, თავისთავად, გარკვეულ ინტერესს იწვევს გარდმანისა და ქართლის ამ რეგიონის ისტორიული ურთიერთობის თვალსაზრისით, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, დასავლეთ საქართველოს იბერიზაციის ხანგრძლივი პროცესის ამ ეტაპის მაჩვენებლადაც ისახება.

И. К. ДЖАНДИЕРИ

## ИКОНА АРХАНГЕЛА МИХАИЛА ИЗ ЦЕРКВИ СВ. ГЕОРГИЯ В СЕЛЕ СУПИ

Резюме

В статье изучена чеканная икона Архангела Михаила, хранящаяся в церкви села Супи Верхней Сванетии. На основе стилистическо-иконографического и сравнительного анализа автор датирует икону второй половиной XIII в. По ктиторской надписи выясняется, что икону пожертвовал Джуматской церкви монах, некий Китрансдзе. Автор отрицает высказанную в научной литературе точку зрения о том, что, якобы, эта фамилия не подтверждается в грузинских письменных источниках. Для иллюстрации сказанного приводятся эпиграфический образец из церкви св. Георгия, расположенной между селами Цодорети и Бевретн в Дигомском ущельи, а также сообщение арабского историка X в. Табара, в котором указанная фамилия подтверждается.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათ აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ

[59] პ. ზაქარაია, საქ. მმ, ტ. XVII — გვ. 102, სადაც მკვლევარი ამ სახელს კითხულობს როგორც — „ლომი“, მაგრამ არასწორად, რადგან სახელის პირველი ასო არის „ჰ“ და არა „ლ“.

[60] ე. თაყაიშვილი, მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში, გვ. 427.

ვალერი ვაშაკიძე

## სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI, 3, 6-ის წყაროს საკითხისათვის

სტრაბონის „გეოგრაფიის“ წყაროების შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ საკითხით მრავალი ევროპელი მეცნიერი იყო დაინტერესებული გასულ საუკუნეში. კ. ნოიმანმა „გეოგრაფიის“ XI წიგნის წყაროებს ვრცელი გამოკვლევა უძღვნა, სადაც გააკეთა დასკვნა, რომ სტრაბონის წყარო კავკასიის ქვეყნების აღწერისას თეოფანე მიტილენელი იყო[1]. მსგავსი აზრი გამოთქვა კ. არნოლდმა[2]. მ. დიუბუამ შესაძლებლად მიიჩნია, რომ კავკასიის აღწერისას სტრაბონი პოსიდონიოსს ეყრდნობოდა, მაგრამ ალბანეთის და იბერიის დახასიათებისას პოსიდონიოსის წყაროდ გამოყენება უარყო[3]. ფართოდ შეეხო აღნიშნულ პრობლემას ე. ჰონიგმანი, რომელმაც, საერთოდ, დააჯგუფა სტრაბონის წყაროები[4]. მ. როსტოვცევი, არსებითად, იმეორებს კ. ნოიმანისა და კ. არნოლდის შეხედულებას[5] და, თავის მხრივ, სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI წიგნის წყაროდ ასახელებს მითრიდატეს ისტორიკოსებსაც კერძოდ, ჰიფსიკრატეს[6].

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოდასახელებული ავტორები „გეოგრაფიის“ XI წიგნის წყაროების შესწავლისას არ ინტერესდებოდნენ ტექსტის ამა თუ იმ კონკრეტული ადგილის წყაროთმცოდნეობითი ანალიზით. ეს საკითხი იმ მეცნიერებმა დააყენეს, ვინც კავკასიის ქვეყნების ისტორიას სწავლობდნენ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სტრაბონის ცნობების გამოყენებას ასზე მეტი წლის ისტორია აქვს. მკლევარნი განსაკუთრებით ამახვილებდნენ ყურადღებას „გეოგრაფიის“ იმ ადგილზე, სადაც იბერიის სოციალური ყოფის ამსახველი სურათია მოცემული (XI, 3, 6). ცნობა უაღრესად საინტერესოა იმდენად, რამდენადაც პირველია და უძველესი იმ წყაროთა შორის, რომლებიც კი ძველი იბერიის (ქართლის) შესახებ მსგავსი ხასიათის მასალას იძლევიან. სწორედ ამიტომ, სანამ გამოვიყენებდეთ მას, უნდა ვიცოდეთ თუ საიდან მომდინარეობს ის, როდინდელია, ე. ი. აუცილებელია სტრაბონის პირველწყაროს დადგენა.

ივ. ჯავახიშვილი დიდ ნდობას უცხადებდა სტრაბონის ცნობას და თავის შრომებში არაერთი საინტერსო დასკვნა გააკეთა მასზე დაყრდნობით. მეც-

---

[1] K. Neumann, Strabons Landes kunde von Kaukasien (Jahrb. f. class. Philologie. herausg. von Alfr. Fleckeisen). Leipz., 1884, გვ. 344.

[2] C. Arnold, Untersuchungen über Teophans von Mitylene und Posidonius von Apamea (Jahrb. f. class. Philologie, herausg. von Alfr. Fleckeisen), Leipz., 1884, გვ. 195.

[3] M. Dubois. Examen de la Geographie de Strabon, Paris, 1891, გვ. 320.

[4] E. Honigman, Strabon, Paulys Real- Encyclopädie der classischen Altertumswissenschaft, Neue Bearbeitung, begonnen von Georg Wissowa, Herausgegeben von Wilhelm Kroll und Karl Mittelhaus, Sibter Habband, Stuttgart, 1931, გვ. 952—972.

[5] М. И. Ростовцев, Скифия и Боспор, М., 1925, გვ. 9, 143.

[6] იქვე, გვ. 140.

ნიერს ცალკე არ უკვლევია სტრაბონის პირველწყარო XI, 3,6-სათვის, მაგრამ მისი გამოკვლევებიდან ჩანს, რომ ტექსტის აღნიშნულ ადგილს ივ. ჯავახიშვილი თვით სტრაბონისად თვლიდა. „სტრაბონის აღწერილობიდან ნათლად ჩანს, რომ ჩვ. წ. I ს-ში...“[7] — არაერთგზის აღნიშნავს ხოლმე იგი.

არც ს. ჯანაშია შეხებია სტრაბონის ცნობის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის საკითხს, მაგრამ თავის მრავალრიცხოვან შრომებში, ივ. ჯავახიშვილისდარად, იგი ხშირად ლაპარაკობს ე. წ. სტრაბონის ხანაზე[8].

ნ. ბერძენიშვილი ფრიად საინტერესო აზრს გამოთქვამდა „გეოგრაფიის“ აღნიშნული ადგილის წყაროზე. მისი აზრით, „ან სტრაბონი მის დრომდის რაღაც დიდი ხნის წინ არსებულ მდგომარეობას გადმოგვცემს, ან კიდევ შეცდომაში შეიყვანეს ზეპირად ცნობების მიმწოდებლებმა[9], ეს იყო სტრაბონის პირველწყაროთა არსებობის პირველი აღიარება ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამომდინარე სხვა წყაროთა ანალიზიდან. ნ. ბერძენიშვილი განაგრძობს: „უფრო მართებულად მიგვაჩნია უპირველეს ყოვლისა საკითხი დაისვას სტრაბონის ცნობითა წყაროთმცოდნეობითი შესწავლის შესახებ“[10].

1947 წელს ჟურნალ «Вестник древней истории»-ს ფურცლებზე გამოქვეყნდა ა. ბოლტუნოვას წერილი[11], რომელშიც ავტორი შეეცადა ეჩვენებინა სტრაბონის წყარო იბერიის სოციალური სტრუქტურის აღწერისას. ასეთად მან მიიჩნია პოსიდონიოსის (140—57 წწ. ძვ. წ.) ისტორია. ამის სამტკიცებლად ა. ბოლტუნოვამ ორი მთავარი არგუმენტი დაასახელა: 1) პოსიდონიოსი ხალხთა (ამ შემთხვევაში პართელთა — ვ. ვ.) ყოფითი სურათების ჩვენების გარდა იძლეოდა მათი სახელმწიფოებრივი ცხოვრების და კანონების აღწერას, რისთვისაც იყენებდა იმ ტერმინოლოგიას, რომელიც დამახასიათებელი იყო ელინისტური აზიისათვის; 2) ზოგიერთი გამოთქმა, რომლებიც საერთო აქვთ პოსიდონიოსსა და სტრაბონს. მაგ., პართელთა ყოფის აღწერას პოსიდონიოსი ასე ამთავრებს: „ἐξ ὧν ἀμφοῖν τοὺς βασιλέας καθίστασθαι“, ხოლო სტრაბონი იბერებზე ამბობს: „ἐξ οὗ τοὺς βασιλέας καθιστᾶσι“. ე. ი. შესაბამისად „რომელთაგან, ორივედან, მეფეებს სხამენო“ და „რომლისაგანაც მეფეებს სხამენ“. ამ ორ არგუმენტს ა. ბოლტუნოვა კიდევ იმას უმატებს, რომ პოსიდონიოსი სირიიდან, სელევკიანთა სახელმწიფოს უდიდესი ცენტრიდან აპამეიდან იყო და ამის გამო მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონოდა საქართველოს სინამდვილესთან. ყოველივე აქედან გამომდინარე ავტორი აკეთებს დასკვნას: იბერიის შესახებ ცნობები, რომლებიც ჰქონდა პოსიდონიოსს უნდა განეკუთვნებოდეს ძვ. წ. II-ს-ის 40—30-იან წლებს[12].

ადრე დასახელებულ ევროპელ მეცნიერთაგან განსხვავებით ეს წერილი

---

[7] И. Джавахов, Государственный строй древней Грузии и древней Армении, СПб, 1905, I, გვ. 9.

[8] საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX ს-ის დამდეგამდე, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1943, გვ. 67.

[9] ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე (რეცენზია), საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 369.

[10] იქვე, გვ. 373 (ხაზგასმა ავტორისაა).

[11] А. И Болтунова, Описание Иберии в «Географии» Страбона (XI, 3, 1—6), ВДИ, 1947, № 4.

[12] იქვე, გვ. 160.

არის პირველი, რომელშიც სტრაბონის „გეოგრაფიის" მე-6 პარაგრაფის წყაროს ძიებას იბერიის ისტორიით დაინტერესებული პირი აწარმოებს. „ამდენად, მისი (ა. ბოლტუნოვას — ვ. ვ.) მასალა და დაკვირვებები, თუ ბოლომდე სარწმუნო არ არის, მაინც საინტერესოა" — შენიშნავს თ. ყაუხჩიშვილი.[13]

თ. ყაუხჩიშვილი თავის შრომაში „სტრაბონის გეოგრაფია"... ვრცლად მიმოიხილავს სტრაბონის წყაროებს, მის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას, მაგრამ § 6-ის წყაროს საკითხს ღიად ტოვებს.

იბერიის სოციალური სტრუქტურის მომცველი ცნობის წყაროთმცოდნეობითი შესწავლა აწარმოა ოთ. ლორთქიფანიძემ[14]. იგი არ ეთანხმება ა. ბოლტუნოვას მოსაზრებას და აღნიშნავს: „ეს ორი ადგილი, მართლაც, ძალიან ჰგავს ერთმანეთს სტილისტურად და სინტაქსურადაც, მაგრამ, შესაძლოა, რომ სტრაბონმა ისესხა პოსიდონიუსისგან მხოლოდ გამოთქმა... ან თავისი საკუთარი სიტყვებით გადმოსცა პოსიდონიუსის ცნობა. გარდა ამისა, გვაქვს ტერმინოლოგიური განსხვავებაც".[15]. ოთ. ლორთქიფანიძე, თავის მხრივ, აყენებს ახალ ვარაუდს: „ჩვენი აზრით, სტრაბონის ცნობა იბერიის საზოგადოებრივი წყობის შესახებ ერატოსთენეს მეოხებით პატროკლედან მომდინარეობს, რის შესახებ პირდაპირი მითითება მოგვეპოვება სტრაბონისავე „გეოგრაფიაში" (XI, 2, 15). კავკასიის საერთო აღწერისას იგი პირდაპირ მიუთითებს ერატოსთენეზე, როგორც თავის წყაროზე. მკვლევარნი ერატოსთენეს თხზულებით სარგებლობის კვალს ხედავენ აგრეთვე XI, 3, 2 და XI, 2, 12-19-ში, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია სხვა ცნობა: დიდი სავაჭრო გზის აღწერისას, რომელიც მიემართებოდა ოქსოსის მიდამოებიდან კასპიის ზღვისაკენ და მტკვარ-ფაზისის გავლით შავი ზღვისაკენ, სტრაბონი ასახელებს არისტობულეს, რომელმაც, „ისევე როგორც ერატოსთენემ, ეს ცნობები აიღო პატროკლესაგან" (XI, 7, 3)... სავსებით სავარაუდებელია, რომ პატროკლეს ექსპედიცია აგროვებდა ცნობებს აგრეთვე იმ ხალხების შესახებ, რომელთა ქვეყანაზეც გადიოდა სავაჭრო გზები, მათ შორის იბერიის შესახებაც".[16]

შემდეგ ავტორი იბერიის სოციალური ვითარების არქაულობას ამტკიცებს, მოაქვს პარალელები ასირიის, მიკენის, სპარტის ყოფიდან და დაასკვნის, რომ ხელისუფლების ფუნქციების განაწილება, რასაც ადგილი აქვს იმდროინდელ იბერიაში „დამახასიათებელია სახელმწიფოებრივი აპარატის განვითარების ადრეული ეტაპისათვის".[17] ოთ. ლორთქიფანიძის აზრით, ეს ეპოქაა ფარნავაზიანთა დინასტიის დამკვიდრებისა ძვ. წ. III ს-ის 80-70-იან წწ[18], რაც თითქმის ემთხვევა პატროკლეს მოღვაწეობის ხანას. პატროკლე, როგორც ვიცით, სელევკოს ნიკატორის და მისი ვაჟის ანტიოქოსის დროს მართავდა კასპიის ზღვისპირა ოლქებს. მან ძვ. წ. III ს-ის 90-იან წლებში ნიკატორის დავალებით გამოიკვლია

[13] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 14.

[14] ოთ. ლორთქიფანიძე, სტრაბონის ცნობა იბერიის მოსახლეობის პირველი გენოსის შესახებ, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVIII, № 3, 1953.

[15] იქვე, გვ. 370—371.

[16] იქვე, გვ. 371.

[17] იქვე, გვ. 373.

[18] იქვე, გვ. 374.

აღნიშნული ტერიტორია ინდოეთთან სავაჭრო ურთიერთობის შესაძლებლობის შესწავლის მიზნით[19].

როგორც ვხედავთ, ოთ. ლორთქიფანიძის აზრით, სტრაბონის „გეოგრაფიის" XI, 3, 6-ის წყარო პატროკლეა და იგი ძვ. წ. III ს-ით თარიღდება.

1976 წელს გამოცემულ წიგნში „საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები" თ. ყაუხჩიშვილი კვლავ უბრუნდება სტრაბონის წყაროს საკითხს. იგი დიდ ნდობას უცხადებს XI, 3, 6-ში დაცულ ცნობას და აღნიშნავს: „რისი შემოწმების საშუალებაც გვაქვს, იქ სტრაბონი სწორი აღმოჩნდა (შემოსასვლელები იბერიაში, არმაზციხე, წიწამური: კრამიტიანი ნაგებობანი Ac.) რაღა საზოგადოების სტრუქტურის გადმოცემაში ცდება (ან ის, ან მისი წყარო)? მისი ცნობები სავარაუდოა. რომ აქაც სწორია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ გავიგოთ სწორად, თუ რომელ საზოგადოებას გვიხასიათებს, რა დროს აგვიწერს",[20] აქვე დასძენს, რომ „**ს ტ რ ა ბ ო ნ ი ს  წ ყ ა რ ო,  მ ა რ თ ლ ა ც,  გ ა ც ი ლ ე ბ ი თ  უ ფ რ ო  ა დ რ ი ნ დ ე ლ ი ა**, ვიდრე ის თვითონ ცხოვრობდა და შესაძლოა ვიდრე პოსეიდონიოსია, თუ პატროკლე[21]. აქაც. ისევე როგორც ადრე დასახელებულ შრომაში, ავტორი ერიდება სტრაბონის ცნობის პირველწყაროს დასახელებას. მაგრამ საყურადღებო ვარაუდს გამოთქვამს იმის შესახებ, რომ ეს წყარო უფრო ადრინდელი უნდა იყოს და მისი არსებობა უცილობლად სავარაუდებელია.

უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩვენთვის საინტერესო საკითხზე სხვა აზრი აღარ გამოთქმულა. მკვლევარნი, თავის შეხედულებისამებრ, ჩვენ მიერ მოტანილი დასკვნებიდან ერთ-ერთს იზიარებენ.

1980 წელს გამოვიდა ა. ნოვოსელცევის წიგნი «Генезис феодализма в странах Закавказья». ავტორი მე-2 პარაგრაფის — „იბერიის წოდებები სტრაბონის მიხედვით და ძველი ამიერკავკასიის არქაული საზოგადოებრივი წყობილების პრობლემა" — შესავალში იძლევა სტრაბონის ცნობის წყაროთმცოდნეობით ანალიზს. იგი არ ეთანხმება იმ შეხედულებებს, რომ §6-ის წყარო ძვ. წ. III—II სს-ით იქნეს დათარიღებული (ოთ. ლორთქიფანიძე, ა. ბოლტუნოვა), თუმცა თვლის, რომ იბერიის სოციალური ყოფის სურათი ფრიად არქაულის შთაბეჭდილებას ტოვებს. დასახელებულ შეხედულებებს ა. ნოვოსელცევი მცირედ შემაგრებულ ჰიპოთეზებად მიიჩნევს. ავტორის აზრით, სტრაბონის ცნობის ძირითადი საფუძველი პომპეუსის ლაშქრობის აღწერაა. დასკვნა ასეთია: ამგვარად, სრულიად დასაშვებია, რომ საზოგადოების არქაული დაყოფა „გენოსებად" იბერიაში ძვ. წ. I ს-ში არსებობდა, თუმცა მისი სათავე უეჭველად. უფრო ადრინდელ ხანას განეკუთვნება[22].

როგორც ვხედავთ, ა. ნოვოსელცევი ძირითადად ივ. ჯავახიშვილის და ს. ჯანაშიას აზრს იზიარებს და სტრაბონის „გეოგრაფიის" XI, 3,6-ის წყაროს ძვ. წ. I საუკუნისად თვლის.

---

[19] პატროკლის შესახებ ვრცლად იხ. G. G i s i n g e r, *Πατροκλῆς*, Pauly—Wissowa, Realenzyklopädie..., XVIII, 2263—2264.

[20] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 152.

[21] იქვე (ხაზგასმა ჩვენია — ვ. ვ.)

[22] А. П. Н о в о с е л ь ц е в, Генезис феодализма в странах Закавказья, М.. 1980, გვ. 107.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული ლიტერატურის საფუძველზე, ზემოდასახელებულ ავტორთა შეხედულებანი ოთხ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ:

1. „გეოგრაფიის“ XI, 3, 6-ის წყარო სტრაბონისდროინდელია ან სტრაბონისეული, ე. ი. ძვ. წ. I—ახ. წ. სს-სა—ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ა. ნოვოსელცევი; 2. აღნიშნული ადგილის წყარო პოსიდონიოსის „ისტორიიდან“ არის აღებული და განეკუთვნება ძვ. წ. II-ს-ის 40-30-იან წლებს — ა. ბოლტუნოვა: 3. იბერიის სოციალური სტრუქტურის შესახებ არსებული ცნობა მომდინარეობს პატროკლედან ერატოსთენეს გზით და თარიღდება ძვ. წ. III-ს-ის 80-70-იანი წლები—თთ. ლორთქიფანიძე: 4. „გეოგრაფიის“ XI, 3, 6 ის წყარო სტრაბონისდროინდელი არ არის, რომ ის გაცილებით ძველია, მაგრამ მისი ავტორი უცნობია და ამდენად, დათარიღებაც არ ხერხდება — ნ. ბერძენიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი.

ჩვენ საგანგებოდ არ ვჩერდებით ევროპელ მკვლევართა შეხედულებებზე, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უშუალოდ მე-6 §-ის წყაროებს არ სწავლობდნენ და მხოლოდ ზოგადად იძლეოდნენ XI წიგნის, ან მთლიანად გეოგრაფიის წყაროთა დაჯგუფებას. გარდა ამისა, მათი შეხედულებანი ყველა შემდგომდროინდელ მეცნიერთათვის იყო ცნობილი და, როგორც ჩვენც დავრწმუნდით, ისინი სამართლიანად არ იზიარებდნენ მათ აზრს.

საჭიროდ მიგვაჩნია გადავხედოთ მკლევართა მოსაზრებებს სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI, 3, 6-ის წყაროს შესახებ.

როგორც ვნახეთ, ავტორთა ერთი ნაწილი აღნიშნული ცნობის წყაროს სტრაბინისდროინდელად თვლის ან ეს ცნობა თვით სტრაბინისეულად მიაჩნია. ვფიქრობთ, ამ შეხედულებას მრავალი წინააღმდეგობა აქვს. გავიხსენოთ სტრაბონის თხზულების ჩვენთვის საინტერესო ადგილი: „ერთი და პირველი [გვარია], რომლისაგანაც მეფეებს სხამენ ახლობელი ნათესაობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს. მეორე მოსამართლეობს და სარდლობს“. გამოდის, რომ იბერები მეფეს სამეფო გვარში ახლობელ ნათესავთაგან უხუცესობის პრინციპით ირჩევენ[23], გარდა ამისა სამეფო გვარის მეორე წარმომადგენელი ფლობს ორ დიდ სახელოს—მართლმსაჯლებასა და მხედართმთავრობას, ე. ი. სამეფო ხელისუფლების ფუნქციები გაყოფილია მეფესა და ე. წ. „მეორე პირს“ შორის.[24] არსად, არც ერთ წყაროში მსგავსი ხასიათის ცნობა არ იძებნება. სტრაბონის ხანის იბერიის შესახებ მრავალი პარალელური მასალა მოგვეპოვება. რათა აღვადგინოთ იმდროინდელ ქართლში არსებული სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესი თუ მეფის ფუნქციები. პირველ რიგში ქართულ ორიგინალურ წყაროებს გადავხედოთ. ლეონტი მროველისათვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი ისეთი კონსერვატული წესის არსებობა, როგორიცაა მემკვიდრეობის, განსაკუთრებით სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესი. ამიტომაც მისთვის სავსებით ბუნებრივია სამეფო ხელისუფლების მამიდან შვილზე გადასვლა. როდესაც ასე ხდება, ლეონტი ყოველგვარი კომენტარის გარეშე აღნუსხავს ფაქტებს. მაგ., ფარნა-

---

[23] ციტირებული წინადადების ამგვარ ინტერპრეტაციას იზიარებს ყველა მკვლევარი. ჩვენი მოსაზრება იხ. წერილში „სტრაბონის „გეოგრაფიის“ ერთი ადგილის გაგებისათვის“, თსუ შრომები, ტ. 227, თბ., 1982.

[24] განსხვავებული აზრი აქვს ოთ. ლორთქიფანიძეს (იხ. მ ი ს ი, სტრაბონის ცნობა იბერიის მოსახლეობის პირველი გენოსის შესახებ).

ვაზის შემდგომ „ამის წილ მეფე იქმნა ძე მისი საურმაგ“.,[25] ან „და მოკუდა არტაგ და დაჯდა მის წილ ძე მისი ბარტომ,“[26] და მრავალი მისთანა.

როდესაც ხდება პირდაპირი მემკვიდრეობის წესის დარღვევა, ლეონტი მროველი წამსვე განმარტავს თუ რატომ მოხდა ეს. მაგ., მეოთხე მეფემ ფარნაჯომ „შეიყუარა სჯული სპარსთა..., ამისთვის მოიძულეს იგი მკჳდრთა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქუნდა კერპთა მიმართ. მაშინ შეითქუნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი და წარავლინეს მოციქული წინაშე სომეხთა მეფისა“ და მოსთხოვეს ქართლის მეფედ მისი ძე არშაკ[27]. საინტერესოა, რომ უძეოდ გადაგებულ მეორე მეფეს საურმაგის შემდეგ „მეფე იქმნა მის წილ შვილებული მისი მირვან“[28] და არა მის უახლეს ნათესავთაგან უხუცესი. ოცდამესამე მეფეს, ასფაგურს, „არა ესუა ძე, არამედ ასული ერთი“. მისი გარდაცვალების შემდეგ „შეკრბეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი“ და მაეჟან სპასპეტის რჩევით ითხოვეს სპარსთა მეფისაგან „ძე მისი მეფედ ჩუენდა, და ვევედრნეთ, რათა შერთოს ცოლად ძესა მისსა ასული მეფისა ჩუენისა ასფაგურისი“[29]. ამდაგვარი მაგალითებით სავსეა „ქართლის ცხოვრება“, რაც უეჭველად ადასტურებს ანტიკური ხანის იბერიაში სამეფო ტახტის მემკვიდრეობის პირდაპირი ხაზით გადასვლის წესის არსებობას.

გარდა ქართული მწერლობისა იბერიის მეფეთა უფლებებზე, აგრეთვე ტახტის მემკვიდრეობის წესზე საინტერესო ცნობები აქვთ დაცული ანტიკურ ავტორებს. ისინი განსაკუთრებით ძვირფასნი არიან იმიტომ, რომ მათი დათარიღება ეჭვს არ იწვევს.

ტაციტუსის (50—117 წწ. ახ. წ.) „ანალებში“ XII წიგნის 44-ე თავში, სადაც ლაპარაკია არმენებსა და იბერებს შორის ამტყდარ ომზე (ახ. წ. 51 წ.) ნათქვამია, რომ „იბერებზე ფარსმანი მეფობდა მამაპაპური უფლებით“[30]. ვფიქრობთ, ეს ცნობა კომენტარს არ საჭიროებს.

აპიანე (ახ. წ. II ს.) იბერიის მეფე არტაგს (ტექსტში არტოკე — ც. ვ) ხატავს როგორც სუვერენულ ხელისუფალს, ნამდვილ მონარქს. აპიანე აღნიშნავს, რომ პომპეუსს ზოგიერთი ტომი თავისუფლად ატარებდა თავის ტერიტორიაზე, ხოლო ოროძზე კი, ალბანთა მეფე და არტოკე, იბერთა მეფე 70000 [კაცით] ჩაუსაფრდნენ მას მდინარე კირნოსთან“[31] (მტკვართან — ც. ვ). აქ სრულიად გარკვევით ჩანს, რომ არტაგი თავად მხედართმთავრობს იბერთა ჯარს. სტრაბონის ცნობით კი სარდლობა „მეორე პირის“ ხელშია. იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ პომპეუსის ტრიუმფის დროს მოჰქონდათ ფირფიტა, რომელზეც ეწერა: „...ძლეულნი არიან მეფეები: ტიგრანე არმენიელი, არტოკე იბერი, ოროძზე ალბანი, დარიოს მიდიელი...“[32] ვფიქრობთ, ასევე მრავლისმეტყველია არტა-

---

[25] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 26.

[26] იქვე, გვ. 30.

[27] იქვე, გვ. 29.

[28] იქვე, გვ. 27.

[29] იქვე, გვ.. 62—63.

[30] ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებითურთ გამოსცა ალ. გამყრელიძემ, თბ., 1973, გვ. 71.

[31] ა პ ი ა ნ ე, მითრიდატეს ომების ისტორია, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1959, გვ. 199.

[32] იქვე, გვ. 226.

გის მეფედ მოხსენიება არმენიის და მიდიის მეფეთა გვერდით, რომელთა მონარქიული უფლებები ან სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესი ეჭვს არ იწვევს.

დიონ კასიუსი (153—235 წწ.) თავის „რომის ისტორიაში“ არაერთხელ იხსენიებს იბერიას და მის მეფე არტაგს (ტექსტში არტოკე—ე. ე.). XXXVII, 2-ში არის ასეთი ცნობა: „პომპეუსმა მიიღო ძღვენი, რათა ის (არტოკე—ნ. ლომოური) ზავზე დაიმედებული არ წასულიყო სადმე უფრო შორს, მაგრამ დაზავებაზე უარს ეუბნებოდა, სანამ ის წინასწარ არ გამოუგზავნიდა თავის შვილებს მძევლად.“[33] ამ ფაქტზე თავის დროზე ყურადღება გაამახვილეს ს. ჯანაშიამ, ნ. ლომოურმა, თ. ყაუხჩიშვილმა და სამართლიანად აღნიშნეს, რომ ივი არტაგის მონარქიულ უფლებებზე მიუთითებს, რადგან პომპეუსი მძევლებად სწორედ მეფის შვილებს, ტახტის მემკვიდრეებს, თხოულობს და არა სხვას ვისმე.

ამავე საკითხზე უნიკალურ ცნობებს გვაწვდიან ეპიგრაფიკული ძეგლები. მათ შორის ძალზე საინტერესოა ე. წ. ვესპასიანეს წარწერა (ახ. წ. 75.), რომელიც 1867 წელს იქნა აღმოჩენილი მცხეთასთან ახლოს. წარწერაში იხსენიება იბერთა მეფე მითრიდატე, „მეფე ფარსმანისა და ამაზასპუჰის ძე“[34]. ე. ი. გამოდის, რომ მითრიდატეს იბერიის სამეფო ტახტი მამისაგან მიუღია მემკვიდრეობის პირდაპირი ხაზით.

სერაფიტის ეპიტაფიაში, რომელიც დაახლოებით II—III სს-ით თარიღდება, გვხვდება, ჩვენი აზრით. ფრიად საინტერესო ცნობა, რომელიც არაპირდაპირი ჩვენებით კიდევ ერთხელ ადასტურებს იბერიაში მემკვიდრეობის პირდაპირი ხაზის არსებობას. აქ ნათქვამია, რომ სერაფიტი იყო მეუღლე ეზოსმოძღვარ იოდმანგანისა, რომელიც, თავის მხრივ, იყო ეზოსმოძღვარ პუბლიკიოს აგრიპას ვაჟი[35]. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თანამდებობის გადაცემის მემკვიდრეობის პრინციპი, რომელიც დადასტურებულია II—III სს-ის იბერიაში, გვიმოდგება იმის სამტკიცებლად, რომ მას დიდი ხნით წინ უსწრებდა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის პირდაპირი ხაზის არსებობის წესი

როგორც ვხედავთ, ქართული სინამდვილისათვის საერთოდ უცხოა უხუცესობის პრინციპზე აგებული მემკვიდრეობის წესის არსებობა, მით უმეტეს ძვ. და ახ. წ-აღრიცხვის მიჯნაზე, როცა არსებული წყაროებით კარგად შეიძლება იმდროინდელი ვითარების აღდგენა. ჩვენ საგანგებოდ არ კავამახვილეთ ყურადღება სამეფო ხელისუფლების გაყოფაზე, რომელიც სტრაბონის ცნობიდან გამომდინარეობს, რადგან ვიზიარებთ ოთ. ლორთქიფანიძის შეხედულებას ამ საკითხზე.

ამგვარად, ყველა წყარო, ნარატიული ((ქართული, ბერძნულ-ლათინური), თუ ეპიგრაფიკული, ნათლად აჩვენებს, რომ „გეოგრაფიის“ IX, 3, 6-ში დაცული ცნობა სტრაბონისდროინდელი კი არა, არამედ უფრო ადრინდელი უნდა იყოს.

როგორც ზემოთ ვთქვით, ა. ბოლტუნოვამ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ჩვენთვის საინტერესო ადგილის წყაროდ პირველმა დაასახელა პოსიდონიოსის „ისტორია“ და ამ მოსაზრებას ორი მთავარი არგუმენტით ამაგრებდა. რაც შეეხება პირ-

---

[33] დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო ნ. ლომოურმა, თბ., 1966, გვ. 61.

[34] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა, თბ., 1958, გვ. 14

[35] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არმაზის ბილინგვა, ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1943, გვ. 16—17.

ველს, რომ პოსიდონიოსი თავის თხზულებაში ხალხთა ეთნოგრაფიის გარდა სახელმწიფოებრივი წყობისა და კანონების აღწერასაც იძლეოდა და ამით სტრაბონს წაავავს, ჩვენ იგი დამაჯერებლად არ გვეჩვენება. ძველი ბერძნული საისტორიო მწერლობისათვის უცხო არ არის ამა თუ იმ ხალხის სოციალური და სახელმწიფოებრივი ვითარების მომცველი სურათების აღწერა. ბევრ ასეთ ავტორს სტრაბონი კარგად იცნობს და იყენებს კიდეც მათ ცნობებს თავს „გეოგრაფიაში". მაგ., „გეოგრაფიის" I,3, 1; II, 4, 2 და VII, 3, 6-პარაგრაფებში სტრაბონი იხსენიებს ევემეროსს (IV—III სს. ძვ. წ.), რომელსაც მოეპოვება არაბეთის მოსახლეობის აღწერა[36]. ეფოროსი (დაახლ. 405—330 წწ. ძვ. წ.), რომელსაც სტრაბონი X. 4, 19-ში ასახელებს, იხსენიებს კრეტაში ლიკურგოსის გამეფების ფაქტს და სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ძალზე საინტერესო წესს[37]. ინდოეთის სოციალური ვითარების აღწერისას — XV,I, 39—49. სტრაბონი მთლიანად ემყარება მეგასთენეს (ძვ. წ. IV ს-ის დასასრულის III ს-ის დასაწყ.) ცნობებს და მეფეთა დასმის წესსაც ვრცლად გვამცნობს[38].

ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ პოსიდონიოსიც ერთ-ერთ მათგანად მივიჩნიოთ, ვისი ცნობებითაც სტრაბონი სარგებლობდა „გეოგრაფიის" წერისას, კერძოდ პართელთა ყოფის გადმოცემისას (XI, 9,3).

რაც შეეხება ა. ბოლტუნოვას მტკიცების მეორე არგუმენტს, ეს არის ფრაზეოლოგიური მსგავსება პოსიდონიოსის და სტრაბონისა იქ, სადაც მეფეთა დასმა-დაყენებაზეა ლაპარაკი. ჯერ კიდევ ოთ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ შესაძლოა სტრაბონმა „თავისი საკუთარი სიტყვებით გადმოსცა პოსიდონიოსის ცნობა", ან „სტრაბონმა ისესხა პოსიდონიუსისგან მხოლოდ გამოთქმა".[39] ამ მოსაზრების შესამოწმებლად განვიხილოთ სხვა ბერძენ ავტორთა მსგავსი ცნობები.

ძვ. წ. V ს-ის ავტორი თუკიდიდე თავის „ისტორიაში" (V, 16), სადაც ლაპარაკი აქვს, ლაკედემონელებზე ამბობს: ლაკედემონელები „τοὺς βασιλέας καθίσταντο"[40] (ე. ი. ლაკედემონელები სხამდნენ ან აყენებდნენ მეფეებს).

მეგასთენეს ჩვენამდე მოღწეულ ერთ-ერთ ფრაგმენტში, რომელიც ინდოეთს ეხება, ნათქვამია: „καθίστασθαι Ἰνδοῖσι βασιλέας"[41] (სვამდნენ ინდოელებთან მეფეებს). ძვ. წ. II ს-ის ავტორს ბიონს აქვს ასეთი ფრაზა: „Καθίστων δὲ καὶ πολλοὶ τοὺς καλλίστους βασιλέας"[42] (მრავალნი აყენებენ ულამაზეს მეფეებს).

უნდა შევნიშნოთ, რომ ტერმინები „βασιλεύς" და „καθίστημι" ძალზე გავრცელებული სიტყვებია: „βασιλεύς" სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ცნებას ასახავდა ხალხის წინამძღოლიდან, ბელადიდან დაწყებული მეფით გათავებული[43]. „κα-

[36] Die Fragmente der griechishen Historiker, von Felix Iacoby. Erste teil. Berlin. 1923, გვ. 306—308, № 3.

[37] იქვე, გვ. 37—109.

[38] Fragmenta Historicorum Graecorum, Car. et Theod. Mülleri, vol. secundum, Parisiis, MDCCCLXXVI, გვ. 427—428.

[39] ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 370—371.

[40] Θουκυδίδης, Thucydidis de Bello Peloponnesiaco, Libri octo, curanit Georg Aenotheus Koch, Lipsiae, MDCCCXLV, გვ. 420.

[41] Fragmenta..... II, გვ. 418 (Arrianus Ind. c. 8).

[42] Fragmenta..., IV, გვ. 351, № 4.

[43] ამ ტერმინის შესახებ იხ. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია..., გვ. 37—48.

ἵστημι" ზმნაა და აქვს შემდეგი მნიშვნელობები: დაყენება, დასმა და სხვ. როგორც ვნახეთ, ამ ორ ტერმინს იყენებენ არა მხოლოდ პოსიდონიოსი და სტრაბონი, არამედ თუკიდიდე, მეგასთენე, ბიონი და სხვანი. იგივე ზმნა გამოიყენებოდა არამარტო მეფის, არამედ აგრეთვე სხვა, ხელისუფლების მქონე პირის, დასმა-დაყენების შემთხვევაშიც. მაგ., V ს -ის ისტორიკოსის ოლიმპიოდოროსის ჩვენამდე მოღწეულ ერთ-ერთ ფრაგმენტში, სადაც ლაპარაკია გოთების წინამძღოლის დაყენებაზე, ნათქვამია: „Ἡγεμὼν δὲ τῶν Γότθων Οὐαλίας καθίσταται"[44] (გოთების ჰეგემონად ვალიასი დააყენეს).

ამგვარად, მოყვანილი მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ ბერძენ ავტორთაგან, ვისაც კი სჭირდებოდა „მეფის დასმაზე" ლაპარაკი, ის ამ გამოთქმას გვერდს ვერ აუვლიდა. ამიტომ პოსიდონიოსისა და სტრაბონის ტექსტების ზემოთ მოტანილი ადგილების მხოლოდ ფრაზეოლოგიური მსგავსებით იმის მტკიცება, რომ „გეოგრაფიის" XI, 3,6-ის წყაროდ პოსიდონიოსის „ისტორია" უნდა მივიჩნიოთ, დამაჯერებელი არ ჩანს.

როგორც ვნახეთ, ოთ. ლორთქიფანიძემ სტრაბონის წყაროდ მიიჩნია პატროკლე (ერატოსთენეს გზით). მკვლევარი აცხადებს: ეს რომ ასეა „პირდაპირი მითითება მოგვეპოვება სტრაბონისავე „გეოგრაფიაში" (XI, 2,15)[45] „გეოგრაფიის" აღნიშნულ ადგილას ლაპარაკია კავკასიონის ქედის შესახებ და ნათქვამია: „ერატოსთენე ამბობს, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ კავკასიონი იწოდება კასპიად",[46] ჩვენი აზრით, ეს ფრაზა იმის დასტურად გამოდგება, რომ კავკასიის აღწერისას სტრაბონი ერატოსთენესაც ემყარება (ისევე, როგორც მითრიდატეს ისტორიკოსებს და სხვ.) და არა იმისთვის, რომ პატროკლეა სტრაბონის წყარო იბერიის სოციალური სტრუქტურის აღწერისას. ვფიქრობთ, ამის სამტკიცებლად უეჭველ საბუთად არც ის გამოდგება, რომ პატროკლე სელევკოს ნიკატორის და მისი ვაჟის ანტიოქოსის დროს კასპიისპირა ოლქებს განაგებდა და გამოიკვლია კიდეც ეს ტერიტორია. ჩვენ სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია პატროკლეს ან პოსიდონიოსის სტრაბონის „გეოგრაფიის" XI, 3,6-ის წყაროდ აღიარება, მაგრამ არა ამ მცირედი არგუმენტების მოტანით.

პატროკლეს სულ შვიდი ფრაგმენტია ჩვენამდე მოღწეული[47] და ყველა სტრაბონის „გეოგრაფიაშია" დაცული. სხვა ბერძენი ავტორები არავითარ ცნობებს არ იძლევიან პატროკლეს შესახებ. სტრაბონი თავის თხზულებაში პატროკლეს ახსენებს კავკასიის, არმენიის, პონტოს, ალბანეთის, კასპიის ზღვის აღწერისას და იმოწმებს მას. ასეთ კონტექსტში ლოგიკური იქნებოდა დაესახელებინა ის იბერიის აღწერის შემთხვევაშიც. ჩვენ დავინტერესდით თუ რა სახის ცნობები აქვს პატროკლეს ჩვენამდე მოღწეულ იმ შვიდ ფრაგმენტში. გამოირკვა, რომ დაცული ცნობები მხოლოდ და მხოლოდ გეოგრაფიული ხასიათისაა და არაფერი აქვს საერთო იმ სოციალურ სურათთან, რომელიც „გეოგრაფიის" XI, 3,6-შია მოცემული.

ოთ. ლორთქიფანიძის უმთავრესი არგუმენტი პატროკლეს სტრაბონის XI, 3,6-ის წყაროდ გამოცხადებისას ისაა, რომ იბერიის სოციალური ვითარება არქაულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ პატივცემული

---

[44] Fragmenta..., IV, გვ. 63, № 28.
[45] ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 371.
[46] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია...., გვ 121.
[47] Fragmenta........, II, გვ. 442—444.

მკლევრის ამ აზრს, მაგრამ სტრაბონის თხზულების აღნიშნული ადგილის წყაროდ პატროკლეს დაბეჯითებით დასახელებისათვის საფუძველს ვერ ვხედავთ. თუმცა შესაძლებელია, რომ „გეოგრაფიაში“ დაცული ცნობით იბერიაში არსებული სოციალური ვითარება ქრონოლოგიურად ახლოს იდგეს პატროკლეს ხანასთან (ძვ. წ. III ს.).

დაბოლოს, გვინდა გავიზიაროთ იმ მეცნიერთა შეხედულება, რომლებიც სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI, 3,6-ში დაცული ცნობის წყაროს არსებობას უდავოდ აღიარებენ და უფრო ძველად მიიჩნევენ ვიდრე თვით სტრაბონი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, მაგრამ მასალათა უკმარისობის გამო ვერ ასახელებენ მას[48].

ვფიქრობთ, მათი აზრი კიდევ უფრო მტკიცდება ჩვენი მსჯელობით. ცოდნის ამ ეტაპზე, როცა მხოლოდ კ. მიულერის და ფ. იაკობის ფრაგმენტებით ვეცნობით ბერძენ ისტორიკოსთა შრომებს, საფუძველი არ არსებობს სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI, 3,6-ის წყაროს გამოვლენისა. ყველა მოსაზრება მეტად თუ ნაკლებად დასაბუთებული ვარაუდის ფარგლებში რჩება.

В. В. ВАШАКИДЗЕ

## К ВОПРОСУ ОБ ИСТОЧНИКЕ XI, 3,6 «ГЕОГРАФИИ» СТРАБОНА

**Резюме**

Научным исследованием источников «Географии» Страбона занимались еще в прошлом веке (К. И. Нойманн, К. Ф. Арнольд, М. Дюбуа).

В начале XX в. Э. Хонигманн, М. Ростовцев и другие исследователи имели интересные соображения об источниках сочинения, но, естественно, они не интересовались конкретно XI, 3, 6 «Географии». Данный параграф занимает ученых, непосредственно изучающих историю древней Иберии (Картли).

Об источнике XI, 3, 6 «Географии» в советской историографии имеется несколько мнений.

1. Упомянутый параграф принадлежит самому Страбону или эпохе Страбона (И. Джавахишвили, С. Джанашия, А. Новосельцев).

2. Источник данного места из «Географии» Страбона — «История» Посидония, датируемая 40—30 годами II в. до н. э. (А. Болтунова).

3. Источник XI, 3, 6 «Географии» — Патрокл, 80—70 гг. III в. до н. э. (О. Лордкипанидзе).

4. Источник исследуемого параграфа «Географии» Страбона несомненно существует, и он датируется более ранним временем, чем создание самой «Географии». Из-за скудности дошедших сведений автор источника не уточняется (Н. Бердзенишвили, Т. Каухчишвили).

Специальное изучение нами источников «Географии» Страбона дает основание в основном согласиться с этим последним мнением.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

[48] იხ. ნ. ბერძენიშვილისა და თ. ყაუხჩიშვილის დასახელებული შრომები.

# პ უ ბ ლ ი კ ა ც ი ა

ნოდარ შენგელია

## ოსმალური საფინანსო დოკუმენტები XVIII საუკუნის პირველი მესამედის ქუთაისის ციხის შესახებ

XVIII ს-ის პირველ მეოთხედში აღმოსავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის დამყარებასთან ერთად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა დასავლეთ საქართველოც. 1723 წლისათვის ოსმალებმა ხელთ იგდეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ციხეები და საქართველო ზღვას მოსწყვიტეს. ოსმალთა სამხედრო გარნიზონები გაბატონდა ბათუმში, გონიოში, ციხისძირში, ქობულეთში, ფოთში, სოხუმში, ანაკლიასა და სხვ. ოსმალთა ხელისუფლების მიერ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ქალაქებში სამხედრო ძალების ჩაყენებასთან ერთად ხდებოდა მათ მიერ ქვეყნის შიდა ტერიტორიების „ათვისებაც“. ოსმალთა შეიარაღებული ძალები ქვეყნის შიგნითაც ადვილად ახერხებდნენ ექსპედიციების მოწყობას. ამ პერიოდში ოსმალთა სხვადასხვა სახეობის ლაშქარს ეკავა რუხის, ცუცხვათის, შორაპნის, ბაღდადისა და ქუთაისის ციხეები. ქვეყნის შიგნით ცალკეულ ციხესიმაგრეში ოსმალთა შეიარაღებული ძალების ჩაყენებით სულთნის ხელისუფლება ცდილობდა დაპირისპირებოდა ადგილობრივ მთავრობას, მოეშალა იგი, გაბატონებულიყო და შეექმნა პირობები ქვეყნის გაოსმალებისათვის.

მართალია, ოსმალეთმა ვერ მოახერხა დასავლეთ საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების ინკორპორაცია, ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დამკვიდრება, მაგრამ მისი დაუღალავი მცდელობის შედეგად ადგილობრივი ხელისუფლების მეთაურები ნომინალურად მაინც ხდებოდნენ სულთნის მორჩილები და გარკვეული ვალდებულებებით იყვნენ მასთან დაკავშირებული. თუმცა ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში ახერხებდნენ ამა თუ იმ ვალდებულებისაგან თავის დაღწევას. ოსმალეთი კი დაჟინებით ცდილობდა ადგილობრივი ხელისუფლების დამორჩილებას, საამისოდ თავის შეიარაღებულ ძალებს ქვეყნის შიგნით არსებულ ციხესიმაგრეებში აყენებდა და პოზიციებს იმაგრებდა. ქვემოთ მოტანილი დოკუმენტები ამის უტყუარი დადასტურებაა.

ბულგარეთში, ქ. სოფიის კირილე და მეთოდეს სახელობის სახალხო ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის სექტორის არქივში ბოლო ხანებში აღმოჩნდა უამრავი თურქული დოკუმენტი საქართველოს შესახებ. მათ შორის ბევრია დასავლეთ საქართველოს ცალკეულ ციხესიმაგრეში ოსმალთა ლაშქრის საქმიანობის ამსახველი მასალა. ამ ფონდიდან ჩვენ ქვემოთ ნიმუშის სახით ვაქვეყნებთ რამდენიმე ოსმალურ საფინანსო დოკუმენტს — ე. წ. „სებები თაჰრირი ჰუქმი“-ს (სიტყვასიტყვით: „განჩინების დაწერის მიზეზი“), რომელიც მხოლოდ ქუთაისის ციხეში მოკალათებულ ოსმალთა სხვადასხვა სახის ლაშქრის დაფინანსების საკითხებს შეეხება. ამავე არქივში დიდი რაოდენობით ინახება ტიპიური დოკუმენტები როგორც ქუთაისის ციხის, ასევე მთელი საქართველოს ციხესიმაგრეების შესახებ.

ოსმალური საფინანსო დოკუმენტი, რომელსაც „განჩინების დაწერის მიზეზი“ ან „თუღრიანი განჩინების დაწერის მიზეზი“ ეწოდება, ფართოდ იყო გავრცელებული ოსმალეთის საფინანსო პრაქტიკაში, იგი ცენტრალური ხელისუფლების მიერ იყო გაცემული გარკვეული ტერიტორიების მფლობელი პირებისადმი, რომელთაც ეძლეოდათ დავალება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში გაეღოთ თანხები ოსმალთა სხვადასხვა ტიპის ლაშქრის შესანახად. რომლებიც იმპერიის ცალკეულ ციხესიმაგრეში იყვნენ ჩაყენებულნი და თავიანთ სამსახურს ასრულებდნენ.

ამ ტიპის დოკუმენტის გაფორმება, მომზადება და გაცემა ხდებოდა საფინანსო უწყების რამდენიმე განყოფილებაში ერთდროულად. იგი იწერებოდა დივანის ხელით, შავი მელნით, ზომა იყო: 20-25×50-60 სმ. საბუთის ზემოთ, შუაში აღნიშნული იყო هو — ერთგვარი ლოცვა — „ის(ალაჰი) შეეწიოს“. შემდეგ დასმული იყო სულთნის მონოგრამა — თუღრა. ქვემოთ მოტანილი დოკუმენტების მიხედვით თუღრა ეკუთვნის ოსმალო სულთანს აჰმედ III (1703—1730), კერძოდ მასში ნათქვამია: „აჰმედ შაჰი მეჰმედ ხანის ძე, მუდამ გამარჯვებული“. ეს ფრაზა ერთგვარი ფორმულაა, რომელიც ყველა თუღრაშია ჩაწერილი. მხოლოდ სულთნის სახელი იცვლება. ოსმანისტიკაში ცნობილია ყველა ოსმალო სულთნის თუღრა, ამიტომ მისი წაკითხვა სიძნელეს არ წარმოადგენს. დოკუმენტის პირველი სტრიქონი იწყება თითქმის ბოლომდე მიყვანილი გრძელი ხაზით, რომელიც „სინ“-ს— س— აღნიშნავს. ესაა ფორმულა, რომლითაც იწყება დოკუმენტი: „უმაღლესი სამეუფეო დოკუმენტის დაწერის მიზეზი ისაა, რომ“... ეს ფორმულა ჩვეულებრივ პირველ სტრიქონზე იწერება. ზოგჯერ იგი მცირეოდენ ცვლილებას განიცდის: „უმაღლესი სამეუფეო ბრძანების (განჩინების) დაწერის მიზეზი ისაა, რომ“...

შემდეგ საბუთში დასახელებულია პირი, რომელსაც ეძლევა ეს ფისკალური დოკუმენტი. ამ შემთხვევაში იგი ეძლევა ვინმე ქესქინ ისმაილს, რომელმაც იკისრა დოკუმენტში აღნიშნული ვალდებულება და მიიღო გარკვეული პირობით მუკატაა ან მალიქანე: „უდიდებულესთა და უწარჩინებულესთა შორის უპირველესმა ქესქინ ისმაილმა, იმატოს მისმა დიდებულებამ“. დოკუმენტის მიმღები პირისათვის აღნიშნული ეპითეტი სტანდარტული ფორმულაა. ზოგჯერ დოკუმენტის მიმღები პირის სახელი არაა აღნიშნული, მაგრამ მის ჩასაწერად ადგილი დატოვებულია. იგი იწყება სიტყვებით: „...ვალდებულიბიდან“. შემდეგ მითითებულია თუ როდის იკისრა ამა თუ იმ პირმა ვალდებულება. აქვეა მოცემული ადგილმდებარეობა და სახელწოდება იმ შემოსავლიანი მიწის ნაკვეთისა, რომლისადმი გაწერილი თანხა ან გადასახადი აქვეა მითითებული. აღნიშნულია თუ ვისთვისაა ეს თანხა გადაკვეთილი.

საბუთში ზუსტადაა მითითებული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც განსაზღვრული თანხა უნდა გაეღო ამა თუ იმ გაცემული დოკუმენტის მფლობელს. ხაზგასმულია რომელი წლის რომელი თვიდან სანამდე ემართა ვალდებულების გაღება და რა სახით. თუ ნატურით იყო გადასახადი მითითებული, იქვე დაანგარიშებული იყო თითოეული ქილა მარცვლის ღირებულება, ბოლოს დაჯამებული იყო პროდუქტების საერთო რაოდენობის ფულადი თანხა რას შეადგენდა. ჩანს, რომ საფინანსო უწყებას ზუსტად ჰქონდა დაანგარიშებული თითოეული ქილა მარცვლეულის ფასი და ამ დოკუმენტის პატრონს შეეძლო იგი სურვილისამებრ ნატურით ან ნაღდი ანგარიშით გადაეხადა. აქვე

მოცემულია ამ თანხის ოდენობა სხვადასხვა მონეტის ღირებულების მიხედვით.

ვალდებული პირის გადასახდელი თანხის ზუსტად განსაზღვრის შემდეგ დოკუმენტში მოცემულია სტანდარტული ფორმულა იმის შესახებ თუ როდისაა იგი რეგისტრირებული და ვის მიერაა ფიქსირებული.

დოკუმენტის ბოლოს დასმულია დოკუმენტის შედგენის თარიღი — თვე და რიცხვი, მითითებულია ადგილი სადაც დაიწერა დოკუმენტი. თარიღი უმეტეს შემთხვევაში არაბული ასოებითაა მიწერილი სხვა ხელით.

მეორე გვერდზე დოკუმენტს თალიკის ხელით მიწერილი აქვს ვრცელი ტექსტი, რომელშიც ზუსტადაა გადმოცემული ის ვალდებულება, რომელიც დოკუმენტშია მოცემული. ზედა ნაწილში მიწერილია სტანდარტული ფორმულა: „საქმე ისეა, როგორც აქაა მოთხრობილი. გადაწერა მისმა (ალაჰის) — მასზე იყოს პატივი და დიდება — გლახაკმა აჰმედმა, თორულის კაზას ყადიმ, ჰალილმა, შეუნდოს ალაჰმა“ (ბეჭედი).

ამ ფორმულისა და ბეჭდის ზემოთ ზოგჯერ მიწერილია თუ რომელ ციხეს ეხება ეს დოკუმენტი და რა ოდენობის პროდუქტი ან მისი შესაბამისი თანხაა გადაკვეთილი მასში მოკალათებული გარკვეული სახეობის ოსმალთა ლაშქრის შესანახად. ან მოკლედაა მითითებული რომელიმე ციხისათვის განკუთვნილი თანხის რაოდენობა და სხვ.

მთავარი ტექსტი ისევ დაგრძელებული „სინით“ იწყება, რომელსაც მოსდევს შემდეგი შინაარსის ტექსტი: „ამ განჩინების დაწერის მიზეზი ისაა, რომ...“ შემდეგ აღნიშნულია, რომ ამ დოკუმენტის გაცემის მიზეზი სასულთნო ბრძანებაშია ჩაწერილი და თითქმის გადმოცემულია ძირითადი ტექსტის შინაარსი. აღნიშნულია, რომ დოკუმენტში მოცემული თანხა მიღებულია შარიათის კანონების დაცვით და მის საფუძველზე ვექილმა სასამართლოს ამის შესახებ მოახსენა. დოკუმენტში საგანგებოდაა მითითებული, რომ იმ ტერიტორიების ემინმა, რომელზედაც იყო გაწერილი თანხები, და სხვა თანამდებობის პირებმა საგანგებოდ აღიარეს სადაც ჯერ არს, რომ ვალდებულება მთლიანად შესრულებულია და ამ დოკუმენტის ადრესატს სახელმწიფოსთან ანგარიში გასწორებული აქვს, ის თანხა, რაც დოკუმენტის ძირითად ნაწილში იყო მოცემული და რომლის გადახდა გარკვეულ დროში ევალებოდა ამა თუ იმ პირს, გადახდილია.

ბოლოს მოცემულია სტანდარტული ფრაზა: „შემდეგ მომხდარი ამბავი მოთხოვნილებისამებრ იქნეს ამოწერილი“. აქვე მითითებულია თარიღაც. ზოგჯერ თარიღს ახლავს ეპითეტიც. ასე მაგალითად, „დაიწერა ჯემაზი ულ-ახირის მეორე დღეს, წელი 1133, ყოვლის შემძლისა და სამართლიანის — ალაჰის ჰიჯრისას“.

თარიღის ქვემოთ ჩამოთვლილია საქმის მოწმე პირები. უფრო ქვემოთ კი მიწერილია: „სალიანე“. ე. ი. იგულისხმებოდა, რომ დოკუმენტში გარკვეული ვადით რომელიმე პირისადმი მიწერილი ვალდებულებანი იყო სალიანე, ე. ი. ერთდროული ვალდებულება-გადასახადი.

ბოლოს დოკუმენტს ახლავს ბაშ-დევთერდარის ხელრთვა — „კუირუკლუ იმზა“. ყველა ბაშ-დევთერდარს თავისი ხელრთვა ჰქონდა. ამ თანამდებობაზე ხშირად იცვლებოდნენ პირები. ამ ხელრთვის ამოკითხვა ძალიან ძნელია. ოსმანისტიკაში თითქმის ყველა ბაშ-დევთერდარის ხელრთვა დადგენილია და ცნობილია მათი ნამდვილი სახელები და მოღვაწეობის წლები.

ასეთია მოკლედ კონსტრუქცია და ფუნქციები ოსმალური საფინანსო უწყების მიერ გაცემული ერთ-ერთი ტიპიური დოკუმენტის ე. წ. „სებები თაჰრირი ჰუქმისა“, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ოსმალეთის იმპერიაში, მაგრამ ჩვენს არქივსაცავებში დღემდე არ ყოფილა მოძიებული. ამ ტიპის დოკუმენტების საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა აღმოჩნდა ჩვენს ხელთ, რომელიც საქართველოსა და ამიერკავკასიის ცალკეულ ციხესიმაგრეებსა და ქალაქებში განლაგებული ოსმალთა შეიარაღებული ძალების ახვადასხვა სახეობათა შესანახად იყო გაცემული. ამ ტიპის დოკუმენტების გულდასმით შესწავლა, თარგმნა-კომენტირება და გამომზეურება არაერთ საკითხზე მოგვცემს სრულიად ორიგინალურ და საინტერესო ინფორმაციას.

ქვემოთ მოტანილი დოკუმენტები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ქუთაისის ციხეში ოსმალთა ლაშქრის ცალკეული სახეობის, მათი რაოდენობის, შეიარაღებისა და განლაგების შესახებ. ბულგარეთის არქივში დაცული მსგავსი დოკუმენტების ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა ხელს შეუწყობს სხვადასხვა პერიოდში დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რეგიონებში ოსმალთა ბატონობისა და მათი ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის უკეთ შესწავლის საქმეს.

№ 1

1720—1721 წ. დოკუმენტი ქუთაისის ციხის მცველების — ჯებეჯიების დაფინანსების შესახებ. თეთრი ქაღალდი, ზოგან გაყვითლებული, შავი მელანი. ზომა: 24×66.6 სმ. შიფრი: НБКМ. ფონდი 1. არქ: ერთ: 20504: ფ. 4:

احمد شاه بن محمد خان المظفر دائما

(١) سبب تحرير توقيع رفيع همايون اولدركه (٢) قدوة الاماجد والاعيان كسكين اسماعيل زيد مجده تحويلندن بيك يوز اوتوز ايكى سنه‌سنه محسوب اولمق اوزره مرقومك (٣) عهده‌سنده اولان چانحه نام ديكر كمشحانه مع لواء اسپر حاصلرى و توابعى مقاطعاتى اقچه‌لرندن حاليا سرحد منصوره‌مده (٤) كوتاتس قلعه‌سى محافظه‌سنده اولان اللى نفر در كاه معلم جبه‌جيلرينك يوميه‌لرى اوچيوز طقسان يدى اقچه (٥) اولمق اوزره مزبورلرك مستحق اولدقلرى اشبو بيك‌يوز اوتوز اوچ سنه‌سى مصر ورجج و رشن (٦) ولذى مواجبلرى مقررلرى اقچه‌لرى ايچون بيك‌يوز اوتوز ايكى سنه‌سى ذكر اولنان چانحه نام ديكر كمشحانه مع محصول (٧) لوا اسپرو توابعى مقاطعاتى مالندن تعيين اولنان يوز اوچ بيك‌طقوز يوز يكرمى يدى اقچه و تفاوت‌حسنه و غروشدن (٨) بيك درتيوز يتمش‌بش اقچه كى‌جمعا يوز بش‌بيك درتيوز ايكى اقچه اولور بهر غروشيز يكرميشر اقچه‌يه اولمق (٩) اوزره بحساب اسدى يالكز سكز يوز يتمش‌سكز اسدى غروش ايله اون‌درت عدد مصرى پاره ايدر مبلغ مزبور (١٠) اشبو بيك‌يوز اوتوز اوچ سنه‌سى شهر ربيع‌الاولنك اون‌طقوزنجى كوننده بالفعل جبه‌جيلر (١١) چاوشى اولان قدوة الاماثل و الاقران يعقوب زيد قدره يدندن استانهٔ سعادتمده حزينهٔ عامره‌م (٢١) دفترلرنده ابراد و مصرف قيد اولمغين تمسك اولمق ايچون اشبو حكم شريفم ويرلدى (١٣) شويله بلالر علامت شريفه اعتماد قيلالر تحريراً فى اليوم الخامس شهر ربيع‌الاخر سنه ثلث و ثلثين و مايه و الف

بمقام قسطنطينيه المحروسه

الامر حسبما حرر فيه نمقه الفقير اليه عز شانه خليل القاضى بقضاء طورول عفى عنه
(۱) سبب تحرير بودر كه (۲) اشبو درون سبب تحرير حكمنده مسطور اولوب كوتاتس
قلعه سنده اولان اللى ذفر در گاه عالى (۳) جبه جيلرى طرفلرندن مبلغ آتى البياتى
اخذ و قبض و كندولره ايصاله وكيللرى اولوب وكالت ثابت اولان (٤) مصطفى بشه ابن محمد
مجلس شرع خطير لازم التوقيرده بيك يوز اوتوز ايكى سنه سنه محسوب اولمق اوزره
(٥) كمشخانه امين عمدة الاعيان كسكين اسماعيل اغانك وكيلى فخر الاشبان السيد
عمر اغا محضرنده اقرار ايدوب (٦) نفرات مذكورونك مستحق اولدقلرى بيك يوز
اوتوز اوچ مصر و رجج و رشن و لذذى مواجبلرى ايچون (۷) تعيين و حواله اولنان يالكز
سكز يوز يتمش سكز غروش و اون درت عدد مصرى پاره لى (۸) سنهٔ مرقومه محصولندن
وكيل مومى اليه السيد عمر اغا يدندن تماما اخذ ايلدم ظهريه اولسون ديدكده عب التصديق
(۹) الشرعى ما هو الواقع بالطلب كتب اولندى فى اواخر شعبان لسنه ثلثو ثلثين و مائه
و الف

شهود الحال: حسين بك ابن الحاج عبدالله. عمر افندى ابن حسين. ديكر عمر
افندى ابن خليل و غير هم من الحاضرين

ساليانه

**თუღრა:** აჰმედ შაჰი მეჰმედ ხანის ძე[1], მუდამ გამარჯვებული.

უმაღლესი სამეუფეო დოკუმენტის დაწერის მიზეზი ისაა, რომ უდიდებულესთა და უწარჩინებულესთა შორის უპირველესის ქესქინ ისმაილის, იმატოს მისმა დიდებულებამ, ვალდებულება 1132 წლისათვის[2] დაიანგარიშეს. ზემოხსენებულის მოვალეობას შეადგენდა ჩანჰასთან, მეორე სახელი გუმუშჰანესთან ახლოს მდებარე ისპირის ლივას[3] ხასებისა[4] და მისდამი დაქვემდებარებული ნაკვეთების (შემოსავლის) ახჩეებიდან, ამჟამად ჩემს ძლევამოსილ საზღვარზე მდებარე ქუთაისის ციხის დასაცავად მყოფი 50 კაცის, უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების დღიურების — 397 ახჩას გაღება. ზემოხსენებულისათვის ეს კანონიერი ვალდებულება—ამ 1133 წლის მასარის, რეჯეჯის, როშენისა და ლეზეზის[5] გასამრჯელოები ახჩეებით განისაზღვრა 1132 წელს. აღნიშნული ჩანჰას, მეორე სახელწოდება გუმუშჰანეს, ისპირის ლივას შემოსავალთან ერთად მათდამი დაქვემდებარებული ნაკვეთების (შემოსავლის) თანხის გათვალისწინებით (ვალდებულებამ) 103927 ახჩა შეადგინა. ჰასენესა[6] და ყურუშის

---

[1] აჰმედ შაჰი მეჰმედ ხანის ძე — ოსმალო სულთანი აჰმედ III (1703—1730).

[2] 1132 წელი — 14. II. 1719 — I. II. 1720.

[3] ისპირის ლივა — თანამედროვე თურქეთის ადმინისტრაციული დაყოფით არზრუმის ვილაიეთში შემავალი გეოგრაფიული პუნქტი.

[4] ხასი — დიდი სახელმწიფო მოხელეების — სანჯაყ-ბეგების, ბეგლარ-ბეგების, ვეზირებისადმი სამხედრო ან ადმინისტრაციული სამსახურის სანაცვლოდ გაცემული მიწის ნაკვეთი. ხასები ეძლეოდათ აგრეთვე სულთნის საგვარეულოს წევრებს. თვით სულთანიც ფლობდა ხასებს. Ziya Karamursal, Osmanlı Mali Tarihi Hakkında Telkikler, Ankara, 1940, გვ. 130; 148.

[5] წლის კვარტლის სახელები. ე. ი. 1133 წლის მასარი: 1720 წლის ზილ-კაადე, ზილ-ჰიჯე. რეჯეჯი: 1721 წ. მუჰარემი, საფარი, რები ულ-ეველი. როშენი.: რები ულ-ახირი, ჯემაზი ულ-ეველი, ჯემაზი ულ-ახირი. ლეზეზი: რეჯები, შაბანი, რამაზანი.

შონეტების ღირებულებას შორის სხვაობა 1475 ახჩაა, რომლის მთლიანი ჯამია 105402 ახჩა. თითოეული ყურუში 120—120 ახჩას შეადგენს. ესედით[7] დაანგარიშებული (თანხა) მხოლოდ 878 ესედი ყურუშსა და 14 ცალი ეგვიპტურ ფარას[8] შეადგენს.

აღნიშნული თანხა ამ 1133 წლის რები ულ-ეველის თვის 19-ე დღიდან[9] რეალურად ჯებეჯიების ჩაუშის[10], ტოლთა და სწორთა შორის უპირველესის, იაყუბის, იდიდოს მისმა სიძლიერემ, ხელით ჩემი ბედნიერების დედაქალაქში, ჩემი სახელმწიფო ხაზინის დაეთრებში შემოსავალ-გასავლად იყოს რეგისტრირებული. საამისო თამასუქად ეს ჩემი პატიოსანი განჩინება გაიცა. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ. დაიწერა რები ულ-ახირის თვის ხუთს, წელი 1133[11].

ადგილი: ღვთიედაცული კონსტანტინიეს რეზიდენციაში.

(მეორე გვერდზე):

საქმე ისეა, როგორც აქაა დაწერილი. გადაწერა ეს მისმა (ალაჰის)—იყოს მასზე დიდება და პატივი — მწირმა ჰალილმა, თორულის კაზას ყადიმ. შეუნდოს ალაჰმა. (ბეჭედი).

ამ (საბუთის) დაწერის მიზეზი თვით ამ განჩინებაშია აღნიშნული: ქუთაისის ციხეში მყოფი 50 ჯარისკაცის, უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების მიერ ქვემოთაღნიშნული თანხის მისაღებად და მათთვის გადასაცემად ვექილები არიან გაპიროვნებულნი. მათმა მუდმივმა წარმომადგენელმა მუსტაფა ბეშე მეჰმედის ძემ, როდესაც ნათელი მოჰფინა შარიათს (აღნიშნა): 1132 წლის (გასამრჯელო) დაანგარიშებულ იქნა, გუმუშჰანეს ემინის[12], წარჩინებულთა იმედის, ქესქინ ისმაილ აღას ვექილმა, ტოლთა სიამაყემ, ალ-სეიდ ომერ აღამ სასამართოს წინაშე აღიარა: ზემოხსენებულ პირთა 1133 წლის მასარის, რეჯეჯის, როშენისა და ლეზეზის სარგო კანონიერად დაენიშნათ და გაეგზავნათ. იგი ხსენებული წლის მოსავლიდან მხოლოდ 878 ყურუშსა და 14 ეგვიპტურ ფარას შეადგენს. როდესაც განაცხადა, რომ ხსენებული ვექილის ალ-სეიდ ომერ აღას ხელით ეს თანხა სრულად მივიღე და დოკუმენტის მეორე გვერდზე (ეს) აღნიშნულიაო, შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილება ისაა, რომ მომხდარი ამბავი მოთხოვნილებისამებრ ამოწერილ იქნას. დაიწერა შაბანის დასასრულს, 1133 წელს[13].

---

[6] ჰასენე — მონეტის ერთ-ერთი სახეობა.

[7] ესედი — მონეტა სელჩუკთა დროიდან, მონეტის ზედაპირზე გამოსახული იყო ლომი. იგი 70 ახჩას შეადგენდა. მაგრამ დროთავითარებაში იცვლებოდა.

[8] ეგვიპტური ფარა — მონეტის ერთეული.

[9] 1133 წ. რები ულ-ეველის 19-ე — 1721 წლის 18 იანვარი.

[10] ჩაუში — ოსმალეთის სახელმწიფოს წარმოშობიდან არსებობდა ჩაუშების ორგანიზაცია. მათ სხვადასხვა ხასიათის დავალებების შესრულება უხდებოდათ. იგზავნებოდნენ ელჩებად, პროვინციებში დაატარებდნენ ბრძანებებს, ასრულებდნენ დივანის გადაწყვეტილებებს, მსახურობდნენ სულთნის პირად გვარდიაშიც (იხ. ზ. კ ა რ ა მ უ რ ს ა ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 130—131).

[11] 1133 წლის რები ულ-ახირის ხუთი — 1721 წლის 3 თებერვალი.

[12] ემინი — სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანიზაციაში სხვადასხვა საქმის გამგებელი, ნდობით აღჭურვილი პირი.

[13] შაბანის ბოლო, 1133 წელი — 1721 წლის 28 მაისი.







q1.ap.ag.20507.1=1

[illegible]











საქმის მოწმენი: ჰუსეინ ბეგი ელ-ჰაჯ აბდულლაჰის ძე. ომერ ეფენდი ჰუსეინის ძე. მეორე ომერ ეფენდი ჰალილის ძე და სხვა დამსწრენი.

სალიანე[14].

№ 2

1721„1721 წ. დოკუმენტი ქუთაისის ციხის მცველების — თოფჩიების დაფინანსების შესახებ. ნაწერია თეთრ, მოსქელო ქაღალდზე შავი მელნით. ზომა: 24,1×65 სმ. შიფრი:НБКМ. ფონდი I: არქ. ერთ: 20507. ფ. I.

احمد شاه بن محمد خان المظفر دائما

(١) سبب‌تحریر توقیع رفیع همایون اولدر که (٢) قدوة الاماجد و الاعیان کسکین اسماعیل زید وجده تحویلندن بیك یوز اوتور ایکی سنه‌سنه محسوب اولمق اوزره (٢) مومی‌الیهنك بر وجه مالکانه عهده‌سنده اولان اسپر سنجاغی محصولی ایله معاً چانحه نام دیکر کمشحانه و توابعی (٤) مقاطعاتی اقچه‌لرندن حالیا کوتاتس قلعه‌سی محافظه‌سنده اولان اوتوز سکز نفر در کاه معالم طوبچیلرینك یومیه‌لری (٥) اوچیوز قرق سکز اقچه اولمق اوزره مزبورلرك مستحق اولدقلری بیك یوز اوتوز اوچ سنه‌سی مصرو رجج و رشن (٦) ولذی مواجبلری مقررلری اقچه‌لر یچون بیك یوز اوتوز ایکی سنه‌سی ذکر اولنان اسپر سنجاغی محصولی (٧) ایله معا چانحه نام دیکر کمشحانه و توابعی مقاطعاتی مالندن تعیین اولنان طقسان بر بیك یوز بر اقچه و تفاوت (٨) حسنه و غروشدن بیك ایکیوز طقسان اوچ اقچه کی‌جمعا طقسان ایکی بیك اوچیوز طقسان درت اقچه اولور (٩) بهر غروش یوز یکرمیشر اقچه‌یه اولمق اوزره بحساب اسدی یالکز یدییوز التمش طقوز بچق اسدی غروش ایله اون (١٠) سکز عدد مصری پاره ایدر مبلغ مزبور بیك‌یوز اوتوز اوچ سنه‌سی شهر ربیع‌الاخرینك غرمسی کونندن (١١) بالفعل طوبچیلر چاوشی محمد زید قدره یدندن استانهٔ سعادتمده حزینهٔ عامرهم دفترلرنده ایراد و مصرف (١٢) قید اولنمغین تمسك اولمق ایچون اشبو حکم شریفم ویرلدی شویله بلاسن علامت‌شریفه اعتماد قیلاسن تحریراً فی الیوم الخامس شهر ربیع الاخر لسنه ثلث‌و ثلثین‌و مایه و الف

بمقام قسطنطینیه المحروسه

کوتاتس سبب تحریردر

لامر حسبما رسم فیه نمقه الفقیر الیه عز شانه حلیل القاضی طورل عفی عنه

(١) سبب تحریر کتاب بو در که (٢) اشبو درون‌حکم همایونده مسطور الاسم اولوب کوتاتس قلعه‌سی، محافلظه‌سنه مامور در کاه عالی طوبچیلرندن (٣) اوتوز سکز نفر طوبچیان طرفلرندن مبلغ اتی البیاتی اخذ و قبضه و کیل اولدیغی ثابت اولان معمور الجیوش ابرهیم چاوش (٤) مجلس‌شرع خطیر لازم التوقیرده بیك یوز اوتوز ایکی سنه‌سنه محسوب اولمق اوزره بر وجه مالکانه کمشحانه امینی (٥) عمدة الاماجد

[14] სალიანე — სალიანე ეწოდებოდა ოსმალეთის ხელისუფლებისაგან ნახევრად დამოუკიდებელ პროვინციას, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას გარკვეული ოდენობის გადასახადს უხდიდა წლიურად. იგი მხოლოდ ამ გადასახადის გადახდის ვალდებულებით იყო დაკავშირებული სასულთნო კართან. ამ უკანასკნელთ ხელი არ მიუწვდებოდათ ადგილობრივ მწარმოებლ საზოგადოებაზე.

و الاكارم كسكين اسمعيل اغا زيد مجده‌نك وكيلى فخرالاشبان السيد عمر اغا زيده مجده (٦) محضرنده اقرارو تقرر كلام ايدوب نفرات مذكورولك مستحق اولدقلرى بيك‌يوز اوتوز اوچ سنه‌سى (٧) مصرو رجج و رشن‌و لذذى مواجبلرى مقررلرى اقچه‌لر يچون تعيين و حواله بيوريلان يديوز التمش طقسان بچق (٨) اسدى غروش ايله اون‌سكز عدد مصرى پاره‌لى سنهٔ مرقومه محصولندن وكيل مومى‌اليه السيد عمر اغا (٩) يدندن تماماً اخذ و قبض ايلدم ظهريه اولنـون ديدكده غب التصديق الشرعى ما هو الواقع بالطلب كتب (١٠) اولندى فى اليوم العشرين من ذى‌القعده الشريف لسنه ثلثين و مأيه والف

شهود الحال

حسين بك بن الحاج عبدى

احمد بن ابرهيم وغيرهم والحاضير

ساليانه

თუღრა: აჰმედ შაჰი მურად ხანის ძე[1], მუდამ გამარჯვებული

უმაღლესი სამეუფეო დოკუმენტის დაწერის მიზეზი ისაა, რომ უდიდებულესთა და უწარჩინებულესთა შორის უპირველესის ქესქინ ისმაილის, იმატოს მისმა დიდებულებამ, ვალდებულება 1132 წლისათვის[2] დაიანგარიშეს. ზემოხსენებულის ვალდებულებებში შედიოდა მალიქანეს საფუძველზე არსებული ისპირის სანჯაყის მოსავალთან ერთად ჩანჰას, მეორე სახელწოდება გუმუშჰანესა და მისდამი დაქვემდებარებული ნაკვეთების (შემოსავლის) ახჩებიდან, ამჟამად ქუთაისის ციხის დასაცავად მყოფი 38 კაცის, უმაღლესი სამეუფეო კარის თოფჩიების დღიურების 348 ახჩას გაღება. ზემოხსენებულის ეს კანონიერი მოვალეობა 1133 წლის მასარის, რეჯეჯის, როშენისა და ლეზეზის გასამრჯელოები ახჩებით განისაზღვრა 1132 წელს. აღნიშნული ისპირის სანჯაყის მოსავალთან ერთად ჩანჰას, მეორე სახელწოდება გუმუშჰანესა და მისდამი დაქვემდებარებული ნაკვეთების (შემოსავლის) საფუძველზე ვალდებულებამ 91101 ახჩა შეადგინა. ჰასენესა და ყურუშის მონეტების ღირებულებიდან სხვაობა 1293 ახჩაა, რომლის ჯამი 92394 ახჩას შეადგენს. თითოეული ყურუში 120—120 ახჩას შეადგენს. ესედით დაანგარიშებული (თანხა) მხოლოდ 769,5 ესედი ყურუშსა და 18 ცალ ეგვიპტურ ფარას აღწევს. აღნიშნული თანხა ამ 1133 წლის რები ულ-ახირის თვის დასაწყისიდან[3] რეალურად თოფჩიების ჩაუშის მუჰამედის, იმატოს მისმა ღირსებამ, ხელით ჩემი ბედნიერების დედაქალაქში, ჩემი სახელმწიფო ხაზინის დავთრებში შემოსავალ-გასავლად იყოს რეგისტრირებული. საამისო თამასუქად ეს ჩემი პატიოსანი განჩინება კაიცა. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ. დაიწერა რები ულ-ახირის თვის ხუთს, წელი 1133[4].

ადგილი: ღვთივდაცული კონსტანტინიეს რეზიდენციაში.

---

[1] აჰმედ შაჰი მურად ხანის ძე — ოსმალო სულთანი აჰმედ III (1703—1730).

[2] 1132 წელი — 1719. 14. II. — 1720. I. II.

[3] 1133 წ. რები ულ-ახირის თვის დასაწყისი — 1721 წლის იანვრის მიწურული.

[4] რები ულ-ახირის თვის პირველი, 1133 წელი—1721 წ. 30 იანვარი.

(მეორე გვერდზე): ქუთაისის „სებები თაჰრირია“[5].

საქმე შეესაბამება დოკუმენტში ოფიციალურად ჩაწერილს, გადაწერა მის-მა (ალაჰის) — მასზე იყოს პატივი და დიდება—გლახაკმა ჰალილმა, თორულის კაზას ყადიმ. შეუნდოს ალაჰმა. (ბეჭედი).

ამ დოკუმენტის დაწერის მიზეზი თვით ამ სამეუფეო განჩინებაშია აღნიშნუ-ლი. ქუთაისის ციხის დასაცავად დანიშნული უმაღლესი სამეუფეო კარის თო-ფჩიებიდან 38 ჯარისკაცის, თოფჩიების მიერ ქვემოთ აღნიშნული თანხის მისა-ღებად გაპიროვნებულმა მათმა მუდმივმა ვექილმა, ლაშქრის მსახურმა იბრაჰიმ ჩაუშმა (ამის შესახებ) როდესაც ნათელი მოჰფინა შარიათს (აღნიშნა): 1132 წლის გასამრჯელო დაანგარიშებულ იქნა და მაღიქანეს საფუძველზე გუმუშ-ჰანეს ემინის, წარჩინებულთა და დიდებულთა იმედის, ქესქინ ისმაილ აღას, იდიდოს მისმა სიდიადემ, ვექილმა, ტოლთა სიამაყემ ალ-სეიდ ომერ აღამ, იმატოს მისმა დიდებამ, სასამართლოს წინაშე (ეს) სრული ჭეშმარიტებით აღიარა. ზემოხსენებულ პირთ 1133 წლის მახარის, რეჯეჯის, როშენისა და ლეზეზის სარგო კანონიერად დაენიშნათ და ახჩეებით გაეგზავნათ. დადგენი-ლი თანხა 769,5 ესედი ყურუში და 18 ეგვიპტური ფარაა. როდესაც განაცხადა, რომ ხსენებული წლის მოსავლიდან ეს თანხა აღნიშნული ვექილის ალ-სეიდ ომერ აღას ხელით სრულად მივიღე და დოკუმენტის მეორე გვერდზე ეს აღნი-შნულიაო, ამის შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილება ისაა, რომ მომხდარი ამ-ბავი მოთხოვნილებისამებრ ამოწერილ იქნას. დაიწერა პატიოსანი ზილ-კაადეს 20-ს, 1133 წელს[6].

საქმის მოწმენი: ჰუსეინ ბეგი ელ-ჰაჯ აბდის ძე. ქათიბ ომერ ეფენდი. აჰმედ იბრაჰიმის ძე და სხვა დამსწრენი. სალიანე.

№ 3

1721 წ. დოკუმენტი ქუთაისის ციხის მცველების — ჯებეჯიების დაფინანსების შესახებ. თეთრი, ოდნავ გაყვითლებული ქაღალდი, შავი მელანი. ზომა: 24,4×65,7 სმ. შიფრი: НБКМ. ფონდი I. არქ. ერთ. 20504. ფ: 3:

احمد شاه بن محمد خان المظفر دائما

(۱) سبب تحریر توقیع رفیع همایون اولدر که (۲) قدوة الاماجد و الاعیان کسکین اسماعیل زید مجده تحویلندن بیك یوز اوتوز ایکی سنه‌سنه محسوب اولمق اوزره مرقومك (۳) عهده‌سنده اولان اسپر سنجاغی محصولی ایله معاً چانحه نام دیکر کمشخانه و توابعی مقاطعاتی اقچه‌لرندن حالیا کوتاتس (٤) قلعه‌سی محافظه‌سنده اولان اللی نفر در کاه معللم جبه‌جیلرینك بهر ایده یکرمی بش کیله حنطه اولمق اوزره بیك یوز (۵) اوتوز اوچ سنه‌سی محرمی غره سندن سنهٔ مزبوره ذی الحجه‌سی غایتنه دکین بر سنه‌ده مزبورلرك مستحق اولدقاری اوچیوز (٦) کیله حنطه‌لرینك لازم کلان حنطه بهالری اقچه‌لر ایچون بیك یوز اوتوز ایکی سنه‌سی ذکر اولنان اسپر سنجاغی محصولی ایله معاً (۷) چانحه نام دیکر کمشخانه و توابعی مقا

[5] მეორე გვერდზე თავში მარცხენა კუთხეში მიწერილია: „ქუთაისის სებები თაჰრირია“, ე. ი. ქუთაისის შესახებ არსებული დოკუმენტია.

[6] პატიოსანი ზილ-კაადეს 20, წელი 1133 — 1721 წლის 12 სექტემბერი.

طعه‌سی مالندن تعیین اولنان سکز بیك سکز یوز یتمش درت اقچه و تفاوت حسنه
وغروشدن یوز (۸) یکرمی التی اقچه کی جمعاً طقوز بیك اقچه اولور بهر غروش
یوز یکرمیشر اقچه‌یه اولمق اوزره بحساب اسدی یالکز یتمش بش اسدی (۹) غروش
ایدر مبلغ مزبور اشبو بیك‌یوز اوتور اوچ سنه‌سی شهر ربیع‌الاولنك اون
طقوزنجی کوننددن (۱۰) بالفعل جبه‌جیلر چاوشی یعقوب زید قدره یدندن استانهٔ
سعدتمده حزینهٔ عامره‌م دفترلرنده ایراد و مصرف (۱۱) قید اولنمغین تمسك
اولمق ایچون اشبو حکم شریفم ویرلدی شویله بله‌لر علامت شریفه اعتماد قیلالر
تحریراً فی الیوم الخامس‌شهر ربیع‌الاخر سنه ثلث و ثلثین و مایه و الف
بمقام قسطنطینیه المحروسه
الامر کما ذکر فیه حرره الفقیر الیه عز شانه حلیل القاضی بقضاٴ طورول عفی عنه
(۱) سبب تحریر کتاب بو در که (۲) اشبو درون‌حکم هما یونده مسطور الاسامی
اولوب کوتاتس قلعه‌ی محافظه‌سنده اولان اللی نفر در کاه عالی جبه‌جیلری
(۳) طرفلرندن اخذ اتی البیاته وکیل اولدیعی نرح‌شرعی اوزره ثابت اولان
مصطفی بشه ابن محمد مجلس شرع خطیر لازم التوقیرده (٤) بیك‌یوز اوتوز ایکی
سنه‌سنه محسوب اولمق اوزره کمشحانه مقاطعه‌سی امینی عمدة الاماجد و الاکارم السید
کسکین اسماعیل اغانك (٥) وکیلی فخرالاشبان السید عمر اغا محضرنده اقرار
تام و تقریر کلام ایدوب اشبو سبب تحریر حکمی ناطق اولوب (٦) نفرات مذکورونك
مستحق و لازم کلن حنطه بهالری یالکز یتمش بش غروش اولمق اوزره مومی الیه السید
عمر اغا یدندن (۷) تماماً اخذ و قبض ایلدم ظهرنه اولنسون دیدکده حفظ المعال
شبو غب الطلب کتب اولندی فی اواخر (۸) شعبان المعظم اسنه ثلث و ثلثین و مائه و الف
اشهود الحال: حسین بك ابن الحاج عبدالله. عمر افندی ابن الحاج حسین. دیکر
عمر افندی ابن حلیل و غیر هم و الحاضیر

سالیانه

თუღრა: აჰმედ შაჰი მეჰმედ ხანის ძე, მუდამ გამარჯვებული.

უმაღლესი სამეუფეო დოკუმენტის დაწერის მიზეზი ისაა, რომ უდიდებულესისა და უწარჩინებულესთა შორის უპირველესის ქესქინ ისმაილის, იმატოს მისმა დიდებულებამ, ვალდებულება 1132 წლისათვის დაიანგარიშეს. ზემოხსენებულის მოვალეობას შეადგენდა ისპირის სანჯაყის მოსავალთან ერთად მასთან ახლოს მდებარე ჩანჰას, მეორე სახელწოდება გუმუშჰანესა და მისდამი დაქვემდებარებული ნაკვეთების (შემოსავლის) ახჩებიდან, ამჟამად ქუთაისის ციხის დასაცავად მყოფი 50 ჯარისკაცის, უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიებისათვის ყოველ თვეში 25 ქილა ხორბლის გადახდა. 1133 წლის მუჰარემის დასაწყისიდან[1] ზემოხსენებული წლის ზილ-ჰიჯეს დასასრულამდე[2], ერთ წელიწადში ზემოხსენებულთა კანონიერი ვალდებულება იყო 300 ქილა ხორბლი-

[1] 1133 წლის მუჰარემის დასაწყისი — 2. II. 1720.

[2] (1133 წ.) ზილ-ჰიჯეს დასასრული — 23. 9. 1721.

დან საჭირო ხორბლის თანხების ახჩეებით გაღება. 1132 წელს აღნიშნული ისპირის სანჯაყის მოსავალთან ერთად. მასთან ახლოს მდებარე ჩანჰას, მეორე სახელწოდება გუმუშჰანესა და მისდამი დაქვემდებარებული ნაკვეთების (შემოსავლის) თანხიდან განისაზღვრა 8874 ახჩა. ჰასენესა და ყურუშის მონეტების ღირებულებას შორის სხვაობა 126 ახჩაა, რომელიც მთლიანად 9000 ახჩას შეადგენს. თითოეული ყურუში 120—120 ახჩაა. ესედით დაანგარიშებული მხოლოდ 75 ესედი ყურუშია. ზემოხსენებული თანხა ამ 1133 წლის რები ულეველის თვის 19-ე დღიდან[3] რეალურად ჯებეჯიების ჩაუშის იაყუბის, იმატოს მისმა ძლიერებამ, ხელით ჩემი ბედნიერების დედაქალაქში, ჩემი სახელმწიფო ხაზინის დავთრებში შემოსავალ-გასავლად იყოს რეგისტრირებული. საამისო თამასუქად ეს ჩემი პატიოსანი განჩინება გაიცა. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ. დაიწერა რები ულ-ახირის ხუთს, 1133 წელს[4].

ადგილი: ღვთივდაცული კონსტანტინიეს რეზიდენციაში.

საქმე ისეა, როგორც აქ არის მოთხრობილი, გადაწერა ეს მისმა (ალაჰის)—იყოს მასზე დიდება და პატივი — მწირმა, თორულის კაზას ყადიძ ჰალილმა. შეუნდოს ალაჰმა (ბეჭედი).

ამ განჩინების დაწერის მიზეზი თვით ამ სამეუფეო განჩინებაშია აღნიშნული. ქუთაისის ციხის დასაცავად მყოფი 50 ჯარისკაცის, უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების მიერ ქვემოთ აღნიშნული თანხის მისაღებად შარიათის მიხედვით განპიროვნებულმა ვექილმა, მტკიცე მუსტაფა ბეშე იბნ მეჰმედმა (ამის შესახებ) როდესაც სასამართლოს ნათელი მოჰფინა (აღნიშნა): 1132 წლის გასამრჯელო დაანგარიშებულ იქნა. გუმუშჰანეს ნაკვეთების ემინის, წარჩინებულთა და დიდებულთა იმედის ალ-სეიდ ქესქინ ისმაილ აღას ვექილმა, ტოლთა სიამაყემ, ალ-სეიდ ომერ აღამ სასამართლოს წინაშე სრული ჭეშმარიტებით აღიარა და ამ განჩინების დაწერის მიზეზი იქვე გადმოსცა. როდესაც აღნიშნა, რომ ზემოხსენებული ჯარისკაცებისათვის კანონიერად განკუთვნილი ხორბლის თანხები მხოლოდ 75 ყურუშია (და) ზემოხსენებული ალ-სეიდ ომერ აღას ხელით იგი სრულად მივიღე და (ამის შესახებ) დოკუმენტის მეორე გვერდზე აღნიშნულიაო, ამის შემდეგ, სამართლიანობა მოითხოვს, რომ იგი მოთხოვნილებისამებრ ამოწერილ იქნას. დაიწერა დიდებული შაბანის დასასრულს, 1133 წელს[5].

საქმის მოწმენი: ჰუსეინ ბეგ ელ-ჰაჯ აბდულაჰის ძე

ომერ ეფენდი ელ-ჰაჯ ჰუსეინის ძე

მეორე ომერ ეფენდი ჰალილის ძე და სხვა დამსწრენი.

სალიანე

---

[3] 1133 წ. რები ულ-ეველის 19-ე დღე — 18. I. 1721.

[4] რები ულ- ახირის ხუთი, 1133 წელი — 4. I. 1721.

[5] დიდებული შაბანის დასასრული, 1133 წელი — 28. 5. 1721.

№ 4

1723 წ. დოკუმენტი ქუთაისის ციხის მცველების—ჯებეჯიების დაფინანსების შესახებ. გაყვითლებულ, ზოგან გამაევებულ და დაობებულ ქაღალდზე ნაწერია შავი მელნით. მარჯვენა მხარეზე ოდნავ ჩახეულია. ზომა: 24×65 სმ. შიფრი: НБКМ. ფონდი I არქ. ერთ: 20488:

احمد شاه بن محمد خان المظفر دائما
(١) سبب تحریر توقیع رفیع همایون اولدرکه (٢) افتحاری الاماجد والاکارم وزیر
اعظم ادام الله تعالی اجلاله‌نك كتخدالغی حزمتنده اولان محمد وسابقا خاصه (٣) بوستا
نجی باشی اولان دیکر محمد دام مجدهما تحویلمرندن بیك‌یوز اوتوز بش‌سنه‌سنه
محسوب اولمق اوزره مومی‌الیهانك بر وجه (٤) مالکانه عهده‌لرنده اولان توقاد
ویوه‌ده‌لغی و توابعی مقاطعاتی اقچه‌لرندن حالیا کوتاتس قلعه‌سی محافظه‌سنده اولان
(٥) یکرمی بش نفر در کاه معلام جبه‌جیلرینك بهر ایده اون ایکی بچق کیله حنطه
اولمق اوزره بیك یوز اوتوز بش سنه‌سی (٦) محررمی غره‌سندن سنهٔ مزبوره
ذی‌الحجه‌سی غایتنه دکین بر سنه‌ده مزبورلرلك مستحق اولدقلری یوز اللی کیله
حنطه‌لرینك (٧) بهر کیله‌سی قرقر اقچه‌دن لازم کلان ذخیره بهالری اقچه‌لر
یچون بیك یوز اوتوز بش سنه‌سی ذکر اولان توقاد ویوه‌ده‌لغی (٨) وتوابعی مقاطعا تی
مالندن تعیین اولنان درت بیك درتیوز یکرمی بش اقچه وتفاوت‌حسنه وغروشدن
یتمش بش اقچه کی (٩) جمعاً درت بیك بشیوز اقچه اولور بهر غروش یوز یکرمیشر
اقچه‌یه اولمق اوزره بحساب اسدی یالکز اوتوز یدی بچق اسدی (١٠) غروش ایدر
مبلغ مزبور اشبو بیك یوز اوتوز بش‌سنه‌سی شهر جماذی‌الاولنك یکرمی دردنجی
کوننده بالفعل جبه‌جیلر (١١) چاوشی اولان یعقوب زید قدره یدندن استانهٔ سعا
دتمده حزینهٔ عامرهم دفترلرنده ایراد و مصرف قید اولنمغین تمسك اولمق
(١٢) ایچون اشیو حکم شریفم ویرلدی شویله بله‌لر علامت شریفه اعتماد قیلالر
تحریراً فی الیوم الثامن عشرین‌من شهر جماذی‌الاول سنه خمس و مایه والف
بمقام قسطنطینیه المحروسه
حنطه کوتاتس‌سنه ١١٣٥ غروش ٣٧١٠٠
٢٤ جما ذی‌الاول سنه ١١٣٥ جبه‌جی
مافیه من الاقرارو التصدیق حرره الفقیر الیه عز شانه السید عبدالله فی المولی حلاه
بمدینه توقاد عفی عنه
(١) سبب تحریر کتاب صحت نصاب اولدر که (٢) در کاه عالی دام محفوظا با
لمعالی جبه‌جیلری اوجاغنده بالفعل باش چاوش اولان فخرالاعیان (٣) یعقوب
اغا زید مجده یدیله حزینهٔ عامره دفترلرنده ایراد ومصرف اولان مبلغ آتی البیانی
(٤) بر موجب سبب تحریر حکمی طرفندن اخذ و قبض ماموراولان قدوة الاقران
الحاج مصطفی چاوش (٥) مجلس شرح خطیرده مدینهٔ توقات ویوده‌سی اولان قدوة
الاماجد والاکارم احمد اغا زید مجده (٦) محضرنده بطوعه اقرار تام و تقریر کلام
ایدوب‌اشبو بیك وز اوتوز بش‌سنه سنه‌محسوب اولمق (٧) اوزره توقات ویوده‌لغی و
توابعی مقاطعاتی اقچه‌لرندن حالا کوتاتس قلعه‌سی محافظه‌سنده اولان (٨) یکرمی
بش نفر جبه‌جی نفراتنك سنهٔ مزبوره محرمی غره‌سندن ذی‌الحجه‌ی غایتنه دکین بر
سنه‌ده (٩) مستحق اولدقلری حنطه و ذخیره بهالری اقچه‌لری ایچون اشبو سبب‌تحریر

حكمی ناطق اولدیغی (۱۰) اوزره تعیین اولنان یالكر اوتوز یدی بچق اسدی
غروشی ویوده مومی‌الیهدن طلب ایلدیكده (۱۱) اغای مشارالیه بكه دفع وتسلیم و
بندخی یدندن بالتمام و الكمال اخذ و قبض ایتدم دیدكده (۱۲) غب التصدیق الشرعی
ما وقع بالطلب كتب اولندی فی الیوم الثانی و العشرین فی رجب الفرد لسنه المزبور
شهود الحال

علی افندی كاتب‌حزینهٔ عامره
محمود اغا امین بیب‌المال
بكتاشینك ضابط شهر
حسین بشه ابن جفر و غیر هم
سالیانه

ＴＵＧＲＡ: აჰმედ შაჰი მეჰმედ ხანის ძე, მუდამ გამარჯვებული

უმაღლესი სამეუფეო დოკუმენტის დაწერის მიზეზი ისაა, რომ უწარჩინებულესთა და უკეთილშობილესთა სიამაყის, დიდვეზირის, დღეგრძელყოს მაღალმა ალაჰმა დიდებულება მისი, ქედხუდობის[1] სამსახურში მყოფის მუჰამედისა და უწინდელი ჰასე ბოსტანჯი-ბაშის[2], მეორე მუჰამედის, იმატოს მათმა ბედნიერებამ, ვალდებულება 1135 წლისათვის[3] დაიანგარიშეს. ზემოხსენებულთა მოვალეობას შეადგენდა მალიქანეს საფუძველზე თოქათის სავოევოდოსა[4] და მისდამი დაქვემდებარებული ნაკვეთების (შემოსავლის) ახჩებიდან, ამჟამად ქუთაისის ციხის დასაცავად მყოფი 25 ჯარისკაცის, უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიებისათვის ყოველ თვე 12,5 ქილა ხორბლის გაღება. 1135 წლის მუჰარემის დასაწყისიდან[5] ხსენებული წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე[6], ერთ წელიწადში, ზემოხსენებულთა კანონიერი მოვალეობა იყო 150 ქილა ხორბლის ყოველ ქილაზე 40—40 ახჩას, საჭირო პროდუქტების თანხის ახჩების სახით გაღება. 1135 წ. აღნიშნული თოქითის სავოევოდოსა და მისდამი დაქვემდებარებული ნაკვეთების (თანხებიდან) გადაკვეთილია 4425 ახჩა. ჰასენესა და ყურუშის მონეტების (ღირებულებას) შორის განსხვავება 75 ახჩაა, რომლის მთლიანი ჯამია 4500 ახჩა. თითოეული ყურუში 120—120 ახჩას შეადგენს. ესედით დაანგარიშებული მხოლოდ 37,5 ესედი ყურუშია. აღნიშნული თანხა ამ 1135 წლის ჯემაზი ულ-ევველის თვის 24-ე დღიდან[7] რეალურად ჯებეჯიების ჩაუშის, იაყუბის, იმატოს მისმა ღირსებამ, ხელით ჩემს ბედნიერების დედაქალაქში, ჩემი სახელმწიფო ხაზინის დავთრებში შემოსავალ-გასავლად იყო რეგისტრი-

---

[1] ქედხუდა — დიდი სახელმწიფო მოღვაწეებისა და წარჩინებულების საქმეების ზედამხედველი პირი. „ქაჰიას“ სახელწოდებითაცაა ცნობილი.

[2] ბოსტანჯი-ბაში — სულთნის სასახლის ბაღის დამცველების — ბოსტანჯიების მეთაური, დროთა ვითარებაში მისი ფუნქციები იცვლებოდა და უფრო ფართოვდებოდა.

[3] 1135 წელი — 12. 10. 1722. — 30. 9. 1723.

[4] ოსმალეთის ადმინისტრაციული ერთეული — თოქათის პროვინცია, ვილაიეთი, ამ შემთხვევაში თოქათის საგამგეო, სავოევოდო. ოსმალთა ბატონობის დროს ბალკანეთის ქვეყნებში სახელმწიფო მოხელეების სლავური სახელწოდება. იყო ვლახეთის, მოლდავეთისა და სხვ. სავოევოდოები.

[5] 1135 წლის მუჰარემის დასაწყისი — 1722 წლის ოქტომბრის შუა რიცხვები.

[6] ზილ-ჰიჯეს მიწურული (1135 წ.) — 1723 წლის სექტემბრის დასაწყისი.

[7] 1135 წ. ჯემაზი ულ-ევველის თვის 24-ე დღე — 1723 წლის 2 მარტი.

რებული. საამისო თამასუქად ეს ჩემი პატიოსანი განჩინება გაიცა. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ. დაიწერა ჯემაზი ულ-ეველის თვის 28-ს, წელი 1135[8].

ადგილი: ღვთივდაცული კონსტანტინიეს რეზიდენციაში.

(მეორე გვერდზე): ხორბალი ქუთაისზე 1135 წელს — 37100 ყურუში. 24 ჯემაზი ულ-ეველი, წელი 1135[9]. ჯებეჯი.

ამ აღსარების შინაარსი ისაა, რომ ეს დაწერა ყოვლისმძლე ღვთის—მასზე იყოს პატივი და დიდება—გლახაკმა ალ-სეიდ აბდულლაჰმა, ქალაქ თოქათის მოლას მოადგილემ, შეუნდოს ალაჰმა.

ამ მართალი საბუთის გადმოწერის მიზეზი ის არის, რომ უმაღლესი სამეუფეო კარის, უზენაესისაგან მუდამ დაცული ჯებეჯიების ოჯახში ნამდვილი ჩაუშ-ბაშის, წარჩინებულთა სიამაყის, იაყუბ აღას, იმატოს მისმა სიდიადემ, ხელით სახელმწიფო ხაზინის დავთრებში შემოსავალ-გასავლად ჩაწერილი ქვემოთ აღნიშნული თანხის თანახმად, „განჩინების დაწერის მიზეზიდან“ გამომდინარე, (თანხა) მიღებულმა მსახურმა, ტოლთა უპირველესმა ელ-ჰაჯ მუსტაფა ჩაუშმა, როდესაც სასამართლოს ნათელი მოჰფინა (აღნიშნა): ქალაქ თოქათის ვოევოდამ, წარჩინებულთა და დიდებულთა შორის უპირველესმა აჰმედ აღამ, იმატოს მისმა დიდებამ, უნებლიეთ, სრული ჭეშმარიტებით აღიარა სასამართლოს წინაშე: ამ 1135 წლისათვის დაანგარიშებულის მიხედვით, თოქათის სავოევოდოსა და მისდამი დაქვემდებარებული ნაკვეთების (შემოსავლის) ახჩებიდან, ამჟამად ქუთაისის ციხის დასაცავად მყოფი 25 კაცის, ჯებეჯიების ჯარისკაცებისათვის ხსენებული წლის მუჰარემის დასაწყისიდან ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე[10], ერთ წელიწადში, კანონიერად გადაკვეთილია ხორბლისა და პროდუქტების თანხები ახჩებით. ამ „განჩინების დაწერის მიზეზში“ აღნიშნულის მიხედვით, გადაკვეთილია მხოლოდ 37,5 ესედი ყურუში. როდესაც ზემოხსენებული ვოევოდასაგან (ეს თანხა) მოითხოვეს, ხსენებულმა აღამ მე ჩამაბარა და მეც მისი ხელით სრულად და მთლიანად ჩავაბარეო, განაცხადა. შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილება ისაა, რომ მომხდარი ამბავი მოთხოვნილებისამებრ ამოწერილ იქნას.

დაიწერა ერთადერთი რეჯების 22-ს, ზემოხსენებულ წელს[11].

საქმის მოწმენი: ალი ეფენდი, სახელმწიფო ხაზინის ქათიბი,

მაჰმუდ აღა, ბეითულმალის ემინი,
ქალაქის ბექთაშიანთა ოფიცერი
ჰუსეინ ბეშე ჯაფარის ძე და სხვა დამსწრენი

სალიანე

---

8 ჯემაზი ულ-ეველის თვის 28, წელი 1135—1723 წლის 6 მარტი.

9 ჯემაზი ულ-ეველის 24, წელი 1135—1723 წლის 2 მარტი.

10 1722 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებიდან 1723 წლის სექტემბრის დასაწყისამდე.

11 რეჯების 22 (წელი 1135) — 1723 წლის 23 აპრილი.

Н. Н. ШЕНГЕЛИЯ

# ОСМАНСКИЕ ФИНАНСОВЫЕ ДОКУМЕНТЫ ПЕРВОЙ ЧЕТВЕРТИ XVIII ВЕКА О КУТАИССКОЙ КРЕПОСТИ

**Резюме**

В статье публикуются четыре османских финансовых документа т. н. «себеби тахрири хюкюм» с грузинским переводом, турецким критическим текстом и факсимиле, хранящиеся в архиве Ориентальского отдела Народной библиотеки им. Кирилла и Мефодия в г. Софии. Эти документы дают определенное представление об отдельных видах, численности, вооружении и расположении османских вооруженных сил, расквартированных в крепости Кутаиси в первой четверти XVIII века.

წარმოადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ისტორიის კათედრამ

# დისკუსია და განხილვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ვასილ ჩანტლაძე

## XVII—XVIII სს. ქართული ფულის ერთეულის საკითხისათვის

XVII—XVIII სს. ქართული ფულის ერთეულის საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. დავას იწვევდა ქართული ფულის საფუძვლის მიგნება, ანგარიშის ორგვარი სისტემის ერთმანეთთან შეხამება და დაკავშირება. ქართული წონითი სისტემა დამყარებული იყო ოთხობითი აღრიცხვის ანგარიშზე, ხოლო ფულადი სისტემა კი ფულის რაოდენობის აღმნიშვნელი ქართული ანბანის ასოებით გამოხატული ნიშნების ათობითი აღრიცხვის ანგარიშზე. XVIII ს-ის საქართველოში ძვირფასი ლითონებისათვის სპეციალური საზომი არ არსებობდა და სარგებლობდნენ წონის ჩვეულებრივი საზომით. ამ საკითხს თავის დროზე იკვლევდნენ ფრანგი ნუმიზმატიკოსები შოდუარი, მ. ბროსე, ვიქტორ ლანგლუა, პროფ. ალ. ცაგარელი, დიდი მთავარი გიორგი მიხეილისძე, რომელთა შეხედულებები გარჩეული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს. შოდუარი ამ საკითხის შესწავლისას დაემყარა რუსული და ქართული ფულების პარიტეტს, მ. ბროსემ ქართული ფულის ერთეულად აღიარა „აბაზის" 1/200 ნაწილი ანუ დინარი, ალ. ცაგარელმა ქართული ფულის ერთეულად ცნო „ფული". გიორგი მიხეილისძემ ქართული ფულის ერთეულად მიიჩნია „ფული" ვერცხლის შინაარსით. ეს მოსაზრებები ივ. ჯავახიშვილმა უარყო. მან წამოაყენა თავისი შეხედულება, რომლის მიხედვით: „1) ქართული ფულის აღრიცხვისა და სისტემის ერთეულად 0.5 დრახმა სპილენძი ყოფილა მიღებული, 2) აღრიცხვა ლითონის წონის რაოდენობაზე ყოფილა დამყარებული და 3) რომ თვით ვერცხლის ფულის ერთეულისათვისაც საფუძვლად სპილენძის წონითი რაოდენობა ჰქონიათ"[2].

ივ. ჯავახიშვილის ამ შეხედულებას მხარი დაუჭირეს აკადემიკოსებმა ნიკო ბერძენიშვილმა და პაატა გუგუშვილმა[3].

ივ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ გაილაშქრა ისტორიკოსმა სარგის კაკაბაძემ, ნუმიზმატიკოსმა ე. ა. პახომოვმა და ფინანსისტმა ნ. ქოიავამ. მათი შეხედულება შერბილებული ფორმით გაიზიარა ნუმიზმატიკოსმა დ. კაპანაძემ.

---

[1] ს. კაკაბაძე, ე. პახომოვი და ნ. ქოიავა, ივ. ჯავახიშვილის დებულებათა კრიტიკის შესახებ მოხსენება წაკითხულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრის საჯარო სხდომაზე 1982 წლას 23 ივნისს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სხდომაზე 1982 წლის 29 ივნისს.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართულ საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, თბ., 1925, გვ. 35.

[3] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი 1, თბ., 1938, გვ. 383; პ. გუგუშვილი, ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ამიერკავკასიაში მე-19 საუკუნეში, თბ., 1937, გვ. 36.

ს. კაკაბაძემ ძალიან მკაცრად გაილაშქრა ივ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ. მისი სტილი აკადემიურ ფორმებს სცილდება. ის წერს: „...შემცდარ დასკვნაზე, წყაროების ვერ გაგების გამო, არის აგებული ივ. ჯავახიშვილის დებულება", იგი არის „შემცდარი და ყოვლად შეუწყნარებელი, როგორც ფაქტიური, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით". „საერთოდ... ეს ნაშრომი, მეთოდოლოგიურად პრიმიტიულად დამუშავებული, წარმოადგენს ჩვენი აწმყო სამეცნიერო ლიტერატურისათვის ფრიად სამწუხარო მოვლენას"[4].

ს. კაკაბაძე უსაყვედურებს ივ. ჯავახიშვილს მას, რომ იგი ემყარება აკად. გიულდენშტედტის მცდარ ცნობას, რომ თითქოს ქართული ფული იწონიდა 2,5 დრახმას ანუ 13,1 დანგს. „ამ წონის შეიძლება ყოფილიყო ორფულიანი საფასე"[5] და არა ერთი ფული.

იგივე გაიმეორა 1928 წ. ე. ა. პახომოვმა: „ივ. ჯავახიშვილმა თავის მსჯელობას ქართული სპილენძის შესახებ საფუძვლად დაუდვა არა რეალიების გამოკვლევა, არამედ ზემოთ აღნიშნული გიულდენშტედტის მცდარი ჩვენება, რომ ფული 2 1/2 დრახმის წონისა იყო"[6].

ს. კაკაბაძისა და ე.ა.პახომოვის შეხედულებაზე დაყრდნობით ნ. ქოიავამ შეცდომად ჩათვალა ივ. ჯავახიშვილის დებულება, რომ „ქართული ფულის აღრიცხვის და სისტემის ერთეულად 1/2 დრახმა სპილენძი ყოფილა მიღებული".

ნ. ქოიავა წერს: „ივ. ჯავახიშვილი ამ საკითხში გიულდენშტედტის ზედმეტი ნდობის მსხვერპლი გახდა; როგორც ჩვენ ვიცით, გიულდენშტედტმა ამ საკითხში უხეში შეცდომა დაუშვა და გვიჩვენა არა ფულის, არამედ ორმაგი ფულის წონა, ე. ი. ნახევარი ბისტისა, და მაშასადამე ე-5 არ ნიშნავს სპილენძის ხუთჯერნახევარ დრახმას, სპილენძი არ არის XVIII საუკუნის საქართველოს ფულადი სისტემის საფუძველი. ნახევარი დრახმა არ არის საქართველოს ფულადი ერთეული"[7]. „ეკონომისტებიდან ივ. ჯავახიშვილის მსჯელობას XVIII ს-ის ქართული ფულადი სისტემის საფუძვლების შესახებ გამოეხმაურა პ. გუგუშვილი, რომელიც წერდა, რომ ივ. ჯავახიშვილმა „დიდი ვირტუოზობით გამოარკვია ქართული ფულის სისტემის მთელი საფუძვლები". როგორც ჩანს, პ. გუგუშვილი არ გასცნობია არც XVIII ს-ის ნუმიზმატიკურ ძეგლებს, არც ლიტერატურას, რომელიც ეხება XVIII ს-ის ფულად მიმოქცევას და, ალბათ, ამით აიხსნება მისი ამ შრომაში მოცემული დასკვნები"[8].

უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ქოიავას მიერ მოცემული კრიტიკა სწორი და სამართლიანი არ არის ივ. ჯავახიშვილისა და პ. გუგუშვილის მიმართ

ს. კაკაბაძე ამტკიცებს, რომ გულდენშტედტმა შეცდომა დაუშვა ფულის ერთეულის წონითი ანგარიშისას, რომ ფულის ერთეულის წონა არ იქნებოდა

---

[4] ს. კაკაბაძე, პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ქართულ საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია", „საისტორიო" მოამბე, ტ. II. ტფ., 1924, გვ. 277, 289, 293.

[5] იქვე.

[6] Е. А. Пахомов, Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII—XVIII вв., Баку, 1928, გვ. 107, 109.

[7] ნ. ქოიავა, ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII ს. ქართლ-კახეთში 1963, გვ. 52.

[8] იქვე, გვ. 55.

0,5 დრახმა და ერთი ფულისა, რომელიც ხუთი ერთეულისაგან შედგებოდა 2,5 დრახმა.

მეცნიერული დამაჯერებლობა აკლია ს. კაკაბაძის მიერ ჩატარებულ სტატისტიკურ დაკვირვებას და ინდუქციური მეთოდის გამოყენებას. მოცემულ შემთხვევაში დაკვირვების ობიექტად აღებულია მონეტების დიდი რაოდენობა ეს არის საუკუნის მანძილზე მთელი სახელმწიფოს მასშტაბით მოჭრილი ფული, რომელიც სულ მცირე ასი ათასი ერთეული მაინც იქნებოდა. 1%-იანი შერჩევითი დაკვირვება რომ გამოეყენებია, ათასი ერთეული მაინც უნდა შეესწავლა და არა შვიდი და მაშინაც ჭეშმარიტებასთან 1%-იანი ალბათობით იქნებოდა დაახლოებული.

ს. კაკაბაძე იყენებს არასრულ ინდუქციას, რასაც, ლოგიკის თანახმად, საალბათო ხასიათი აქვს. არასრული ინდუქციის მიხედვით განზოგადებას წანამძღვრად უდევს შეზღუდული ცოდნა. მკვლევარი მოცემული კლასის საგნების უმეტეს რიცხვს არ იცნობს. ამიტომ არასრული ინდუქციის გამოყენებისას საკმარისია ერთი საწინააღმდეგო შემთხვევა, რომ მთელი დასკვნა გაქარწყლდეს.

ყოველივე ამასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ მონეტების მოჭრის მაშინდელი დაბალი ტექნიკა. მონეტების მოჭრის თანამედროვე მაღალი ტექნიკის პირობებშიც კი ერთი სახელწოდების მონეტის ყოველი ერთეული არ არის იმავე წონის. ამის გამო დაწესებულია გადახრის გარკვეული ზომა, რომელსაც რემედიუმს უწოდებენ. მით უმეტეს დაბალი ტექნიკით მოჭრის ერთი და იმავე სახელწოდების მონეტებს შორის საკმაო განსხვავება იქნებოდა სისქის, მოყვანილობის. საერთოდ ლითონური შინაარსის სისწორის მიხედვით. მიუხედავად ამისა, მიმოქცევის ფუნქციის შესრულებაში ისინი, როგორც ფასთა მასშტაბი, ერთნაირი იყვნენ.

ს. კაკაბაძეს არავითარი საფუძველი არ აქვს ამტკიცოს გიულდენშტედტი ცდებაო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გულდენშტედტი პრაქტიკულად მომსწრეა, თვითმხილველია ამ მონეტების მიმოქცევისა. ცხადია, არც ერთი მყიდველი და მათ შორის გიულდენშტედტი საქონელში ერთი ფულის ნაცვლად ორ ფულს არ აძლევს და პირიქით. ამდენად, გამორიცხულია რომ გულდენშტედტი ცდებოდეს თავის დროინდელი ფულის ერთეულებზე მსჯელობისას.

ვნახოთ რას გვაძლევს ს. კაკაბაძის მიერ აწონილი შვიდი მონეტა. ს. კაკაბაძე წერს. მის განკარგულებაში მყოფი ეგზემპლარებიდან სახელდახელოდ აწონა: 1) თეიმურაზის ფული 1747 წელს მოჭრილი თბილისში და გამოვიდა 15,3 გრამი (=21,42 დანგი), 2) თეიმურაზ-ერეკლეს მიერ 1758 წელს მოჭრილი, რომლის წონა აღმოჩნდა 9,5 გრამი (=13,3 დანგი); 3) აწონა 1776 წელს მოჭრილი სპილენძის ფულები, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გამოვიდა 11,5 გრამი (=16,1 დანგი). და 4) მეორე იმავე წელს მოჭრილი—9,38 გრამი (=13,1 დანგი). 5) აწონა 1781—82 წლებში მოჭრილი 2 მონეტა, რომელთაგან ერთი იწონიდა 7,8 გრამს (=10,9 დანგს): 6) მეორე მონეტა 17.3 გრამს (=13,9 დანგს). აქ კორექტორული შეცდომაა. 17,3 გრამი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ყოფილიყო 13,9 დანგი. თუ პირველი ციფრი ე. ი. 17,3 გრამი სწორია, მაშინ ის იქნებოდა 24,0 დანგი იმ შეფარდებების მიხედვით, რაც მას ზემოთ დასახელებულ რიცხვებში აქვს გამოხატული. თვითონ კაკაბაძე მეორე

ადგილზე წერს, რომ ის იყო 24,9 დანგი; 7) 1796 წელს მოჭრილი მონეტა, რომლის წონა აღმოჩნდა 20,92 გრამი ანუ 28,28 დანგი.

როგორც ვნახეთ, წონის შედეგები ს. კაკაბაძეს მოცემული აქვს ორგვარი საზომით — გრამებით და დანგებით. ეს მონაცემები ამტკიცებენ, რომ ამ ორი საზომის შესაბამისობას არითმეტიკული სიზუსტე აკლია. მისხალი გრამობით გამოხატული, როგორც ცნობილია, შეადგენს 4,436 გრამს, მისხალი შედგებოდა (ვახტანგ VI სამართლის მიხედვით) 6 დანგისაგან. აქედან ერთი დანგი შეადგენს 0,7393 გრამს, დამრგვალებით — 0,74 გრამს.

პირველი მონეტის წონა ს. კაკაბაძეს მოცემული აქვს: 15,3 გრამი ანუ 21.42 დანგი. როდესაც დანგი 0,74 გრამია, მაშინ თუ ის მონეტა ნამდვილად 15,3 გრამი იყო, დანგებით გამოხატული იქნებოდა 20,68 და არა 21.42, თუ ის მონეტა ნამდვილად 21,42 დანგი იყო მაშინ გრამებით გამოხატული იქნებოდა 15,85 და არა 15,30. ასევე შეუსაბამობაშია ამ ორი საზომით გამოხატული ს. კაკაბაძის მიერ აწონილი შვიდივე მონეტა.

ეხლა შევამოწმოთ მის მიერ მოცემული წონების შეფარდება. პირველი, მეორე, მესამე და მეშვიდე მონეტების წონის ამ ორი საზომის შეფარდებიდან გამოდის, რომ დანგი უდრის 0,714 გრამს, მეოთხე და მეხუთე მონეტების წონის მიხედვით გამოდის, რომ დანგი უდრის 0,716 გრამს და მეექვსე ფულის წონის მიხედვით დანგი უდრის 0,695 გრამს. ცხადია, რომ ან სასწორი არ ვარგოდა, ან ამწონი ერთი წონიდან მეორე წონაში გადაყვანისას არითმეტიკაში ცდებოდა ან კიდევ ორივე ერთად.

ს. კაკაბაძე შემდეგ გვაძლევს ამ თავისი დაკვირვების შვიდი ერთეულის დაჯგუფების საფუძველზე დასკვნას, რომლის მიხედვით მონეტების „პირველი კატეგორია უნდა იყოს (ნიშნის მიხედვით) მეორე კატეგორიის ნახევარი", სხვანაირად გიულდენშტედტმა ორფულიანი მიიჩნია ერთფულიანად.

ს. კაკაბაძის მიერ მოცემული დაჯგუფება და შემდგომი მისი მსჯელობა ნებისმიერია. იმ შვიდი აწონილი ფულიდან ერთი არის 13,3 დანგი, მეორე — 11,9 დანგი, მესამე — 13,1 დანგი, მეხუთე — 10,9 დანგი. ე. ი. ამ ჯგუფის მონეტების წონა მერყეობს 10.9 — 13.3 დანგის ფარგლებში ანუ ემთხვევა გიულდენშტედტის მიერ მოცემულ ერთი ფულის წონას. გიულდენშტედტის მიხედვით ერთი ფული იწონიდა 2,5 დრახმას ანუ ქართული წონით 13,1 დანგს. ამ ოთხი ფულის საშუალო წონა არის 12,6 დანგი, რაც ძალიან ახლოს არის გიულდენშტედტის მიერ მოცემული წონის რიცხვთან. მეორე მხრივ, თვით კაკაბაძის მიერ აწონილი ოთხი მონეტიდან ერთ-ერთი პირდაპირ ემთხვევა გიულდენშტედტის მიერ მოცემულ რიცხვს — 13,1 დანგს და ს. კაკაბაძეს რომ რამდენიმე ასეული აეწონა, მაშინ კიდევ უფრო ზედმიწევნით აღმოჩნდებოდა 13,1 დანგის სისწორე.

როგორც ვხედავთ, აქედან არ გამომდინარეობს, რომ გიულდენშტედტმა ორფულიანი მიიჩნია ერთ ფულად. იმის დასასაბუთებლად, რომ XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართული სპილენძის ფულის წონა იმის ნახევარი იყო, რაც გიულდენშტენდტს აქვს მოცემული, ს. კაკაბაძე საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მოჭრილ სპილენძის მონეტებს იღებს და არკვევს მათ წონას — ერთი ფულისა 6,3 დანგი, ორი ფულიანისა 10,78 დანგი, ერთი ბისტისა — 25,2 დანგი. აქედან აკეთებს დასკვნას 1776 წლის 10,6—16,4 დანგის წონა შავი ფული ნამდვილად ორფულიანი იქნებოდაო. თუ ასე ადვილად შეიძლებოდა

ამის დამტკიცება, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მოჭრილი ფულის საშუალებით, მაშინ მთელი მისი წინა მსჯელობა და მანიპულაციები რაღა საჭირო იყო?

ს. კაკაბაძე გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ ერთი ფუთი სპილენძიდან იჭრებოდა 16 მანეთი, მაშასადამე, დენეშკა — 1/2 კაპ. ქართულ წონაზე გადატანით იქნებოდა 7,2 დანგით.

ჯერ ერთი, რუსეთში ერთი ფუთი სპილენძიდან სხვადასხვა პერიოდში სულ სხვადასხვა ოდენობის შავი ფული იჭრებოდა. 1660 წელს ერთი ფუთი სპილენძი ღირდა 5 მანეთი, მისგან ჭრიდნენ 312 მანეთს[9], XVIII ს-ის დასაწყისში ფუთი სპილენძიდან ჭრიდნენ 10 ან 8 მანეთს[10]. 1755 წლიდან რუსეთში ერთხანს ფუთი სპილენძიდან ჭრიდნენ 8 მანეთს[11], შემდეგ — 16 მან., პეტრე III დროს — 32 მან., ეკატერინე II დროს —16 მან., 1810 წლიდან 24— მან., 1840 წლიდან— 12 მან., 1849 წლიდან—32 მან., 1868 წლიდან — 50 მან.

1810 წლიდან სპილენძის მონეტა გამოცხადდა ხურდა მონეტად, მან დაკარგა ფულის ერთეულის მნიშვნელობა, იქცა ფულის ნიშნად[12]. 1810 წლის ბრძანებულებით, რაც დაადასტურა 1839 წლის 1 ივლისის მანიფესტმა, რუსეთში შემოღებულ იქნა ვერცხლს მონომეტალიზმი[13].

სრულიად მცდარია ს. კაკაბაძის მსჯელობა XVIII ს-ის 60-70-იანი წლების ქართული ფულის წონის გარკვევის საკითხში (XIX ს-ის რუსულ-ქართული და რუსული ფულის წონაზე დაყრდნობით). ის წერს: „...შეიძლება თეორიულად ვიფიქროთ, რომ ქართული ფული გიულდენშტედტის დროს შესაძლებელია რუსულ დენეშკაზე არა თუ ოდენა, ოდნავ ნაკლებიც იყო. ამის და მიხედვით ფული 1770 წლიდან იქნებოდა დაახლოებით 5 1/2-7 დანგის შემცველი, 2 ფულიანი საფასე 11-16 დანგისა და ბისტი 22-28 დანგისა[14]“.

ჯერ ერთი სწორი არ არის ს. კაკაბაძე როდესაც აღნიშნავს, რომ 1804 წლიდან, რუსულ-ქართული მონეტების მოჭრის დროიდან ფუთი სპილენძიდან იჭრებოდა 16 მანეთი. ნამდვილად იჭრებოდა 21 მანეთი[15]. ს. კაკაბაძე წერს, რომ რუსული დანეშკა ე. ი. 1/2 კაპიკიანი ქართულ წონაზე გადატანით შეიცავდა 7,2 დანგს.

როგორც ზემოთ ვნახეთ, აკად. იანჟულის ცნობით, 1755 წლიდან რუსეთში ერთხანს ფუთი სპილენძიდან იჭრებოდა 8-10 მანეთი. 8 მანეთის ანგარიშით გამოდის, რომ 1/2 კაპიკიანი იწონიდა 10 გრამს ანუ ქართული საზომით 13,5 დანგს (ერთი ფუთი ე. ი. 16 კგ. ანუ 16000 გრ. გაყოფილი 8 მანეთზე. ე. ი. 1600 ნახევარ კაპიკზე = 10 გრ. ანუ 13,5 დანგს).

ვივარაუდოთ, რომ 1804 წლის ანგარიშით ფუთიდან ჭრიდნენ 21 მანეთის მონეტას, მაშინ 1/2 კაპიკიანის წონა იქნებოდა 3,8 გრამი ანუ 5,1 დანგი, კანონმდებლობით — განსაზღვრული იყო 87,5 წილი, ე. ი. 4,04 გრ. ანუ 5,4 დანგი.

---

[9] И. И. Янжул, Основные начала финансовой науки, 1890, გვ. 208.
[10] Л. В. Ходский, Основы государственного хозяйства, 1901, გვ. 71.
[11] И. И. Янжул, დასახ. ნაშრომი გვ. 211.
[12] იქვე, გვ. 211; Министерство финансов, ч. I, 1902, გვ. 64—65.
[13] Л. В. Ходский, დასახ. ნაშრომი, 1901, გვ. 68.
[14] ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 287.
[15] ვ. ჩანტლაძე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801—1864 წწ.) 1975, გვ. 244; Свод ЗРИ, 1832 т. VII, გვ. 40, 66; იქვე შენიშვნა.

„რუსულ-ქართული აბაზები და მსხვილი წვრილი მონეტა უფრო დაბალი სინჯისა იყო, ვიდრე ძველი ქართული მონეტა... ლიგატურის შეცვლა აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ვერცხლის მჭედლებს იგი ნაკეთობებად არ გადაედნოთ და, საერთოდ, საზღვარგარეთ არ გაზიდულიყო“[16].

ს. კაკაბაძე XVII ს. ქართული ფულის (ერთი ფულის) წონას ანგარიშობს რუსული სპილენძის ფულის იმ პერიოდის 1/2 კაპიკიანის წონის მიხედვით, რომელსაც ფუთი სპილენძიდან ჭრიდნენ 16 მანეთს. მაგრამ რა ემართება მის ანგარიშს, როდესაც ფუთიდან ჭრიდნენ 8-10 მანეთს, 12 მანეთს, 21 მანეთს, 24 მანეთს, 32 მანეთს, 50 მანეთს?

პახომოვს თავის ნაშრომში მოაქვს რეალიების აწონის შედეგები 21 ნომრის რაოდენობით. იგი წერს, რომ მოტანილი მონაცემები აშკარად გვიჩვენებენ ორ სხვადასხვა ნომინალს, რომლებიც ერთმანეთს შეეფარდება როგორც 2:1. მიუხედავად იმისა, რომ პახომოვმა კაკაბაძესთან შედარებით ბევრი მონეტა აწონა, მაინც კმაყოფილი არ არის და აცხადებს, რომ მოტანილი მონაცემები აწონის რაოდენობათა სიმცირის გამო, რასაკვირველია, ზუსტი არ არის და მხოლოდ ზოგად ხაზებში მიახლოებითად გამოხატავს მათ წონასო[17]. ამასთანავე მოცემული საუკუნეების მონეტებს, როგორც ცნობილია, არ აწერია, რომელია ერთი ფული, ორი ფული ან ბისტი, რომელი რა ერთი ფულია. ამას ისევე როგორც ს. კაკაბაძე პახომოვიც ნებისმიერად წყვეტს. არავითარი დასაბუთება არ მოაქვს თუ რატომ მის ცხრილში № 1 და № 5 არის ნახევარი ბისტი და № 19 და № 20 არის ბისტი.

პახომოვს ნახევარი ფულიანის მაგალითი დასახელებული აქვს ორი, შაურიანისა — ერთი, დანარჩენი სულ ბისტები და ნახევარ ბისტებია.

პახომოვი XVIII ს-ის ქართული სპილენძის ფულების წონას ძირითადად ამყარებს საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მოჭრილ ფულებზე ისეთივე ვარაუდით, როგორც მოცემული აქვს ს. კაკაბაძეს, რომ ფუთი სპილენძიდან იჭრებოდა 16 მანეთი, რაზედაც ჩვენ უკვე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. პახომოვი საერთოდ იმაზე არაფერს ამბობს, თუ რა საფუძველით ფიქრობს, რომ 9,70 ან 10,95 გრამიანი ფული ნახევარი ბისტებია და 4,71 — 4,96 გრამიანი — ერთი ფული.

ნ. ქოიავამ გაიზიარა ს. კაკაბაძისა და ე. ა. პახომოვის მოსაზრებები და ამაზე დამყარებით ამტკიცებდა, რომ „მრავალრიცხოვანი რეალიების აწონვამ გვიჩვენა გიულდენშტედტის ცნობის უსწორობა, თითქოს ფული იწონიდა 2.5 დრახმას. ნამდვილად ფული იწონიდა 3,25—4,83 გრამს“.

საქართველოს ისტორიის მუზეუმში დაცული მოცემული საუკუნეების სპილენძის ფულების რეალიების წონა, რომლებიც შვიდასს აღემატება, იწყება 1,08 გრამიდან (№ 2678) და ადის 25,11 გრამამდე (№ 3075). მათი რიცხვის გადიდებასთან ერთად კიდევ უფრო დაზუსტდება რეალიების წონის სურათი. ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს ამ საუკუნეების რეალიები 25.16 გრამზე (პახომოვის შრომა, გვ. 109, № 20) მეტი წონისა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთები უსათუოდ იყო. ს. კაკაბაძე მონეტებს წონის მიხედვით აჯგუფებს ორ

---

[16] ვ. ჩანტლაძე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801—1864) წ. იქვე, გვ. 244; Акты, т. II, с. 14—15; т. V, с. 298.

[17] Е. А. Пахомов, Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII—XVIII вв, გვ. 91.

ნომინალად, პახომოვი — სამად 4:2:1 შეფარდებით[18]. ნ. ქოიავაც სამ ჯგუფად — „შეფარდებით 1:2:4 (ერთი ფული, ორი ფული, ოთხი ფული)"[19]. მისი აზრით, „ნახევარი ფულის მოჭრა დაიწყო ერეკლე მეორემ"[20]. სულ სხვა ცნობას გვაწვდის თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც მ. ბროსეს წერს: „ჩემი წინაპარის, მეფე თეიმურაზის, საქართველოს ხელმწიფის, ჩემი პაპის, მეფე ერეკლეს და ჩემი მამის მეფე გიორგი XIII დროს თბილისში, მათ რეზიდენციაში ჭრიდნენ ჩვეულებრივი და სავაჭრო საჭიროებისათვის შემდეგ მონეტებს საფასე და ფულის საერთო სახელწოდებით... ჩვეულებრივი საჭიროებითვის ჭრიდნენ შავ ფულს ანუ სპილენძის ფულს შემდეგი სახელწოდებით: 1/2 ფული, 2) ფული, 3) ორმაგი ფული, 4) ოთხმაგი ფული ანუ ბისტი (უკანასკნელის სახელწოდება სპარსულია)"[21].

ამგვარად, იჭრებოდა ოთხი ნომინალი შეფარდებით — 0,5:1:2:4 — ნახევარფულიანი, ერთფულიანი, ორფულიანი და ოთხფულიანი.

საქართველოს ისტორიის მუზეუმში დაცული ნომინალები[22] შესაძლებელია დავაჯგუფოთ ოთხ ჯგუფად (ამოკრებილია რამდენიმე):

| 0,5 ფულიანები: | ერთფულიანები: | ორფულიანები: | ოთხფულიანები: |
|---|---|---|---|
| 1,08 გრ.—(№2678) | 7,53 გრ.—(№1222) | 14,50 გრ.—(№2665) | 21,30 გრ.—(№3076) |
| 2,01 —( 1016) | 7,85 —( 2970) | 17,98 —(1083) | 21,53 —(3081) |
| 2,65 —( 1085) | 8,39 —( 3002) | 17,98 —(1060) | 22,08 —(3070) |
| 3,04 —( 1015) | 8,41 —( 2792) | 18,06 —(1058) | 22,13 —(3083) |
| 3,19 —( 2992) | 8,57 —( 2806) | 18,19 —(1055) | 22,30 —(3080) |
| 3,55 —( 1085) | 8,58 —( 952) | 18,27 —(3045) | 22,68 —(1114) |
| 3,85 —( 997) | 8,66 —( 923) | 18,30 —(1033) | 25,11 —(3075) |
| 3,86 —( 1012) | 8,98 —( 976) | 18,62 —(1078) | 25,16[23] |
| 3,94 —( 2978) | 10,34 —( 905) | 18,71 —(1096) | |
| 4,13 —( 996) | 10,36 —( 901) | 20,23 —(3079) | და სხვ. |
| 4,14 —( 994) | 10,46 —( 1046) | 21,16 —(1113) | |
| 4,29 —( 995) | 10,60 —( 1008) | | |
| 4,63 —( 3094) | | და სხვ. | |
| 4,71 —( 1017) | და სხვ. | | |
| და სხვ. | | | |

მეორე ხერხი, რომელსაც მიმართავენ ს. კაკაბაძე და ნ. ქოიავა, იმის დასამტკიცებლად, რომ ერთი ფული 2,5 დრახმა არ იქნებოდა, არის ვერცხლისა და სპილენძის შეფარდების გამოანგარიშების გამოყენება.

ამ მეორე ხერხის გამოყენებით ს. კაკაბაძე და ნ. ქოიავა წინააღმდეგობაში ვარდებიან და თავისდაუნებურად და შეუცნობლად საკითხს წყვეტენ გიულდენშტედტისა და ივ. ჯავახიშვილის სასარგებლოდ.

---

[18] Е. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

[19] ნ. ქოიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

[20] იქვე, გვ. 27.

[21] Е. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 106—107. წერილი მ. ბროსეს გამოქვეყნებული აქვს Noun Journ. As. mai, 1835, გვ. 412—413.

[22] საქ. ისტორიის მუზეუმის სპეციალური დავთარი.

[23] Е. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 109, № 20.

ნ. ქოიავა, ამბობს, რომ ვახტანგ VI სამართლის მიხედვით „ერთი მისხლის წონა უდრის 2,5 შაურის წონას; აქედან გამომდინარეობს, რომ ვერცხლის შაური იწონის 0,4 მისხალს, ანუ ნარევი ვერცხლის 1,774 გრამს“[24]. შაური შედგება 10 ფულისაგან, მაშასადამე ერთი ფული უდრის 0,177 გრამ ვერცხლს. შემდეგ განაგრძობს: „სპილენძის ფული წარმოადგენდა წმინდა ვერცხლის 0,170 გრ., სპილენძი ვერცხლზე 62,5-ჯერ იაფი იყო“. „ვერცხლის და სპილენძის ფასების შეფარდება, წერს ნ. ქოიავა, საქართველოში და რუსეთში ერთნაირი იყო, რომ ამ შეფარდებას XVIIს-ის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისისათვის არ განუცდია საგრძნობი ცვლილება და რომ რუსეთში XVIII ს-ის მეორე ნახევარში ვერცხლი 62,5-ჯერ ძვირი იყო ვიდრე სპილენძი“. „მაშასადამე, ასკვნის იგი, ფული უნდა იწონიდეს 0,170×62,5 ჯერ, ე. 10,625 გრ[25]. ეს მსჯელობა და ანგარიში სწორია. დავაბოლოვოთ იგი და გრამების ეს რაოდენობა გამოვხატოთ დრახმებით. დრახმა, როგორც ცნობილია, ძველ საბერძნეთში წარმოადგენდა ფულისა და წონის ერთეულს. თავდაპირველად მისი წონა იყო 4,25 გრამი. 10.625:4,25=2,5 დრახმას.

ამგვარად, ნ. ქოიავას მიერ გამოანგარიშებული რიცხვი 10,625 გრ. უდრის 2,5 დრახმას.

ასევე თავისთავს ეწინააღმდეგება ს. კაკაბაძე, როდესაც ამბობს, რომ ირანში ამ პერიოდში ერთი გირვანქა სპილენძის ყიდვა შეიძლებოდა ერთ აბაზად (ვერცხლით). აბაზი შეადგენს 40 ფულს. გირვანქის წონა იყო გერმანულ-რუსულის საზომით 409 გრ. ინგლისურით — 453 გრ. საშუალოდ გამოდის 431 გრამი. 431-40-10.775 გრამს. გამოვხატოთ დრახმებით, ამისათვის 10,775 გავყოთ 4, 25 იქნება 2,53 ანუ დამრგვალებით 2,5 დრახმა.

მაშ რაში ედავებიან ს. კაკაბაძე და ნ. ქოიავა გიულდენშტედტსა და ივ. ჯავახიშვილს? იმაში, რომ აწონილი რეალიები გვაძლევენ სხვადასხვა წონას. აწონვის სიზუსტისა და სისრულის შესახებ ჩვენ ზემოთ საკმარისად ვილაპარაკეთ და, ცხადია, მეტი რაოდენობის რეალიების მოპოვებისა და აწონის შედეგად ეს რიცხვი თანდათან დაზუსტდება, თუმცა ერთი ფულის ერთეულის ფაქტობრივი წონა რასაკვირველია მაინც უფრო ნაკლები იქნება ვიდრე 2,5 დრახმა. ეს შესაძლებელია საკვირველი იყოს ნუმიზმატიკის თვალსაზრისით, მაგრამ იგი სრულიად ბუნებრივი მოვლენაა ეკონომიკური, კერძოდ ფინანსური მეცნიერების თვალსაზრისით. რატომღაც ამ წინააღმდეგობის გადაჭრა გაუძნელდათ ივ. ჯავახიშვილის კრიტიკოსებს.

როდესაც ივ. ჯავახიშვილი ამბობს, რომ ქართული ფულის ანგარიშის და სისტემის ერთეული $^1/_2$ დრახმა სპილენძი ყოფილა მიღებული და აქედან გამომდინარეობს, რომ ერთი ფული, რომელიც (ე ანუ) 5 ფულადი ერთეულისაგან შედგებოდა, 2,5 დრახმა სპილენძი არის, ის ლაპარაკობს ქართული ფულის ფასების მასშტაბზე. რა არის ფასების მასშტაბი? ეს არის ლითონის — ოქროს, ვერცხლის ან სპილენძის წონითი რაოდენობა, რომელიც მიღებულია მოცემულ ქვეყანაში საკანონმდებლო გზით.

ეხლა ვნახოთ როგორი იყო ფასთა მასშტაბი ვახტანგ VI სამართლის მიხედვით. ნ. ქოიავას ზემოთ მოტანილი გამოანგარიშებიდან, ჩანს, რომ ფული უდრიდა 10,625 გრამს ანუ 2,5 დრახმას. ეხლა ჩვენ მოვიტანთ მეორე ადგილს

---

[24] ნ. ქოიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

[24] იქვე. გვ. 25.

იმავე სამართლიდან — კარი თეთრის გარიგებისა. მე-16 მუხლის ბოლოში წერია: „ორი შაურის წონა ოქრო, რომ მისი დალი აჯდეს, ერთი ფლური არის. ამ ფლურის ფასი დრო არის, შვიდ აბაზად ფასდებოდეს, დრო არის, შვიდ აბაზ უზალთუნად არის“.

ამგვარად, ვახტანგის სამართლის მიხედვით 2,5 შაური არის 1 მისხ. ვერცხლი. აქედან შაური უდრის 0,4 მისხალ ვერცხლს და ვინაიდან შაური 10 ფულისაგან შედგება ფული უდრის 0,4 გაყოფილი 10-ზე, ე. ი. 0,04 მისხ. ვერცხლს. ეს წონა გრამებით გამოხატული მოგვცემს (0,04×4,436) 0,177 გრამ ნარევ ვერცხლს ანუ 0,170 გრ. წმინდა ვერცხლს.

შვიდი აბაზი და უზალთუნი არის 30 შაური ანუ 300 ფული. იგი გრამებით გამოხატული იქნება 51 გრ. (0,170×300). რამდენს შეადგენს ეს 300 ფული სპილენძით გამოხატული? თუ დავემყარებით ვერცხლისა და სპილენძის ზემოთ მოტანილ შეფარდებას — 1:62,5 მივიღოთ 3187,5 გრ. (51×62,5). ე. ი. 300 ფული სპილენძით გამოხატული იქნება 3187,5 გრ. აქედან 1 ფული იქნება 10,625 გრამი (3187,5 გაყოფილი 300-ზე). თუ გადავიტანთ 1 ფულის გრამებით გამოხატულ წონას დრახმებში მივიღებთ 2,5 დრახმას (10,625:4,25). ამგვარად, თვით ვახტანგ VI სამართლის მიხედვით ერთი ფული არის 2,5 დრახმა სპილენძი.

სწორედ ეს აქვთ მხედველობაში გიულდენშტედტს და ივ. ჯავახიშვილს.

მაშასადამე, ფასების მასშტაბი არის ლითონის — ოქროს, ვერცხლის ან სპილენძის წონითი რაოდენობა, რომელიც მიღებულია კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ბ ი ს გ ზ ი თ და გამოიყენება ყველა საქონლის ფასის გასაზომად. ფასების მასშტაბი და ფულის ღირებულების საზომის ფუნქცია სხვადასხვა ცნებებია. ფული როგორც ღირებულების საზომის ფუნქცია ზომავს საქონელთა ღირებულებას, ფული როგორც ფასთა მასშტაბი ზომავს ლითონის ყოველგვარ რაოდენობას. არაგეგმიან მეურნეობაში ღირებულების საზომი წარმოიშობა და ფუნქციონირებს სტიქიურად, ფასების მასშტაბი კი წესდება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ საკანონმდებლო გზით. ფულადი ლითონის ღირებულება დამოკიდებულია მის დასამზადებლად აუცილებელი შრომის რაოდენობაზე და იცვლება ამ უკანასკნელის ცვლილებასთან ერთად. ფასების მასშტაბი არავითარ ცვლილებას არ განიცდის ფულადი ლითონის გადიდებისა ან შემცირების გამო. ფასების მასშტაბით გამოხატული ფულადი ლითონის რაოდენობა შესაძლებელია შეიცვალოს, კანონმდებლობის წესით ფულადი ლითონის ცვლილებისაგან დამოკიდებულებით.

კ. მარქსი წერდა: „როგორც ღირებულების საზომი და როგორც ფასების მასშტაბი, ფული ორ სრულიად სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს. ღირებულებათა საზომს იგი წარმოადგენს როგორც ადამიანის შრომის საზოგადოებრივი განხორციელება, ფასის მასშტაბს — როგორც ლითონის ფიქსირებული წონა. როგორც ღირებულებათა საზომი იგი ემსახურება იმას, რომ უალრესად სხვადასხვა საქონლის ღირებულება გადააქციოს ფასად, წარმოდგენაში არსებულ ოქროს რაოდენობად; როგორც ფასების მასშტაბი, იგი ზომავს ოქროს ამ რაოდენობას. ღირებულებათა საზომით სხვადასხვა საქონელი გაიზომება როგორც ღირებულება, ხოლო ფასების მასშტაბი, პირიქით, ზომავს ოქროს სხვადასხვა რაოდენობას ოქროს განსაზღვრული რაოდენობით და არა ოქროს

ერთი რაოდენობის ღირებულებას ოქროს სხვა რაოდენობის წონით"[26]. ეს დარჩათ გაურკვეველი ივ. ჯავახიშვილის კრიტიკოსებს.

ივ. ჯავახიშვილის მიერ მოწოდებული რიცხვი—ერთი ფული=2,5 დრახმას, არის იმ პერიოდის ფასების მასშტაბი და საქართველოს ხაზინის შემოსავალი, რომელზედაც ლაპარაკობს ნ. ქოიავა შესაძლებელია მიღებულიყო სწორედ იმის გამო, რომ ფასების მასშტაბი და მონეტის ფაქტობრივი წონა, ფულის ერთეულში ლითონის შემცირების გამო, ერთმანეთს დაცილებული იყო.

ისტორიულად ფასების მასშტაბი და წონითი მასშტაბი ერთნაირი იყო. ამის მაგალითები ბევრია სხვა ქვეყნების ფულის მიმოქცევის ისტორიაში. ადრე წონითი ერთეულის სახელწოდება მონეტური სახელწოდება იყო. წონითი ერთეული მიღებული იყო ფულად ერთეულად. მაგალითად, გირვანქა, როგორც წონითი ერთეული, და გირვანქა, როგორც ვერცხლის გარკვეული რაოდენობა, თანამხვედრი იყო. თავდაპირველად გირვანქა სტერლინგი საანგარიშო ფულადი ერთეული იყო და უდრიდა ერთ გირვანქა წმინდა ვერცხლს. ისტორიულ მსვლელობაში ფასების მასშტაბი გამოეყო წონით მასშტაბს.

ეს გამოიწვია მოცემულ ქვეყანაში უცხოური მონეტების შესვლამ, რომლებიც მიმოქცევაში შევიდნენ, როგორც საქონელი და მათი სახელები განსხვავდებოდნენ ადგილობრივი წონითი ერთეულების სახელწოდებებისაგან. ეს გამოიწვია აგრეთვე იმანაც, რომ ძვირფასმა ლითონმა შეავიწროვა ნაკლებად ძვირფასი ლითონი და ფულადი ერთეულის სახელწოდება გამოეყო წონითი ერთეულის სახელწოდებას და, რაც მთავარია, ამ შემთხვევაში ეს გამოიწვია მონეტების წარმოშობისთანავე დაწყებულმა მონეტების შერყვნამ[27]. ამიტომ თავდაპირველი წონიდან მხოლოდ სახელწოდება დარჩა.

ინგლისის გირვანქა სტერლინგი XI—XII სს. წონით იყო ერთი გირვანქა ვერცხლი, XVI ს-ის გახდა 1/3 გირვანქა[28]. ძველ რუსეთში დიმიტრი დონელის დროს ორასი ფული იწონიდა 24—27 წილს, ივანე III-ის დროს—9 წილს. რუბლი XVII ს-ის იყო 16 მისხალი ვერცხლი, XVII ს-ის დასასრულს გახდა 7 მისხალი.

ნ. ქოიავა ივ. ჯავახიშვილს ედავება იმ დებულებაშიც, რომ ქართული ფულის „აღრიცხვა ლითონის წონის რაოდენობაზე ყოფილა დამყარებული". ამაზე კამათი პირდაპირ გაუგებრობას უნდა მიეწეროს. მონეტური ფულის აღრიცხვა რომ ლითონის წონის რაოდენობაზეა დამყარებული აქსიომატური ჭეშმარიტებაა, ვინაიდან ფულის მონეტების სახით არსებობა წონის გარეშე სხვანაირად წარმოუდგენელიც არის. მისი აღრიცხვა და ანგარიში სწორედ ოქროს, ვერცხლის, სპილენძისა და სხვა რომელიმე ლითონის წონაზე არის

---

[26] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 127—128.

[27] აქ ვიყენებთ სულხან-საბა ორბელიანის ტერმინს „რიოში", „შერყვნილი" ვერცხლი, ოქრო (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული; აგრეთვე „სიბრძნე-სიცრუისა", თხზ., ტ. I, 1959, გვ. 60; აგრეთვე „სწაელანი", თხზ., ტ. III, 1963, გვ. 38: „ვითარცა ოქრო განრყვნილი შთააგდო ბრძმედსა შინა და ცეცხლითა მიერ განიწმინდოს განრყვნილება მისი და ოქრო იგი ოფაზ წმინდა გამოვიდეს ცეცხლისა მისგან...". ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში ხმარობენ რუსულიდან გადმოთარგმნილ ტერმინს „მონეტების გაფუჭება".

[28] ოქრომონეტური სტანდარტის შემოღებიდან 1816 წ. კანონმდებლობით დადგენილ იქნა 1 გ. სტ.=7,322382 გრ. წმინდა ოქრო, 1949 წ. ფიქსირებულ იქნა მისი შინაარსი 3,58134, გრ. წმინდა ოქრო, 1949 წ. შემდეგ — 2,48828 გრ. წმინდა ოქრო.

დამყარებული. მონეტის ერთეული ანუ მონეტური ზომა არის ფულის წმინდა ლითონის რაოდენობა, რაც მოცემული ქვეყნის ფულადი ერთეულისათვის არის დაწესებული.

მონეტას აქვს ამა თუ იმ ქვეყნის და ამა თუ იმ დროის კანონით განსაზღვრული წონითი შინაარსი და ფორმა. სწორედ ამიტომ წერდა კ. მარქსი: „ფული როგორც მონეტა კარგავს თავის უნივერსალურ ხასიათს და იძენს ნაციონალურ, ადგილობრივ ხასიათს".[29]

ნ. ქოიავას გარდა განცხადებისა არავითარი დასაბუთება არ აქვს მოტანილი, რომ მონეტების ანგარიში ლითონის წონის რაოდენობაზე არ არის დამყარებული.

როდესაც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ: „აღრიცხვა ლითონის წონის რაოდენობაზე ყოფილა დამყარებული-ო", გულისხმობს ფულის როგორც ღირებულების საზომის და მიმოქცევის ფუნქციებს. მაგრამ ამით ივ. ჯავახიშვილი იმას არ ამბობს, რომ ქართულ ფულს XVII—XVIII სს. მიმოქცევის ფუნქციის შესრულება ყველა შემთხვევაში ბაზარზე მონეტების აწონვით უხდებოდა. ამ დროისათვის არსებობდა საფასეს ჩამოყალიბებული საანგარიშო ნომინალები: ნახევარი ფული, ერთი ფული, ორი ფული, ბისტი, შაური, უზალთუნი, აბაზი, მარჩილი და სხვ.

ნ. ქოიავას მიუღებლად მიაჩნია ივ. ჯავახიშვილის მესამე დებულებაც: „რომ თვით ვერცხლის ფულისათვისაც საფუძვლად სპილენძის წონითი რაოდენობა მიუღიათო". ნ. ქოიავა ამბობს, რომ XVIII ს. საქართველოს ფულადი სისტემის საფუძველი სპილენძი არ არის, რომ ამხანად საქართველოს არ ჰქონია სპილენძის მონომეტალიზმი, რომ ირანის ზეგავლენით საქართველოშიც XVI—XVIII სს. ვერცხლის მონომენტალიზმი იყო.

ნ. ქოიავას მოაქვს ციტატა პახომოვის შრომიდან, სადაც წერია: „...საქართველო XVII—XVIII სს. ადგა საერთო ირანულ ვერცხლის ვალუტას, ხოლო სპილენძი ასრულებდა ხურდა, ნახევრად საკრედიტო მონეტის როლს"[30].

ამ საკითხში მას მხარს უჭერს დ. კაპანაძე, რომელიც წერს: „XVII—XVIII საუკუნეებში ირანის ძირითადი სამონეტო ერთეული ვერცხლის აბაზი იყო და, რამდენადაც ამ დროს აღმოსავლეთი საქართველო მისი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ბუნებრივია, აქაც ბატონობდა ვერცხლის მონომეტალიზმი, ოქრო იშვიათად გვხვდება, ხოლო სპილენძს, რომელიც დიდი რაოდენობით იჭრებოდა, მხოლოდ ხურდა ფულად ხმარობდნენ. ვერცხლის მონომეტალიზმს ამ პერიოდის საქართველოში ადასტურებს ვახტანგ VI კანონთა კრებული, სადაც სპეციალური კარი (თეთრის გარიგებისა) სწორედ ვერცხლის მონეტების მოჭრას ითვალისწინებს"[31].

ამის დამაჯერებელი საბუთი არა აქვს წარმოდგენილი არც ნ. ქოიავას და არც დ. კაპანაძეს.

როგორც ცნობილია, სპილენძის ფული პირველად გამოიყენეს აღმოსავლეთის ქვეყნებში, მაგალითად, ჩინეთში VII ს-ში ჩვ. წ. აღ-მდე, შემდეგ დასავლეთში,— რომში III ს-ში ჩვ. წ. ა. შუა საუკუნეებში სპილენძის ფული ფართოდ გავრცელე-

---

[29] Архив Маркса и Энгельса. т. IV, გვ. 227.

[30] Е. Пахомов. დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

[31] დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 16.

ბული იყო აღმოსავლეთის ქვეყნებში. საქართველოში XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში გვაქვს სპილენძის მონომეტალიზმი. სპილენძის ფული, როგორც ცნობილია, შემოიღო დავით აღმაშენებელმა.

ჩრდილო აღმ. რუსეთში XV—XVI სს. იჭრებოდა სპილენძის მონეტები სახელწოდებით ფული (пулы). მოსკოვის რუსეთში XVII ს-ის სპილენძის კაპეიკები დიდი რაოდენობით იქნა გამოშვებული, რამაც 1662 წ. სპილენძის ბუნტი გამოიწვია. როგორც ცნობილია, როდესაც საქართველო მეფის რუსეთს შეუერთდა რუსეთს 1810-იან წლებამდე ჰქონდა სპილენძის მონომეტალიზმი.

XVIII ს-ში საქართველო დაახლოებული იყო არა მარტო სპარსეთთან, არამედ მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთანაც. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, რუსულ-ქართული მონეტების მოჭრის დროსაც არავითარი უხერხულობა არ შექმნილა, რაც შესაძლებელია მომხდარიყო ორი სხვადასხვა ქვეყნის ფულადი სისტემების — ვერცხლის მონომეტალიზმისა და სპილენძის მონომეტალიზმის შერწყმის გამო.

მეფის რუსეთმა 1810 წლიდან აღიარა მონეტის ერთეულად ვერცხლის მანეთი (рубль). წვრილი ვერცხლის და სპილენძის რუბლი შეიცავდა 4 მისხ. 21 წილ წმინდა ვერცხლს. სინჯი იყო 83⅓. 1840 წ. მოიჭრა ახალი სპილენძის მონეტები, ვერცხლის ანგარიშით 16 მან., ერთი ფუთი სპილენძიდან. 1849 წლიდან სპილენძის წონა შეამცირეს, ფუთიდან იჭრებოდა 32 მან.

როგორც ცნობილია, მონომეტალიზმი არის ისეთი ფულადი სისტემა. რომლის დროსაც მხოლოდ ერთი ლითონია აღიარებული საყოველთაო ექვივალენტად, მხოლოდ ერთი ლითონი წარმოადგენს ფულადი მიმოქცევის ექვივალენტს, მის მიმართ დაწესებულია თავისუფალი მოჭრა და მას კანუსაზღვრელი საგადამხდელო ძალა აქვს. სხვა ლითონების მიმართ, რომლებიც ასევე იმყოფებიან მიმოქცევაში, დაწესებულია დახურული მოჭრა, ამასთანავე შეზღუდულია მათი საგადამხდელო ფუნქცია. მაგალითად, რუსეთში 1897 წელს ოქროს მონომეტალიზმის შემოღების შემდეგ ვერცხლის მონეტის მიღება ერთჯერადად სავალდებულო იყო მხოლოდ 25 მანეთის ოდენობით, სპილენძისა—3 მანეთამდე. ამასთანავე ვერცხლისა და სპილენძის მონეტებს სახელმწიფო მხოლოდ განსაზღვრული ოდენობით ჭრიდა. „ინგლისში სპილენძი მხოლოდ 6 პენსამდე და ვერცხლი მხოლოდ 40 შილინგამდე იყო მისაღებად სავალდებულო" (კ. მარქსი, პოლიტ. ეკონ. კრიტ., 1953, გვ. 143).

თუ XVIII ს-ის საქართველოში იყო ვერცხლის მონომეტალიზმი და სპილენძის ფული მხოლოდ ბილონური ფული იყო, როგორც ამბობს ნ. ქოიავა, მაშინ სპილენძის მოჭრა უნდა ყოფილიყო დახურული ამასთანავე მისი მიღება გადასახდელში უნდა ყოფილიყო განსაზღვრული. ამის დამამტკიცებელი საბუთები ნ.ქოიავას არ მოეპოვება. მისი მტკიცებით, რაშიაც ის პახომოვს იმოწმებს. XVIII საუკ. საქართველოში სპილენძის ფული იყო ხურდა ფული, ბილონური მონეტა. ხურდა ფული ფართო აზრით გულისხმობს შედარებით მცირე ნომინალს, რომელსაც შეუძლია დაახურდაოს უფრო დიდი ოდენობის ნომინალი. ვიწრო მნიშვნელობით, ხურდა ფული ბილონურ ფულს ნიშნავს. ნ. ქოიავა XVIII ს-ის სპილენძის ფულს თვლის ხურდა ფულად ე. ი. ბილონურ ფულად. ეს თუ ასეა, მაშინ როგორც ავხსნათ ის, რომ ამ საუკუნეში ფართოდ იყო გამოყენებული მონეტების შერყვნა მი-

სი წონაში შემცირება და სხვ. ვინაიდან ბილონური მონეტის (არასრულფასოვანის) მოჭრა სხვა უფრო ნაკლები ღირსების ლითონიდან, ან მისი წონაში დაკლება, რასაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი და რის არსებობასაც. ნ. ქოიავა ხაზგასმით აღნიშნავს, არ იქნება მონეტების შერყვნა, რადგან ხურდა მონეტა „ფულად მიმოქცევაში დამხმარე როლს ასრულებს და ის თავისი ბუნებით არის არასრულფასოვანი. მაშინ ის შემოსავლის წყაროდაც ვეღარ იქნებოდა გამოყენებული სახელმწიფოს მიერ. საერთოდ ცნობილია, რომ მიმოქცევაში ქაღალდის ფულის გამოშვების შემდეგ მონეტების შერყვნა შეწყდა. ამიტომ სწორია ის აზრი, რომ სპილენძის ფული იმ ხანად ფულადი ერთეულის როლს ასრულებდა საქართველოში. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ადრინდელი მერკანტილიზმის ეკონომიკური პოლიტიკა ამართლებდა სპილენძის მონომეტალიზმს, რამდენადაც სიმდიდრის წყაროდ მათ მიაჩნდათ სახელმწიფოში ძვირფასი ლითონების დაგროვება. ამისათვის ადრინდელი მერკანტილისტები მოითხოვდნენ ისეთ მონეტარულ სისტემას, რომელიც ხელს შეუწყობდა ძვირფასი ლითონების შემოზიდვას და დააბრკოლებდა, ან პირდაპირ აკრძალავდა მათ გადაზიდვას. ამ მხრივ სპილენძის მონომეტალიზმს უპირატესობა ჰქონდა ვერცხლის მონომეტალიზმთან. თუ ვერცხლისა და სპილენძის შეფარდება იქნებოდა 1:60, ეს ნიშნავს 1 ტონა ვერცხლის ნაცვლად უნდა გაეზიდათ 60 ტონა სპილენძი, რაც შედარებით უფრო ძნელი იყო. ამასთანავე მონეტების გადადნობა სამკაულებად მით უფრო გავრცელებულია, რაც უფრო მეტად ძვირფასი ლითონი ასრულებს საყოველთაო ექვივალენტის როლს.

ზემოთ მოხსენიებული ავტორების მიერ არ არის გამოკვეთილად განსხვავებული ერთმანეთისაგან მონეტის ამა თუ იმ ლითონის გავრცელებულობა და ამა თუ იმ ლითონის მონომეტალიზმი. სინამდვილეში ამ პერიოდის საქართველოში მიმოქცევაში იყო რამდენიმე ლითონის ფული. ირანის ფულად მიმოქცევაში დ. კაპანაძე ამბობს, ოქრო იშვიათად გვხვდებაო. ჯერ ერთი, ზოგ ქვეყანაში იშვიათად არ გვხვდება, მაგრამ არსებითი ეს არ არის, რამდენადაც გვხვდებოდა ის ფულის ღირებულების საზომის ფუნქციას ასრულებდა, თუ ისიც ე. ი. ოქროც ხურდა ფული იყო. მეორე, დ. კაპანაძე წერს, რომ ირანში სპილენძს დიდი რაოდენობით ჭრიდნენო და მხოლოდ ხურდა ფულად ხმარობდნენო. მერე განა შეიძლება ხურდა ფულის დიდი რაოდენობით მოჭრა? ხურდა ფულის რაოდენობა განისაზღვრება მიმოქცევის სფეროს მოთხოვნილებებით. სპილენძის ნიშნები, რომ უფრო დიდი რაოდენობით იქნეს გამოშვებული ამბობს კ. მარქსი, „ვიდრე მათი მიმოქცევის მოთხოვნილებანი ამას საჭიროებენ, ამით საქონელთა ფასები არ აიწევდა, არამედ ადგილი ექნებოდა ამ ნიშნების დაგროვებას ცალობრივად გამყიდველთა ხელში, რომელნიც ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდებოდნენ ისინი ლითონის სახით გაეყიდათ“[32].

ამ შემთხვევაში ირანის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ან ორი ლითონი ზომავდა ღირებულებას და მაშინ ყოფილა ბიმეტალიზმი და არა მონომეტალიზმი, ან და ერთ-ერთი ლითონის მიმართ უნდა ყოფილიყო დახურული მოჭრა და გადასახდელებში ხურდა ფულის განსაზღვრული რაოდენობით მიღება. ამის დამამტკიცებელი „აქტები ზემოთ დასახელებულ ავტორებს არა აქვთ. მაშ რა საფუძველზე ამტკიცებენ, რომ ირანში იყო ვერცხლის მონომეტალიზმი და საქართველოსაც იქიდან ჰქონდა გადმოღებული?

---

[32] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 143.

არის საბუთი, რომელიც ადასტურებს საწინააღმდეგოს, სახელდობრ რომ არ ყოფილა საქართველოში XVIII ს. ვერცხლის მონომეტალიზმი.

დარეჯან დედოფლის მიერ 1796 წლის ბოძებულ საიჯარო პირობის წიგნში ნათქვამია:

„იასე იასეშვილო" ქალაქის სამღებრო იჯარით აიღევით ორას ორმოც თუმნათ... თვე და თვე ჩვენ სარქარს უნდა მიაბაროთ, ნ ა ხ ე ვ ა რ ი თ ე თ რ ი ფ უ ლ ი და ნ ა ხ ე ვ ა რ შ ა ვ ი ფ უ ლ ი"[33]. როგორც ვხედავთ, სპილენძის ფული თანაბარ მდგომარეობაშია დაყენებული ვერცხლთან, მიღებულ უნდა იქნეს ნახევარ-ნახევარი. რომ სპილენძის მონეტები უფრო მეტად იყვნენ შერყვნილნი ვიდრე ვერცხლისა და, მაშასადამე, ბილონური ფულის როლს თამაშობდნენ, მაშინ მისაღები თანხის ნახევარს სპილენძით არ მიიღებდნენ; მოითხოვდნენ სულ ვერცხლს. სპილენძი თუ ბილონური ფული იქნებოდა, დიდი-დიდი მიეღოთ 3%-მდე მისაღები თანხისა. ნახევარი დაწესებული არა იმიტომ, რომ ის ბილონური ფულია, არამედ იმიტომ რომ არ უნდოთ რომ მთელი მისაღები თანხა წვრილი ფულისაგან შედგებოდეს.

რაც შეეხება დ. კაპანაძის აზრს, რომ ვახტანგ VI კანონთა კრებულში მოცემული „კარი თეთრის გარიგებისა" თითქოს ვერცხლის მონომეტალიზმს უნდა ასაბუთებდეს სწორი არ არის. მართალია, სიტყვა „თეთრი" საფასეს მიმართ წარმოშობილია ვერცხლიდან, მაგრამ ამ შემთხვევაში — ამ დასათაურებაში თეთრი არ ნიშნავს ვერცხლს. „თეთრი" აქ ნიშნავს საერთოდ საფასეს. ფულს. მუხ. 20-ში ნათქვამია: „შუათანამ და მის ქვემოთმან თავადმან სისხლის ნახევარში თეთრად ოქროდ, ვერცხლად, ტყვედ და ფარჩათ დაუჭიროს და ნახევარში ცხენი, იარაღი და სპილენძი დაუჭიროს". როგორც ვხედავთ. თეთრად სამივე სახის ლითონი არის დასახელებული ოქრო, ვერცხლი და სპილენძი. თეთრი რომ აქ ვერცხლს ნიშნავდეს, მაშინ ვერცხლი აღარ იქნებოდა ხელახლად გამეორებული. ასევე არის მუხლი 19-ში — თეთრად ჩამოთვლილია ოქრო, ვერცხლი და სპილენძი. მუხ. 21 და 22-ში დასახელებულია ლითონები: ოქრო, ვერცხლი და რვალი ე. ი. სპილენძისა და კალის შენარევი ლითონი.

ამგვარად, ფული იჭრებოდა ვერცხლისა და სპილენძის ლითონებისაგან და, ჩანს, გადახდა შეიძლებოდა „თეთრად" ე. ი., ფულით და არაფულითაც — ოქროთი, ვერცხლით, სპილენძით, რვალით, ცხენით, ხარით, მამულებით, იარაღით და სხვ.

В. Г. ЧАНТЛАДЗЕ

# К ВОПРОСУ О ГРУЗИНСКОЙ ДЕНЕЖНОЙ ЕДИНИЦЕ XVII — XVIII ВВ.

Резюме

Историк Саргис Какабадзе, нумизматик Е. Пахомов и финансист Н. Коиава критикуют положение акад. Ив. Джавахишвили, согласно которого денежной единицей грузинских монет XVII—XVIII вв. явля-

[33] საქართველოს სიძველენი, III, გვ. 246—247.

лась пули весом 2,5 медной драхмы. По их мнению, Ив. Джавахишвили допустил ошибку, опираясь на сведения акад. Гильденштедта. С. Какабадзе взвесил 7 монет из собственной коллекции и доказывает, что 1 пули должна была весить приблизительно в два раза меньше указанного веса.

Критики положения Ив. Джавахишвили ошибаются. Во-первых, из-за «поспешного обобщения» они применяют метод неполной индукции. Данные, полученные взвешиванием 7 или нескольких десятков единиц монет они распространяют на несколько сот тысяч единиц. Такого рода обобщение неверно не только логически, но и с точки зрения статистической науки. Выборочный метод наблюдения имеет свои пределы. Во-вторых, Гильденштедт долго жил в Грузии в то время, когда эти монеты находились в обращении. Поэтому он являлся не только исследователем, но и потребителем. На эти деньги он покупал и товары. Известно, что ни один покупатель систематически не платит за товары в двойном размере.

В-третьих, и что главное, Ив. Джавахишвили, утверждая, что 1 пули весила 2,5 медной драхмы, имеет в виду масштаб цен денег. Его критики упускают из виду эту функцию денег и не учитывают порчу монеты. Масштабом цен денег является не фактический вес металлического содержания монеты, а вес, установленный в законодательном порядке. По закону Вахтанга VI, как это показано в настоящей статье, пули равнялась 2,5 медным драхмам.

Более того, критики положения Ив. Джавахишвили, утверждая, что в Иране и Грузии тогда существовал серебряный монометализм и что медная монета являлась биллонной монетой, не приводят никаких доказательств, не ссылаются на законодательные акты, которые бы устанавливали ограниченную чеканку и ограниченный прием разменных монет в один прием, что является непременным условием монометализма.

გიორგი მინდიაშვილი

# მტკვარ-არაქსული საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესწავლისათვის

მტკვარ-არაქსული კულტურის შემქმნელი საზოგადოების სოციალური შესწავლის მნიშვნელობა კომენტარს არ საჭიროებს. მისი ნამოსახლარების ამ თვალსაზრისით შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენში აღმოჩენილ იმ ყორღანებთან დაკავშირებული პროცესების კვლევისათვისაც, რომლებიც ძვ. წ. III ათასწლეულში ჩნდებიან[1] და ჯერ კონსტრუქციითა და დაკრძალვის წესით, შემდეგ მასალის რაოდენობით და ბოლოს მისი ხარისხით იმდენად განსხვავდებიან, როგორც ჩვეულებრივ სამარხთაგან, ისე ერთმანეთისაგან[2], რომ აშკარად

---

[1] მიუხედავად იმისა, რომ გ. ქავთარაძემ მტკვარ-არაქსის კულტურა საკმაოდ საფუძვლიანად გადაიტანა ძვ. წ. IV ათასწლეულში (გ. ქავთარაძე, საქართველოს ენეოლით ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების ქრონოლოგია ახალი მონაცემების შუქზე, თბ., 1981, გვ. 71—92), კავკასიაში ამ ტიპის ძეგლების არსებული პერიოდიზაციიდან გამომდინარე, ჩვენ ჯერჯერობით ვერ გავიზიარებთ შ. დედაბრიშვილის მიერ მტკვარ-არაქსული ყორღანების ერთი ნაწილის ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრით დათარიღებას, რადგან მის მიერ ამ მოსაზრების დასამტკიცებლად გამოყენებული მასალა (მაშნაარი II) ძლიერ ნაკლულია (იხ. Ш. Ш. Дедабришвили, Курганы Алазанской долины, Тб., 1979, გვ. 57, 58). გარდა ამისა, ძეგლის ასეთ დათარიღებას ეწინააღმდეგება არქაულობის საბუთად გამოყენებული ნიშნებიც (იხ. Р. М. Мунчаев, Кавказ на заре бронзового века. М., 1975, გვ. 194).

[2] კონსტრუქციისა და დაკრძალვის წესის მიხედვით ამიერკავკასიაში შესწავლილი ადრე ბრინჯაოს ხანის ყორღანები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს. ესაა: უორმოო კოლექტიური (საჩხერის, ტყვიავის I, სტეფანაკერტის № 119 და № 125, ნახიდრების ჭალის № 3, ქისტაურის, მაშნაარის I—II, კაჭრეთის № 3), ორმოიანი კოლექტიური (სტეფანაკერტის № 103, № 119-ის ძირა ფენა, ხაჩენაგეტის № 2), უორმოო ინდივიდუალური (სამგორის კოხრასგორა, თრიალეთის XXVI XL, ტყვიავის II) და ორმოიანი ინდივიდუალური (ტყვიავის III, თრიალეთის IV, X, XI, XII, XIII, XIX, XXII, XXIV, XXV, XLVI, შულავერის № 3, ბედენისა და ბედენური ტიპის ხოვლესა და ალაზნის ველის) ყორღანები. ამ ჯგუფებს შიგნით ყორღანთა ყრილების ზომის, შედგენილობისა და სხვა ცალკეული ნიშნის მიხედვით, კიდევ შეიძლება მცირე ქვეჯგუფების გამოყოფა. ასევე განსხვავებულია მათში მოცემული ინვენტარიც. უკანასკნელთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ბ. კუფტინის მიერ აღნიშნული შეუსაბამობა თრიალეთის ადრებრინჯაოს ყორღანების აგებაზე დახარჯულ დიდ შრომასა და მათ მწირ სამარხეულ ინვენტარს შორის (Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I., Тб., 1941, გვ. 101), ჩვენი აზრით, სწორად ახსნა გ. გობეჯიშვილმა, რომელმაც ეს ყორღანები ბედენურთა მსგავსად გაძარცულად მიიჩნია (გ. გობეჯიშვილი, ბედენის გორასამარხების კულტურა, თბ., 1981, გვ. 70—71). ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს ზოგ მეცნიერს, მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალური ეტაპისათვის შესაძლებლად მიაჩნია თრიალეთის ადრებრინჯაოს ხანისა და ე. წ. ბედენური ყორღანების სინქრონიზება როგორც ერთმანეთთან, ისე ამ ეტაპის რიგით სამარხებთან და ნამოსახლართა გარკვეულ ფენებთან (К. К. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры Южного Кавказа, Ленинград, 1970. გვ. 182; ე. გოგაძე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბ., 1972, გვ. 93, 95; ალ. ორჯონი-

მიგვითითებენ საზოგადოების სოციალურ-ქონებრივი დიფერენცირების მაღალ დონეზე, პირველყოფილი თემური წყობილების რღვევასა[3] და სამხედრო დემოკრატიის ჩამოყალიბებაზე.

ამ დასაკრძალავ ნაგებობათა მასშტაბები (ესენია მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალური ეტაპის-სამგორის, თრიალეთის ადრებრინჯაოს და ე. წ. ბედენური ყორღანები.) და მათში მოპოვებული ხელოსნობის სხვადასხვა დარგის მდიდრული ნიმუშები, რომელთა გენეტიკური კავშირი მტკვარ-არაქსის კულტურასთან ზოგჯერ წყვეტილებით ხასიათდება და ნაწილობრივ სცილდება კიდეც მის ფარგლებს, საფუძველს აძლევს მეცნიერთა ერთ ნაწილს მათი (ყორღანების) გამოჩენა, სხვადასხვა არქეოლოგიური კულტურების მატარებელი ხალხების მიგრაციებს დაუკავშირონ.[4] თუმცა, საკითხის შესწავლის დღევანდელ ეტაპზე, როდესაც მტკვარ-არაქსის კულტურის ფარგლებს გარეთ ჯერ არ აღმოჩენილა ისეთი არქეოლოგიური კულტურა, რომელთანაც შესაძლებელი იქნებოდა ამგვარი მიგრაციის პრაქტიკულად დაკავშირება, არსებული ზოგიერთი საგრძნობი განსხვავების ახსნის ერთ-ერთ გზად შეიძლება ადგილობრივ ნიადაგზე მტკვარ-არაქსული მოსახლეობის ერთი ნაწილის სოციალური და ქონებრივი აღზევებაც ჩაითვალოს[5].

ეს გზა, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ეთნოკულტურულ ცვლილებებს. მაგრამ უკანასკნელის დაშვების შემთხვევაშიც მტკვარ-არაქსული კულტურის შემქმნელ საზოგადოებას, ეტყობა, უკვე უნდა ჰქონოდა საწარმოო ძალთა განვითარების შესაფერისი დონე, რათა ახალმოსულთა ნავარაუდევი სამხედრო-პოლიტიკური ჰეგემონია ისეთ სოციალურ-ქონებრივ პრივილეგიად რეალიზებულიყო, როგორადაც მას თრიალეთის ადრებრინჯაოს, ბედენური და უფრო გვიან, თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ყორღანები წარმოგვიდგენენ.

ჩვენი ვარაუდის დასადასტურებლად საჭიროა მოვახდინოთ მტკვარ-არაქსელთა ეკონომიკის ამ თვალსაზრისით შეფასება; უნდა გაირკვეს შეეძლო თუ არა, აღნიშნულ ყორღანებთან, როგორც ქრონოლოგიურად, ისე გენეტიკურად ყველაზე ახლოს მდგომ მტკვარ-არაქსულ საზოგადოებას[6], საკუთარ ეკონომიკაზე დაყრდნობით (მნიშვნელოვანი ეთნიკური ცვლილებების, მიგრაციების გარეშე) მიეღწია განვითარების ისეთი დონისათვის, რომელიც მის მკვეთრ სოციალურ და ქონებრივ დიფერენცირებას გამოიწვევდა.

---

კ ი ძ ე, სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1981, გვ. 135—138).

[3] Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრომი. გვ. 92, 100; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970. გვ. 198; ე. გ ო გ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 94; გ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, „სამეფო აკლდამების“ სოციოლოგიური ინტერპრეტაციისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VII, თბ., 1979, გვ. 83—84; Ш. Ш. Д е д а б р и ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 70; О. М. Д ж а п а р и д з е. Эпоха ранней бронзы в Закавказье, «Кавказ и Средиземноморье», Тб., 1980 , გვ. 49; გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

[4] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969, გვ. 236; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 352—355; გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

[5] ე. გ ო გ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

[6] გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ბედენის აკლდამა, „ძეგლის მეგობარი“, №12, თბ., 1967, გვ. 22; მ ი ს ი ვ ე, ბედენის გორასამარხების კულტურა, გვ. 73; ე. გ ო გ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 16—33; Ш. Ш. Д е д а б р и ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

სამარხეული მასალის მიხედვით, მტკვარ-არაქსის კულტურის ზოგი მკვლევარი საკმაოდ ადრეულ ეტაპზევე ახდენს ქონებრივი დიფერენცირების ფიქსაციას.[7] იმავე მასალის (კოლექტიური და ინდივიდუალური საოჯახო და საგვარეულო ორმოიანი და ქვაყრილიანი სამარხების ხარჯზე — კიკეთის, ქვაცხელას, ამირანის გორის სამარხები) საფუძველზე სხვებს ყორღანების წარმოშობაც მიაჩნიათ შესაძლებლად[8]; საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მკვლევართაგან, მისი შემქმნელი საზოგადოების სოციალური დონის განსაზღვრის საკითხს თითქმის ყველა შეეხო, რაც შეუძლებელს ხდის მცირე სტატიაში არა თუ მათ ცალ-ცალკე განხილვას, არამედ სრულად მოტანასაც კი. ამიტომ ქვევით, ვიდრე მტკვარ-არაქსული ნამოსახლარების მასალის მიხედვით, მისი ეკონომიკის თავისებურებებისა და შესაძლებლობების შეფასებას შევუდგებოდეთ, შევეცდებით ისინი მოკლედ, შეჯამებულად გადმოგცეთ. ამ მოსაზრებების მიხედვით მტკვარ-არაქსული საზოგადოება გვაროვნული წყობილების სხვადასხვა ეტაპს არის მიკუთვნებული, ეს ეტაპებია: მატრიარქატული,[9] მატრიარქატიდან პატრიარქატულ გვაროვნულზე გარდამავალი[10] და განვითარებული პატრიარქატულ-გვაროვნული[11]. პატრიარქატის გვერდით იხსენიება როგორც დიდი[12], ისე მცირე ოჯახები: ერთ, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი, მართალია, წინწკლებში, მაგრამ მაინც ვხვდებით მონოგამურ ოჯახს და მასაც გვაროვნული წყობილების რღვევასთან კავშირში[13].

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ი. კიკვიძის მონოგრაფია, რომელშიც იგი შეეხო, როგორც ენეოლითურ-ადრესამიწათმოქმედო, ისე მტკვარ-არაქსული ადრებრინჯაოს კულტურის საზოგადოებრივ წყობილებას, ამათგან პირველში იგი გვაროვნული წყობილების დაშლას და დიდი ოჯახების (საოჯახო თემის) აღმოცენებას, ხოლო მეორეში — პატრიარქატზე დაფუძნებული წყვილადი ოჯახებისაგან შემდგარი სასოფლო თემის არსებობას ვარაუდობს.[14] ამასთან

---

[7] ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963, გვ. 84—85. 96, 97; მისივე, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბ., 1965, გვ. 86, 87, 88, 90.

[8] ე. გოგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

[9] Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, Ленинград, 1949, გვ. 40.

[10] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 105; მისივე. Археологические раскопки в 1947 году в Цалкинском районе, Тб., 1949, გვ. 45; К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Историческое значение Южного Кавказа в III тысячелетии до н. э., Советская археология (СА), №3. М., 1963, გვ. 22; გ. ფხაკაძე, ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963, გვ. 124—135; О. М. Джапаридзе, Эпоха ранней бронзы в Закавказье, გვ. 47.

[11] Р. М. Мунчаев, Древнейшая культура Северо-Восточного Кавказа, Материалы и исследования по археологии СССР, № 100. М.-Л., 1961; ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, თბ., 1962, გვ. 53; ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963, გვ. 84, 89; Р. М. Мунчаев, Рецензия на кн. Т. А. Бунятов, «Очерки азербайджанской археологии, СА, № 3. 1963, გვ. 254; В. М. Котович, Верхнегунибское поселение — памятники эпохи бронзы Дагестана, Махачкала, 1965, გვ. 5, 235, 239; ტ. ჩუბინიშვილი, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის..., გვ. 90—118, 125, 127; გ. გობეჯიშვილი, თეთრიწყაროს ნასოფლარი, თბ., 1978, გვ. 113.

[12] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, გვ. 53.

[13] ტ. ჩუბინიშვილი, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის..., გვ. 79—80, 93.

[14] ი. კიკვიძე, ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, თბ., 1972, გვ. 89; მისივე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976, გვ. 43, 62.

ერთად შესაძლოდ მიიჩნევს ერთი ან რამდენიმე გვარით დასახლებული სოფლების არსებობასაც.

როგორც ზემოთ ვნახეთ, მიუხედავად გარკვეული სხვაობისა, მოტანილი მოსაზრებები ერთი საერთო ნიშნით ხასიათდებიან. ყველა მათგანი მტკვარ-არაქსულ საზოგადოებას გვაროვნულად მიიჩნევს. ამიტომ, ვიდრე ამ საზოგადოების სოციალური დონის განსაზღვრას შევეცდებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ჩამოვაყალიბოთ ჩვენი დამოკიდებულება ისეთი თეორიული საკითხის მიმართ, როგორიცაა გვაროვნული წყობილების განსაზღვრა: გავარკვიოთ რას ვგულისხმობთ გვაროვნულ წყობილებაში: რას უნდა გამოეწვია. როგორც მისი ჩამოყალიბება, ისე — დაშლა.

ვინაიდან, საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარება პირდაპირ კავშირშია საწარმოო ძალთა განვითარებასთან, ჩვენი აზრით. გვაროვნულად შეიძლება ჩაითვალოს წყობილება, რომელშიც საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონის გამო, წარმოების საშუალებების კოლექტიური მფლობელის როლში გამოდის ერთმანეთთან წარმოშობით (დედისეული გვარით) დაკავშირებულ ინდივიდთა საწარმოო კოლექტივი, რომლის მიერ კოლექტიურად წარმოებული ან მოპოვებული ყველა პროდუქტიც საერთო საკუთრებას წარმოადგენს; საზოგადოება, რომელშიც წარმოებაც და განაწილებაც დამყარებულია კოლექტივისტურ გამთანაბრებლურ პრინციპზე და არ არსებობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია.

ასეთი დიდი საწარმოო კოლექტივის აღმოცენების მთავარი მიზეზი უნდა ყოფილიყო, ზემოთ უკვე აღნიშნული, საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონე, რაც აპირობებდა ინდივიდის უუნარობას მარტოს უზრუნველეყო საკუთარი თავი უსაფრთხოებითა და საარსებო საშუალებებით,[15] ასეთ პირობებში საერთო წარმოშობის ინდივიდები აღარ შორდებოდნენ ერთმანეთს და ბუნებრივად შეადგენდნენ გვაროვნულ კოლექტივს—გვარს.

რაც შეეხება გვაროვნული წყობილების დაშლას, იმავე პრინციპიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი მაშინ იწყება, როდესაც წარმოების საშუალებების განვითარების გარკვეულ საფეხურზე აზრს კარგავს მისი გაჩენის ერთ-ერთი მთავარი პირობა — ადამიანის არსებობის უზრუნველსაყოფად საკმარისი ხდება გვართან შედარებით მცირე კოლექტივის შრომა[16]. გარდა ამისა, ეგზოგამიის შედეგად იმდენად არის შემცირებული იმ პირთა რიცხვი, ვისთანაც შესაძლებელია ქორწინება, რომ მტკიცდება აქამდე ადვილად შლადი წყვილადი ოჯახი; ცნობილი ხდება ბავშვების მამა; ამასთან ერთად, იგი (მამა) წამყვან ადგილს იჭერს დედისეული გვარის წიაღში (იქ, სადაც დედისეული გვარი იყო პირველადი) აღმოცენებული წყვილადი ოჯახის ეკონომიკაში, რაც თანდათან ზრდის მის გავლენას და ბოლოს ოჯახის პრივილეგირებულ მეთაურად. პატრიარქად აქცევს მას. აქედან კი, ვინაიდან სათანადო მატერიალური საფუძველი უკვე მზად არის, ერთი ნაბიჯიღაა მამისეულ გვარამდე, ანუ უფრო სწორად, წარმოშობის მამის ხაზით აღრიცხვამდე[17].

---

[15] А. И. Першиц, Развитие форм собственности в первобытном обществе, Проблемы истории первобытного общества, М.-Л., 1960, გვ.. 172.

[16] იქვე, გვ. 163, 172.

[17] Ю. И. Семенов, О периодизации первобытной истории, Советская этнография (СЭ), № 5, М., 1965, გვ. 91.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად ტერმინების „დედისეული გვარი“ და „მამისეული გვარი“ მსგავსებისა, ჩვენი აზრით, ისინი შინაარსით მაინც მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (იგულისხმება ის ხალხები, რომლებშიც ადგილი ჰქონდა დედისეულის მამისეული გვარით შეცვლას). ეს განსხვავება მხოლოდ გვარის დედისეულობაში ან მამისეულობაში არ მდგომარეობს, მთავარი ამ შემთხვევაში ისაა, რომ ამ საზოგადოებაში ე. წ. მამისეული გვარი ფაქტობრივად წარმოადგენს არა გვაროვნულ კოლექტივს, არამედ დედისეული გვარის წიაღში აღმოცენებულ, დამოუკიდებელი ეკონომიკის მქონე ოჯახს,[18] რომელშიც შთამომავალთა აღრიცხვა დედის ნაცვლად მამის ხაზით ხდება, ეს კი ძირითადად გამოწვეულია არა მარტო იმით, რომ უკვე ცნობილია მამა, არამედ იმით, რომ საჭიროა მამის მიერ დაგროვებულ ქონებას მემკვიდრედ მისივე შვილი ჰყავდეს. გარდა ამისა, მამისეულ ოჯახში, რომლის გაჩენაც კოლექტიური შრომა-განაწილებისა და საკუთრების პრინციპის მკვეთრმა შესუსტებამ ან გაქრობამ გამოიწვია, აღარ იყო აუცილებელი ისეთი დიდი კოლექტივისერთად ცხოვრება და შრომა, როგორიც თავის დროზე დედისეული გვარი იყო (წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არც უნდა დაშლილიყო) ამიტომ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ აღარ უნდა მომხდარიყო მამისეული ოჯახის დიდ პატრიარქატულ გვაროვნულ საწარმოო კოლექტივად გადაზრდა[19] ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მიმდინარეობს ასეთი ოჯახების სეგმენტაცია, რასაც უნდა ახლდეს საოჯახო ქონების გაყოფაც, რითაც დასაბამი ეძლევა არა ახალ გვარს (როგორც ეს მატრიარქატულ გვაროვნულ ეტაპზე ხდებოდა), არამედ ახალ ოჯახს.

მაგრამ, მიუხედავად ოჯახების მიერ ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისა და სეგმენტაციის შედეგად მათი დიდ სივრცეზე განსახლებისა, იმის გამო. რომ თავდაცვისა და ცალკეული შრომატევადი სამუშაოების ჩატარებისათვის კვლავ იყო საჭირო დიდი ერთობის არსებობა, ფუნქციონირებას განაგრძობს მმართველობისა და მორალური ნორმების დაცვის საგვარეულო ინსტიტუტი, რომელიც ფორმით შესაძლოა მთლიანად იმეორებდეს კიდეც გვაროვნულს, მაგრამ ამჯერად იგი სულ სხვა ნორმების დაცვას ემსახურება, რითაც ძირეულად განსხვავდება მატრიარქატულ-გვაროვნული წყობილების ასეთივე ინსტიტუტისაგან. ეს უკანასკნელი კი გამოწვეულია იმით, რომ პატრიარქატული საგვარეულო შედგება საერთო წარმოშობის ეკონომიკურად დამოუკიდებელი ოჯახებისაგან და აღარ წარმოადგენს ისეთ მონოლითურ საწარმოო ერთეულს, როგორსაც ადრე გვაროვნული საწარმოო კოლექტივი წარმოადგენდა[20].

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ე. წ. მამისეული გვარი დედისეული გვარისაგან განსხვავდება როგორც ბაზისით, ისე ზედნაშენით. ამიტომ არ იქნება შეცდომა თუ ვიტყვით, რომ გვაროვნული ცხოვრების წესი დასრულდა იქ, სადაც დასრულდა პირველყოფილი კომუნიზმი, სადაც აზრი დაკარგა წარმოება-განაწილების კოლექტიურმა გამთანაბრებლურმა პრინციპმა და დასაბა-

---

[18] Ю. И. Семенов, О периодизации первобытной истории, Советская Этнография (СЭ), №5, М., 1965, გვ. 91; А. И. Першиц, დასახ. ნაშრომი, გვ. 165; Б. О. Долгих, Труды VII международного конгресса антропологических и этнографических наук, т. 4, М., 1967, გვ. 488—489.

[19] А. И. Першиц, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

[20] იქვე, გვ. 166; Ю. И. Семенов, დასახ. ნაშრომი, გვ. 81, 89.

მი მიეცა წყვილადი ოჯახის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, რაც ქონებრივი უთანასწორობის, კერძო საკუთრებისა და ექსპლუატაციის საფუძვლად იქცა.

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ თეორიულად გაგვეაზრებინა გვაროვნული წყობილების რღვევის მიზეზები. შემდგომში საჭიროა ვცადოთ იმის დადგენა რას უნდა გამოეწვია ეკონომიკურად დამოუკიდებელი ოჯახების გაჩენა, რომელ არქეოლოგიურ ეპოქაში უნდა ჰქონოდა ადგილი ამ პროცესს; წარმოების საშუალებათა და შრომის იარაღების განვითარების რომელ ეტაპზე ან საარსებო საშუალებათა მოპოვების როგორი ხასიათის პირობებში იყო იგი შესაძლებელი.

როგორც ცნობილია, შრომის იარაღების განვითარება და გამოცდილების დაგროვება საზოგადოებრივ ურთიერთობაზე საარსებო საშუალებების წარმოებით მოქმედებს. ამ უკანასკნელისათვის კი ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგს, კლიმატს, რელიეფს, ჰიდრო-რესურსებს, ფლორას, ფაუნას და სხვა. ამიტომ კონკრეტული საზოგადოებების შესწავლისას „ყოველი ისტორიული აღწერილობა უნდა გამოდიოდეს ამ ბუნებრივი საფუძვლებიდან და მათი იმ ცვლილებებიდან, რომელსაც ისინი განიცდიან ისტორიის მსვლელობაში ადამიანთა მოქმედების მეოხებით“[21], რომელშიც მათ უხდებოდათ განვითარება[22]. გეოგრაფიული გარემოს გათვალისწინებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საწარმოო ძალთა განვითარების დაბალ დონეზე მდგომი საზოგადოებების შესწავლისას, რადგან ამ დროს „ის წესი, რომლითაც ადამიანები თავიანთ საარსებო საშუალებებს აწარმოებენ, დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა თვით იმ საარსებო საშუალებებზე, რომლებსაც ისინი მზად პოულობენ, და და რომელთა რეპროდუქციაც უნდა მოხდეს“.[23] ამდენად, მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გვაროვნული წყობილების რღვევის პროცესის შესწავლისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკურად დამოუკიდებელი ოჯახების ჩამოყალიბება უნდა მომხდარიყო ისეთი შრომის იარაღების, წარმოების საშუალებების ანუ გეოგრაფიული გარემოსა და გამოცდილების პირობებში, რომლებიც საშუალებას მისცემდნენ გვაროვნულზე გაცილებით მცირერიცხოვან კოლექტივს — ოჯახთა ჯგუფს, ან ოჯახს, საკუთარი ძალებით ეწარმოებინა ჯერ საარსებო მინიმუმი, ხოლო შემდეგ — უფრო მეტიც, ანუ ზედმეტი პროდუქტი.

გვაროვნული წყობილების დაშლა, კონკრეტული გეოგრაფიული და ისტორიული პირობების მიხედვით სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ფორმით უნდა მომხდარიყო, მაგრამ მისი გამომწვევი მიზეზი ყველგან ერთი უნდა იყოს — საწარმოო ძალთა განვითარების ისეთი დონე, რომელიც საშუალებას მისცემდა ჯერ გვაროვნულ, ხოლო შემდეგ უფრო მცირე კოლექტივებს სისტემატურად ეწარმოებინათ ზედმეტი პროდუქტი. ასეთი რამ კი, როგორც ცნობილია, მხოლოდ წარმოებით საქმიანობაზე გადასვლისას ხდება შესაძლებელი. თვით

---

[21] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგიიდან. თბ., 1948, გვ. 16.

[22] გ. ყორანაშვილი, გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში, თბ., 1975, გვ. 4, 41—32; ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი..., გვ. 12; Б. В. Андрианов. Земледелие наших предков, М., 1978, გვ. 53; Г. В. Коранашвили, К проблеме уровней развития производительных сил в докапиталистических классовых обществах, «Известия АН ГССР», серия истории. № 2, Тб., 1980, გვ. 173.

[23] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

ის გარემოება, რომ ადამიანმა დასთმო მიმთვისებლური საქმიანობა, რომელიც საარსებო მინიმუმისა და ზოგჯერ ჭარბი პროდუქტის მოპოვების საშუალებასაც იძლეოდა[24], ნათლად მეტყველებს მასთან შედარებით ახლად აღმოცენებული წარმოებითი მეურნეობის დიდ უპირატესობაზე.

ზევით ჩვენ გაკვრით შევეხეთ გეოგრაფიული გარემოს როლს საზოგადოების განვითარების შესწავლის საქმეში. ამჯერად კი, ვიდრე მტკვარ-არაქსული საზოგადოების სოციალური ხასიათის გარკვევას შევუდგებოდეთ შევეცდებით მოკლედ დავახასიათოთ როგორ გეოგრაფიულ პირობებში უხდებოდა მას განვითარება.

იმ მეცნიერთათვის, რომლებიც შეხებიან ამ კულტურას, კარგადაა ცნობილი მისი გავრცელების საზღვრებიც და ის გეოგრაფიული მრავალფეროვნებაც, რომლითაც იგი ხასიათდება (ძლიერ დასერილი რელიეფის გამო). მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ აღნიშნული მრავალფეროვნების მიუხედავად, მისი ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ხელსაყრელ პრობებს ქმნის როგორც წარმოებით საქმიანობაზე გადასასვლელად, ისე ცალკეული ოჯახების ძალით მის გასაძღოლად. პირობების ასეთ ხელსაყრელ ხასიათზე კარგად მეტყველებს დღეისათვის აქ არსებული ნიადაგების შემადგენლობა და ნალექების წლიური რაოდენობა, რომელიც პალეოგეოგრაფების აზრით იმ უძველესი დროიდან (ძვ. წ. III ათასწ.) მკვეთრად არ შეცვლილა.[25] ერთგვარი ცვლილებები შეიმჩნევა რეგიონის ლანდშაფტში[26], რაც ძირითადად სარწყავი სისტემების რეკონსტრუქციისას იქნება გასათვალისწინებელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო ძველია ეს პირობები მით უფრო ხელსაყრელია ისინი სარწყავი სისტემების მოსაწყობად. ამიტომ, მორწყვის აუცილებლობის შემთხვევაშიც კი, მათი აგება არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული შრომატევადი სამუშაოების ჩატარებასთან. ჩვენი აზრით, ამისათვის საკმარისი იქნებოდა მთისწინა ზოლის არც თუ ისე ღრმა კალაპოტის მქონე მდინარეებიდან და წყარო-ნაკადულებიდან მარტივი რუების გატანა[27].

ამგვარად, გეოგრაფიული გარემო, რომელშიც მტკვარ-არაქსელებს უხდებოდათ ცხოვრება, ჩვენი აზრით, წარმოებით საქმიანობაზე გადასვლისათვის ხელსაყრელად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ, თუმცა ჩვენში ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი ისეთი მეზოლითური და ნეოლითური ძეგლები, რომლებიც ამ მოსაზრებას დაადასტურებენ, მაინც შეიძლება ითქვას, რომ გეოგრაფიული პირობების მიხედვით, მტკვარ-არაქსელთა ტერიტორიაზე გვაროვნული წყობილების დაშლა წარმოებით საქმიანობაზე გადასვლასთან ერთად უნდა დაწყებულიყო. ამ ვარაუდის სისწორეზე მიგვითითებს ისიც, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, მტკვარ-არაქსელთა წინამორბედი ადრეული მიწათმოქმედები, რომ-

[24] Ю. И. Семенов, დასახ. ნაშრომი, გვ. 857.

[25] Ч. П. Джанелидзе, К реконструкции природных условий эпохи существования раннеземледельческой культуры Восточной Грузии, Тезисы докладов секции археологии энеолита и бронзового века Всесоюзной научной конференции, посвященной новейшим открытиям в области археологии и 100-летию археологического съезда (машинопись), Тб., 1981, გვ. 8—10.

[26] Ч. П. Джанелидзе, Палеогеография Грузии в голоцене, Тб., 1980, გვ. 72—76.

[27] მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961, გვ. 44—45, 58, 80—81, 131—134 და სხვ.

ლებიც აქ ძვ. წ. VI—IV ათასწლეულებში სახლობდნენ და მიწათმოქმედებასთან ერთად მესაქონლეობასაც ეწეოდნენ, თავის სოფლებში ცალკეულ სამეურნეო-საცხოვრებელ კომპლექსებად ყოფილან დანაწევრებული[28], ზოგ შემთხვევაში კი — ერთმანეთისაგან გამმიჯნავი ალიზის ღობეებით გამოყოფილი.[29]

ზემოთქმულს ისიც შეიძლება დაემატოს, რომ აქ, წარმოებით მეურნეობაზე გადასვლისათვის, ან მისი გავრცელებისათვის ხელი უნდა შეეწყო პურეულის ველურ წინაპართა არსებობასაც.[30]

მტკვარ-არაქსის კულტურის გეოგრაფიული პირობების ზოგადი შეფასების შემდეგ, რადგან საზოგადოების სოციალური დანაწევრების გამომწვევ შინაგან ფაქტორთაგან უმთავრესს მისი ეკონომიკური მდგომარეობა წარმოადგენს, ხოლო უკანასკნელის შესწავლის ძირითად წყაროს — ნამოსახლარები, ქვევით, მტკვარ-არაქსული საზოგადოების განვითარების სურათის გარკვევისას, ჩვენც ამ კულტურის, შედარებით სრულად გათხრილ ნამოსახლართა მასალასა და მათთან დაკავშირებით მეცნიერთა ერთი ნაწილის მიერ უკვე გამოთქმულ ვარაუდებს დავეყრდნობით. ამავე დროს, შევეცდებით, დისკუსიის გარეშე, ზოგადად განვსაზღვროთ ჩვენი პოზიცია ზოგ სადავო საკითხთან დაკავშირებით.

მტკვარ-არაქსის კულტურის მკვლევართა ერთიანი აზრით, მის შემქმნელთა ეკონომიკა წარმოებითი მეურნეობის ორ ძირითად დარგზე მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული.[31] თუმცა, აქა-იქ ჯერ კიდევ მიმართავდნენ ნადირობა-მეთევზეობას[32] თუ შემგროვებლობას, აქვე

---

[28] ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ., 1971, გვ. 61—63.

[29] იქვე, გვ. 68—69.

[30] А. Д. Горгидзе, Филогенетика грузинских ендемичных пшениц, Тб., 1977, გვ. 5—6, 197—203; А. Д. Горгидзе, Н. Ш. Русишвили. Новые данные о ботаническом составе грузинских археологических пшениц, Тезисы докладов секции археологии энеолита и бронзового века Всесоюзной научной конференции, посвященной новейшим открытиям в области археологии и 100-летию археологического съезда (машинопис) Тб., 1981, გვ. 18.

[31] Б. Б. Пиотровский, Развитие скотоводства в древнейшем Закавказье, СА, XXIII, М., 1955, გვ. 6; მისივე, Основные этапы древнейшего земледелия в Армении, «Историко-филологический журнал», № 3—4 (14—15), Ереван, 1961, გვ. 110; Р. М. Мунчаев, Древнейшая культура..., გვ. 162; ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის..., გვ. 5; ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, გვ. 45—46; ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, გვ. 84—85; К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Историческое значение..., გვ. 21; ტ. ჩუბინიშვილი, მტკვრისა და არაქსის..., გვ. 90—92, 97; К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры..., გვ. 103—104; Т. Н. Чубинишвили, К древней истории..., გვ. 10, 12, 83; ი. კიკვიძე, ხიზანაანთ გორის..., გვ. 79; მისივე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი..., გვ. 3; გ. გობეჯიშვილი, თეთრიწყაროს ნასოფლარი, გვ. 112; О. М. Джапаридзе. Эпоха ранней бронзы..., გვ. 42—44.

[32] Б. Б. Пиотровский, Развитие скотоводства,.., გვ. 13; ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის..., გვ. 247; ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, გვ. 46; ტ. ჩუბინიშვილი, მტკვრისა და არაქსის..., გვ. 97; С. А. Есаян, Ереван (археологический очерк), Ереван, 1969, გვ. 15—16; მისივე, Древняя культура племен Северо-восточной Армении (III—I тыс. до н. э.), Ереван, 1976, გვ. 10; ი. კიკვიძე, ხიზანაანთ გორის..., გვ. 85.

უნდა ითქვას, რომ ჩვენში ეს დარგები გაცილებით გვიანაც გარკვეულ როლს ასრულებდნენ საკვები მარაგის შევსების საქმეში, მაგრამ იმის გამო, რომ მათი ხვედრითი წონა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა წარმოებითი დარგებისას, ისინი ახალი წარმოებითი ურთიერთობის დამაბრკოლებელ პირობად არ ქცეულან.

რაც შეეხება იმას, თუ როგორი ხასიათი ჰქონდა მესაქონლეობას და რომელ საფეხურზე რა ცხოველებზე იყო აქცენტირებული, ან როგორი იყო მიწათმოქმედება-ინტენსიური თუ ექსტენსიური, ამ საკითხებზე კამათი ჯერ არ დამთავრებულა. თუმცა მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, მაინც შეიძლება ითქვას, რომ მტკვარ-არაქსელთა მეურნეობა ძირითადად დამყარებული უნდა ყოფილიყო მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებაზე, რომელშიც მესაქონლეობა ადრეულ საფეხურზე მსხვილფეხა საქონელზე უნდა ყოფილიყო აქცენტირებული და საკარმიდამო ხასიათი ჰქონოდა, ხოლო ფინალურ ეტაპზე კი — მეცხვარეობაზე, რის გამოც იგი საიალაღოდ იქცევა[33].

მიწათმოქმედება, ბუნებრივი პირობების მიხედვით, ზოგან ურწყავია, ზოგან კი — სარწყავი. მოკლედ, მტკვარ-არაქსელებს მორწყვის როლიც უნდა სცოდნოდათ და მორწყვაც;[34] უნდა სცოდნოდათ მათ აგრეთვე გამწევი ძალის გამოყენებით ხვნაც[35] (თუმცა ხის კავი თუ პრიმიტიული გუთანი, გასაგები მიზეზების გამო, ჯერჯერობით არ აღმოჩენილა, მაგრამ ქვაცხელაზე გვაქვს ირმის რქის „სახნისი", რომლის აღმოჩენასაც ამ საკითხის გადაწყვეტისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს), ასევე უნდა სცოდნოდათ მათ მიწის დასვენების ხერხი და ნაცრისა და ნაკელის სასუქად გამოყენება[36]. ასე რომ არ ყოფილიყო, არ გვექნებოდა ისეთი მძლავრი კულტურული ფენის შემცველი ნასახლარები როგორიცაა: ქვაცხელები (ტვლეპიას ქოხი), ხიზანაანთ გორა, ამირანის გორა, გუდაბერტყა და სხვ., რომლებიც მოსახლეობის ერთ ადგილზე ხანგრძლივი მკვიდრობით არიან გაჩენილი.

მეურნეობის დარგების ხვედრით წონაზე ზოგადად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მესაქონლეობას, მიწათმოქმედებასთან შედარებით, მისი ერთვარი სიმარტივის გამო[37], გარკვეულ ეტაპზე შესაძლოა უპირატესობა ჰქონოდა, მაგრამ

---

[33] Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья გვ. 40; მისივე, Развитие скотоводства.... გვ. 6; მისივე, Основные этапы..., გვ. 110; ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის, გვ. 246—247; ტ. ჩუბინიშვილი, მტკვრისა და არაქსის..., გვ. 96—97; С. А. Есаян, დასახ. ნაშრომი, გვ. 15—16; К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры..., გვ. 109, 110; Т. Н. Чубинишвили, К древней истории..., გვ. 157, 160; ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი.... გვ. 38; О. М. Джапаридзе. Эпоха ранней бронзы..., გვ. 42—44.

[34] Б. Б. Пиотровский, Основные этапы..., გვ. 110; К. Х. Кушнарёва, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры... გვ. 108; Т. Н. Чубинишвили, К древней истории.... გვ. 158.

[35] ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების.... გვ. 141—144. 241—242; ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, გვ. 37, 45; ტ. ჩუბინიშვილი, მტკვრის და არაქსის..., გვ. 91; К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры..., გვ. 106; ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და... გვ. 48—49;

[36] ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის..., გვ. 243—244.

[37] А. И. Першиц, Развитие форм собственности в первобытном обществе, გვ. 164; Б. Б. Пиотровский. Основные этапы..., გვ. 111 — 112; К. Х.

არქეოლოგიური მასალა ამ ორი დარგის დაახლოებით ერთნაირ მნიშვნელობას გვიჩვენებს, ზოგ შემთხვევაში კი მეცნიერები მიწათმოქმედებას თვლიან წამყვანად და, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მხოლოდ მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალური ეტაპისათვის მიაჩნიათ შესაძლებლად მეცხვარეობის მკვეთრი დაწინაურება. ჩვენი აზრით, ამ საკითხის კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მტკვარ-არაქსის კულტურის ფარგლებში არსებულ კლიმატურ-გეოგრაფიულ მრავალგვარობას, რის გამოც აქ ზოგან ერთი დარგი უნდა ყოფილიყო მეტად განვითარებული, ზოგან — მეორე. მთლიანობაში კი მეურნეობას სიმბიოზური — მიწათმოქმედ-მესაქონლური, ან მესაქონლურ-მიწათმოქმედური ხასიათი უნდა ჰქონოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მეურნეობასთან დაკავშირებულ ზოგ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობისა, მეცნიერთა უმეტესობა მაინც ერთხმად აღნიშნავს მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელთა ეკონომიკის მაღალ დონეს,[38] რაც ძირითადად მისი წარმოებითი მეურნეობის შემდგომი პროგრესით უნდა ყოფილიყო განპირობებული.

მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების მაღალი დონითვე უნდა აიხსნას, მტკვარ-არაქსული კულტურის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, შრომის მეორე დანაწილების დაწყება. ხელოსნობის ისეთი დარგების გამოყოფა, როგორიცაა — მეთუნეობა-მეჭურჭლეობა და მელითონეობა-მჭედლობა. რადგან მხოლოდ საარსებო საშუალებების წარმოებაში შექმნილ ზედმეტ პროდუქტს და სახელოსნო ნაწარმზე მზარდ მოთხოვნილებას შეუძლია გამოიწვიოს არასაკვებო პროდუქტის წარმოებაში სისტემატურად დასაქმებული ხალხის გაჩენა[39], რასაც ადგილი აქვს მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ ეტაპზე.

იმაზე, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ ეტაპზე, ხელოსნობა არა მარტო არსებობს, არამედ მის ზოგ დარგში უკვე ვიწრო სპეციალიზაციის პროცესია დაწყებული, ის გარემოება მიგვითითებს, რომ დღეისათვის ცნობილი ბრინჯაოს მეტალურგიის სავარაუდო კერებიდან დაშორებულ ნამოსახლარებზე, მზა ნივთებთან ერთად აღმოჩენილია ნახევარნამზადები და ტიგელ-ყალიბები, ეს კი საშუალებას იძლევა მეტალურგიის ისეთ ცალკეულ დარგებად დანაწევრება ვიგულისხმოთ, როგორიცაა: მადანმომპოვებელი, მადანგადამამუშავებელი და ბოლოს ჩამომსხმელი.[40] ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ

---

Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Историческое значение Южного Кавказа..., გვ. 21.

[38] К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Историческое значение გვ. 21; Р. М. Мунчаев, Кавказ на заре..., გვ. 160—161; О. М. Джапаридзе, Эпоха ранней бронзы..., გვ. 47.

[39] В. М. Массон, От возникновения земледелия до сложения раннеклассового общества (этапы культурного и хозяйственного развития по материалам Азиатского материка), Доклады и сообщения археологов СССР, VII международный конгресс доисториков и протоисториков, М., 1966, გვ. 159—160.

[40] ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის... გვ. 284; ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, გვ. 47; ტ. ჩუბინაშვილი; ამირანის გორა, გვ. 60—61; К. Х. Кушнарева, Т. Н.: Чубинашвили, Историческое значение ...გვ. А. А. Иессен, Кавказ и Древний Восток в IV и III тысячелетиях до н. э., КСАИ, вып. 93, М., 1963, გვ. 4—5, ტ. ჩუბინაშვილი, მტკვრისა და არაქსის..., გვ. 98—99, 105; Ф. А. Махмудов, Р. М. Мунчаев, И. Г. Нариманов. О древнейшей металлургии Кавказа, СА, № 4, М., 1968, გვ. 16—20, 26; ც. აბესაძე,

ამათგან პირველი ორი ერთმანეთის გვერდით არსებობდა, ხოლო მესამე — მოშორებით მდებარე სხვა ნამოსახლარებზეც.

ხელოსნობის მეორე დარგად მეთუნეობის გამოყოფის ტენდენციაზე კარგად მეტყველებს მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლების დამზადების მაღალი ტექნოლოგიური და მხატვრული დონე[41].

როდესაც ხელოსნობის არსებობას ვგულისხმოთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისეთ საკითხს, როგორიცაა გაცვლითი საქმიანობა, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იქნებოდა ხელოსნობის განვითარება. ჩვენი აზრით, გაცვლას ამ დროისათვის უკვე საკმაოდ დიდი ხნის ისტორია ჰქონდა და ხელოსნობის შესაბამის დონეზე უნდა მდგარიყო. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ მისი განვითარებისათვის ხელი უნდა შეეწყო ისეთი მოხერხებული ტრანსპორტის არსებობას, როგორიც ხარებშებმული ორთვალა ურემია[12].

ამგვარად: მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელთა სახით საქმე გვაქვს მეურნეობის წარმოებით დარგებში დამყარებული ეკონომიკის მქონე საზოგადოებასთან, რომელშიც ზედმეტი პროდუქტის წარმოება სტაბილურია და ისეთ დონეს აღწევს, რომ იქმნება ხელოსნობის ცალკე საქმიანობად ჩამოყალიბების პირობა, რაც უფრო მეტ სტიმულს აძლევს გაცვლითი ურთიერთობის განვითარებას და შრომის მეორე საზოგადოებრივ დანაწილებას.

ზემოთმოტანილი მტკვარ-არაქსული კულტურის ეკონომიკისა და მისი განმაპირობებელი სამეურნეო საქმიანობის მოკლე დახასიათების შემდეგ შეიძლება ვცადოთ მისი შემქმნელი საზოგადოების სოციალური განსაზღვრაც.

ზევით, როდესაც გვაროვნული წყობილების არსებობისა და მისი დაშლის მიზეზებს შევეხეთ აღვნიშნეთ, რომ მისი დაშლის ერთი მთავარი მიზეზი, წარმოების საშუალებების განვითარებით გამოწვეული, კოლექტიური შრომა-განაწილების პრინციპის მოშლა იყო, რის შედეგადაც საფუძველი ჩაეყარა წყვილადი ოჯახების დამოუკიდებელ მეურნეობა-ეკონომიკას. ეს პროცესი კი საზოგადოდ ნეოლითის ეპოქასთან ერთად, ანუ მაშინ უნდა დაწყებულიყო, როდესაც ადამიანმა ხელი მიჰყო წარმოებით საქმიანობას და სტაბილური გახადა ჯერ საარსებო საშუალებების, ხოლო შემდეგ ზედმეტი პროდუქტის წარმოება. წარმოებითი საქმიანობა კი საზოგადოების ეკონომიკაში წამყვანი მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც სისტემატურად იძლევა ნადირობა-შემგროვებლობაზე ანუ მიმთვისებლობაზე მეტ პროდუქტს. არქეოლოგიურ მასალაში ეს პროცესი გარეულ ცხოველთა ძვლების შემცირებით და შინაურთა მატებით აღინიშნება,

---

ლითონის წარმოება ამიერკავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულში, თბ., 1969. გვ. 122—124, 16—137; К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинашвили, Древние культуры... გვ. 112—136; Т. Н. Чубинишвили, К древней истории... გვ. 160—161; ო. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1976, გვ. 107, 108, 109.

41 ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, გვ. 49—50; К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Историческое значенне..., გვ. 21; О. М. Джапаридзе, Эпоха ранней бронзы... გვ. 43.

42 Б. Б. Пиотровский, Развитие скотоводства..., გვ. 6; ტ. ჩუბინიშვილი, მტკვრისა და არაქსის..., გვ. 92—93; С. А. Есаян, დსახ. ნაშრომი, გვ. 14. ორთვალა ურმის თიხის მოდელი აღმოჩნდა თიანეთის რაიონში „ცხრა კარას" ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე იხ. К. Пицхелаури, Ш. Дедабришвили, В. Майсурадзе, Г. Миндиашвили, М. Абдушелишвили, В. Варазашвили, Отчет о полевых работах кахетской археологической экспедиции, ПАИ в 1977 году (краткие сообщения), Тб., 1980, გვ. 89.

კლებულობს სანადირო იარაღების რაოდენობაც. მიწათმოქმედების გაჩენაზე კი მიგვითითებს კულტურული მარცვლეულის, მიწის დასამუშავებელი და მოსავლის აღების იარაღების გარკვეული ტიპების აღმოჩენა.

ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი და კიდევ სხვა ნიშნების მიხედვით, ეპოქათა რიგში მტკვარ-არაქსის კულტურის დონე, საკმაოდ კარგადაა განსაზღვრული. დღეისათვის მეცნიერთა უმეტესობა ამ კულტურის ძეგლებს აღრებრინჯაოს ხანის სხვადასხვა საფეხურს აკუთვნებს[43]. აქედან ცხადია, რომ საქმე გვაქვს წარმოებით საქმიანობაზე დიდი ხნის წინ გადასულ საზოგადოებასთან, რომელშიც ზედმეტი პროდუქტის წარმოება და გვარისაგან დამოუკიდებელი მეურნეობის (ეკონომიკის) მქონე ოჯახების გამოყოფის პროცესი შორს უნდა იყოს წასული, რის გამოც სწორი ჩანს ზემოთ უკვე აღნიშნული ი. კიკვიძის მოსაზრება აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურაში (რომელიც ენეოლითურად არის მიჩნეული) გვაროვნული წყობილების დაშლასა და დიდი ოჯახების გაჩენაზე. ამაზე შომუ-თეფე-შულავრის კულტურის ნამოსახლარებზე აღმოჩენილი სასოფლო თემის საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსებიც მიგვითითებენ, რომლებიც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ზოგ შემთხვევაში, ალიზის ღობით არიან გამიჯნული[44]. და თუმცა შომუ-თეფე-შულავრისა და მტკვარ-არაქსის კულტურათა კავშირზე გარკვევით ვერაფერს ვიტყვით, იმის გამო, რომ უკანასკნელის ქრონოლოგიურ-სტადიალური მომდევნობა პირველთან შედარებით უდავოა და ამავე დროს აშკარაა მისი ეკონომიკური და კულტურული დაწინაურებაც, შეუძლებელი ხდება მისი შემქმნელი საზოგადოების გვაროვნულად მიჩნევა. განსაკუთრებით გაუმართლებლად გამოიყურება გვაროვნული წყობილების დაშვება მტკვარ-არაქსული კულტურის განვითარებული ეტაპისათვის, როდესაც საქმე გვაქვს. ისეთი მნიშვნელობის მოვლენასთან, როგორიც შრომის მეორე საზოგადოებრივი დანაწილებაა.

ზევით, წარმოებითი მეურნეობის ხელოსნობისა და მთლიანად ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით ვცადეთ გვეჩვენებინა რომ მტკვარ-არაქსის კულტურის უადრეს ეტაპზეც კი საზოგადოებას დამოუკიდებელი ეკონომიკის მქონე ოჯახებისაგან შემდგარ თემებად უნდა ეცხოვრა. აღვნიშნეთ ისიც, რომ, ზოგადად, ეს პროცესი ძალიან ადრე, ნეოლითის დასაწყისში უნდა ჩასახულიყო, ამიტომ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ მისი კვალი ნამოსახლართა გეგმარებაში, სამეურნეო თუ საცხოვრებელი ნაგებობების არქიტექტურასა და სხვა დეტალებშიც უნდა ასახულიყო.

ამ მხრივ, ჩვენ მოსაზრებას არც ეს მონაცემები ეწინააღმდეგება. მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარებზე გამოვლენილ საცხოვრებელ შენობათა აბსოლუტური უმრავლესობა თავისი ფართით (9-54 კვ. მ.)[45] არ შეესაბამება

[43] А. А. Иессен, დასახ. ნაშრომი, გვ. 7; მისივე, Из исторического прошлого Мильско-Карабахской степи, МИА, 125, М.—Л., 1965, გვ. 17; ტ. ჩუბინაშვილი, მტკვრისა და არაქსის..., გვ. 58—68; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 154.

[44] გ. მინდიაშვილი, გორანამოსახლართა სოციალური ბუნებისათვის, მაცნე. № 4, ისტორიის სერია, თბ., 1980, გვ. 182.

[45] ნაკლებდამაჯერებლად გამოიყურება ალ. ჯავახიშვილისა და ლ. ღლონტის ვარაუდი, რომლის მიხედვითაც საშუალოდ 35 კვ. მ. ფართის შენობაში, სადაც საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა კერას. საკულტო ბაქანს და დიდი ზომის ღერგებს, 15—20 სულისაგან შემდგარ ოჯახს უნდა ეცხოვრა (იხ. მათი ურბნისი, გვ. 53).

გვაროვნული კოლექტივის დიდ მოთხოვნილებებს; ნამოსახლარებზე საცხოვრებელი ნაგებობები ჯგუფებად[46] და ცალკეულ ტერასებად არიან განლაგებული[17]. ამ ჯგუფებს ზოგი მეცნიერი უბნებად მიიჩნევს და თვლის, რომ შესაძლებელია მათში ცალკეული ოჯახებისაგან შემდგარ სხვადასხვა საგვარეულოს წარმომადგენლებს ეცხოვრათ[48].

ცალკეული ოჯახების დიდი ხნის დამოუკიდებელ არსებობაზევე უნდა მიგვითითებდეს ისიც, რომ ყოველ საცხოვრებელ სახლში ცენტრალური ადგილი მუდმივი ცეცხლის შესანახსა და სხვადასხვა კულტმსახურებისათვის განკუთვნილ სტაციონარულ კერას უჭირავს.

ამრიგად, თუ ყოველივე აღნიშნულს შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ წარმოებითი ხასიათის მეურნეობა-მესაქონლეობა და მიწათმოქმედება; ხელოსნობის დარგები-მეტალურგია და მეთუნეობა; ნამოსახლარების საერთო გეგმა-ცალკეული უბნების არსებობით, საცხოვრებელი შენობის ფართით; დიდი და მდიდრული ყორღანების გამოჩენა 1 ინდივიდის დაკრძალვით და სხ.., საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელი საზოგადოება ადრეულ ეტაპზეც კი აღარ იყო გვაროვნული და ჯერ საზოგადოებრივი განვითარების სასოფლოთემურ, ხოლო შემდეგ--სამხედროდემოკრატიულ ეტაპზე იდგა.

Г. М. МИНДИАШВИЛИ

## К СОЦИАЛЬНОМУ ИЗУЧЕНИЮ СТРУКТУРЫ ОБЩЕСТВА КУРО-АРАКСКОЙ КУЛЬТУРЫ

Резюме

Все исследователи куро-аракской культуры единогласно отмечают, что ее экономика являлась производящей и опиралась на симбиозно сочетающиеся отрасли хозяйства — земледелие и скотоводство. Эти отрасли на определенном этапе своего развития, благодаря географическим условиям и развитию других средств производства, достигли такого уровня, что позволили гончарному делу и металлургии выделиться в отдельные ремесла, положив тем самым начало второму общественному разделению труда.

---

[46] ლ. ღლონტი, მტკვარ-არაქსის კულტურის დასახლება, სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1970, გვ. 82—83, 179.

[47] ტ. ჩუბინაშვილი, ამირანის გორა, გვ. 22—23.

[48] ამირანის გორაზე რომ ცალკეულ ტერასებად (უბნებად) სოფლის დაყოფა, მხოლოდ გეოგრაფიული პირობებით არ უნდა იყოს გამოწვეული, ისიც მიგვითითებს, რომ მის სამაროვანზეც ასევე დადასტურებულია სამარხთა ცალკეულ ჯგუფებად, უბნებად განლაგება (იხ. ტ. ჩუბინაშვილი, ამირანის გორა, გვ. 36; ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი..., გვ 63).

Учитывая как вышесказанное, так и его последствия, которые хорошо выразились в появлении больших и богатых курганов, в статье предпринята попытка пересмотра укоренившегося у большинства исследователей этой культуры мнения о родовом характере общества ее носителей.

Рассмотрев причины распада родового строя вообще, мы приходим к заключению, что появление богатых курганов, вместе с развитой производящей экономикой, выделившимися ремеслами — металлургией и гончарством, должно указывать на более высокую ступень развития общества куро-аракской культуры, а именно: для раннего его периода сельско-общинный, а для финального — военно-демократический характер общественных отношений.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის განყოფილებამ

## ქართული ისტორიოგრაფიის რაინდი

### (ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 120 წლისთავი)

„ჩვენი წმინდა ვალია ულრმესი პატივისცემა და მადლიერება იმ პატრიოტების მიმართ, რომელთაც ჩვენი ძნელბედობის ხანაში თავდადებული უანგარო შრომით განადგურებას გადაარჩინეს, შეაგროვეს და შემოგვინახეს ფასდაუდებელი წყაროები ახლებური „ქართლის ცხოვრების" შესაქმნელად.

ამ პატრიოტ მეწინავეთა რიგს ამშვენებს ჩვენი უანგარო მოღვაწე, საქართველოს ისტორიული ცხოვრების რაინდი ექვთიმე თაყაიშვილი".

**ნ. ბერძენიშვილი**

ყველა ერის ისტორიაში არიან გამორჩეული ადამიანები, რომელთა ცხოვრებისა და ღვაწლის მიხედვითაც ხდება ხოლმე სხვადასხვა თაობის საქმიანობის შეფასება.

ასეთნაირ პიროვნებთა შორის საქართველოში, ერთ-ერთს პირველთაგან მუდამ იხსენიებენ ექვთიმე თაყაიშვილს, გამოჩენილ მეცნიერს, ქართული ისტორიოგრაფიის კლასიკოსს და დიდ საზოგადო მოღვაწეს.

ექვთიმე სიმონის ძე თაყაიშვილი დაიბადა 1863 წლის 3 იანვარს (ძვ. სტილით) გურიის სოფ. ლიხაურში, რუსეთის არმიის ოფიცრის ოჯახში. თავდაპირველად სწავლობდა ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში, სადაც გაიცნო მომავალი დიდი მეცნიერი ნიკო მარი, რომელთანაც შეინარჩუნა მუდმივი მეგობრული ურთიერთობა.

1875 წლიდან ექვთიმე თაყაიშვილი სწავლობს ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც იმთავითვე თერგდალეულთა იდეები შეითვისა.

1883 წ., გიმნაზიის დამთავრებისთანავე, ექვთიმე თაყაიშვილმა სწავლა გააგრძელა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. აქ დაეუფლა იგი თავისი დროის ისტორიული მეცნიერების მიღწევებს და ერთგვარი საფუძველი მოიმზადა მომავალი მუშაობისათვის.

1887 წ., უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ექვთიმე თაყაიშვილი მოწვეული იქნა ტფილისის სათავადაზნაურო სკოლაში ლათინური ენის მასწავლებლად. შეთავსებით ამავე ენას ვაჟთა მესამე კლასიკურ გიმნაზიაშიც ასწავლიდა.

ამ დროისთვის ექვთიმე თაყაიშვილი დაუახლოვდა საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მეთაურებს, კერძოდ, ილია ჭავჭავაძეს, რომელთან ურთიერთობამაც დიდი ხნით განსაზღვრა ექვთიმეს მეცნიერული ინტერესების არე... თერგდალეულები დიდ როლს ანიჭებდნენ ისტორიას, რომელსაც ერის გათვითცნობიერების მძლავრ საშუალებად თვლიდნენ. მაგრამ XIX—XX სს. მიჯნაზე საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის დონე ჯერ კიდევ დაბალი იყო და იგი დიდად ჩამორჩებოდა მაშინდელ

დასავლურ ისტორიოგრაფიას... ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო საქართველოს ისტორიის მდიდარი და მრავალფეროვანი წყაროების შეუსწავლელობა, მათი ფართო საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომლობა... ამ ნაკლის გამოსწორების გარეშე კი შეუძლებელი იყო ეროვნული ისტორიის მეცნიერულად გააზრება. აღნიშნულმა ვითარებამ განსაზღვრა შემდგომში ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის მიმართულება. „იმხანად უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი, — იგონებდა შემდგომში მეცნიერი, — რამდენადაც შეიძლებოდა და გარემოება ნებას მაძლევდა, შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის; ყოველი ძალ-ღონე მეხმარა ძეგლთა დალუპვისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად; რაც შეიძლებოდა მეტი გამომემზეურებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევართათვის. ეს მიმაჩნდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ მაშინ — იმ რწმენით, რომ, როდესაც ასეთი მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, გამოჩნდებოდნენ ჩვენში მეცნიერები, რომლებიც ჯეროვნად შეგვიდგენდნენ საქართველოს ისტორიას, გაგვიშუქებდნენ იმ მართლაც და, გადაუჭარბებლივ, დიად კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიაღწია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში“...[1]

ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო სარბიელზე გამოსვლის დროს ქართული კულტურის ძეგლთა დაცვა-გამომზეურებისა და შესწავლის საქმეში თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ ისეთი ორგანიზაციები, როგორიც იყო: 1. 1889 წ. დიმიტრი ბაქრაძის თავმჯდომარეობითა და მესვეურობით დაარსებული „ტფილისის საეკლესიო სიძველეთსაცავის კომიტეტი“ (წევრები: თ. ჟორდანია, ანტ. ნატროშვილი, კალისტრ. ცინცაძე, ილ. ფერაძე, მ. ჯანაშვილი, პ. კარბელაშვილი) და 2. 1879 წ. დაარსებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. რუსეთიდან დაბრუნებული ე. თაყაიშვილი ენერგიულად ჩაება ხსენებული ორგანიზაციების სამეცნიერო საქმიანობაში და გულდაგულ შეუდგა მათ საკუთრებაში მყოფი ხელნაწერი წიგნების, საბუთების, სიგელ-გუჯრების, სხვადასხვა სახის სიძველეების შესწავლას. ამ მუშაობის შედეგები აისახა ე. თაყაიშვილის მიერ 1890 წ. გამოცემულ წიგნში „სამი ისტორიული ხრონიკა“, რომელიც თავისი დროისათვის კრიტიკულ გამოცემას წარმოადგენდა ისეთი უმნიშვნელოვანესი საისტორიო ძეგლებისა, როგორიცაა: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყებაჲ ბაგრატუნიანთა“ და „მესხური დავითნის მატიანე“. დასახელებული წიგნის გამოცემამ ქართულ ისტორიოგრაფიაში უდავოდ შეუწყო ხელი საქართველოს ისტორიის წყაროების მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის მეთოდოლოგიის დახვეწას. ამ ნაშრომში ე. თაყაიშვილი სათანადოდ მსჯელობდა იმ ხანების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის ისეთ აქტუალურ საკითხზე, როგორიცაა „ქართლის ცხოვრების“ წყაროების, მათი ღირებულების პრობლემა. ავტორი თვლიდა, რომ მის მიერ გამოცემული სამივე წყარო ერთგვარ საფუძველს ქმნიდა „ქართლის ცხოვრების“ კრებულისათვის. აქვე ე. თაყაიშვილმა დამაჯერებლად განსაზღვრა შატბერდის ცნობილი კრებულის გადაწერის დრო (X ს-ის 70-იანი წწ.). ე. თაყაიშვილი ვრცლად განმარტავდა „ქართლის ცხოვრების“ ისტორიის ეტაპებს, ეხებოდა ქართული მწიგნობრობის კერების, მაგალითად, პარხლის, ლოკალიზაციას და ა. შ. ამ საკითხებს ე.

---

[1] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაშრომები, ტ. 1, თბ., 1968, გვ. 310.

თაყაიშვილი შემდგომშიც არაერთხელ დაბრუნებია. „სამი ხრონიკის“ გამოცემის შემდეგ (1900 წ. ამ შრომის სრული რუსული თარგმანიც გამოვიდა) ე. თაყაიშვილმა გამოსცა „წმ. ნინოს ცხოვრების“ ჩვენთის უძველესად ცნობილი, ე. წ. შატბერდული რედაქცია.

ამის პარალელურად ე. თაყაიშვილი ენერგიულად მუშაობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელნაწერთა მდიდარი ფონდის აღწერილობაზე, რაც შემდგომში რუსულად გამოაქვეყნა. ამ აღწერილობამ მეცნიერული წრეების დიდი მოწონება დაიმსახურა (რეცენზიები დაბეჭდეს ნ. მარმა და ივ. ჯავახიშვილმა). ეს „აღწერილობა“ როგორც საისტორიო მეცნიერების დიდი შენაძენი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ოქროს დიდი მედლით იქნა დაჯილდოებული.

90-იან წწ. ექვთიმე თაყაიშვილი აქვეყნებს სხვადასხვა სახის მასალას, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ისტორიის, მწერლობისა და კულტურის შესასწავლად. ესენია „ერისთავთა დაუჯდომლის ქრონიკა“ (1901), „ყანჩაეთის ჟამ-გულანის ქრონიკა“ (1901), „ქართველთა მეფის ბაგრატ IV-ის სიგელი“ (1893), „კათალიკოზ-ბაქარიანი“ (1898) და სხვ.

ე. თაყაიშვილის სამეცნიერო გამოცემებმა ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ქართული ისტორიოგრაფიის დედაბოძი, მისი წყაროთმცოდნეობა და ძვირფასი ფაქტობრივი მასალით გაამდიდრეს იგი. ამ მხრივ სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო 1906 წ. მის მიერ „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეული ვარიანტის გამოცემა, რითაც ეს ძვირფასი ძეგლი ფართო მეცნიერული საზოგადოებისათვის გახდა ხელმისაწვდომი. დიდხანს, ანასეული ნუსხის აღმოჩენამდე, მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“ მეცნიერებაში ამ ძეგლის უძველეს ნუსხად რჩებოდა.

ჩვენი საუკუნის დამდეგს ე. თაყაიშვილი ქართველოლოგიის მთელ რიგ დარგებში საკუთრივ საქართველოში წარმოებული მეცნიერული მუშაობის მეთაური ხდება. მისი მესვეურობით მიმდინარეობს საქართველოს ისტორიული ძეგლების მეთოდიკური შეკრება და მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანა.

1907 წ. ექვთიმე თაყაიშვილის ინიციატივით დაარსდა „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში. ეს საზოგადოება აღმოცენდა იმ მცირე სამეცნიერო ჯგუფის საფუძველზე, რომელსაც ეწოდებოდა „ქართული ისტორიის მოყვარულთა წრე“. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ისტორიის, მწერლობისა და კულტურის შესწავლისა და პროპაგანდის საქმეში. საზოგადოება სისტემატურად აწყობდა სამეცნიერო ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ატარებდა ლექციებს საქართველოს, ქართული სამართლის, საქართველოს ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიის საკითხებზე. სულ წაკითხული იქნა 150-მდე ლექცია გამოჩენილ მეცნიერთა მიერ (ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, აკ. შანიძე, პ. ინგოროყვა, მ. ჯანაშვილი, დ. კარიჭაშვილი და სხვ...). საზოგადოება აქვეყნებდა სამეცნიერო სერიებს „საქართველოს სიძველენი“ და „ძველი საქართველო“. პირველში იბეჭდებოდა სიგელ-გუჯრები, ისტორიული წერილები და სხვა სახის მასალები. ეს სერია ე. თაყაიშვილის ხელმძღვანელობით ოთხ წიგნად გამოიცა. „ძველ საქართველოში“ კი თავსდებოდა გამოკვლევები, რეფერატები, სხვადასხვა სახის ისტორიულ-ეთნოგრაფიული

მასალები, საზოგადოების ანგარიშები და სხვ. ამ სერიაში პირველად გამოქვეყნდა ე. თაყაიშვილის მიერ მიკვლეული და სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილი მრავალრიცხოვანი წყარო: „მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან“ და შენიშვნები ამ ცნობების შესახებ „რას შეიცავდა ისტორია ბაგრატ მეფისა, რომლითაც უსარგებლნია იერუსალიმის პატრიარხს დოსითეოსს თავის „იერუსალიმის პატრიარხთა ისტორიაში“; „დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა, შედგენილი 1578 წ.;“ „ჟამგულანი“ № 342 „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ და ისტორიული მინაწერი მისი კვინკლოსისა“. ამ და სხვა პუბლიკაციებმა მრავალი დეტალი გამოამზეურეს საქართველოს შუა საუკუნეთა ისტორიიდან. საკმარისია, მაგალითად, შევჩერდეთ ე. წ. აფხაზეთის მეფეთა დივანზე, რომელიც თავის დროს ხელთ სჭერია იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს. აღნიშნული წყაროს აღმოჩენამ საქართველოს ისტორიის დარგში მომუშავე სპეციალისტებს საშუალება მისცა ახლებურად შეესწავლათ აფხაზეთის ადრეფეოდალური სამეფოს ქრონოლოგიური და გენეალოგიური ისტორიის მთელი რიგი მომენტები.

დაუზარელი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე ასევე აქტიურად აქვეყნებდა საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვან მასალებს რუსეთის სამეცნიერო ორგანოებში. მისმა პუბლიკაციამ —„ მასალები კავკასიის არქეოლოგიისათვის“, — იმდენად დააინტერესა ფართო საზოგადოება, რომ 1911 წ. ამ ნაშრომისათვის რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ ექვთიმე თაყაიშვილი ოქროს დიდი მედლით დააჯილდოვა.

იმთავითვე ე. თაყაიშვილი ივ. ჯავახიშვილისა და სხვა ქართველ პატრიოტთა გვერდით დაყინებით იბრძოდა იმისათვის, რომ ქართველ ერს ჰქონოდა საკუთარი უნივერსიტეტი. 1918 წ. ამ განზრახვამ ხორცი შეისხა. უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა შორის იყო ექვთიმე თაყაიშვილიც, რომელიც კითხულობდა კურსს საქართველოს არქეოლოგიაში. 1918 წ. 21 მაისს, უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, ე. თაყაიშვილს როგორც საქართველოს ისტორიის დიდ მკვლევარს დისერტაციის დაუცველად მიენიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში მისი დიდი დამსახურების ღირსეული აღიარება იყო.

როგორც უკვე მივუთითებდით, თავიდანვე ე. თაყაიშვილი თავისი მუშაობის ძირითად ამოცანად საქართველოს მრავალრიცხოვანი სიძველეების შეკრებას და მათ გადარჩენას თვლიდა.

იმ ხანებში ქართველ მეცნიერთა მიერ სისტემატურად ეწყობოდა ხოლმე სამეცნიერო ექსპედიციები საქართველოს სიძველეების მოძიების, აღნუსხვა-შესწავლისა და მათი გადარჩენის მიზნით. წარსული თაობის მკვლევართა ტერმინოლოგიით ამას საქართველოს სიძველეთა არქეოლოგიური კვლევა-ძიება ეწოდებოდა.

ე. თაყაიშვილი ამ საქმიანობის გამოჩენილი ორგანიზატორი იყო.

ერთხანს ექვთიმე თაყაიშვილი არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა მდ. დებედას ხეობაში სოფ. ვორნაკში, სადაც მიკვლეული იქნა ბრინჯაოს ხანის მნიშვნელოვანი მასალები. რევოლუციამდელ ხანებში ექვთიმე თაყაიშვილი იყო ერთადერთი ქართველი მეცნიერი, რომელიც არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა.

დიდი ამაგი აქვს ე. თაყაიშვილს ახალგორის ცნობილი განძის გადარჩენის

საქმეში. მან ეს განძი გაყიდვისაგან იხსნა და კავკასიის მუზეუმში დააბინავა.

ე. თაყაიშვილი სისტემატურად აწყობდა არქეოლოგიურ მოგზაურობებს და ძვირფასი, ხშირად სრულიად ახალი მასალით ამდიდრებდა ქართველოლოგიურ მეცნიერებას. მარტო ის რად ღირს, რომ „ერთ-ერთი ასეთი არქეოლოგიური მოგზაურობის დროს იგი შემთხვევით წააწყდა ისეთ დიდებულ საისტორიო ძეგლს, როგორიცაა შემდგომში (1920 წ) მის მიერვე გამოცემული „ხელმწიფის კარის გარიგება".

წლების მანძილზე, სიძველეთა შესწავლის მიზნით, ექვთიმემ იმოგზაურა კახეთში (ალავერდი, შუამთა, ბოდბე, თელავი, გრემი, იყალთო, ახმეტა...), იმერეთში (საჩხერე, ჯრუჭი, კაცხი, ქუთაისი, ვანი, გელათი...), სამეგრელოში (მარტვილი, ცაიში, ზუგდიდი, წალენჯიხა, ბანძა, აბაშა, სუჯუნა...); რაჭაში (ცლოლა, ჭიორა, ღები, ონი, წესი, მრავალძალი, სხვავა, ბუგეული, ნიკორწმინდა...) ლეჩხუმ-სვანეთში (ლაბეჭინა, ლაჯანა, ორბელი, ლენტეხი, ლაშხეთი. უშგული, მესტია...). ამ მოგზაურობათა დროს შეკრებილი, ხელახლა მონახულებული და ინტერპრეტირებული იქნა მრავალი სიძველე, რომელთა მონაცემებსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის.

ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ე. თაყაიშვილის სამეცნიერო ექსპედიციებს საქართველოს სამხრეთ მხარეებში. მან აქ პირველი ექსპედიცია 1902 წ. მოაწყო და ახალქალაქ-ახალციხის ძეგლებთან ერთად შეისწავლა არტაანისა და ოლთისის მხარეები. კოლა-არტაან-ოლთისის მხარეებში მეორე ექსპედიცია მოეწყო 1907 წ., ხოლო თავის შედეგებით და მნიშვნელობით ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 1917 წ. არქეოლოგიური მოგზაურობა ტაოს მხარეში. ამ მოგზაურობებით საფუძვლიანად იქნა შესწავლილი და აღწერილი მრავალრიცხოვანი ისტორიული სიძველეები (ზარზმა, საფარა, ბანა, ოლთისი, ტაოსკარი, ჩანგლი, ფანასკერტი, ხახული, თორთუმი, ეჩეჩი, ოშკი, იშხანი...). დღეს ამ ძეგლების დიდი ნაწილი ფართო საზოგადოებისათვის მიუწვდომელია, რის გამოც ე. თაყაიშვილის მუშაობის შედეგებს კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ე. თაყაიშვილი სისტემატურად აქვეყნებდა თავისი არქეოლოგიური მოგზაურობების შედეგებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი: „არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი" (წ. 1, 1907; წ. 11, 1914): „არქეოლოგიური ექსკურსიები, ძიებები და შენიშვნები" (რუსულად. ნაკვ. I — III, 1905 — 1907; IV, 1913; V, 1915) და სხვ...

როგორც ცნობილია. 1921 წ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს მენშევიკური მთავრობა უცხოეთში გაიხიზნა, სადაც მან თან წაიღო საქართველოს სამუზეუმო ფონდებში თავმოყრილი და დაცული დიდძალი განძეულობა. თავიდანვე განძეულობის მეთვალყურეობა მინდობილი ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილს, რომელმაც ბედის ანაბარად არ მიატოვა ეს უდიდესი საუნჯე ქართველი ხალხისა — მცველადა და პატრონად გაჰყვა მას უცხოეთში.

ოცდაოთხ წელს გაგრძელდა უცხოეთში გულისგამწვრილებელი ყოფნა. მაგრამ ექვთიმე გაუტეხელი რჩებოდა, ვინაიდან სწამდა თავისი ერის მომავალი და უზომოდ იყო მასზე შეყვარებული. ამ რწმენით შეპყრობილს არასოდეს გაუგდია ხელიდან კალამი, მთელი ენერგიით შრომობდა ჩვენი ისტორიის საკითხების შესასწავლად.

იგი იყო წევრი „პარიზის საზიო საზოგადოებისა“, სადაც თანამშრომლობდა მსოფლიოში ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეებთან. მისი შრომები ქვეყნდებოდა სამეცნიერო სერიებში „ბიზანტიონ“-სა და ჟურნალ „აზიატიკი“-ში, ინგლისურ ქართველოლოგიურ გამოცემაში „გეორგიკა“.

უცხოეთში ყოფნის წლებში ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა მრავალრიცხოვანი მეცნიერული გამოკვლევები: „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლაოლთისში და ჩანგლში 1907 წ.“, „არქეოლოგიური ექსპედიცია 1910 წ. ლეჩხუმსა და სვანეთში“; „მეფეთა და კათალიკოსთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში“; „სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები“ (ნ. 1). „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი საიდუმლო დამწერლობის ნიშანი“; „ქართული სიძველეები ევროპელ ანტიკვარებთან“; „ქართული წელთაღრიცხვა და ბაგრატიონთა მმართველობის დასაწყისი“; „ინტელექტუალური ცხოვრების ისტორიული მიმოხილვა საქართველოში“; „ჯვარცმის გამოხატულება წალენჯიხის ეკლესიისა სამეგრელოში“, სხვადასხვა აღწერილობანი, მოგონებები ქართველ მოღვაწეებსა და ეროვნული საქმისათვის მებრძოლებზე.

დიდხანს ინახებოდა უცხოეთში წაღებული ქართული განძეულობა. ბევრმა მოინდომა იქ მისი მითვისებაც, მაგრამ ექვთიმე თაყაიშვილი ფხიზლად დარაჯობდა მას და არავის აძლევდა უფლებას ყიდვა-გაყიდვის საგნად ექცია იგი. ქართულ სიძველეებს ერთი მისხალიც არ აკლდებოდა. მეტიც, ემიგრაციის წლებში ექვთიმე თაყაიშვილმა ევროპის სხვადასხვა კუთხიდან საკმაო რაოდენობით შეაგროვა და შეიძინა საქართველოდან უწინ გატანილი სიძველეები. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის წინა წლებიდან შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში საფრანგეთის მმართველებმა მაინც მოახერხეს და საქართველოს განძეულობა თავიანთი ქვეყნის სამუზეუმო საკუთრებად გადააქციეს.

მხოლოდ 1945 წ. საბჭოთა კავშირის მთავრობის აქტიური ჩარევით გახდა შესაძლებელი ქართული სიძველეების საქართველოში დაბრუნება. ამ ძეგლებთან ერთად იმავე 1945 წლის აპრილში ე. თაყაიშვილი საქართველოში ჩამოვიდა. ჩამოსვლისთანავე, 10 მაისს ექვთიმე თაყაიშვილი უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოსოფიის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მოწვეული და არჩეული იქნა საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორად. მალე ღვაწლმოსილი მეცნიერი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. ეს არის ე. თაყაიშვილის მეცნიერული მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნაყოფიერი პერიოდი. სამშობლოში დაბრუნებულმა მეცნიერმა სისტემაში მოიყვანა მის მიერ წლების მანძილზე ნაგროვები საისტორიო მასალა და ბეჭდურად აცნობს მას ფართო საზოგადოებას. ამ დროს გამოაქვეყნა მან „ჩხარის ეკლესიის სიძველენი“, „მამნე ოქრომჭედლის კიდევ ერთი ნახელავი“, „ვატიკანის ბიბლიოთეკის ორი ქართული ხელნაწერი“, „მხატვრული ნაქარგობანი იკორთის მონასტრიდან“, „პერევისის ძველი ეკლესია“ და სხვ.

ამ გამოცემებთან ერთად, რომლებიც ფასდაუდებელი მასალაა ჩვენი ერის წარსულის სხვადასხვა ასპექტის შესასწავლად, მნიშვნელოვანია ბაგრატიონთა გვარის შემატიანის სუმბატ დავითის ძის თხზულების მეორეჯერ გამოცემა 1949 წ.

უკანასკნელად სხვა ნაშრომებისა და გამოცემების კვალდაკვალ მან დიდი ამაგი დასდო 1917 წელს სამხრეთ საქრთველოში მოწყობილი არქეოლოგიური

ექსპედიციის მასალათა პუბლიკაციას (1953 წ., რუსულად; 1960 წ. გამოვიდა ამ შრომის ქართული ვარიანტიც). ეს გრანდიოზული პუბლიკაცია იყო ე. თაყაიშვილის სამოცდახუთი წლის მოღვაწეობის დაგვირგვინება. ეს იყო უკანასკნელი დიდი წიგნი, რომელიც მკვლევარმა მშობელ ხალხს და ქართულ ისტორიოგრაფიას შესძინა.

ე. თაყაიშვილს დარჩა უმდიდრესი საარქივო ფონდი[2], რომელიც ფართო წარმოდგენას ქმნის მისი როგორც მეცნიერისა და მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწის განსაკუთრებულ ამაგზე ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის სარბიელზე. ეს მასალები ვრცლად იქნა ასახული ე. თაყაიშვილის გარდაცვალების შემდეგ გამოცემულ საინტერესო „მოგონებებში", რომელიც ქართული მეცნიერულ-მემუარული ჟანრის უიშვიათესი ნიმუშია. ეს და სხვა მასალა დაედო საფუძვლად მრავალრიცხოვან სამეცნიერო გამოკვლევებს ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ[3]. ქართულ ისტორიოგრაფიაში ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლს მიეძღვნა არაერთი სპეციალური ნაშრომი[4].

მიუხედავად მრავალმხრივი სამეცნიერო ინტერესებისა, ე. თაყაიშვილს თავი უმთავრესად საქართველოს სიძველეების სპეციალისტად მიაჩნდა. საქართველოს სიძველეების შეკრება-გადარჩენას ის იმთავითვე დიდ ეროვნულ საქმედ თვლიდა: „აშკარად ზედმეტ ძალ-ღონეს მანიჭებდა სწორედ ის ფანატიკური გრძნობა და ის გამუდმებული ძრწოლა, „არაფერი დაგვეკარგოს მეთქი" — იგონებს ექვთიმე, — თან ის შეგრძნებაც მიმაგრებდა გულსა და მკლავს, რომ როდესაც ეს მასალები საიმედოდ თავმოყრილი, დაცული და პირველადი ინტერპრეტაციით გამოცემული იქნებოდა, მერე გამოჩნდებოდნენ მკვლევრები, რომლებიც დარგობრივ, გულდაგულ დაადგებოდნენ მათ და გამართული. შევსებული ისტორიისა და მონოგრაფიული გამოკვლევების შესაქმნელად გამოიყენებდნენ. ბოლოს ხომ ეს მოლოდინიც გამართლდა და ესაა, რომ უდიდეს ზნეობრივ კმაყოფილებასა მგვრის"[5].

როგორც მკვლევარი ე. თაყაიშვილი უკვდავყოფილია მის მრავალრიცხოვან სამეცნიერო და პუბლიცისტურ ნაწერებში, რომლებიც სპეციალისტთა წრეში აღიარებით სარგებლობს. ხოლო მისმა ფანატიკურმა ბრძოლამ საქართველოს საისტორიო ძეგლების დაცვა-პატრონობის მიზნით ექვთიმეს სახელს ჩვენი ხალხის ცნობიერებაში სრულიად განსაკუთრებული ავტორიტეტი მოუპოვა და სამარადისო ადგილი დაუმკვიდრა ერის ინტელექტუალურ და ზნეობრივ წინამძღოლთა რიგში.

**ზოთა ბადრიძე**

---

[2] აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, თბ., 1972.

[3] რ. მეტრეველი, შ. ბადრიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1962; ა. სურგულაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1977.

[4] აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, კრებული. თბ., 1966.

[5] ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. 1, გვ. 340.

# ლაშა-ნიკოლოზ ჯანაშიას ხსოვნას



16 წლისა იყო იგი, როცა დაობლდა, დაჰკარგა მშობელი მამა — სახელგანთქმული მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია. მისი მაჯისცემაც, ისევე როგორც ლაშასი, შუა გზაზე შეწყდა. 1947 წ. ნოემბრის ჩამავალი მზის ქვეშ დაიტირა სიმონი ქართველმა ხალხმა. როგორ გვანან ერთმანეთს მათთან გამოთხოვების დღეები და თითქმის ერთნაირია მათი სიცოცხლის ხანგრძლივობაც!

მამისაგან მემკვიდრეობით დაჰყვა ლაშას ნიჭიერება, სამშობლოსადმი უზომო სიყვარული და ქუდბედად შეჩენილი გულისტკივილიც. გარეგნობითა და საქციელითაც მამის განსახიერება იყო.

ვხედებოდით ლაშას და ყოველთვის თვალწინ გვედგა ახოვანი, უსპეტაკესი, გამორჩეული ზნეობრივი თვისებებით მოსილი პიროვნება. მისი მზრუნველი და გულჩამწვდომი გამოხედვა, ყოველგვარი ქათინაურების გარეშე, უშუალოდ ავლენდა უზომო პატივისცემას ადამიანებისადმი.

მამისეული გზა აირჩია ლაშამ მეცნიერებაშიც, რომლის კარები შეაღო არა ვისმეს კარნახით თუ პატივმოყვარული სურვილებით, არამედ უანგაროდ, შინაგანი მოწოდებით.

სკოლიდანვე და შემდეგაც მიიპყრო მან აღმზრდელთა განსაკუთრებული ყურადღება — ატესტატი ოქროს მედლით, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდიატი თბილისის სახ. უნივერსიტეტში, ასპირანტურის ფრიადოსანი მეცნიერებათა აკადემიაში, ხოლო 1957 წლიდან ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი. თითქმის 13 წელიწადი იმუშავა განსვენებულმა ამ ინსტიტუტში და მისი მრავალრიცხოვანი თანამშრომლები გულთბილი ადამიანურობით მოხიბლა.

უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ლაშა მუშაობდა აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, სადაც მან სანიმუშო ხელმძღვანელისა და უბადლო კოლეგის სახელი დაიმსახურა. ამავე დროს იგი დიდ დროს ანდომებდა ახალგაზრდობის მეცნიერულ-პედაგოგიური აღზრდის საქმეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიის ზოგად კურსსა და სპეცკურსებს. იყო, აგრეთვე, საქართველოს ისტორიკოსთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი და სწავლული მდივანი, მრავალი მეცნიერული ნარკვევის რედაქტორი. თავის კოლეგებში გამოირჩეოდა ღრმად განსწავლულობითა და ჩინებული ერუდიციით.

სამეცნიერო მოღვაწეობის პროფილითაც

მიჰყვა ლაშა მამისეულ კვალს. ეს იყო ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის მიმართულება და თამამად შეიძლება ითქვას, რომ კვლევის შედეგებით მან საპატიო ადგილი დაიმკვიდრა თვალსაჩინო მეცნიერთა შორის.

1962 წ. გამოცემულ წიგნში ძველი სომეხი ისტორიკოსის ლაზარე ფარპეცის ცნობათა გამომზეურებით, თარგმანითა და ანალიზით, მან წინ წასწია V ს-ის საქართველოს წარსულის ამსახველ მასალათა შესწავლის საქმე, კიდევ უფრო რელიეფურად დაგვანახა იმ დროის საკმაოდ დიდი ხელმწიფის — ვახტანგ გორგასალის მიმზიდველი ფიგურა, მისი თავდადებული ბრძოლა ამიერკავკასიელი ხალხების დარაზმვისათვის საერთო საგარეო მტრების წინააღმდეგ.

ლ. ჯანაშიამ ნამდვილად თვალსაჩინო წვლილი შეიტანა მოძმე სომეხი და ქართველი ხალხების ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის შესწავლის საქმეში. ამის ნიმუშია არა მარტო ფარპეცისადმი მიძღვნილი წიგნი, არამედ ვ. ნალბანდიანის გამოკვლევის — „თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე" — თარგმანი სომხურიდან, რომელიც მან ელ. ცაგარეიშვილთან ერთად განახორციელა 1959 წ. ამიტომაც იყო, რომ ლაშა დამსახურებული პატივისცემით სარგებლობდა სომეხ ისტორიკოსებსა და ფილოლოგებს შორის.

მისი ბოლოდროინდელი გამოკვლევა, მიძღვნილი ქართული ლიტერატურის ფეოდალური ძეგლის — „შუშანიკის წამების" — ისტორიულ-ფილოლოგიურ ჭრილში განხილვისადმი, საკმაოდ დიდი წვლილია ქართულ-სომხური ისტორიოგრაფიისა და ლიტერატურათმცოდნეობაში.

ყოველივე ამის გამოა, რომ ჩვენ დღეს ასე გულდაწყვეტილები ვგლოვობთ ლაშა ჯანაშიას უდროოდ დაკარგვას. ჩვენ და ჩვენი მემკვიდრეებიც ვერ დავივიწყებთ განსვენებულს, რომლის ხანმოკლე სიცოცხლე ერთგული მეცნიერებისადმი თავდადებისა და კაცური კაცობის მაგალითი იყო.

**მამია დუმბაძე**

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 28.XII.82; შეკვ. № 4307; ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.04.83;
ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; ნაბეჭდი თაბახი 18,2;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14.7;

უე 08110; ტირაჟი 1100;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19